საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ანა დოლიძე

# საქართველოს ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთკავშირი XVIII საუკუნეში

*სამეცნიერო ხელმძღვანელი*

*როინ მეტრეველი,*

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი*

თბილისი

2025 წელი

# შინაარსი

**ანოტაცია**.....4

Annotation.....7

**შესავალი**.....9

**თავი I.** ეკლესია და სახელმწიფო წმინდა წერილსა და ქართველი ერის ცნობიერებაში.....20

§ 1.1. ქრისტიანული სწავლება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ.....20

§ 1.2. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.....27

**თავი II.** საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირი XVIII საუკუნის I ნახევარში.....34

§ 2.1 საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მდგომარეობა და არსებული გამოწვევები.....34

§ 2.2. სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი ეკლესიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.....43

§ 2.3. ვახტანგ VI-ის საეკლესიო პოლიტიკა.....45

§ 2.4. დომენტი კათალიკოსისა და ვახტანგ VI-ის  კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმები.....49

§ 2.5. სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ ეროვნული სარწმუნოების დასაცავად გზების ძიება.....55

§ 2.6.  ურთიერთობა გარესამყაროსთან მეფედ კურთხევის ტრადიციული ქართული წესის აღდგენისთვის.....77

§ 2.7. იმერეთის სამეფოში არსებული გამოწვევები და აფხაზთა საკათალიკოსოს როლი „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ.....87

**თავი III.** საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირი XVIII საუკუნის II ნახევარში.....93

§ 3.1. დაცემული ეკლესიის გაძლიერება ანტონ I დიდი კათალიკოსის დროს.....93

§ 3.2. მეფე თეიმურაზ II-ის დაპირისპირების მიზეზი ანტონ I კათალიკოსის წინააღმდეგ.....101

§ 3.3. მეფე ერეკლე II-ის როლი საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში.....105

§ 3.4. სოლომონ I და საეკლესიო მოღვაწენი დასავლეთ საქართველოში.....120

§ 3.5. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების პოლიტიკა გაუქმებული ავტოკეფალიის პირობებში.....138

**თავი IV.** ინტერკულტურული გზების ძიება ქართველთა გამუსლიმების პროცესის შესაჩერებლად.....156

§ 4.1. ქართველთა ურთიერთობა კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული ნაციონალური თვითმყოფადობის დაცვის მიზნით.....156

§ 4.2. სომხეთის ურთიერთობა ახალციხის გამუსლიმებულ მოსახლეობასთან ორთოდოქსული სარწმუნოების შესასუსტებლად.....163

**დასკვნა**.....172

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა**.....176

# ანოტაცია


სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთკავშირი XVIII საუკუნეში“ წარმოადგენს ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნულ ნაშრომს. ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების (ხელმძღვანელი — აკადემიკოსი როინ მეტრეველი) სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის „საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე)“ ფარგლებში.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირი მსოფლიო ისტორიის განვითარების  უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რა შემთხვევაშიც საქმე ეხება ორი, კარგად ორგანიზებული ინსტიტუტის თანაარსებობას: ერთი ესაა პოლიტიკური ნაწილი, რომელიც გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის, მოსახლეობის კეთილდღეობისა და სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, ხოლო მეორე — რელიგიური, მრევლის სულიერი ხელმძღვანელობა.

ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის რელიგიური უფლებები და ეკლესიას ღირსეული ადგილი მიუჩინოს სახელმწიფოში. წმინდა წერილში, მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებსა და წმინდა მამათა ქადაგებებში ნათლადაა განსაზღვრული სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის პრინციპები და ღმერთისა და ერის წინაშე მათი უფლება-მოვალეობანი.

ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე მართლმადიდებელ სარწმუნოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ქართველი ერის ცხოვრებაში, რომლის სიწმინდესა და ავტორიტეტს მოსახლეობასთან ერთად მტკიცედ იცავდა სახელმწიფო.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ზრუნავდა არა მხოლოდ საკუთარი მრევლის სულიერი განვითარებისა და მარადიული ცხონების მოპოვებისათვის, არამედ ქვეყნის გაერთიანების, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და მოსახლეობის

უსაფრთხოების დაცვისათვის. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი არსებობს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთკავშირი XVIII საუკუნის პერიოდში: აღწერილია, როგორი პოლიტიკური მდგომარეობა იყო ამ პერიოდის საქართველოში, ქართულ ეკლესიასა და გარესამყაროში; განხილულია, რა გავლენას ახდენდა საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებასა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მდგომარეობაზე გარესამყაროში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები; ნაჩვენებია, როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა ქართველ მეფეებსა და მართლმადიდებელ სასულიერო პირთა შორის და რა გავლენას ახდენდა ქართველ მუსლიმ მეფეთა საქმიანობა ერის ზნეობრივ-სულიერ მდგომარეობაზე; აღნიშნულია, რა შედეგები მოჰყვა მუსლიმ მეფეთა მოღვაწეობას საქართველოში და როგორ ცდილობდნენ გარეგნულად მუსლიმი და გულით ქრისტიანი ქართველი მეფეები და მართლმადიდებელი სასულიერო პირები ეროვნული ღირებულებების დაცვასა და შენარჩუნებას; წარმოჩენილია, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მეფეებსა და მართლმადიდებელ სასულიერო პირებს კათოლიკური და სომხური ეკლესიის აღმსარებლებთან და ეროვნული გადაგვარების პირობებში როგორ ინარჩუნებდნენ ქართველები მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და ეროვნებას, ან რისთვის იცვლიდნენ რწმენას და გადადიოდნენ მუსლიმურ, კათოლიკურ ან სომხურ რჯულზე. ხაზგასმულია, როგორი ურთიერთობა უნდა არსებობდეს პოლიტიკოსებსა და მართლმადიდებელ სამღვდელოებას შორის, რათა მათი ხელისუფლების პერიოდში ქვეყანა იყოს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად და სულიერად ძლიერი და ერთიანი, რის შედეგად თავადაც ღირსეული პოლიტიკოსის სახელი დაიმკვიდრონ ისტორიაში.

ნაშრომის მიზანია, აჩვენოს: ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების უმთავრესი განმსაზღვრელი და აუცილებელი პირობაა საერო და სასულიერო ხელისუფალთა სწორი და კონსტრუქციული ურთიერთკავშირი. მათ ერთობლივ, ერთსულოვან, ეროვნულ საქმიანობაზეა დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სულიერი ძლიერება, მთლიანობა, წინსვლა და

განვითარება. ესაა ის მყარი საფუძველი, რაზეც დამყარებულია ნებისმიერი ქართველი პოლიტიკოსის ღირსება და ქვეყნის ძლიერება.

# Annotation

The doctoral thesis "Interrelationship between the Georgian Government and the Orthodox Apostolic Church in the 18th Century" is a work intended for obtaining the academic degree of Doctor in History. The work was performed within the frameworks of history oriented doctoral educational program "History of Georgia (from ancient times to the beginning of the 21st century)" of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia (supervisor — Academician Roin Metreveli).

The interrelationship between the state and the church is a very important aspect in the development of the world history, where the fact of matter is a coexistence of two well-organized institutions: one is the political part, which includes providing territorial integrity, population well-being and social needs, and the other is the religious part, spiritual guidance of a parish and attainment of eternal salvation.

In any country, the state is liable to ensure the religious rights of the population and to give the church a suitable, dignified place in the state. The Holy Scripture, the decrees of the Ecumenical Council of Churches and the sermons of the Holy Fathers clearly define the principles of the relationship between the state and the church and their rights and duties before God and the nation.

Immediately, after Christianity was declared the state religion in the Kingdom of Kartli, the Orthodox faith was given special importance in the life of the Georgian nation, the purity and authority of which was firmly protected by the state together with the population.

The Georgian Orthodox Church cared not only for the spiritual development and eternal salvation of its parishioners, but also for the unification of the country, the preservation of its territorial integrity, and the security of its population. There are lot of examples throughout Georgia's history that confirm the truth of this opinion.

The work presents the relationship between the Georgian state and the Orthodox Apostolic Church during the 18th century: it describes the political situation in Georgia, including Georgian Church and the outside world during this period; it discusses the impact of the world's political processes on the internal political situation in Georgia and the state of the Orthodox Apostolic Church; it shows the interdependence between Georgian kings and Orthodox clergy and the impact

of the activities of Georgian Muslim kings on the moral and spiritual state of the nation; there are mentioned the consequences of the activities of Muslim kings in Georgia and how the Orthodox clergy and Georgian kings, who were outwardly Muslim but Christian in heart, tried to protect and preserve national values; it shows what kind of relationship Georgian kings and Orthodox clergy had with the Catholic and Armenian Church confessors, and how Georgians maintained their Orthodox faith and nationality under the conditions of denationalization, or why they changed their religion and nationality — why they became Muslim, became Catholic or became Armenian.

It is emphasized what kind of relationship should exist between politicians and the Orthodox clergy, so that during their time in government the country to be politically, economically, socially and spiritually strong and united, as a result of which they themselves will go down in history as worthy politicians.

The aim of the work is to show: the main determinant and necessary condition of the Georgian state political strength is the correct, dignified and constructive interaction of the secular and religious authorities. The political-economic, social-cultural and spiritual strength, integrity, progress and development of the country depend on their joint, unanimous, national activities. This is the solid foundation on which the dignity of any Georgian politician and the strength of the country are based.

# შესავალი

**საკვლევი პრობლემის აქტუალობა:** საქართველოს ისტორია მოწამეთა ისტორიაა (Величко 1990: 17), ხოლო საქართველო — სამეფოთა შორის იობი (ხელაია 2013: 74), შესაბამისად: მართლმადიდებელ სარწმუნოებას ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ნებისმიერ სფეროში. სარწმუნოება იყო ქართველი ერის იდენტობის, კულტურისა და ზნეობის განმსაზღვრელი ღირებულება. ნებისმიერი ღირსეული ქართველისათვის ქართველობა იყო არა მხოლოდ ღვთის დიდი წყალობა და პატივი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე — დაეცვა მართლმადიდებელი სარწმუნოება საკუთარი საქმიანობითა და ცხოვრების წესით, სწორი მაგალითი ეჩვენებინა შთამომავლობისათვის, პირნათლად შეესრულებინა ამქვეყნიური ვალდებულება და ღირსეულად წარმდგარიყო ქრისტეს წინაშე. საუკუნეთა განმავლობაში, მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში, ჭეშმარიტი სარწმუნოების დასაცავად საქართველოში სისხლს ღვრიდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები: მეფე-დედოფლები, დიდებულები, ეროვნული მოღვაწეები, სასულიერო პირები, ან თუნდაც, რიგითი მოქალაქეები და ბავშვები. ჩვილობიდანვე მათ ეროვნულსა და სარწმუნოებრივ ღირებულებებს, ფასეულობებსა და ტრადიციებს უნერგავდნენ და ღმერთისა და სამშობლოს თავგანწირვის სულისკვეთებით აღზრდიდნენ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ქართველი თუ არაქართველი მოქალაქის ავკარგობა იმით განისაზღვრებოდა, რამდენად ზრუნავდა იგი ეკლესია-მონასტრებზე, სასულიერო პირებსა და მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვაზე.

როგორც წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) აღნიშნავს, ქართველმა ერმა გადაიხსნა საკუთარი გული, შიგ ჩაიბეჭდა ჯვარცმული ღმერთის ჯვარი პატიოსანი და თავადაც ჯვარს ეცვა ქრისტესთვის, მაგრამ არავის შეარყევინა არც თავისი გული და არც მის გულში ღრმად ჩაბეჭდილი ჯვარი! (გაზეთი „ივერია“ № 9, 14 იანვარი, 1888 წ.), ამავეს ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II (შიოლაშვილი): ადამიანის ცხოვრება უნდა წარმოადგენდეს ჯვარს — სწრაფვა ღმრთისაკენ და სწრაფვა ადამიანისაკენ

(პატრიარქის ქადაგება ჯვრისთაყვანისცემის დღეს, 03.04.2016 წ.), ჯვარი უპირველესი იარაღია მორწმუნისა, იგი იცავს მას ხილული და უხილავი მტრების შემოტევისგან (პატრიარქის ქადაგება ჯვართამაღლების დღეს, 27.09.1986 წ.); საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პოლიტიკური და რელიგიური საშიშროების წინაშე მდგარ ქართველ ერს ქრისტეს ჯვარი ისევე მიუძღოდა წინ, როგორც დამოუკიდებლობის დროშა (ფოცხიშვილი 1996: 37). ამასთანავე, როდესაც წმინდა იოანე ოქროპირი ძველი აღთქმის „გამოსვლათა“ წიგნს განმარტავს, იგი აღნიშნავს, რომ ჯვარი შედგება ორი ნაწილისაგან: ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფრთისაგან. ვერტიკალური  განასახიერებს სამეფო საწყისს, ხოლო ჰორიზონტალური — სამღვდელოს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მხოლოდ მაშინაა ძლიერი, როდესაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფრთა ურთიერთთანხვედრასა და ურთიერთკავშირშია. ეს ყველაფერი კარგად ჰქონდათ გააზრებული ჩვენს წინაპრებს და ჯვრისა და ჯვარცმული ქრისტეს ურყევი რწმენით იცავდნენ სამშობლოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას. მათ მტკიცედ სწამდათ, რომ ქრისტიანულ მოძღვრებაზე დამყარებული ეკლესია ვერ დაეცემა, ის განახლდება, გაძლიერდება და შეიძენს ცხოველმყოფელ ძალას, რომელმაც დაიცვა და დღემდე მოიყვანა საქართველო და ქართველი ერი და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას“ (მათე 16, 18).

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მუდმივად იპყრობდა ცივილიზებული სამყაროს ყურადღებას, სადაც ერთმანეთს შეერწყა აღმოსავლეთ ქრისტიანული რელიგია და დასავლურ-ბერძნული ფილოსოფია. იგი განმტკიცდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირის შედეგად, რითაც მყარი საფუძველი შეიქმნა ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის.

სახარებაში უფალი იესო ქრისტე საუბრობს იერუსალიმის დაცემაზე (ლუკა 19, 43-44), რასაც მალევე მოჰყვა რომის დაცემაც. ანუ, განადგურდა წარმართული მსოფლიოს ორი ცენტრი: იერუსალიმი — საღმრთო ქალაქი და რომი — ამქვეყნიური დიდების სიმბოლო. რომზე პრეტენზია გამოთქვა ჯერ ბიზანტიამ, მოგვიანებით — რუსეთმა. იერუსალიმზე, რომელიც იყო რწმენისა და სულიერების სიმბოლო, არც ერთ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს პრეტენზია, გარდა საქართველოსი: ქრისტიანების მთავარი სიწმინდე — მაცხოვრის კვართი ჩამოაბრძანეს მცხეთაში — მეორე იერუსალიმში, გელათი მოიხსენიება

როგორც „მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა“, ბაგრატიონები მიიჩნევიან ისრაელის მეფეთა შთამომავლებად, ხოლო სახელმწიფოს მთავარი სიმბოლიკა — ხუთჯვრიანი დროშა ისტორიულად იერუსალიმის დროშა იყო (აბზიანიძე 2023: 165-171).

ღირსეული ქართველი პოლიტიკოსები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთკავშირს, რაც ნათლადაა ჩამოყალიბებული გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. როდესაც მეფე აშოტ I დიდი კურაპალატის ერისმთავარი გაბრიელ დაფანჩული იმოწმებს რა წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებს: „თქუენი ნამეტნავი მათისა ნაკლულევანებისა და მათი ნამეტნავი თქუენისა ნაკლულევანებისა“ (2 კორ. 8, 14), წმინდა  გრიგოლ ხანძთელს სთავაზობს: „აწ ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთას. თქუენ მონაწილე გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა, და ძუალნი ჩუენნი ღირს ყუენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა, და ლოცუაჲ ჩუენთვის უკუნისამდე განაწესეთ მონასტერსა თქუენსა. და ჩუენ აღგითქუამთ ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა ჩუენთასა, შვილითი შვილადმდე თანა-გუაც თქუენი ღუწაჲ და მონასტრისა თქუენისაჲ ჟამთა უკუნისამდე“ (მერჩულე 1963: 260). აქ წარმოჩენილია ღირსეულ ქართველ პოლიტიკოსთა ერთგვარი სამოქმედო გეგმა, ნიმუში და მაგალითი — როგორი ურთიერთკავშირი უნდა არსებობდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ხელისუფალთა შორის, რაც ქვეყნის სულიერი და პოლიტიკური ძლიერების აუცილებელი პირობაა.

**ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო:** სადისერტაციო თემის დასათაურებიდან გამომდინარე, ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს საქართველოს მეფე-მთავრებისა და სასულიერო პირთა ურთიერთკავშირს მთელი XVIII საუკუნის პერიოდში, რა დროსაც საერთაშორისო ასპარეზზე განვითარდა ისეთი ეპოქალური პროცესები, რომელთაც უდიდესი გავლენა იქონიეს საქართველოს პოლიტიკური და სულიერი  ცხოვრების განვითარებაზე.

**სადისერტაციო თემის შესწავლის მდგომარეობა:** XVIII საუკუნის საქართველოს ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთკავშირის შესახებ არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. ცხადია, თითოეულ მათგანში განსხვავებული მოსაზრებებია

გამოთქმული. წინამდებარე ნაშრომში მოკლედაა წარმოდგენილი წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა.

**დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა:** საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთკავშირი კარგად აქვთ შესწავლილი ქართველ მეცნიერებს: ი. ჯავახიშვილს, მ. თამარაშვილს, ე. თაყაიშვილს, პ. კარბელაშვილს, ი. დოლიძეს, ა. ცაგარელს, მ. ქავთარიას, თ. ჟორდანიას, კათოლიკოს-პატრიარქებს: კალისტრატე ცინცაძეს, ამბროსი ხელაიას, კირიონ II საძაგლიშვილს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს და სხვ.

ნაშრომში გამოყენებულია: წმინდა იოანე ოქროპირის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის, დეკანოზ ვლადისლავ ციპინის, ა. შანიძის, რ. მეტრეველის, ვ. გურულის, ე. ბუბულაშვილის, ა. აბზიანიძის, თ. ბუაძის, ვ. ველიჩკოს შრომები, ქართული, რუსული და ოსმალური მასალები, სახარება და სჯულისკანონი, სადაც საუბარია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირის შედეგებზე და ნაჩვენებია მათი ურთიერთობის/მტრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია XVIII-XIX საუკუნეების წყაროები, რომელშიც საკვლევი საკითხის გარშემო მრავალი ცნობაა დაცული. უმნიშვნელოვანესი წყაროა ვახუშტი, დავით და ბაგრატ ბატონიშვილების ცნობები ამ პერიოდის შესახებ, რომელნიც აღწერილი მოვლენების თვითმხილველნი და თანამონაწილენი არიან. ასევე, პაპუნა ორბელიანს აღწერილი აქვს საკუთარი თვალით ნანახი და „სარწმუნო კაცთაგან“ მოსმენილი ცნობები XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და საეკლესიო მდგომარეობის შესახებ. მნიშვნელოვანია სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება“, რომელიც სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო და თან ახლდა ქართველ მეფეებს სპარსეთში ყოფნისას. ხშირად ელჩის მოვალეობასაც ასრულებდა და მონაწილეობას იღებდა სპარს-ავღანთა და ბელუჭთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში შეტანილია უმნიშვნელოვანესი საისტორიო მასალა: სიგელ-გუჯრები, ქორონიკული მინაწერები, ქრონიკები და სხვ.

მეფე ერეკლე II-ის დროინდელ ამბებს გადმოგვცემს ომან ხერხეულიძე ნაშრომში „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა.“ მასში 1722-1782 წლებში მომხდარი ძირითადი მოვლენებია გადმოცემული.

ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ სამტომეულში „საქართველოს სიძველენი“ წარმოდგენილია სხვადასხვა სახის დოკუმენტები: სამეფო სიგელები, სასამართლო დადგენილებები, არზები, ოქმები, თამასუქები, ნასყიდობის, გაცვლის, წყალობის, შეწირულობის სიგელები, მიმოწერა და სხვ.

საკვლევი პერიოდის შესახებ არსებულ წყაროებს ავსებს სხვადასხვა მონასტერში გადაწერილ სახარებებზე, წმინდანთა ცხოვრებაზე, ხატებსა და სხვ. თანდართული ხელნაწერები, ქრონიკები და ანდერძ-მინაწერები, რომლებიც შეკრებილი და გამოცემულია სამ ტომად თ. ჟორდანიას მიერ ნაშრომში „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“.

ალ. ცაგარელის კრებულის: „Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся къ Грузии“ I ტომში შეტანილია XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალა: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მეფეთა, სახელმწიფო უწყებების მაღალი თანამდებობისა და სასულიერო პირთა მიმოწერა, სიგელები, ინსტრუქციები..., რაც მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლისას.

ი. დოლიძის მიერ „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში გამოცემულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, II ტომში გამოქვეყნებულია X-XIX საუკუნეების ქართული სამართლის საერო საკანონმდებლო ძეგლები, ხოლო III ტომში — ამავე პერიოდის საეკლესიო სამართლის ძეგლები.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ექვთიმე თაყაიშვილისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა: კირიონ II სამაგლიშვილის, ამბროსი ხელაიასა და კალისტრატე ცინცაძის პირად ფონდებში დაცული საარქივო მასალები. მათში შესწავლილია საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირი, ქართველ

მეფეთა და კათალიკოსთა ღვაწლი შიდაპოლიტიკურ და გარესამყაროსთან ურთიერთობისას ეროვნული პოლიტიკის წარმოების დროს.

მნიშვნელოვანია საქართველოში მყოფი იოჰან გიულდენშტედტისა და არქანჯელო ლამბერტის ცნობები ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის აღწერისას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საქართველოს ადარებენ თავიანთ, შედარებით განვითარებულსა და მოწინავე ქვეყანას და ყოველთვის ზუსტად არ ასახავენ არსებულ სინამდვილეს, მაინც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ საქართველოში არსებული ვითარების შესწავლისას.

ისტორიოგრაფიული ნაშრომებიდან აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მრავალრიცხოვან შრომათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართველი ერის ისტორია“. იგი წარმოადგენს მეცნიერულ-კრიტიკულ გამოკვლევას, რომელშიც დეტალურადაა შესწავლილი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, საგანმანათლებლო და საეკლესიო მდგომარეობა უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. მისი ავტორობით გამოცემულია ნაშრომი „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, რომელშიც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ურთიერთობებია განხილული. ამავე საკითხს ეხება ვ. მაჭარაძის „მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ და ვ. გურულის ავტორობით გამოცემული „ერთმორწმუნე რუსეთი, მითი და რეალობა“.

მ. თამარაშვილის ნაშრომში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ შეკრებილია ევროპის სხვადასხვა არქივში დაცული უმნიშვნელოვანესი მასალები, რომლებიც შეეხება საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას, საქართველო-საფრანგეთის პოლიტიკურ ურთიერთობებს, საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთკავშირსა და სომხური ეკლესიის დამოკიდებულებას ქართველებსა და კათოლიკე მისიონერებთან.

პ. კარბელაშვილი ნაშრომში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ მოკლედ აღწერს საქართველოს ეკლესიის ისტორიას, რასაც თან ერთვის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით

დალაგებული მცხეთისა და აფხაზთა კათალიკოსებისა და მღვდელმთავრების ცხოვრება და მათი ღვაწლი ეკლესიისა და სახელმწიფოს განვითარების საქმეში.

ანტონ კათალიკოსისა და ერეკლე-თეიმურაზის ურთიერთკავშირს ეხება მრავალრიცხოვანი შრომები:

„საღვთისმეტყველო კრებულის“ I ტომი (1991 წ.) ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ანტონ პირველის გარდაცვალებიდან 200 წლისთავს. პირველ ნაწილში განხილულია ანტონ კათალიკოსის ცდომილება და მონანიება — მხილება და განყენება, სინანულად განკანონება, ხელწერილი, განჩინება (1756 წლის 4 აპრილის კრებისა); ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ ნაშრომებს:

ნ. მთვარელიშვილის — „ანტონ I, საქართველოს ქათალიკოზი“;

თ. ჟორდანიას — „ანტონ I, კათალიკოზი საქართველოისა“ და „ანტონ I, საქართველოს კათალიკოსი და მთავარეპისკოპოსი ვლადიმირისა და იეროპოლისა“;

ა. ხახანაშვილის — „კათალიკოს ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა“;

კ. კეკელიძის — „ანტონ კათალიკოზის სალიტურგიკო მოღვაწეობიდგან“;

მ. გუგუშვილისა და ლ. ძოწენიძის — „ანტონ პირველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი“;

ფრ. სიხარულიძის — „ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთში“.

ამავე საკითხს ეხება მ. ქავთარიას: „XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა)“, გ. ქიქოძის „ერეკლე მეორე“, ა. ფოცხიშვილის „ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოებრიობა“, სადაც განხილულია ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და საეკლესიო მდგომარეობა, მეფისა და კათალიკოსის კულტურულ-საგანმანათლებლო, საეკლესიო და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, ურთიერთობა ქართველ თავად-აზნაურებსა და გარესამყაროსთან და ამ ურთიერთობების შედეგები.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ ვრცლად და დეტალურადაა გადმოცემული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე. მასში წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულთა ქადაგების ამსახველი

მასალა და განხილულია ქართველთა წინაპრების სარწმუნოებრივი ცხოვრება. მონოგრაფიას თან ერთვის საეკლესიო კრებათა დადგენილებების განხილვა. მისივე ავტორობით გამოცემულ „საქართველოს საეკლესიო კრებებში“ გაანალიზებულია IV-XVIII საუკუნეებში შემდგარი საქართველოსა და მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, რასაც თან ერთვის შესაბამისი კრებების მიერ გამოცემული სამართლის აქტები; „ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში“ მოიცავს ეროვნული და სარწმუნოებრივი გადაგვარების პროცესს, რამაც გარესამყაროში მიმდინარე მოვლენების შედეგად უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და მისი მრევლი.

ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების” II ტომში განხილულია XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა: ქართლის მეფე ვახტანგ VI-სა და რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის ურთიერთობები, ქართლის სამეფო ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის პერიოდში, ქართლისა და კახეთის სამეფოები თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნეში. ავტორის მიზანია, ძველ ქართულ წერილობით საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზების შევსება და გასწორება.

მ. ქიქოძის „ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა)“-სა და გ. პაიჭაძის მონოგრაფიაში „ვახტანგ მეექვსე“ გამოქვეყნებული წყაროების, ლიტერატურისა და ავტორის მიერ მოპოვებული ახალი დოკუმენტური მასალების საფუძველზე წარმოჩენილია ქართლის მეფის, დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის ვახტანგ VI-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვ. გამრეკელის სადისერტაციო ნაშრომში: „Вопросы взаимоотношений восточной Грузии с северным Кавказом в XVIII в.“ გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ოსეთი, თერგისპირეთი) სავაჭრო-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII საუკუნის პერიოდში.

შ. ლომსაძის ნაშრომებში შესწავლილია ქართველ კათოლიკეთა ურთიერთობა ლათინურ-კათოლიკურსა და სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებთან. მათში ძირითადად მესხეთის მოსახლეობაში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების გზები და მიზეზებია მოცემული და აღწერილია ქართველ კათოლიკეთა ღვაწლი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში.

ი. ტაბაღუას შესწავლილი აქვს საქართველო-საფრანგეთისა და საქართველო-ვატიკანის ურთიერთობები XVIII საუკუნეში: სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის მომზადება, მოლაპარაკებები ვერსალსა და ვატიკანში და მათი შედეგები. ამავე ნაშრომებში განხილულია საფრანგეთის პოლიტიკა სპარსეთთან და ოსმალეთთან.

XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთის სამეფოში არსებული ვითარებაა შესწავლილი შ. ბურჯანაძის სადისერტაციო ნაშრომში: „სოლომონ პირველი (პოლიტიკური მიმოხილვა)“. ამავე საკითხს ეხება მ. რეხვიაშვილის „იმერეთის სამეფო (1462-1810 წ.წ.)“ და „იმერთა მეფენი სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე“ და ა. კილასონიას „ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში“. მათში განხილულია იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და საეკლესიო ვითარება მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში; სოლომონ I-ის ბრძოლა ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ, მისი საეკლესიო პოლიტიკა და „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვა.

ვ. ველიჩკოს ნაშრომში „Кавказ, Русское дело и междуплеменные вопросы“ საფუძვლიანად აქვს შესწავლილი კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ-რელიგიური ურთიერთობები.

ვ. ციპინის „Курс церковного права“-ში გაანალიზებულია წმინდა წერილისა და წმინდა მამათა სწავლება და მნიშვნელობა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირის შესახებ.

**აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს მეფეთა და კათალიკოსთა სია XVIII საუკუნეში:**

**ქართლის მეფეები**

გიორგი XI (1703-1709 წ.წ.)

ერეკლე I (1688-1703 წ.წ.)

ქაიხოსრო (1709-1711 წ.წ.)

ვახტანგ VI, ქართლის გამგებელი - 1703-1714 წ.წ.; მეფე - 1716-1724 წ.წ.

იესე (1714-1716 წ.წ.), (1724-1727 წ.წ.)

ბაქარი (1717-1719 წ.წ.)

თეიმურაზ II (1744-1762 წ.წ.)

**კახეთის მეფეები**

ერეკლე I (1703-1709 წ.წ.)

დავით II (1709-1722 წ.წ.)

კონსტანტინე II (1722-1732 წ. წ.)

ერეკლე II (1744-1762 წ.წ.)

**ქართლ-კახეთის მეფეები**

ერეკლე II (1762-1798 წ.წ.)

გიორგი XII (1798-1800 წ.წ.)

**იმერეთის მეფეები**

გიორგი VI (1703-1711; 1713; 1714-1716; 1719-1720 წ. წ.)

ალექსანდრე V (1720-1741; 1741-1746; 1749-1752 წ. წ.)

გიორგი VII ( 1741 წ.)

მამუკა (1746-1749 წ. წ.)

სოლომონ I  (1752-1784 წ. წ.)

დავით II (1784-1789 წ. წ.)

სოლომონ II (1789-1810 წ. წ.)

**მცხეთის კათალიკოსები**

ევდემოზ II (დიასამიძე) 1700-1705 წ.წ.

დომენტი IV (1705-1741 წ.წ.)

ბესარიონი  (1724-1737 წ.წ.)

კირილე II (1737-1739 წ.წ.)

ნიკოლოზ X (1741-1744 წ.წ.)

ანტონ I (1744-1755; 1764-1788  წ. წ.)

ანტონ II (1788-1811 წ.წ.)

**აფხაზთა კათალიკოსები**

გრიგოლ II (1696-1742 წ.წ.)

ბესარიონი (1742-1769 წ.წ.)

გერმანე (XVIII საუკუნის შუა წლები)

იოსები (1769-1776 წ.წ.)

მაქსიმე II (1776-1795 წ.წ.)

**აფხაზთა კათალიკოსის მოსაყდრე**

დოსითეოსი (1795-1814 წ.წ.)

# თავი I

# ეკლესია და სახელმწიფო წმინდა წერილსა და ქართველი ერის ცნობიერებაში

## § 1.1. ქრისტიანული სწავლება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ

წმინდა წერილის მიხედვით სახელმწიფო ღმერთის მიერ დადგენილი ინსტიტუტია, ხოლო მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზეა დამყარებული. აქედან გამომდინარე, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის იდეალური ფორმა მხოლოდ მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთ სახელმწიფოში, რომელშიც ჭეშმარიტ სარწმუნოებას უდიდესი ავტორიტეტი გააჩნია, მისი სიწმინდე საყოველთაოდაა აღიარებული და ამ სიწმინდეს მთელი ერი იცავს.

წმინდა წერილი უმაღლესი მსახურების სამ ფორმას ცნობს: საწინასწარმეტყველო, სამღვდელმთავრო და სამეფო.

თავდაპირველად, ისრაელიანები ეგვიპტის ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ საულის გამეფებამდე ცნობდნენ მხოლოდ ერთ — თეოკრატიულ მმართველობას: ღმერთს — როგორც ერთადერთ მეუფეს და პირისპირ ესაუბრებოდნენ მას წინასწარმეტყველთა მეშვეობით. ხოლო  როდესაც თავიანთ ცოდვათა გამო ღმერთს განეშორნენ, გაუჩნდათ სურვილი, სხვა ქვეყნების მსგავსად თავადაც ჰყოლოდათ ამქვეყნიური მმართველი. უფალმა შეისმინა მათი თხოვნა და უბრძანა სამოელ წინასწარმეტყველს ეცხო ზეთი საულისათვის და ესწავლებინა მთელი ერისთვის მეფის მმართველობის წესები (1 მეფეთა 8, 9-22).

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მეთაურთა დასახელება წარმოსდგება მეორე დასის ანგელოზთა სახელწოდებიდან: მთავრობანი, ხელმწიფებანი, უფლებანი და ძალნი. ისინი მიწიერ ხელისუფალთ ქვეყნის მართვაში შეეწევიან, საღმრთო მადლს გარდამოუვლენენ  და იცავენ მათ ხილული და უხილავი მტრებისაგან. ეს ნიშნავს იმას, რომ

ღმერთი  მეორე დასის ანგელოზთა ხელით ერში  გამოარჩევს ადამიანს და  ანიჭებს მას ძალაუფლებას, რათა იგი იყოს სამართლიანი ხელისუფალი და მოსახლეობაში  დაიცვას ზნეობა.

ნებისმიერ სახელმწიფოში ხელისუფალთა მთავარი ფუნქცია და დანიშნულება ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის გზით მოსახლეობის ტარებაა. ამიტომ, ერი ვალდებულია დაემორჩილოს ხელისუფალს არა მხოლოდ დასჯის შიშით, არამედ კეთილსინდისიერების გამო (რომ. 13, 1-7). როდესაც ღმერთმა წინასწარმეტყველ სამოელის მიერ ისრაელის პირველი მეფე საული აკურთხა, ამით მან მეფის ინსტიტუტი აკურთხა და დალოცა.  საულს ძალაუფლება მიენიჭა ღმერთის ნების აღსრულების პირობით (1 მეფეთა 11,15), ხოლო როდესაც უფლის მცნებები დაარღვია, ღმერთი განეშორა მას და უბრძანა სამოელ წინასწარმეტყველს, მდაბიო იესეს ძის — დავითისთვის ეცხო ზეთი (1 მეფეთა 16,1), რომლის შთამომავლობაშიც ხორციელად იშვა ქრისტე.

ზეციური და ამქვეყნიური სამყაროს შემოქმედი ქრისტე ასრულებდა რა მიწიერი ხელისუფლების მიერ დადგენილ ყოველგვარ კანონს, ხალხს უქადაგებდა: „მიეცით კეისარს კეისრისაჲ და ღმრთისაჲ ღმერთსა“ (მათე 22,21). ამავეს ქადაგებდნენ მოციქულები ქრისტიანების მიმართ და ხელისუფალთა მორჩილებას ასწავლიდნენ.

ეკლესიას, როგორც ქრისტეს ორბუნებოვან ორგანიზმს, ურთიერთობა აქვს არა მხოლოდ ზეციურ, არამედ ამქვეყნიურ, მიწიერ სამეფოსთან. სახელმწიფო მოწოდებულია ისე დაარეგულიროს შიდა პოლიტიკური ურთიერთობები, რომ ქვეყანაში შეინარჩუნოს მშვიდობა; ურთიერთობა ჰქონდეს ეკლესიასთან — აღკვეთოს ბოროტება და წაახალისოს სიკეთე, რა შემთხვევაშიც ეკლესია სახელმწიფოს ბუნებრივი მოკავშირეა. აქედან გამომდინარე, ანარქია და მოწოდება ანარქიისკენ არის ანტიქრისტიანული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რადგან იგი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას და ვინც ეწინააღმდეგება ღმერთის მიერ დადგენილ ხელისუფლებას, საკუთარ თავზე მოიწევს ღვთის სასჯელს (რომ. 13, 1-7).

მოციქულთა სწავლების მიხედვით, ეკლესია ვალდებულია არა მხოლოდ დაემორჩილოს სახელმწიფოს განურჩევლად მისი დამოკიდებულებისა ეკლესიისადმი (1 პეტ. 2, 13-18), არამედ მოიხსენიოს მთავრობა და მხედრობა ყოველი ლიტურგიის, მწუხრ-

ცისკრის, პარაკლისისა და ა. შ. მსახურების დროს. ამავეს ავალდებულებს ეკლესია საკუთარი მრევლის თითოეულ წევრს  პირადი ლოცვის შესრულებისას. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მოციქულთა ეპოქაში ეკლესია იდევნებოდა სახელმწიფოს მიერ როგორც იმპერიის ზოგადი კანონების, ასევე სპეციალური ბრძანებების საფუძველზე, ქრისტიანები ემორჩილებოდნენ მას და ეკლესია მოუწოდებდა მრევლს, ელოცა ხელისუფლებისათვის (1 ტიმ. 2, 2).

ქრისტემ ძალაუფლების ზღვარი დაუწესა ხელისუფლებასაც: როდესაც ებრაელ სინედრიონს სურდა აეკრძალა მოციქულებისთვის მაცხოვრის სწავლების ქადაგება, წმინდა პეტრე და იოანე მოციქულებმა მიუგეს მას: „უკუეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქუენი სმენაჲ უფროის, ანუ ღმრთისაჲ, საჯეთ. რამეთუ ჩუენ ვერ ხელ-გუეწიფების, რომელი-იგი გუესმა და ვიხილეთ, ვითარმცა არა ვიტყოდეთ“ (საქმე 4, 19-20).

VII საეკლესიო კრების კანონებში ნათქვამია: სახელმწიფო და ეკლესია ისევე უნდა იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან, როგორც სხეული და სული. სამღვდელოება არის სახელმწიფო ძალაუფლების სულიერად განმწმენდელი და განმამტკიცებელი ძალა, ხოლო ხელისუფლება სამართლიანი კანონებით განაგებს მიწიერ ცხოვრებას.

სახარებაში მოცემულია მმართველის უარყოფითი სახეც იუდეველთა მეფე ჰეროდეს მაგალითზე: მაცხოვრის შობის დროს, როდესაც იერუსალიმში აღმოსავლეთიდან ბრძენი, მეცნიერი და განსწავლული მოგვები მივიდნენ და ქრისტეს დაბადების ადგილი იკითხეს, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და „ყოველი იერუსალიმი მის თანა“ (მათე 2,3). მიუხედავად იმისა, რომ ჰეროდეს სრული ლეგიტიმაცია ჰქონდა და მის მეფობას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, იგი თავისი სისასტიკის გამო სძულდა მთელს ერს. ჰეროდე შეშფოთდა და შიშმა შეიპყრო იმის გამო, რომ თუ იუდეაში ახალ მეფეს  აკურთხებდნენ, თავად იგი ტახტის გარეშე დარჩებოდა, რასაც მოჰყვა მკაცრი ბრძანება სასახლის შემოსასვლელის ჩაკეტვის, ჯარის გამრავლებისა და გაძლიერების შესახებ. ჰეროდემ შეკრიბა მთელი სინედრიონი, მღვდელმთავრები და მწიგნობრები, რათა გამოეკითხა, სად უნდა შობილიყო იუდეველთა მეფე. და როდესაც მათ აუწყეს საღმრთო წიგნებში აღწერილი წინასწარმეტყველება, უბრძანა მოგვებს, დაეზუსტებინათ ქრისტეს ადგილსამყოფელი, რათა თავადაც მისულიყო მის თაყვანსაცემად. იუდეის მეფის გამოჩენის შიშმა

სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა ჰეროდე, რომ ის დაკარგავდა ძალაუფლებას თავის სამეფოზე. მან დაიწყო ახალშობილი ქრისტეს დევნა და ამოწყვიტა 14 000 ბეთლემელი ყრმა. თავად კი მალევე, უმძიმესი ტანჯვით დაასრულა ცხოვრება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ერთ-ერთ ქადაგებაში ნათქვამია, რომ ამით სახარება გვიჩვენებს, სადამდე შეიძლება დაეცეს ურწმუნო ადამიანი მიწიერ დიდებაზე მიჯაჭვულობისა და მთავრობისმოყვარეობის გამო. ეს ყველაფერი აბრმავებს ადამიანს, რამაც დაღუპა ჰეროდეც. და პირიქით, სრულიად საპირისპიროდ, აღმოსავლელ მოგვთა სახით წარმოგვიჩენს მორწმუნეთა სიდიადეს, რათა მივბაძოთ მათ, რომელთაც გამოიარეს შორი და მძიმე გზა ახალშობილი მაცხოვრის თაყვანსაცემად (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას პირადი ფონდი, საქმე № 114: 2-4).

სწორედ მსგავსი ამპარტავნებისა და დიდებისმოყვარეობის წინააღმდეგაა მიმართული ქრისტეს სიტყვები: „რომელსა უნდეს პირველ ყოფად, იყოს იგი ყოველთა მონა“ (მარკ. 10, 44). ხელისუფალი, რომელსაც სახელმწიფოში უჭირავს უმაღლესი თანამდებობა, სარგებლობს თავისი უფლებებით და იყენებს ამ მდგომარეობას პირადი ინტერესებისა და დიდებისათვის. მაგრამ ქრისტიანულ საზოგადოებაში ეკლესიის სწავლება დამყარებულია ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთთავგანწირვაზე, სადაც უდიდესი ადგილი ეთმობა არა პირად, არამედ საზოგადოებრივ სარგებელს. რამდენადაც მაღლა დგას ადამიანი, მით მეტი სარგებელი უნდა მოუტანოს მან საზოგადოებას, რაც მოიაზრება ქრისტეს სიტყვებში: „ძე კაცისა არა მოვიდა ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთა“ (მარკ. 10, 45). მაშასადამე, ჭეშმარიტი ქრისტიანი ხელისუფლის თვისებაა არა ბატონობა სხვაზე, არამედ მისთვის მსახურება და თავდადება. მოძმეთა მსახურება კი არ ამცირებს ადამიანს, არამედ განადიდებს და დიდ სახელს სძენს მას საზოგადოებაში. ნებისმიერი ადამიანისა და მით უფრო, ხელისუფლის მოწოდება და მოვალეობაა, რათა მან შეითვისოს ქრისტიანული მოძღვრება, ჰქონდეს ჭეშმარიტი სიყვარული და სულიერი კულტურა, რომელიც შთამომავლობას უნდა გადაეცეს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ქვეყნის გაძლიერება და განმტკიცება (კორნელი კეკელიძის

სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას პირადი ფონდი, საქმე № 214).

ზემოხსენებული დაცემული მდგომარეობის საპირისპიროდ, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) ადამიანის მოვალეობებზე საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეკლესიის, მოყვასის, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულზე. ადამიანმა უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე სარწმუნოებაში, ღვთისადმი ლოცვა-ვედრებასა და ქრისტეს მცნებათა აღსრულებაში. იყოს ეკლესიის ნამდვილი წევრი და გამოიჩინოს ერთგულება ეკლესიის სხვა წევრებისადმი; უყვარდეს საკუთარი სამშობლო, იზრუნოს მისი კეთილდღეობისათვის, შეინარჩუნოს მისი სიმტკიცე და საკუთარი თავი შესწიროს მას, რითაც იგი მარადიულ ცხონებას მოიპოვებს (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას პირადი ფონდი, საქმე № 198).

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის აუცილებელია სწორი დამოკიდებულება არსებობდეს, რადგან: ეკლესია უშუალოდ ღმერთის მიერაა დაფუძნებული, სახელმწიფო ხელისუფლება კი ისტორიული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა, რომლის არსებობა, გაძლიერება ან დაცემა ღმერთის ნების მიხედვით წარიმართება. ეკლესია ერთადერთი და ერთიანია, სახელმწიფო კი მრავალია და თითოეულ მათგანს საკუთარი ტერიტორია და საზღვრები გააჩნია. საზღვრები გააჩნია ადგილობრივ ეკლესიებსაც, რომელნიც მსოფლიო ეკლესიის ნაწილს წარმოადგენენ.

სახელმწიფო ეყრდნობა მატერიალურ ძალას, ხოლო ეკლესია საკუთარი სამწყსოს სულიერი ხელმძღვანელია და რელიგიურ-ზნეობრივ საშუალებებს ფლობს. საეკლესიო და სახელმწიფო საქმეები რომ ერთმანეთისგან გამორჩეული იყოს, მოციქულთა 81-ე და VII მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები სამღვდელოებას სახელმწიფო მმართველობის საქმეებში მონაწილეობის მიღებას უკრძალავს. მათ ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და საქმიანობის განსხვავებული სფეროები გააჩნიათ. თუმცა, ეკლესიის წევრები სახელმწიფოს მოქალაქეები არიან ისევე, როგორც სახელმწიფოს მოქალაქეები — ეკლესიის წევრები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია როგორც საეკლესიო, ასევე სახელმწიფოს კანონთა მორჩილება. პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: „ყოველი სული ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ... რამეთუ რომელნი-

იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან... რომელი ადგებოდის ხელმწიფებასა, ღმრთისა ბრძანებასა ადგების, ხოლო რომელნი-იგი ადგებოდიან, თავისა თვისისა სასჯელი მიიღონ... გნებავს თუ, რაჲთა არა გეშინოდის ხელმწიფებისაგან? კეთილსა იქმოდე და მოიღო ქებაჲ მისგან...“ (რომ. 13, 1-7). აქედან გამომდინარე, ღმერთმა პოლიტიკური ხელისუფლება დაადგინა დედამიწაზე ბოროტების შესაჩერებლად, ხოლო ადამიანის სულიერი განვითარება, ცათა სასუფეველში დამკვიდრება და ცხონება მხოლოდ ეკლესიის მისიაა და პოლიტიკურ მმართველს ეს შესაძლებლობა და ვალდებულება არ გააჩნია (ბუაძე 2019: 13).

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის აუცილებელია არსებობდეს სიმფონია — ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და ურთიერთპასუხისმგებლობა მეორე მხარის კომპეტენციაში შეჭრის გარეშე. ეპისკოპოსი ემორჩილება სახელმწიფო ხელისუფალს, როგორც საკუთარი ქვეყნის მმართველს, ხოლო სახელმწიფო ხელისუფალი ემორჩილება ეპისკოპოსს, როგორც ეკლესიის წევრი, რომელიც ეკლესიაში ეძებს სულიერ ხსნას.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთის საქმიანობაში არ ერევიან, არსებობს საკითხები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ ორივე მხარის ურთიერთთანამშრომლობასა და ერთობლივ გადაწყვეტას. ესაა ზნეობრივი საკითხები, რომლებიც ეკლესიისა და სახელმწიფოს შეთანხმების შედეგად უნდა გადაწყდეს და უმნიშვნელოვანესია ორივე მხარისთვის. ეკლესიასთან სიმფონიური დამოკიდებულების დროს სახელმწიფო მისგან იღებს სულიერ მხარდაჭერას, ლოცვასა და იმ საქმის კურთხევას, რომელიც მოქალაქეთა კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი, ხოლო ეკლესია სახელმწიფოსაგან ითხოვს მატერიალურ დახმარებას საკუთარი მრევლის სულიერი განვითარებისა და სამეუფეო გზით ტარებისათვის, იმ მრევლისა, რომელიც ამავე დროს სახელმწიფოს მოქალაქეები არიან.

იმ შემთხვევაში, თუ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის წარმოიშვა უთანხმოება გარკვეულ საკითხთა გამო, ეკლესიის პოზიცია ყოველთვის ასეთია: ქრისტეს ეკლესია უშეცდომოდ ქადაგებს ჭეშმარიტ სწავლებას. მაშასადამე, მას არ გააჩნია უფლება, შეცვალოს რაიმე ქრისტეს სწავლებაში, ან საერთოდ შეწყვიტოს სწავლება და ქადაგება. სწორედ

ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლების ქადაგების გამო ეკლესიამ მთელი ისტორიის მანძილზე არაერთხელ განიცადა დევნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მდევნელთა წინააღმდეგ არასდროს გამოუყენებია პოლიტიკური საშუალებები. თუმცა, ქრისტიანები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაემორჩილონ სახელმწიფო ხელისუფლების ისეთ კანონებს, რომლებიც აიძულებენ მათ ქრისტეს ეკლესიისაგან განდგომას და ცოდვილ საქციელს. ამ შემთხვევაში ეკლესია სრულიად თავისუფალია სახელმწიფოსგან და შედეგად უთანხმოება წყდება მხოლოდ ეკლესიის სწავლების მიხედვით. მსგავსს შემთხვევებში ეკლესიას შეუძლია გამოიყენოს შემდეგი საშუალებები: წარმართოს სახელმწიფოსთან მოლაპარაკება წარმოქმნილ უთანხმოებასთან დაკავშირებით, მოუწოდოს მოსახლეობას დაუმორჩილებლობისაკენ და მიმართოს მათ, გამოიყენონ მშვიდობიანი მეთოდები კანონის შესაცვლელად, ან მოუწოდოს ხელისუფლებას სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრისთვის. ნებისმიერი მართლმადიდებელი ქრისტიანი მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს ამქვეყნიურ ნებისმიერ კანონს. ხოლო როდესაც გარკვეული კანონის მოთხოვნის შესრულება საფრთხეს უქმნის მარადიულ ხსნას, გულისხმობს ქრისტესგან განდგომასა და ცოდვით დაცემას, ქრისტიანი მოწოდებულია მისი სულის გადარჩენისთვის საჯაროდ აღიაროს ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლება და ისაუბროს მათ დარღვევაზე, როგორც ამას მოციქულები იქმოდნენ (საქმე 4, 19-20), ხოლო თუ ეს შეუძლებელია, დაიკავოს დაუმორჩილებლობის მშვიდობიანი პოზიცია. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, რითაც იგი მარადიული ჭეშმარიტების წინაშე განაჩენს საკუთარ თავს გამოუტანს. მაგრამ ეკლესიას არ აქვს უფლება, უარი თქვას სახელმწიფოზე, თუნდაც ის დევნიდეს მას. ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში) აღნიშნავს, რომ როდესაც სახელმწიფოს ეკლესიის მიმართ მტრული დამოკიდებულება აქვს, ეკლესია თავისი სულიერი იარაღით ბოლომდე შეუპოვრად იბრძვის, თავისი სწავლების ქადაგებას არასოდეს წყვეტს და მტკიცედაა დარწმუნებული, რომ საბოლოო გამარჯვებას თავად მოიპოვებს. ეკლესიას, როგორც სულიერ ძალას, სახელმწიფოს გარეშეც შეუძლია არსებობა, მაგრამ სახელმწიფო სულიერი და ზნეობრივი საყრდენის გარეშე დიდხანს ვერ იარსებებს. დროთა განმავლობაში იგი გარდაიქმნება ადამიანთა საზოგადოებად, რომელიც ცხოველთა მსგავსად მხოლოდ ფიზიკური ძალით ცხოვრობს. ამიტომ ეკლესიას, როგორი დევნილიც არ უნდა იყოს იგი სახელმწიფოსგან,

შეუძლია მშვიდად დაელოდოს დროს, როდესაც სახელმწიფო თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, შეუერთდება მას — იმ ზნეობრივ ძალას, რომელიც მხოლოდ ეკლესიას გააჩნია (Ципин 2002: 460-683).

## § 1.2. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში

რელიგია საზოგადოების შემაკავშირებელი ელემენტია. ნებისმიერ ქრისტიანულ ქვეყანაში და განსაკუთრებით საქართველოში ეკლესია ყოველთვის იყო, არის და მუდამ იქნება კულტურული იდენტობის მთავარი წყარო და ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ერთიანობის შენარჩუნების უმთავრესი ძალა, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი მეფე-დედოფლები და სხვა პოლიტიკოსები.

საქართველოში მეფე იყო ღმერთისგან რჩეული პირი, რომელიც აუცილებლად უნდა კურთხეულიყო ტაძარში და დალოცვილიყო სამღვდელოების მიერ. გარდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს დიდებულ-აზნაურებისა, სამღვდელოება განსაკუთრებულ და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფის კურთხევის წესის შესრულებაში, რისთვისაც წინასწარი მომზადება იყო საჭირო: მეფედ კურთხევის მსახურების დაწყებამდე, კათალიკოსის მიერ შერჩეული მთავარეპისკოპოსი ან ეპისკოპოსი სამღვდელოებასთან და მგალობელთა გუნდთან ერთად მიდიოდა მეფის სასახლეში, საიდანაც წამოაბრძანებდა ფეშხუმზე დასვენებულ და წმინდა საფარველგადაფარებულ სამეფო ნიშნებს, მიაბრძანებდა ტაძარში და დაასვენებდა ტრაპეზზე, რის შემდეგაც იწყებოდა მწუხრის ლოცვა და ღამისთევა, რომელსაც აუცილებლად უნდა დასწრებოდა „მეფეგანმზადებული“. ლიტურგიაზე — მეფედ კურთხევის წესის შესრულებისას, შესაბამისი ლოცვის წარმოთქმისას, მომავალ მეფეს შემოსავდნენ სამეფო შესამოსლით, დაადგამდნენ გვირგვინს — მეფის ძალაუფლების სიმბოლოს, ცხებდნენ მირონს, რაც ზეციურ სიწმინდეს ანიჭებდა მას, შემოარტყამდნენ ხმალს — მტრებზე გამარჯვების სიმბოლოს და კათალიკოსი სამჯერ წარმოთქვამდა ლოცვას: „საღმრთო მადლი, რომელი ყოვლადვე უძლურებათა ჩუენთა ჰკურნებს და ნაკლულებასა ჩუენსა აღავსებს და განაჩინებს ღმრთის მოშიშსა სახელით ერისა და სამეფოსა ამას ზედა მეფედ-მეფედ და გარე შეარტყამს საღმრთოსა ძალსა მისსა,

ვილოცოთ ყოველთა, რაჲთა დაიმკვიდროს მის თანა მადლმან ყოვლად წმიდისა სულისამან“ (მეტრეველი 2010: 9-14).

გარდა მეფედ კურთხევის მსახურების შესრულებისა, ქართველი მეფეები საგანგებოდ ითხოვდნენ სამღვდელოებისაგან მათი ოჯახის დალოცვას. მოვიყვანთ მაგალითს, აშოტ კურაპალატის თხოვნით როგორ ლოცავს წმინდა გრიგოლ ხანძთელი მის ოთხ ძეს: „.... უფალო, მოხედე ლოცვასა ჩემსა... და ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა აკურთხენ მშობელნი შვილითურთ და შვილნი მშობელთა თანა, კეთილად მორწმუნენი ესე და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი. ვითარცა აკურთხე სახლი ნოვე მართლისაჲ და აბრაჰამ მამამთავრისაჲ... იგივე კურთხევაჲ საუკუნოჲ დაამკვიდრე ამათ შორის და უხვად მიანიჭე კეთილი ქუეყანისაჲ დღეგრძელობასა შინა და კეთილი ზეცისაჲ დაუსრულებელი, და ჩუენთვის წყალობაჲ ყავ, ამენ“ (მერჩულე 1963: 259).

მოყვანილი ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი პოლიტიკოსები სამღვდელოების მიერ დალოცვას, რაც მათ ღვთაებრივ სიბრძნეს ანიჭებდა სახელმწიფოს მართვის საქმეში.

ნებისმიერ ეპოქაში საქართველოს ჰყავდა კეთილმსახური მეფეები, რაც ნიშნავდა იმას, რომ მეფეს ჰქონდა ძალაუფლება თავის ქვეშევრდომებზე — როგორც თავად-აზნაურებზე, ასევე, საკუთარი სამეფოს ნებისმიერ მოქალაქეზე. მეფეს შეეძლო და სრული უფლება ჰქონდა დაესაჯა ან დაეჯილდოებინა მისი ქვემდგომი პირები. მაგრამ ამავდროულად, მას ჰქონდა უდიდესი პასუხისმგებლობა თითოეულ მოქალაქეზე, საკუთარ სამეფოში ისე წარემართა პოლიტიკური პროცესები, რომ მთელი ერი კათალიკოსთან ერთად ქრისტეს გზით ეტარებინა. ქართველ პოლიტიკოსთა ამ უმთავრეს მიზანს საუკუნეთა მანძილზე არაერთი მეფე-დედოფლის სიცოცხლე შეეწირა.

იგივე ითქმის კათალიკოსზეც, რომელიც ერის სულიერი მამამთავარია. წმინდა წერილში მამამთავრებად მოხსენიებულნი არიან ერის წინამძღოლნი, მაგ: აბრაამი, იაკობი და ა.შ., რომელნიც საზოგადოებაში გამორჩეულნი იყვნენ მტკიცე რწმენითა და უფლისადმი ერთგულებით. ისინი საკუთარ თავზე იღებდნენ ვალდებულებას, მთელი ერი სამეუფეო გზით ეტარებინათ და ცოდვით დაცემის დროს ეშუამდგომლათ მათთვის ქრისტეს წინაშე.

მაცხოვრის ქადაგებისა და მოციქულთა მიერ ეკლესიის დაფუძნების შემდეგ, მამამთავრებად — კათალიკოსებად და პატრიარქებად მოხსენიებულნი არიან ერის სულიერი წინამღძოლნი და ეკლესიის მეთაურნი, რომელთა მთავარი ფუნქციაა მრევლის სულიერი და ზნეობრივი დაცემისგან დაცვა.

მოციქულთა ქადაგებიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოზე არცერთ ინსტიტუტს ისეთი დიდი გავლენა არ მოუხდენია, როგორიც მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც საკმაოდ ძლიერი და ორგანიზებული იყო მთელი ისტორიის მანძილზე. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში მეორე სახელმწიფოა, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ იბერიის — ქართლის სამეფოს დროიდან არსებობდა (გეგენავა 2016: 87).

სწორედ ამიტომ, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისთანავე, სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას უდიდესი როლი მიენიჭა, მუდმივად ჰქონდა და დღემდე აქვს ქართველი ერის ცხოვრებაში. მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიის განუყოფელი ნაწილია და მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს. ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით სახელმწიფო და ეკლესია ერთადაა შერწყმული და მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ერთ მიზანს — ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ემსახურება. საერო ხელისუფლებასთან ერთად, ეკლესია ყოველთვის იღვწოდა ერის სულიერი მდგომარეობისა და თავისი მთავარი ფუნქციის შესრულებაზე: დაეცვა საზოგადოება ფიზიკური დაღუპვისა და ზნეობრივი გადაგვარებისაგან, შეენარჩუნებინა ეროვნული და სარწმუნოებრივი ღირებულებები, რაც ერის სულიერი და პოლიტიკური მთლიანობის აუცილებელი პირობა იყო.

საქართველოს ეკლესიას ჰქონდა დამოუკიდებელი საკანონმდებლო საქმიანობის უფლება თავის საზღვრებში. საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდნენ საეკლესიო კრებები, რომელნიც საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთდამოკიდებულებას ასახავდა. ი. დოლიძე აღნიშნავს, რომ ეკლესია ფეოდალურ ეპოქაში ძლიერ ძალას წარმოადგენდა. იგი თავისი წეს-წყობილებით მეორე სახელმწიფო იყო ქვეყანაში. ეკლესია

თავისი პოლიტიკური და უფლებრივი შეუვალობით სარგებლობდა. მას დამოუკიდებელი სასამართლო იურისდიქცია ჰქონდა სხვადასხვა საკითხში. ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, კათალიკოსის კომპეტენცია განსაზღვრული იყო სისხლის სამართლის საქმეებში. ზოგიერთი მუხლის თანახმად, საქმის განხილვის უფლება ჰქონდა მხოლოდ კათალიკოსს, ზოგ შემთხვევაში აუცილებელი იყო მეფისა და კათალიკოსის ერთობლივი განხილვა. ამიტომ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში აღნიშნულია: „მეფისა და კათალიკოსის საქმე ორისავე სწორი არის იმიტომ, რომ ერთი ხორცის ხელმწიფეა და მეორე სულისა“ (ვახტ. კან. 25). მაგალითად, როდესაც მეფემ „შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა, სომხითის მელიქი და დახურიტა თოფით, კუალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდისშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზისშვილი პაპუნა, ვეშაპიძე და პლატონ, ესენი იხსნა კათალიკოზმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს თხებსა ზედა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 497).

ამასთან ერთად, სასულიერო წოდებას დიპლომატიური, სამოქალაქო და სამხედრო ფუნქციებიც ჰქონდა და მონაწილეობას იღებდა როგორც ელჩობაში, ასევე სამშობლოს დაცვის საქმეში, რაც ამავე დროს, სარწმუნოების დაცვას ნიშნავდა, რადგან ქართველისათვის მამულის სიყვარული გაიგივებული იყო სარწმუნოების სიყვარულთან, ხოლო ეკლესიის დაცვა — სამშობლოს დაცვასთან. ომში იბრძოდნენ როგორც საეკლესიო ყმები, ასევე, ეპისკოპოსები. კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს საკუთარი მამული და ყმა ჰყავდათ, რაც თავისთავად გულისხმობდა საკუთარი ჯარის ყოლას. კათალიკოსის ჯარი მეფის ჯარს ედგა გვერდით, რომლითაც ისინი იხდიდნენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოსა და ეკლესიის წინაშე; ეპისკოპოსების ჯარი შედიოდა სხვადასხვა დროშის შემადგენლობაში. კახეთის სამეფოში, მედროშეებში ყველაზე მაღლა რუსთველი ეპისკოპოსი იდგა. იყო შემთხვევები, როდესაც სანამ მეფე გაიგებდა მტრის შემოსევას, ეპისკოპოსები თავად უსწორდებოდნენ თავდამსხმელებს. მაგალითად, XI საუკუნის პირველ ნახევარში საბა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა უკუაქციეს ბიზანტიელები და ქვეყანა იხსნეს აკლება-აოხრებისაგან. მაქსიმე ჯუმათელმა (1685 წ.) აფხაზები დაამარცხა ერკეთში, როცა ისინი შემოესიენ გურიას. 1624 წელს მროველმა ეპისკოპოსმა ავალიშვილმა მარაბდაში, ჯარის თხოვნაზე: თუ შენ აიღებ დღეს მახვილს, უბრძანე, სხვა მოძღვარმა გვაზიაროსო,

უპასუხა: „არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქუენსა არა დავღვარო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან.“ მარაბდის ბრძოლაში ასევე მონაწილეობდნენ ალავერდელი, რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები თავიანთი დროშითა და ლაშქრით; მალაქია გურიელი ჯიქეთში გაჰყვა მთავრებს საომრად; ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მოხსენიებულია როგორც ვაზირთა უპირველესი, ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა გამკითხავი და ქომაგი მეფის წინაშე. არსებობდა ჯვრისმტვირთველიც — მოძღვარი, რომელიც ჯვრითა და სასწაულთმოქმედი ხატით წინ მიუძღოდა მეფის ჯარს ბრძოლის დროს (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე № 113: 5).

საეკლესიო ჯარის შესახებ პ. კარბელაშვილი წერს: კათალიკოსს ჰყავდა საკუთარი მხედრობა იმავე წესრიგით, როგორც მეფეს. სპასალარებს, ათასის თავს, ასის თავს და სხვა მოხელეთ თავად კათალიკოსი ნიშნავდა. ომში ან კათალიკოსები და ეპისკოპოსები წინამძღვრობდნენ, ან სპასალარები, როგორც დრო და გარემოება მოითხოვდა. საჭიროების შემთხვევაში ცალკე ჯარებს აგროვებდნენ ეპისკოპოსები და მონასტერთა წინამძღვრები, ბრძოლის ველზე გაჰყავდათ და მათთან ერთად იცავდნენ სამშობლოს (ჯაფარიძე 2010: 27).

ამასთანავე, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის აქტიური ურთიერთობა არსებობდა: კათალიკოსი „სწორი მეფისა“ იყო, მაწყვერელი — ათაბაგის ტოლი, მთავარეპისკოპოსი — დიდებული თავადის, ეპისკოპოსი — შუათავადის, არქიმანდრიტი — მესამე ხარისხის თავადის, მღვდელი — ცალმოგვ შუა აზნაურისა და ა.შ. (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე № 113: 6).

მაგალითად, ვახტანგ VI-ის დროს კათალიკოსის მდივანმწიგნობრის თანამდებობა სოლომონ მაღალაძეს ეკავა, რომელმაც მეფის დავალებით მხედრული შრიფტი შექმნა. ამავდროულად, იგი იყო კათალიკოსის სახლთუხუცესი, მორდალისა და ქადაგის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო კათალიკოსის სახლთუხუცესი პაპუნა მაღალაძე საეკლესიო-სახასო სოფლების ხასადრობისა და მოურავობის ფუნქციასაც ასრულებდა (ქიქოძე 1988: 96).

ასევე, საკათალიკოსო მოლარეთუხუცეს პაპუნა დოქიძეს სოფელ აშენდის ნაცვლობა და მეღალობა, და სოფელ ციხედიდის მოურავობა ჰქონდა. მისი დანაზოგით

შეიძინეს ატენის სასახლის ადგილი, სადაც მან ააშენა სასახლე-დარბაზი, საწოლი, მარანი, საკუჭნაო, სახაბაზო, საჯინიბო, ბოსელი, კალო-საბძელი, წისქვილი და ფარეხი (ქიქოძე 1988: 119).

ვახტანგ VI-ის დროს გარდა სამეფო-სახასო და სათავადო ხელოსნებისა, არსებობდნენ საკათალიკოსო ხელოსნებიც: ოქრომჭედლები და მჭედლები, რომლებიც ეკლესია-მონასტრების შემკობასა და განახლებას ეწეოდნენ (ქიქოძე 1988: 120).

გარდა ამისა, კახეთის სამთავროს საქართველოს გაერთიანებამდე ქორეპისკოპოსები მართავდნენ, რომლებიც ამავდროულად ლაშქრის მთავარსარდლები იყვნენ, ხოლო მთის თემებს ხევისბერები და დეკანოზები ედგნენ სათავეში. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ვაზირთა შორის უპირატესი იყო და გარდა მონასტრებისა, ექვემდებარებოდა ასევე: სამხედრო, საფინანსო, ადმინისტრაციული და სასამართლო სფეროები.

მონღოლთა ბატონობის ხანაში, სამცხე-საათაბაგოს ხასინჯუდ გამოყოფის (ავტონომიის) პირობებში, მაწყვერელ ეპისკოპოსს განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა და ათაბაგთან ერთად სასამართლო ფუნქციებსაც ითავსებდა.

საეკლესიო სამართლის ძეგლი — „დიდი სჯულისკანონი“ საქართველოში სამართლის წყარო იყო და გამოიყენებოდა: სამოქალაქო, საოჯახო, მემკვიდრეობითი და სისხლის სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას (გეგენავა 2016: 91-97).

ეკლესია-მონასტრებს გარდა სულიერი მისიისა, გააჩნდათ ასევე: საგანმანათლებლო და სამხედრო დანიშნულება — აქ ფუნქციონირებდა აკადემიები, სადაც მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობდა და გარშემოზღუდული იყო დიდი გალავნით, რომლის მთავარი ფუნქცია მოსახლეობის დაცვა და უსაფრთხოების შენარჩუნება იყო (Величко 1990: 17).

განსაკუთრებით განსაცდელებისა და მტრის შემოსევების დროს ეკლესია ქვეყნის გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდა. მტრისგან აოხრებული და განადგურებული ქართველობა კვლავ ერთიანდებოდა ეკლესიის წიაღში და განახლებული ძალებით იღვწოდა სარწმუნოებისა და სამშობლოს დასაცავად. ეს ფუნქცია დღემდე აქვს

შეთავსებული საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას და მუდმივად იღვწის ეროვნული და პოლიტიკური ინტერესების წმინდად შენარჩუნებისათვის.

# თავი II

# საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირი XVIII საუკუნის I ნახევარში

## § 2.1 საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მდგომარეობა და არსებული გამოწვევები

XVIII საუკუნე მრავალმხრივ საინტერესო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამორჩეულად ტრაგიკული პერიოდია როგორც აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარების ისტორიაში. ამ პერიოდის საერო და სასულიერო ღირსეულ ქართველ მოღვაწეთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სამეფო-სამთავროებად დაყოფილი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ოპოზიციურად განწყობილი ძალების ალაგმვა, ქვეყნის სოციალურ-კულტურული განვითარება და ეროვნული გადაგვარების პროცესის შეჩერება, რისთვისაც პირველ რიგში აუცილებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაძლიერება და განმტკიცება. ამ მიზნით, მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში, სამეფო ხელისუფლებისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთკავშირის შედეგად გატარდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქვეყნის იდეური გაერთიანებისა და რწმენის განმტკიცების საქმეში.

ნებისმიერი დამპყრობელი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას იწყებდა საეკლესიო ნივთებისა და, განსაკუთრებით, საღვთისმსახურო წიგნების განადგურებით, რაც აუცილებელი იყო წირვა-ლოცვის ჩასატარებლად. წვავდნენ და ანადგურებდნენ ეკლესია-მონასტრებში არსებულ მდიდარ ბიბლიოთეკებს და ხოცავდნენ წიგნის გადამწერებს, რათა კულტურულ-საგანმანათლებლო და სულიერი კერები მოესპოთ საქართველოში (ხელაია 2013: 78).

მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში, როდესაც  გარესამყაროში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად

მუსლიმური სპარსეთისა და ოსმალეთის მთავარ ინტერესს წარმოადგენდა ქართველი ერის ფიზიკური მოსპობა და განადგურება, ხოლო საქართველოს ტერიტორიის გადაქცევა სპარსეთისა და ოსმალეთის პროვინციებად, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ქართველთა ზნეობრივი და სულიერი გადაგვარება.

ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით, XVII საუკუნის დასაწყისში, მხოლოდ შაჰ აბას I-ის (1587-1629 წ.წ.) შემოსევის დროს კახეთიდან 80 000 ტყვე გაიყვანეს და მათ ადგილას აზერბაიჯანელი 150 000 კომლი დაასახლეს. ასევე, ჟ. შარდენის ცნობით, XVII-XVIII საუკუნეებში სპარსეთის სისხლი გამშვენიერდა ქართველი ყმაწვილქალებით, რომლებიც ტყვეებად გაჰყავდათ საქართველოდან (ბაქრაძე 1880: 12).

მიუხედავად იმისა, რომ შაჰ აბას I-ს აღმოსავლეთ საქართველოს აოხრებისას დიდი ზარალი მიადგა, მისი მემკვიდრეები აქტიურად განაგრძობდნენ მის მიერ დაწყებულ პოლიტიკას. მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს მოსპობა შეუძლებელია ქართველი ერის აოხრებითა და მოსახლეობის გაწყვეტით, ამ შემთხვევაში საჭირო და აუცილებელია მართლმადიდებელი სარწმუნოების დაკნინება, რითაც ქართველები სარწმუნოებასთან ერთად დაივიწყებდნენ თავიანთ მრავალსაუკუნოვან ისტორიას, დაკარგავდნენ ეროვნულ თვითშეგნებას, მდიდარ კულტურასა და წმინდა ზნეობას, რის შედეგადაც დამპყრობთა ტყვეობაში მოექცეოდნენ. ამ მიზნით, სპარსეთის შაჰები ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად ქართველ ბაგრატიონთაგან აუცილებელ მოთხოვნად მუსლიმობის მიღებას აყენებდნენ, რითაც იწყება ზნეობრივი გახრწნის პროცესი საქართველოში, რადგან: მეფე იყო ქვეყნის პირველი პირი და აქედან გამომდინარე, მთელი ერისათვის უდიდესი ავტორიტეტი და მისაბაძი მაგალითი. ამიტომ თუნდაც მხოლოდ გარეგნულად გამუსლიმებული მეფე ეროვნულ ღირებულებებსა და მით უფრო, მართლმადიდებელ სარწმუნოებას ვეღარ დაიცავდა. ხალხის თვალში მას აღარ ექნებოდა ნდობა და ავტორიტეტი. დროთა განმავლობაში, მუსლიმ მეფეთა არსებობა საქართველოს სამეფო ტახტზე ტრადიციად დამკვიდრდებოდა, საზოგადოება თანდათანობით მიეჩვეოდა მისთვის მიუღებელ მოვლენას და ბოლოს, თავადაც მუსლიმურ რჯულზე გადავიდოდა.

ამავე მიზნით, XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს დაშლისა და დანაწევრების პირობებში, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისთვის ქართული ასოებით იწერებოდა

სომხურენოვანი, სპარსული და ოსმალური სახარება, რომელიც ეკლესიებში იკითხებოდა. ამით — ყოველგვარი ძალდატანებისა და წინააღმდეგობის გარეშე, ქართლ-კახეთისა და მესხეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ნელ-ნელა ეჩვეოდა და თანდათანობით ეგუებოდა უცხო სამყაროს, რაც მათ ეროვნულ და სარწმუნოებრივ გადაგვარებას ამარტივებდა (ჯაფარიძე 2010: 27).

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, საქართველოსა და ქართველი ერის ცხოვრებაში განსაკუთრებით მძიმე პერიოდი XVII საუკუნიდან იწყება მას შემდეგ, რაც სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფედ გამუსლიმებული როსტომ ხანი (1633-1658 წ.წ.) დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფობის პერიოდში ქართლის სამეფო ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა, მეფის სპარსულ-მუსლიმური ზნე-ჩვეულებების გავრცელება ქართულ ეროვნულ თვითშეგნებასა და არსებობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა, რითაც ქართული ენისა და სარწმუნოების მოსპობას საქართველოში მეფე შეგნებულად უწყობდა ხელს (ჯავახიშვილი 1967: 398).

ამ ყველაფერს მალე სავალალო შედეგები მოჰყვა: ჯერ ქართლი და კახეთი გაირყვნა, შემდეგ სრულიად სამცხე გამუსლიმდა. წარსულს ჩაბარდა ქართული წეს-ჩვეულებები, დამკვიდრდა უცხოური ტერმინოლოგია. წინაპართა ერთსულოვნება და მამაცობა შეიცვალა განცხრომითა და ფუფუნებით, რაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა გარეშე მტერმა. თუ მანამდე ქართველები საკუთარი მეფის, მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ქართული წეს-ჩვეულებების მტკიცე და ერთგული დამცველნი იყვნენ, როსტომ ხანის მეფობის პერიოდიდან მოყოლებული ქართველთა შორის დამკვიდრდა ანგარება, სიმდიდრის მოყვარება, ყიზილბაშური ჩაცმულობა, მამულების ქრთამით შეძენა, სიძვა, არაწმინდება, მამათმავლობა და მეძავობა, ხოლო ცოდვას მორიდებული და ჭეშმარიტი, მართლმადიდებელი ქრისტიანები დაუცველ და უპატივცემულო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ (ბერი ეგნატაშვილი 1940: 181).

ასეთ უმძიმეს ვითარებაში მშვიდობის შენარჩუნება და სამშობლოს გადარჩენა მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვის შემთხვევაში იყო შესაძლებელი, რაც ეროვნულ იდენტობასთან იყო გაიგივებული. ამიტომ ქართველებისათვის ეროვნება და სარწმუნოება სინონიმებად აღიქმებოდა. იმ დროს კი, ეროვნული თვითშეგნება, ქართული

ენა, ისტორია და სარწმუნოება იმდენად იყო დაკნინებული და დავიწყებული, რომ მისი უარყოფისათვის აუცილებელი აღარ იყო ადამიანის წამება, ოჯახის აკლება, სიკვდილით დამუქრება ან დატყვევება; პირიქით, ბევრი ქართველი საკუთარი ნებით უარს ამბობდა მართლმადიდებლობაზე და აღიარებდა მუსლიმობას, რითაც სპარსეთის მთავარ ინტერესს ემსახურებოდა საკუთარ სამშობლოში (თამარაშვილი 1902: 301).

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას ქმნიდა ის გარემოება, რომ ამ პერიოდში მართლმადიდებლობა აღარ იყო ერთადერთი სარწმუნოება საქართველოში — მოსახლეობის ნაწილი იძულებით, ანდა საკუთარი ნებით მუსლიმდებოდა, ზოგი სომხურ სარწმუნოებას იღებდა, სხვანი — კათოლიკობას აღიარებდნენ, რაც სარწმუნოებასთან ერთად ეროვნების შეცვლასაც  გულისხმობდა. მსგავსი ეროვნული დეგრადაციის პირობებში ქვეყნისა და ერის გადარჩენისათვის აუცილებელი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში გაერთიანება, რომელსაც სპარსელები და ოსმალები განსაკუთრებული სისასტიკით დევნიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას დიდად ავიწროებდნენ, XVIII საუკუნეში მოღვაწეობდნენ ისეთი განმანათლებლები, რომელნიც საქართველოს ფარგლებს გარეთაც ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას, მაგ: ანტონ I კათალიკოსი  იოანე მანგლელი (სააკაძე) და სხვ., რომელთა მოღვაწეობით საქართველოს ეკლესია „იმდენად ბრწყინვალედ სჩანდა, რომ ცნობილი ფილარეტ მოსკოველი მიტროპოლიტი (1867) რუსეთის ეკლესიის მართლმადიდებლობას საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებლობაზე მითითებით ამოწმებდა“ (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე № 122: 3).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) აღნიშნავს, რომ XVII- XVIII საუკუნეებში ქართველი სამღვდელოება განათლების დონით გაცილებით მაღლა იდგა რუსეთის სამღვდელოებასთან შედარებით, რასაც თავადვე  მოწმობენ რუსი სამღვდელო პირები. (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას პირადი ფონდი, საქმე № 2ა: 45).

ამავეს ამოწმებს თავის მოხსენებაში ალ. ცაგარელი: XVIII საუკუნეში ქართველ ერს გააჩნდა ძლიერი სარწმუნოება, რაც განაპირობებდა მათ ერთგულებასა და

კეთილგანწყობას რუსეთისადმი. ეს „დიდი სიცხოველე სარწმუნოებისა“ ცხადყოფდა, რომ ქართველებს უდიდესი დახმარების გაწევა შეეძლოთ რუსეთისათვის სპარს-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში, რაც მომდევნო პერიოდში სრულად გამართლდა (ცაგარელი 1911: 4).

XVII საუკუნის დასასრულისათვის საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად ქართველი მეფეები სპარსეთის შაჰის საპირისპირო ღონისძიებებს ატარებდნენ თავიანთ სამეფოში, რითაც ომს უცხადებდნენ დამპყრობლის პოლიტიკას. მათ შორის იყვნენ არჩილ II, გიორგი XI, ქაიხოსრო და ვახტანგ VI. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთი მარცხი განიცადეს და ქვეყნის დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვეს, უდიდესი წვლილი მიუძღვით ეროვნულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-სოციალურ სფეროში, რითაც მოამზადეს მყარი ნიადაგი საქართველოში სამეფო ტახტზე ქრისტიანულად მირონცხებული წესით ქართველი მეფის დამტკიცებისათვის.

XVII საუკუნის დასასრულს ქართლის მეფე გიორგი XI-ის ბრძოლა სპარსეთის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად მარცხით დასრულდა. 1688 წელს შაჰმა ქართლის მეფედ გამუსლიმებული ერეკლე I ნაზარალი ხანი (1688-1703 წ.წ.) დაამტკიცა და გიორგი XI-ს დაუპირისპირა. გიორგი XI იმერეთში გადავიდა არჩილთან დასაკავშირებლად. პარალელურად, იმერეთის მეფე ალექსანდრე ერეკლე I-ს დაუკავშირდა. ამ დაპირისპირებების ერთ მხარეს იბრძოდა ერეკლე I სპარსული გარნიზონის დახმარებით, ხოლო მეორე მხარეს — გიორგი XI-ისა და არჩილ II-ის ლაშქარი, რომელსაც სომხით-საბარათიანოს, ვახტანგ ბატონიშვილის, კახეთის, ზემო ქართლისა და ნიკოლოზ კათალიკოსის ჯარი ეხმარებოდა. ცალკე ბრძოლის ველს წარმოადგენდნენ ორგული თავადები გივი ამილახვრის მეთაურობით, რომლებიც ქსნისა და არაგვის ერისთავებს ებრძოდნენ და ქართლს არბევდნენ.

ერეკლე I-მა როსტომ ხანის მიერ დაწყებული პოლიტიკა განაგრძო და ქართლში ყიზილბაშური წესების დანერგვა განაახლა: მან ქართლის ციხეებში სპარსელი მეციხოვნეები ჩააყენა და თბილისის, გორისა და სურამის ციხეებში „ტყვეთა სყიდვა“ დაიწყო. 1703 წელს შაჰმა იგი კახეთის მეფედ დანიშნა და ირანში დატოვა თავისი გვარდიის მთავარსარდლად, კახეთი მის შვილს — დავით იმამყული ხანს უბოძა, ხოლო ქართლის მეფედ კვლავ გიორგი

XI დააბრუნა, რომელმაც ავღანელებთან თავდადებული ბრძოლის დროს სპარსეთის შაჰის ნდობა მოიპოვა. იგი ყანდაარის მმართველად და სპარსეთის ჯარის მთავარსარდლად დანიშნეს, ხოლო ქართლის ჯანიშინად გიორგი XI-ის ძმისწული, ვახტანგ ლევანის-ძე დაადგინეს. „ესე ვახტანგ იყო ღუთის მოშიში და და ღუთის მოყუარე და ფრიად მოღვაწე, სამღუდელოთა პატივისმცემელი, ქურივ-ობოლთა და გლახაკთა მიმცემელი, უღონოთა შემბრალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა და ჯუართა შემამკობელი, მოწყალე, ცოდნისმოყუარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შუენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ ჟამად მრისხანე“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 481).

გერმანე ხუცეს-მონაზონი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ასე ახასიათებს ვახტანგ VI-ს: „ჟამსა მას, ოდეს მეფობდა ქართველთა ზედა ძირთაგან დავითისთა აღმოცენებული მეფე ქაიხოსრო და მის წილ განაგებდა სამეფოსა მისსა ძმა მისი, მამულის რჯულის განმაძლიერებელი და ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ მოტყინარე ბატონისშვილი ვახტანგ (საუკუნოდ ყოს უფალმა ხსენება მისი!), ამან.... აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებულ იყო ჟამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯულისათა“ (შანიძე 1935, 158).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ვახტანგ VI-ის ეპოქას ენციკლოპედიურ ხანას უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამდროინდელი თითქმის ყველა მოღვაწის მთავარი საზრუნავი მრავალსაუკუნოვანი ნაშრომ-ნაღვაწის შეკრება, შესწავლა და შთამომავლობისათვის დასრულებული სახით გადაცემაა. ამ დიდი საქმის მთავარი ინიციატორი და ხელმძღვანელი გიორგი XI და განსაკუთრებით, ვახტანგ VI იყო, რომელმაც შეკრიბა საქართველოს ძველი მატიანეები, შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ძეგლები და ქართული სახელმწიფო სამართლის წიგნი „დასტურლამალი“ შეადგინა, რის გამოც მას „სჯულმდებელი“ უწოდეს. ამით წესრიგდებოდა როგორც მეფის ხელისუფლების, ასევე, მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები და მკაცრად იზღუდებოდა ფეოდალთა თვითნებობა, რომელიც მეტად უარყოფით გავლენას ახდენდა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე: „საქართველოს მეფენი ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათ სდომებიათ, ისე უსამართლებიათ და ურიგებიათ“

(დოლიძე 1963: 479). აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო ისეთი კანონების მიღება, რომელიც თავადთა თვითნებობას აღკვეთდა და ქვეყანას მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანდა, რადგან სათავადოებში ყველა საკუთარი ინტერესის მიხედვით წყვეტდა საქმეს: ზოგნი — მეგობრობით, ზოგნი — ქრთამის აღებით და ზოგნი — ღმერთის მოურიდებლობით (დოლიძე 1963: 477). „დასტურლამალში“ აისახა ფეოდალური საქართველოს სოციალური ფენების უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა. მასში განსაზღვრულია თავადთა და აზნაურთა სხვადასხვა ფენის სისხლის ფასი, დიდი ყურადღება ეთმობა ვაჭართა ფენას და მათ უფლებებს. მნიშვნელოვანია მსახურთა და გლეხთა ვალდებულებები. ძველ, საპატიო ვალდებულებებთან (ლაშქარ-ნადირობა, გამასპინძლება) ერთად აუცილებელია ზვარში მუშაობა, ხვნა-თესვა და სხვ., განისაზღვრება „ბოგანო“ გლეხთა საგადასახადო შეღავათები, რაც მათი დაკნინებული ქონებრივი მდგომარეობით აიხსნება.

„დასტურლამალში“ დადგენილია სახელმწიფო მოხელე-ხელისუფალთა უფლება-მოვალეობები, მათი ჯამაგირი, მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის წესები, სამეფო-სახასო მამულის მომვლელ მსახურთა წესრიგი, სახელმწიფო გამოსაღებთა რაოდენობა და ა.შ. დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფო-სამეფო მეურნეობის მოვლა-პატრონობის საკითხებს, რითაც ცენტრალური ხელისუფლება სამეფო შემოსავლის გაზრდისა და მწარმოებელთა რაციონალური ექსპლოატაციის საქმეს აგვარებდა.

ვახტანგ VI-მ სამეფო კარს თანდათანობით ჩამოაცილა მერყევი და შემთხვევითი პიროვნებები, დაიახლოვა განათლებისა და კულტურის მქონე პატრიოტები და ეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკოსები. მისმა გონივრულმა პოლიტიკამ დაამშვიდა და მრავალი სიკეთე მოუტანა საქართველოს. მეფემ ქვეყნის მდგომარეობის გამოსწორება სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობის მოწესრიგებით დაიწყო: განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სარწყავი არხების მშენებლობას. მისი ინიციატივით დაიწყო სარწყავი არხების გაყვანა მინდვრების მოსარწყავად ისე, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო დასერილი იყო რუებით, რაც დიდად უწყობდა ხელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამრავლებას. დაადგინეს სარწყავი რუებით სარგებლობის ნორმებიც. მერუეები

ვალდებულნი იყვნენ თანაბრად გაენაწილებინათ წყალი ყველასათვის, თუმცა, უპირატესობა შეძლებულ მეურნეებს ენიჭებოდათ.

ყოველივე ამან გაამარტივა ავბედობის ჟამს ქართლ-კახეთიდან აყრილ და გაქცეულ გლეხთა უკან დაბრუნების პროცესი, ესაა ე.წ. „მყრელობა.“ ვახტანგ VI-მ გახიზნული მოსახლეობა დააბრუნა გაუდაბნოებულსა და გაუკაცრიელებულ წინაპართა საცხოვრებელ ადგილებში და ისინი ერთი წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან, რისი უფლებაც მან შაჰისგან მიიღო. ქართლ-კახეთში აღდგა მარცვლეული კულტურების წარმოება, მეხილეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა-მევენახეობა, ტექნიკური კულტურა, რაც საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაჰქონდათ. ასევე, უცხოელი ვაჭრები თბილისში ჩამოდიოდნენ ქართული ნაწარმის შესაძენად. მთიან ადგილებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარებას, ტყიან ადგილებში — მეღორეობას.

ამ დროისათვის თბილისში გაიხსნა ზარაფხანა. აქ მოჭრილი სპარსულწარწერიანი მონეტები ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე მიუთითებს. ვითარდება სავაჭრო-სამიმოსვლო გზები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა განმტკიცებას საქართველოს ცალკეულ რაიონებს შორის.

ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს უცხოელი ვაჭრების ქართლში მოზიდვას და ევროპის დაინტერესებას სატრანზიტო ხაზით ისეთი პროდუქტების შესაძენად, რაც მათ ინტერესთა სფეროს წარმოადგენს. არსებობს თბილისი-ერევნის გზა, რომლითაც ჩამოაქვთ გასაყიდი პროდუქცია სომეხ სოვდაგრებსა და ვაჭრებს. აქედან კი გააქვთ ქართული ნაწარმი.

გაფართოვდა ვაჭრობა-ხელოსნობა. ცენტრალური ხელისუფლება ერეოდა მათ საქმეში და თავის სასარგებლოდ აწესებდა გადასახადებს მოვაჭრეებზე. ამავდროულად, სახელმწიფო მფარველობს მოქალაქეებსა და დიდვაჭრებს. მათი საქმიანობის წახალისების მიზნით ვახტანგ VI-მ მიიღო კანონი თბილისის მოქალაქეთა სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც, უშვილოდ დარჩენილი მოქალაქის ქონება რჩება მის ნათესავს და არა თავადს ან აზნაურს, როგორც ეს მანამდე იყო განსაზღვრული. ვაჭრობის ხელშეწყობისა და

შემოსავლის გაზრდის მიზნით დიდ სავაჭრო გზებზე შენდება ქარვასლები და სავაჭრო სახლები.

ქართლის სამეურნეო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი ხდება, სადაც 20 000-ზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს. ვაჭარ-ხელოსნები მრავალ „რიგად“ იყოფიან და თითოეული „რიგი“ ერთ რომელიმე კონკრეტულ სფეროშია დასაქმებული. თბილისში მზადდება და იყიდება პური, ღვინო, ენდრო, იარაღი, თოფის წამალი, ცხენ-აქლემის მოკაზმულობა, სამკაულები, მუსიკალური საკრავები, ჭურჭელი, სამოსელი, სხვადასხვა სახის ქსოვილი, ბამბა, ბეწვეული, მატყლი და სხვ. შემოდის „ფრანგული“, სპარსული და ოსმალური ნაწარმი, მაგ: თევზი, ხიზილალა, მარილი, ზეითუნის ზეთი და სხვ. (ბერძენიშვილი 1965: 189).

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით ვახტანგ VI ქმნის „მცველთა ჯარს,“ ანუ სამეფო გვარდიას, რომელიც მიმართულია დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ. „მცველთა ჯარი“ ვახტანგის ერთგული თავადიშვილებისა და მსახურებისაგან შედგება, რომელიც მეთოფეთა სამ გუნდად იყოფა. თითოეულ გუნდს უზბაში (ასისთავი) სარდლობს, ხოლო ყველას ერთად — ყულარაღასი (ბერძენიშვილი 1965: 192). ვახტანგი ცდილობს ქართლის სამეფოს ჰეგემონია აღადგინოს მთელს საქართველოზე. ამ მიზნით 1707 და 1711 წელს ლაშქრობს დვალეთსა და ოსეთში, რათა შემოიმტკიცოს ეს მხარე და გაამაგროს ჩრდილოეთის საზღვარი.

ვახტანგ VI კარგად სარგებლობს სპარსეთში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობით: სეფიანთა დინასტია უკანასკნელ დღეებს ითვლის, უნიჭო და უნებისყოფო შაჰ სულთან ჰუსეინის პოლიტიკითა და მძიმე გადასახადებით უკმაყოფილო მოსახლეობა ჯანყდება, თავნება ყიზილბაში ხანების ნაცვლად შაჰი გამუსლიმებულ ქართველებს აწინაურებს, რითაც ისინი ცდილობენ თავიანთი მდგომარეობა სამშობლოს ინტერესებისთვის გამოიყენონ. ამის გამო ქართლის რეაქციონერ თავადებს სპარსეთიდან მხარდაჭერა აკლდებათ, რაც ვახტანგ VI-ს მათ წინააღმდეგ გადამწყვეტ მოქმედებას უადვილებს.

## § 2.2. სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი ეკლესიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ საეკლესიო სარბიელზე გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეა ვახტანგ VI. იგი უდიდესი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებში. ვახტანგ VI სათავეში უდგება მთელი ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებას საერთო დამპყრობლის წინააღმდეგ და მის მთავარ ინტერესს წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, სპარსეთისა და ოსმალეთის ბატონობისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება, ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთა აღკვეთა, დამცირებული ეკლესიის გაძლიერება და საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანულად მირონცხებული ბაგრატიონი მეფის დამტკიცება, რისთვისაც იგი იბრძვის მთელი თავისი ჯანიშინობისა და მეფობის განმავლობაში აქტიური პრაქტიკული პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ეროვნულ-საგანმანათლებლო, საეკლესიო ღონისძიებებითა და რეფორმებით.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლსა და კახეთიდან სპარსეთში ჩასული ქართველი დიდებულები აქტიურად მონაწილეობენ და წარმართავენ სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, რაც დადებით გავლენას ახდენს საქართველოზე. ქართველებს, როგორც შაჰის ერთგულების გამომხატველთ, განსაკუთრებული ნდობა გააჩნიათ საკუთარი სიმამაცის გამო სპარსეთში და შაჰის კარზე მიღწეული ყოველი წარმატება მათ მიერაა მოპოვებული. ამიტომ ქართველებს სპარსეთის პოლიტიკურ სარბიელზე გამორჩეულად დიდი გავლენა გააჩნიათ და დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ სამშობლოსათვის. შაჰმა ეს კარგად იცის, რის გამოც ქართველებისაგან დაწინაურების სანაცვლოდ უპირველეს მოთხოვნად მუსლიმობის მიღებას ითხოვს, რითაც სარწმუნოებაშეცვლილ ქართველთა უმრავლესობა საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, რომ მთელი თავისი ენერგია საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგ მოახმაროს სპარსეთის ინტერესებს. ქართლის მმართველთა მუსლიმობა შაჰს იმისთვის სჭირდება, რომ ქართლ-კახეთის სამეფო თავისი გავლენის სფეროდ განიხილოს, რითაც იგი უპირისპირდება რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესებს საქართველოში და ბევრ დათმობაზე მიდის ქართველ მმართველთა წინაშე:

უმატებს ტიტულებს, უდიდებს ჯამაგირს, აძლევს სოფლებს სპარსეთში მხოლოდ ერთადერთი მიზნით — რომ ისინი სპარსეთის შაჰისა და მისი ოფიციალური სარწმუნოების ერთგულნი იყვნენ.

შაჰის ამ მიზანმიმართულ ქმედებას შესაბამისი შედეგი მოჰყვება: „ვინაითგან განმრავლდა სიძვა-მრუშება, სოდომია, ტყვის ყიდვა, შური, სრვა ურთიერთთა და სხუანი ბოროტნი, და ამისთვისცა მოუშუა ღმერთმან ბოროტი... რომელთა დააბნელიან მზე სიმრავლით და მოჭამა ნაშრომი სრულიად... კუალად იყო სრვაცა მომსრველი, ჟამი ძლიერი, გარნა არავინ შეიშინებდა ღუთისასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 512). ქართველი მეფეები გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას ღვთისა და ერის წინაშე, რის გამოც, უარესი შედეგის თავიდან აცილების მიზნით, როსტომ ხანის მიერ დაწყებული ზნეობრივი გადაგვარების პროცესის გამოსწორება ჯერ ვახტანგ V-მ სცადა ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობით, რაც შემდეგ, გიორგი XI-მ და ვახტანგ VI-მ განაგრძეს. მთავარი მიზანი უცვლელი იყო: ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, ეროვნული და სულიერი მთლიანობის აღდგენა, რომლის ტერიტორია სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს ჰქონდათ განაწილებული და ამის გამო ურთულეს პროცესს წარმოადგენდა ეროვნული საქმის განხორციელება. საჭირო იყო ძალზედ ფრთხილი, დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც არც სპარსეთსა და არც ოსმალეთს არ გააღიზიანებდა და საქართველოს ინტერესებს დაიცავდა.

ვახტანგ VI მუსლიმთა ბატონობის პირობებში ეროვნულ-ქრისტიანულ პოლიტიკას ატარებდა, რაც შაჰის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ რადგან იგი „ქრისტიანე იყო და ქრისტეს სარწმუნოებაზე აღზრდილი, ინება საქართველოს სარწმუნოებაზე განძლიერება“ (სეხნია ჩხეიძე 1854: 323), ისარგებლა სპარსეთის დასუსტებით და ეროვნულ-კულტურული პოლიტიკა განაახლა.

ვახტანგ VI განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვასა და მართლმადიდებელი სარწმუნოების შენარჩუნებას. ვახტანგსა და მის თანამოაზრეებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ საქართველოს პოლიტიკური დაყოფა და კულტურულ-ზნეობრივი დაცემა მართლმადიდებელი სარწმუნოების დაკნინებით იყო გამოწვეული და მისი აღდგენისა და თავისუფლების მოპოვებისათვის

აუცილებელი იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების განმტკიცება. წინამორბედთაგან განსხვავებით, რომელნიც მთელი თავიანთი მოღვაწეობით ქვეყნის გაერთიანებას უყრიდნენ საფუძველს, ვახტანგ VI ამ საქმეს პრაქტიკულად ახორციელებდა. გაერთიანების საქმეში ყველაზე რთულ უბანს დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა, რომელიც ოსმალეთის გავლენის სფეროში იყო. ვინაიდან ქართლის მეფეს დასავლეთ საქართველოშიც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, საჭირო იყო მისი სწორად გამოყენება, ოსმალთა გაღიზიანების თავიდან არიდების მიზნით.

ვინაიდან ქვეყნის გაერთიანების იდეოლოგიურ საფუძველს მართლმადიდებელი სარწმუნოება წარმოადგენდა, ეს მისია ეკლესიას უნდა შეესრულებინა. მაგრამ მღვდელმთავრები უკმაყოფილონი იყვნენ გიორგი XI-ის მიერ დასმული ნიკოლოზ კათალიკოსისა, რომელსაც არ შესწევდა სულიერი ძალა საკუთარი სამწყსოს მეთაურობისათვის. ასევე, არ მოსწონდათ ერეკლე I ნაზარალი ხანის მიერ დანიშნული, საეკლესიო საკითხებში უმეცარი ევდემოზ კათალიკოსი. ამიტომ ვახტანგ VI-მ ჯანიშინობის პირველივე — 1703 წელს, შაჰის ნებართვით მოიწვია კრება ეკლესიის მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

## §2.3. ვახტანგ VI-ის საეკლესიო პოლიტიკა

საქართველოს კანონიკური სამართალი ითვალისწინებდა წელიწადში რამდენიმე საეკლესიო კრების მოწვევას, რომელსაც კონკრეტული მიზეზი და მიზანი ჰქონდა — როგორც საკანონმდებლო, ასევე საეკლესიო საკითხების გადასაწყვეტად, მაგალითად: „ტყვეთა სყიდვის“, მეფეთა და დიდებულთა გამუსლიმების შესახებ და სხვ. (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კ. ცინცაძის ფონდი № 113: 6). ვინაიდან დარბაზობაში მონაწილეობდნენ მონასტრების წინამძღვრები, საეკლესიო საკითხები განიხილებოდა დარბაზის დროსაც. დარბაზობას წარმართავდა „ხელმწიფის კარი,“ რომელიც მეფისა და „ოთხი ბერისაგან“ შედგებოდა: 1. ქართლის კათალიკოსი, 2. აფხაზთა კათალიკოსი, 3. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და 4. მოძღვართ-მოძღვარი. ეს „ოთხი ბერი“ მუდმივად იმყოფებოდა სამეფო კარზე და მეფის სახელით განაგებდა ქვეყნის საქმეებს, ისევე, როგორც ეკლესიის საკითხებს (ჯაფარიძე 2003: 192). „მონასტერნი და

საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოჲსა განგებისას დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცდომელსა და ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა. კეთილწესიერებასა ლოცვისასა და მარხვისასა“ („ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ 2008: 336).

1703 წელს ვახტანგ VI-ის მიერ გამართულ საეკლესიო კრებაზე ქართლის კათალიკოსად დაადგინეს რუსეთიდან ახლად ჩამოსული მისი ძმა — დომენტი (IV), რომელიც 1705 წელს აკურთხეს კათალიკოსად. „ესე იყო მონოზონებით სრული, მეცნიერი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, ამასთან მყუდრო, მშვიდი და მდაბალი და ფრიად მლოცავი, პოლეტიკასა შინაცა კარგი ესრეთ, რომელ მტერნიცა მისნი ჰყვარობდენ“ (იოანე ბატონიშვილი 1984: 494).

ქართლის საკათალიკოსო ტახტზე რუსეთში მცხოვრები დომენტი ბატონიშვილის დამტკიცება სპარსეთისთვის არასასურველი მოვლენა იყო, მაგრამ დასთანხმდნენ და კრების ამ გადაწყვეტილებას ანგარიში გაუწიეს იმ დამსახურების გამო, რაც ქართლის მეფე გიორგი XI-მ შაჰის კარს გაუწია ავღანელებთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

დომენტი კათალიკოსი (ერობაში დამიანე) ახალგაზრდობაში იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში დოსითეოს პატრიარქს გაჰყვა, რომელმაც 1689 წელს იეროდიაკვნად აკურთხა. მონასტერში დომენტი დაუმეგობრდა სტამბის მცოდნეებს, შეისწავლა წიგნის ბეჭდვის საქმე და საქართველოში დაბრუნებისას თან წამოიღო სტამბისათვის საჭირო ზოგიერთი მოწყობილობა, მაგრამ სამშობლოში შექმნილმა მძიმე ვითარებამ აიძულა რუსეთში გამგზავრებულიყო არჩილთან ერთად.

კათალიკოსს ცხოვრება უმძიმეს პირობებში უწევდა. მის ოჯახის წევრებსა და უახლოესი ნათესავების უმრავლესობას იძულებით, ანდა საკუთარი ნებით მუსლიმობა ჰქონდა მიღებული და საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ. მათ შორის დომენტი კათალიკოსი ერთადერთი იყო, რომელმაც მიუხედავად მრავალი სირთულისა, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა მართლმადიდებელი სარწმუნოება და გარდაიცვალა საქართველოში.

XVI საუკუნიდან, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის პროვინციად იქცა, ქართლის საკათალიკოსო ტახტზე დადგინებისთვის აუცილებელი იყო სპარსეთისთვის მისაღები პიროვნების დამტკიცება, რისთვისაც საჭირო იყო შაჰის

ნებართვა. მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისში სპარსეთში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, რომლის მოსაგვარებლადაც ქართველთა დახმარება სჭირდებოდა, აიძულა შაჰი დათმობაზე წასულიყო და კრების ამ გადაწყვეტილებას დასთანხმებოდა. შაჰის მდგომარეობა ვახტანგ VI-მ და დომენტი კათალიკოსმა საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენეს: აღადგინეს დარღვეული საეკლესიო სამართალი, ააგეს, აღადგინეს და შეამკვეს ეკლესია-მონასტრები და ციხეები — მეფის სასახლე, თბილისის სიონი, ანჩისხატი, სვეტიცხოველი, ურბნისი, სადგერი, დავით გარეჯაში სამხედრო დანიშნულების ნაგებობა კოშკით, ვანათის ციხე, წანარეხში სასახლეები, ეკლესია და საძვალე; დასრულდა ქსოვრისის ტაძრის მშენებლობა. განაახლეს ხიდები და არხები... ეკლესია გაძლიერდა და განმტკიცდა, გაიზარდა მისი ავტორიტეტი. დომენტი კათალიკოსმა განაწესა საერო და სასულიერო პირთა უფლება-მოვალეობანი — თითოეულ ეპისკოპოსს ჩააბარა თავისი სამწყსო, რომელზეც მას სულიერად უნდა ეზრუნა და ემსახურა; ასევე, მრევლის მოვალეობები, მათი ეკონომიკურ-მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

1703 წლიდანვე, როდესაც იგი რუსეთიდან ჩამოიყვანეს და კათალიკოსად აირჩიეს, დომენტიმ თავი მოუყარა მწერალ-მწიგნობრებს, შეკრიბა მრავალი წიგნი, გახსნა ყრმათათვის სკოლა და 1705 წლიდან — კათალიკოსად კურთხევის შემდეგ, ვახტანგ VI-სთან ერთად შეუდგა სტამბის გამართვას (კარბელაშვილი 1900: 131). ამავდროულად, მან დაიწყო ჰაგიოგრაფიულ კრებულზე მუშაობა, რომელშიც 19 ცხოვრება-მარტვილობაა შეტანილი (მენაბდე 1986: 121-122).

დომენტი კათალიკოსი სამღვდელოებასთან ერთად მონაწილეობას იღებდა სამართლის წიგნის შედგენაში, რომელიც 1703 წლის საეკლესიო კრებამ განიხილა. მის შესავალში ვახტანგ VI წერს: „ნურავინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისთა რასამე ვყოფდეთ, არამედ თანაყოფითა და მოწმობითა მღვდელმთავრისა და დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა ღუთივ აღმაღლებულისა და მირონ-აღმოცენებულის, საჭედ-მპყრობლისა და ხარისხისა ზედან მტკიცედ მდგომელისა ძმისა ჩვენისა, ბატონიშვილის კათალიკოსის, დომენტისათა, აგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთვიშვილის მთავარეპისკოპოზის გრიგოლითი და სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოზ-წინამძღვართა და საღმრთოთაგანთა.“ ბოლოსიტყვაში კი,

შეახსენებს მომავალ კათალიკოს-ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტ-წინამძღვრებს, მღვდლებსა და სხვა სასულიერო პირებს, რომ მის ნაღვაწ სამართალს „მოწმობა დართეს ჩვენთა სრულებითა საღმრთოთა და გინა სამხედროთ ამან... ყოველმან ერთბაშად და ესე ესრეთ არს შემზადებული“ (ჯაფარიძე 2003: 291). კომისიამ უმთავრეს საეკლესიო სამართლის წყაროდ მიიღო „მოსეს სჯულისკანონი.“ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ბიზანტიურ სამართალს, რომლის მთავარი დანიშნულება იყო ბიზანტიაში არსებული საეკლესიო კოდექსის შესწავლა. იგი ვახტანგ VI-მ მოიძია ოსმალეთში და რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ დომენტი კათალიკოსის ბრძანებით ქართულად თარგმნა კვიპრიანე სამთავნელმა ეპისკოპოსმა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი შრომის შედეგად ქართულ ენაზე თარგმნეს სხვა ქვეყნების სამართალი, ვახტანგ VI მოსამართლეებს ურჩევდა, რომ გამოეყენებინათ ვახტანგის მიერ შედგენილი სამართალი, რადგან „ქართველთა წესი და ქცევა“ განსხვავდება სხვა ქვეყნების „რიგისა და ქცეულობისაგან,“ ამიტომ უცხოური სამართალი „ჩვენდა უხმარ არს,“ თუმცა, სამართლის წიგნში ისინი შემოკლებით მოიპოვებიან (ჯაფარიძე 2003: 294).

რაც შეეხება ე.წ. „სირიულ-რომაულ სამართალს“, რომელიც დაცული იყო ეჩმიაძინის საკათალიკოსო წიგნთსაცავში სომხურ ენაზე მხითარ გოშის სამართალთან ერთად, ორი წელიწადი მოანდომეს მის თარგმნას და მიიღეს „სომხური სამართლის ქართული ვერსია,“ რომელიც ძირითადად საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობისთვის და ვაჭართა ფენისთვის გამოიყენებოდა, როგორც ეს სხვა ქვეყნებში იყო მიღებული. სავარაუდოდ, იგი მანამდეც უნდა ყოფილიყო ნათარგმნი ქართულ ენაზე და შემდეგ დაიკარგა.

1703 წლის საეკლესიო კრებაზე განიხილეს საქართველოს საეკლესიო საკანონმდებლო კრების კანონები, რომელიც „კათალიკოზთა სამართლის“ სახელითაა ცნობილი. რადგან იგი მთელს საქართველოში მოქმედი საეკლესიო სჯული იყო, შეიტანეს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში.

ამავე კრებაზე განიხილეს ასევე, ბექა-აღბუღას სამართალი, რომელსაც თან ერთვოდა ბაგრატ კურაპალატისა და ჭულევის საეკლესიო კრების (დაახლ. 1295-1304 წ.წ.) „კანონიკური სამართალი.“ ვახტანგის სამართალში შეტანილია ასევე: გიორგი ბრწყინვალის

„ძეგლის დადება,“ და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა.“ ხოლო რაც შეეხება მოსეს, ბერძნულსა და სომხურ სამართალს, მას მხოლოდ დამხმარე სამართლის ფუნქცია ჰქონდა.

ამავდროულად, ვახტანგ VI-ის სამართალი უაღრესად ჰუმანური სამართალია, რომელშიც გამორიცხულია ბრალდებულთა ტანჯვა-წამების ისეთი სახეები, რომლებიც მიღებული იყო თანამედროვე ევროპასა და რუსეთის კანონმდებლობაში. სამართლის მოძიება-შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დომენტი IV კათალიკოსი, მთავარეპისკოპოსი გრიგოლი, მიტროპოლიტნი, ეპისკოპოსნი, წინამძღვარნი და სხვა სასულიერო პირები, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მართვა ხდებოდა მათ მიერ (დოლიძე 1963: 478).

## § 2.4. დომენტი კათალიკოსისა და ვახტანგ VI-ის კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმები

კათალიკოსად დადგინებისთანავე, დომენტი კათალიკოსი გარდა საეკლესიო საქმეებისა, აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში და ვახტანგ VI-სთან ერთად უმნიშვნელოვანესი რეფორმები გაატარა:

კათალიკოსობის პირველივე წელს მან წინწყაროს ხელოსნები იყიდა, ქალაქს დაასახლა და სითარხნის წიგნით განაწესა მათი მოვალეობანი: „...რომე ჩვენს საქმეს ესენი უხელფასოდ გააკეთებდენ,... დურგალმა დურგლობითა, ჭონმა ჭონობითა და მჭედელმან მჭედლობითა, რაც საჩვენო გავაკეთებინოთ, ხელფასი არ მოგეცემოდეს; და სხვარიგად გვითარხნებიხართ. სვეტისცხოვლისა როგორც გედვასთ, სანთელი თუ სხვა მისი შესავალი, მიართმევდეთ...“ (დოლიძე 1970: 643).

1706 წელს კათალიკოსმა მანგლელისა და ტფილელის სამწყსოს საზღვრები და უფლებები განაწესა. ამავე წელს მან წყალობის წიგნი უბოძა სახლთუხუცეს ამირბარს: სამოურაოდ თრიალეთზე ნასოფლარი, მზვარეთი და მილის სოფელი ასაშენებლად (დოლიძე 1970: 644-645).

1707 წელს დომენტი კათალიკოსი ჩავიდა შაჰთან კახეთის თავადების საჩივლელად, რომელთაც მიტაცებული ჰქონდათ კახეთის საეკლესიო მამულები. შაჰისაგან

მან  მიიღო წყალობის ფირმანი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის თავადებს უკან დააბრუნებინა ეკლესიისაგან მიტაცებული მამულები. ამის შემდეგ კახეთის ეპისკოპოს-დარბაისელნი ერთგულებას აღიარებდნენ ვახტანგ VI-ის წინაშე და სრულ მზადყოფნას გამოთქვამდნენ სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვისათვის (დოლიძე 1970: 699).

ამავე წელს ვახტანგ VI-მ და დომენტი კათალიკოსმა განაახლეს სვეტიცხოვლის ოდიკი. ჩვენამდე მოღწეულ 5 ოდიკთაგან ეს არის უძველესი, პირველი ნაბეჭდი ოდიკი (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე № 120: 1).

1709 წელს დომენტი კათალიკოსმა განაახლა კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ I-ის მიერ შედგენილი სვეტიცხოვლის საკითხავი და შეაჩვენა მისი განმხრწნელი.

1713 წელს იასე მაღალაშვილს, რომელმაც ტყვეები დაყიდა და ვერანაირი ფასით ვერ დაახსნევინეს, დომენტი კათალიკოსმა საკანონოდ ჩამოართვა მიწა, რომელიც გადაეცა მღვდელ მახარებელს საყდრისთვის წიგნების გადასაწერად (დოლიძე 1970: 695).

დიდ ყურადღებას უთმობდა დომენტი კათალიკოსი ეკლესიებისა და საეკლესიო ნივთების გამშვენებას. 1716 წელს მან განაახლა სვეტიცხოვლის დალეწილი ლუსკუმა და შეაჩვენა მისი მომშლელი, შეამკო 88 ხატი მცხეთაში.

დომენტი კათალიკოსმა მეფე გიორგი XI-ის ხელშეწყობით ახალციხიდან ქართლში დააბრუნებინა საეკლესიო განძეულობა და საფაშოში „წინდად“ გაგზავნილი ოქონის სასწაულთმოქმედი ხატი (მენაბდე 1986: 117).

დომენტი კათალიკოსი ცდილობდა საეკლესიო ყმების გამრავლებას, რომელნიც ომის დროს კათალიკოსის დროშის ქვეშ იყრიდნენ თავს. ამ მიზნით ხშირად ყიდულობდა ყმებს და ასახლებდა საკათალიკოსო მამულში.

ამასთანავე, დაიწყო მუსლიმთა წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლება. დომენტი კათალიკოსის ლიტერატურული მოღვაწეობა ქართული კულტურისა და სარწმუნოების დაცვისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. საეკლესიო მსახურებისათვის მან გადააწერინა საღვთისმსახურო წიგნები: პარაკლიტონი, ასკეტიკონი, და სხვ., შეადგინა სადღესასწაულოს ახალი რედაქცია; ვინაიდან წმინდა გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი

„კურთხევანი“ ჟამთა ვითარებისა და გადამწერთა უმეცრების გამო შეირყვნა და შეიბღალა, დომენტი კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით კვიპრიანე სამთავნელი ეპისკოპოსის მიერ კვლავ ითარგმნა ბერძნულიდან, რომელიც 1712 წლის შემდეგ უცვლელად იბეჭდებოდა.

დომენტი კათალიკოსმა ვახტანგ VI-სთან ერთად კვლავ შემოაბრუნა ქართველი ერი ეკლესიისაკენ, მოიძია ძველი მატიანეები და მტერთაგან იავარყოფილი და დაკნინებული სამწყსო კვლავ წინანდელ ხარისხში აღამაღლა. დაუბრუნა მიწები ძველ მეპატრონეებს და შეაჩვენა ყველა, ვინც ამ ბრძანების შეცვლას განიზრახავდა. კათალიკოსი განსაკუთრებით მათთვის იღვწოდა, ვინც „ბევრრიგად გარჯილა ჩვენზედაცა და საყდრის მამულზედაცა“ (დოლიძე 1970: 713).

წინამორბედებისაგან განსხვავებით დომენტი კათალიკოსის მიმართ ერიცა და სამღვდელოებაც დიდ ერთგულებას იჩენდა. დომენტისადმი მიწერილ მთავარეპისკოპოს რაჟდენის აღთქმის წიგნში ნათქვამია: „თქვენის ნებითა და ქართველთა ნებადართვით მთავარეპისკოპოსობა დავიჭირე და შენდობის კურთხევა მიბოძეთ. მოველ თქვენსა კათოლიკე ეკლესიასა სვეტის ცხოველის წინაშე და ესე აღთქმა, ფიცი და პირი დავდევ: არც თქვენი და არც კათოლიკე ეკლესიის წინააღმდეგობა და ურჩობა არა ვქნა... რომელიც ჩვენის ხელიდამ გამოვიდეს ან თქვენზედა ან თქვენის კათოლიკე ეკლესიის წინა აღმდეგობა და ურჩობა ვქნა, კათალიკოზის დომენტისაგანცა და კათოლიკე ეკლესიისაგანაც შეჩვენებულ ვიყო... არც თქვენი და არც ჩემის ამხანაგის სამწყსო დიაკონი და მღვდელი არა ვაკურთხო“ (დოლიძე 1970: 741).

როგორც ქვეყნის მწყემსმთავარი, დომენტი კათალიკოსი მოგზაურობდა საქართველოში და მზრუნველობას არ აკლებდა თავის სამწყსოს. 1724 წლის 20 აპრილს იგი გაემგზავრა ლორეში, 20 ივლისს ლორედან გადავიდა ქსნის ხეობაში და 20 ოქტომბერს დაბრუნდა თბილისში (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. თაყაიშვილის პირადი ფონდი № 102: 10).

ვახტანგ VI დომენტი კათალიკოსთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა მეცნიერულ მუშაობას: მისი დავალებითა და უშუალო ზედამხედველობით „სწავლულ კაცთა კომისიამ“ გადაამუშავა საქართველოს ძველი მატიანე და აღადგინა XIV-XVII საუკუნეების საქართველოს დაუწერელი ისტორია, რომელსაც „ახალი ქართლის

ცხოვრება“ ეწოდა და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. შესავალი; 2. ზეობის მიხედვით ტექსტის დაყოფა-დასათაურება; 3. ჩანართები; 4. სუმბატ დავითის ძისა და ბასილი ეზოსმოძღვრის ტექსტის შერწყმა; 5. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწორება; 6. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება.

„ქართლის ცხოვრების“ ძველ ტექსტში მათ შეიტანეს ქართველ წმინდანთა ცხოვრება და წამებანი, რაც მუსლიმობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ქართულ საზოგადოებაში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ამავდროულად, „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია სრულიად საქართველოს მდგომარეობა, რაც ერთიანი საქართველოს გაძლიერების იდეას ემსახურებოდა.

ქართული ენის დაცვისა და განმტკიცებისათვის დიდი მუშაობა გასწია სულხან-საბა ორბელიანმა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ შედგენილ „სიტყვის კონას.“ ყიზილბაშთა მიერ ქართული ენა იმდენად იყო შერყვნილი, რომ მის გადაგვარებას საფრთხე ემუქრებოდა, რადგან ქართველები მიზანმიმართულად იყენებდნენ უცხოურ ტერმინოლოგიას საუბარში და ქართული ენა თანდათანობით დავიწყებას ეძლეოდა.

საქართველოში ეროვნულ-კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეობა ზრდიდა წიგნზე მოთხოვნას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ის თხოვნითა და ანთიმოზ ივერიელის დახმარებით 1709 წელს თბილისში, „ფრიადითა ჭირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა“ დაარსდა სტამბა. გარდა ამისა, განათლებისა და წიგნების გამრავლება-გავრცელების ცენტრების ფუნქციას კვლავ ინარჩუნებდნენ ეკლესია-მონასტრები, საიდანაც ქართველ ხალხს სულიერი საზრდო მიეწოდებოდა.

1709-1722 წლებში რედაქტორ-გამომცემლების მიერ ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით დაისტამბა 20 გამოცემა:

1. 1709 წ. – „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“;
2. 1710 წ. – „კონდაკი“,„ჟამნი“ (მხედრული/ნუსხა-ხუცური შრიფტით მხედრულის გარევით), „ლოცვანი“;
3. 1710-1711 წ.წ. – „ბიბლია“, „დავითნი“, „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“;

4. 1712 წ. – „ვეფხისტყაოსანი“, „დავითნი“;
5. 1713 წ. – „კურთხევანი“;
6. 1716 წ. – „დავითნი“;
7. 1717 წ. – „ჟამნი“, „ლოცვანი“;
8. 1719-1720 წ.წ. – „კურთხევანი ეკლესიისა“;
9. 1720 წ. – „პარაკლიტონი“;
10. 1721 წ. – „ქმნულების ცოდნის წიგნი“;
11. 1722 წ. – „ჟამნი“.

საწყის ეტაპზე ასეთი  დიდი რაოდენობისა და ამავდროულად, პოლიგრაფიულ მაღალ დონეზე გამოცემული წიგნები უდიდესი მიღწევა იყო ქართული კულტურის ისტორიაში. მათი გამომცემელ-რედაქტორები იყვნენ: მიხეილ იშტვანოვიჩი, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელ, გიორგი მხატვარი, გარსევან ყოფილი მღვდელი გაბრიელ, ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე მღვდელ-მონაზონი და კვიპრიანე სამთავნელი (პაიჭაძე 1981: 66-67).

1709 წელს დაბეჭდილი სახარების მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „სადიდებელად წმიდისა სამებისა მე,... განმგებელმან ქართლისამან, ბატონისშვილმან ვახტანგ მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა სახსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, და მამისა, და დედისა ჩემისა, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა, ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“ (შანიძე 1935:157). აქედან ჩანს, რომ ქართველი მეფეები ეროვნულ საქმეს, გარდა ეკლესიისა და სახელმწიფოს სარგებლისა, ასრულებდნენ წინაპართა, ოჯახის წევრთა და საკუთარი სულის სალხინებლად და, შვილთა აღსაზრდელად.

გარდა ამ გამოცემებისა, სულხან-საბა ორბელიანის ხელმძღვანელობით დასაბეჭდად მზადდებოდა ბიბლიის სრული ტექსტი, რომელიც ქართლში შექმნილი პოლიტიკური პროცესების გამო ვერ განხორციელდა (მეტრეველი 2011: 307).

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა საღვთისმეტყველო სფეროსაც შეეხო. მისი ბრძანებით გადაწერეს არჩილ მეფის მიერ თარგმნილი ბერძენი ავტორის — პეტრე მოგოლის „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა.“ ამასთანავე, თავად ვახტანგ VI-მ შეადგინა „საღვთისმეტყველო

კრებული“, რომელშიც მოცემულია აპოკრიფები, საღვთისმეტყველო საკითხავები და ქადაგებები. გარდა ამისა, მისივე შედგენილია კვინკლოსი — საეკლესიო დღესასწაულთა კალენდარი, მზის მოქცევის აღწერა და კრიპტოგრამული ანბანი. ყოველივე ამან რუსების დიდი ინტერესი გამოიწვია, რის გამოც თარგმნეს მშობლიურ ენაზე.

ვახტანგ VI-მ საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას მის მდევნელთა საპირისპიროდ და მისცა მას სწორი მიმართულება. სპარსულიდან თარგმნა: „ქილილა და დამანა“, „ამირ-ნასარიანი“, „სიბრძნე მალაღობელი“ და სხვ.

სამედიცინო დარგში მის მიერაა შედგენილი სახელმძღვანელო „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“, გადააწერინა სამედიცინო ხასიათის ნაშრომი „უსწორო კარაბადინი“, მოაწესრიგა ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ ხელნაწერები.

ასტრონომიის დარგში თარგმნა „ვარსკვლავთა კატალოგი“ და თან დაურთო მის მიერვე შედგენილი სპარსულ-ქართული ასტრონომიული ლექსიკონი.

ქვეშევრდომთა ერთგულება ხელს უწყობდა ვახტანგ VI-ისა და დომენტი კათალიკოსის ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ მათი ნაყოფიერი მუშაობა მალე შეწყდა. როგორც სპარსეთისა და ოსმალეთისათვის, ასევე, მათი ხელქვეითი გამუსლიმებული ქართველებისათვის მიუღებელი იყო მეფისა და კათალიკოსის ერთობლივი მუშაობა და მალე მათ საკუთარი ძმები განუდგნენ: იესე ქართლის მუსლიმ მეფეთა შორის გამორჩეული იყო თავისი ბიწიერი ცხოვრებით, გარყვნილებით, პატივმოყვარეობით, ვერაგობითა და დაუნდობლობით. იგი პრეტენზიას აცხადებდა ქართლის სამეფო ტახტზე და ძმებს შორის დაწინაურებას ცდილობდა (ჟორდანია 1991: 34).

გამეფებისთანავე, მან ცოლად შეირთო საკუთარი ნათესავის, სულხან-საბა ორბელიანის ძმის, ერასტის ქალიშვილი — მარიამი, რომელიც დაქორწინებული იყო ქაიხოსრო ამირეჯიბზე, ხოლო მეორე ცოლად შეირთო კახეთის მეფე ერეკლე I ნაზარალი ხანის გამუსლიმებული ქალიშვილი — ელენე-ბეგუმი, რის გამოც სამღვდელოებისა და დომენტი კათალიკოსის გაკიცხვა დაიმსახურა (მენაბდე 1986: 142).

ვახტანგსა და დომენტი კათალიკოსს არ ღალატობდა მხოლოდ სამღვდელოება. ისინი მეფისა და კათალიკოსის მხარეს იდგნენ და მათთან ერთად ცდილობდნენ ეროვნული პოლიტიკის გატარებას (კარბელაშვილი 1900: 134).

## § 2.5. სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ ეროვნული სარწმუნოების დასაცავად გზების ძიება

XVIII საუკუნის დასაწყისში მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა ავღანეთში. მათ წინააღმდეგ შაჰი მთავარსარდლებად გამუსლიმებულ ქართველ მეფეებს ამტკიცებდა. საქართველოდან მუდმივად იგზავნებოდა ჯარი აჯანყებულ ავღანთა წინააღმდეგ და ქართველთა უმეტესი ნაწილი სპარს-ავღანთა ურთიერთმტრობას ეწირებოდა.

ამ ბრძოლებში ქართველთა გამარჯვებებს მოჰყვა ავღანი ტომების სპარსეთზე თავდასხმების დროებით შეწყვეტა, მაგრამ სპარსეთის ჯარის მთავარსარდალ გიორგი XI-ს მტრები გამოუჩდნენ ავღანთა შორის. მთავარი მტერი, ავღანთა ტომის ბელადი მირ-ვეისი იყო. იგი მთელი სპარსეთის სარდლობას ქართლის მეფის წინააღმდეგ განაწყობდა და აფრთხილებდა, რომ ქართლის მეფე და ქირმან-ყანდაჰარის მმართველი გიორგი XI უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს მთელი სპარსეთის იმპერიისათვის, რადგან იგი ქრისტიანი მართლმადიდებელი მეფე და რუსეთის მოკავშირეა, რის გამოც, საქართველოს დასახმარებლად რუსეთის ჯარს შეუძლია კავკასიის მთების გადმოლახვა და მთელი სპარსეთის იმპერიის განადგურება.

მოგვიანებით, მირ-ვეისმა შეცვალა ბრძოლის მეთოდი და გიორგი მეფეს ერთგულად მოაჩვენა თავი. გიორგიმ  იგი ისპაანში გაგზავნა, სადაც შაჰმა დააპატიმრა.

პატიმრობაში მყოფი მირ-ვეისი კარგად გაერკვია სპარსეთის საშინაო და საგარეო ვითარებაში. მან მოისყიდა შაჰის კარის მოხელეები და დიდი ვეზირის — ფათ ალი ხანის კეთილგანწყობაც მოიპოვა. 1709 წელს მირ-ვეისმა დანათესავება შესთავაზა გიორგი XI-ს, ნადიმზე მიიპატიჟა და ამოხოცა მეფე და მასთან ერთად მყოფი ქართველ მეომართა რაზმი. მოკლულ მეფეს მირ-ვეისმა ახსნა ჯვარი, რომელსაც გამუსლიმებული მეფე მუდამ თან ატარებდა და შაჰს გაუგზავნა გულით ქრისტიანი მეფის ორგულობის დასამტკიცებლად.

შაჰმა გიორგი XI-ის ადგილას მისი ძმისწული ქაიხოსრო დანიშნა, რომელიც ასევე, გულით ქრისტიანი იყო. მან დამატებით თავრიზი და ბარდაც მიიღო საგამგეოდ. 1710 წელს ქართველთა და ყიზილბაშთა გაერთიანებული ჯარით მირ-ვეისის წინააღმდეგ გაილაშქრა და გაიმარჯვა. ამ გამარჯვებით ისარგებლა ვახტანგ VI-მაც — ყიზილბაში ციხისთავები გააძევა თბილისიდან და „ტყვეთა სყიდვა“ აკრძალა.

1711 წელს ყანდაარზე იერიშის დროს ქართველები დამარცხდნენ. ბრძოლას შეეწირა ქაიხოსრო ხანიც. მის ადგილას დასამტკიცებლად შაჰმა ვახტანგი დაიბარა, რომელიც 1712 წლის აპრილში ისპაანში გაემგზავრა. რადგან ქართლის „ჯანიშინი“ უკვე „ვალი“ ხდებოდა და სპარსეთის ჯარის მთავარსარდლად ინიშნებოდა, აუცილებელი იყო მუსლიმობის მიღება, მაგრამ ვახტანგი სარწმუნოების შეცვლას არ აპირებდა: „მე მოვედ რათა არა დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელი გნებავს წარავლინე, და მე ვეგო წინაშე შენსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 492). იგი იმედოვნებდა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქრისტიანად დაბრუნდებოდა ქართლში, ამ პერიოდში შედარებით გაძლიერებულ ქართლის სამეფოს ჩაუდგებოდა სათავეში, აღადგენდა მის გავლენას საქართველოს სხვა პროვინციებზე და დომენტი კათალიკოსთან ერთად განაგრძობდა მათ მიერ დაწყებულ ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ქვეყნის გაერთიანების საქმეში.

შაჰი ვარაუდობდა, რომ ვახტანგ VI ქართლის მეფობასა და სპარსეთის სპასალარობას მიიღებდა ქრისტიანობის უარყოფისა და მუსლიმობის მიღების შემდეგ, რაზეც ქართლის ჯანიშინმა მტკიცე უარი განაცხადა: „უფალს უფლისა მიეცეს, ხოლო კეისარს კეისრისა“ (ქიქოძე 1988: 18).

როდესაც შაჰის კარზე დარწმუნდნენ, რომ ვახტანგ VI-ს სარწმუნოებას ვერ შეაცვლევინებდნენ, სხვა ხერხს მიმართეს: ქართლის მეფეს მოაჩვენეს, რომ საქართველოში აგზავნიდნენ მის გამუსლიმებულ ძმას — იესე ალი ყული ხანს. მაგრამ რადგან ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა, შაჰის ბრძანებით დაიწყეს მისი შევიწროება, ჩამოაშორეს 400 ქართველი მსახური, უბრძანეს მათ საქართველოში დაბრუნება და მეფეს დაუტოვეს მხოლოდ 7 კაცი (ტაბაღუა 1966: 153). მაგრამ მისგან სარწმუნოების შეცვლაზე ამჯერადაც უარი მიიღეს.

იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ვახტანგ VI-ს შაჰის კარზე, და იმდენად სჭირდებოდა იგი ამიერკავკასიაში სპარსეთის ზეგავლენის განსამტკიცებლად და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის მოთავედ, რომ შაჰი თანახმა იყო ვახტანგი ქრისტიანული წესით დაემტკიცებინა ქართლის მეფედ, რასაც წინ აღუდგნენ სასულიერო პირები (ომარები) და აიძულეს შაჰი, კატეგორიულად მოეთხოვა ქართველი მეფისათვის მუსლიმობის მიღება.

ასეთ ვითარებაში გაიმართა საეკლესიო კრება დომენტი კათალიკოსის ხელმძღვანელობით, რომელმაც მეფედ ვახტანგი მოითხოვა. კრებამ ნება დართო ვახტანგს ქვეყნის ინტერესების დაცვის მიზნით მიეღო მუსლიმობა. ქართველ სამღვდელოთა ეს გადაწყვეტილება მიუღებელი იყო ვახტანგისათვის და მან ამჯერადაც მტკიცე უარი განაცხადა სარწმუნოების შეცვლაზე, ვინაიდან ისედაც სარწმუნოებაშეცვლილი მოსახლეობისათვის მეფის გამუსლიმება სრულიად საქართველოს დამღუპველ შედეგს მოუტანდა, რადგან:

XVII საუკუნის დამდეგიდან ქართველებს გარდა სპარს-ოსმალებისა, მოევლინათ ძლიერი მტერი ლეკების სახით, რომელთა თავდაპირველი მიზანი კახეთის ამოწყვეტა იყო. XVII-XVIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში საუბარია მათ მიერ მიწების მიტაცებასა და მოსახლეობის დარბევაზე. თავდაპირველად ისინი იჭრებოდნენ მხოლოდ კახეთში, მომდევნო პერიოდში თანდათანობით გამრავლდნენ და მთელი საინგილო, ქართლი, სამხრეთ და დასავლეთ საქართველო მოიცვეს.

ამ პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმა — სოციალური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით მართლმადიდებელი სარწმუნოების უარყოფა — გლეხები ხშირად ტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს, „ყაზახობდნენ," იხიზნებოდნენ ზოგჯერ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მათი გამუსლიმება. მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებით განსხვავებული დაღესტნელი მომთაბარეები გამუდმებით ძარცვავდნენ ქართველ გლეხებს, კახელი გლეხებისათვის მიმზიდველი იყო ლეკების უბატონობა, რის გამოც მათ უერთდებოდნენ. ყიზილბაში ხანები ხელს უწყობდნენ ავარიელი და წახურელი ლეკების ჩამოსახლებას კაკ-ენისელის მიდამოებში, რომელნიც თანდათანობით გაძლიერდნენ და განმტკიცდნენ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გამუსლიმდა. მათ მხარეზე გადადიოდნენ მთელი სოფლები, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო ქრისტიანობის შენარჩუნება. ლეკები სარგებლობდნენ ამ შემთხვევით, მფარველობას აღუთქვამდნენ კახელებს და თავადების წინააღმდეგ ამხედრებდნენ. თავდაპირველად, მათი ვალდებულებები და გადასახადები არ იყო მძიმე, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ლეკურმა თემებმა კახეთის ბატონობა მოიპოვეს, კახეთის სოფლები დაიმორჩილეს და დაბეგრეს, კახელების

მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამის გამო ისინი აჯანყდნენ და ლეკები კახეთიდან განდევნეს. თუმცა, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკების ხელში გადავიდა, რითაც საქართველომ დაკარგა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მხარე. 1719-1722 წლებში ჭარელი ლეკების თარეშმა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა კახეთის სრული მოსახლეობა. კახთა მეფის დავით იმამ ყული ხანისა და ქართლის მეფის ჰუსეინ ყული ხანის (ვახტანგ VI) მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ მთელი კახეთი გალეკების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რის გამოც დავით მეფე დახმარებას სთხოვდა ვახტანგს: დროულად აღეკვეთათ მოსალოდნელი საშიშროება, რადგან თუ მთელი გლეხობა ლეკთა ლაშქარში გადავიდოდა, მათთვის შესაძლებელია თავადებსაც მიებაძათ და შემდეგ, ამ საქმის გამოსწორება განსაკუთრებით გართულდებოდა (ჯაფარიძე 2010: 40).

XVIII საუკუნის დასაწყისიდან კახელმა თავად-აზნაურებმა დაკარგეს უფლება თავიანთ მამულებზე, რომელთა მეპატრონეები ლეკები გახდნენ. ამიტომ, კახელ თავადს რომ დაეკანონებინა თავისი ქონება, აუცილებელი იყო ლეკთა თემში გადასვლა და შესაბამისად, სარწმუნოების შეცვლა. ეს პროცესი XVII საუკუნის მიწურულს დაიწყო და მთელი XVIII საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხების უმრავლესობას არ სურდა მართლმადიდებელი სარწმუნოების შეცვლა, გალეკებით ისინიც მიწის მფლობელები ხდებოდნენ, თუმცა, მათზე გარკვეული შეზღუდვები არსებობდა. ლეკები კახელ გლეხებს თავიანთ მიწა-წყალზე ტოვებდნენ და აძლევდნენ მიწას დასამუშავებლად, რისთვისაც მათ გადასახადი უნდა ეხადათ. დროთა განმავლობაში გლეხების უმრავლესობამ მუსლიმობა მიიღო, მაგრამ მათ შორის კვლავ ძველებური ურთიერთობა შენარჩუნდა: ლეკები მიწის მფლობელები იყვნენ, კახელი გლეხები — დამმუშავებლები.

რაც შეეხება საშუალო ფენას, ანუ ვაჭარ-ხელოსნებს, მათ ამ პერიოდის მთელს საქართველოში სომხური სარწმუნოება მიიღეს. ქრისტიან სამღვდელოებას მუსლიმურ საინგილოში აკრძალული ჰქონდა მოღვაწეობა, მაგრამ ისინი ფარულად მაინც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს.

კახეთში გავრცელებული დაუსრულებელი ლეკიანობა თანდათანობით მთელს საქართველოს მოედო. ლეკთა თარეშისაგან შევიწროებული და გაწამებული კახელი გლეხები ქართლში იხიზნებოდნენ, სპარსეთის შაჰის დასუსტებული ხელისუფლება უძლური იყო მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შაჰის კარზე მიიღეს გადაწყვეტილება ვახტანგ VI დაებრუნებინათ ქართლში ლეკიანობის აღსაკვეთად.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ქართლის მეფე ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ საქართველოში ქრისტიანად დაბრუნებულიყო. ამისათვის ორი გზა არსებობდა: დიდი თანხით მოესყიდათ შაჰის მექრთამე გარემოცვა (როგორც ეს მირ-ვეისმა მოახერხა), ანდა, სხვა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს ჩარევით ეიძულებინათ შაჰი დასთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას. ძლიერ სახელმწიფოთა შორის იყო ორი არჩევანი: რუსეთი ან ევროპა. ამ არჩევნის დროს ვახტანგ VI უპირატესობას რუსეთს ანიჭებდა, რადგან:

- მას უნდა გაეთავისუფლებინა საქართველო სპარსეთის ბატონობისგან;
- აღეკვეთა ქართლზე ოსმალთა თავდასხმები;
- დახმარებოდა ქართველ მეფე-მთავრებს ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებაში;
- განემტკიცებინა ქვეყნის შიდაპოლიტიკური ურთიერთობები;
- მოესპო ეკლესიისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების დევნა საქართველოში;
- შეექმნა პირობები ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის.

რუსეთთან კავშირში ვახტანგ VI ცდილობდა სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას და ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე ქრისტიანულად მირონცხებული მეფის დამტკიცებას. მაგრამ სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიები არანაირად არ დაუშვებდნენ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაბატონებას, ხოლო რუსეთისთვის ამ პერიოდში მთავარ საკითხს წარმოადგენდა ჩრდილო შავიზღვისპირეთში პოზიციების განმტკიცება, რის გამოც იგი ქართლის მეფეს მოკავშირედ არ გამოადგებოდა და სახიფათო იყო საქართველოსთვის (გურული 2007: 8). შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა შორის ქართველებისათვის ყველაზე

მიმზიდველი იყო საფრანგეთი, რომელიც დაინტერესებული იყო სპარსეთ-ოსმალეთსა და საქართველოსთან ურთიერთობით.

სპარსელებსა და ოსმალებს განსაკუთრებით აღიზიანებდათ ქართველთა მართლმადიდებელი სარწმუნოება, რომ ერთმორწმუნეობის გამო მართლმადიდებელ რუსეთს კავკასიის დაუფლებაში ხელს შეუწყობდა თანამორწმუნე ქართველობა. კავკასიაში რუსეთის ერთადერთ ბუნებრივ პოლიტიკურ მოკავშირედ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მართლმადიდებელი ქართველი ხალხი ითვლებოდა, რომლის მისწრაფება რუსეთისაკენ XVII-XVIII საუკუნეებში ცნობილი იყო. კავკასიის სხვა ყველა ხალხი და ქვეყანა ამ დროისათვის ან მუსლიმური იყო, ანდა, პოლიტიკური თავისთავადობა ჰქონდა დაკარგული. ჩრდილოკავკასიელების გამუსლიმების პროცესი დასრულებული იყო, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში მუსლიმური სახანოები არსებობდა; სომხების რიცხვი ამიერკავკასიაში პროცენტულად ძალზე მცირე იყო და ამასთანავე, მათი პოლიტიკურად ნეიტრალური (არამართლმადიდებლური) სარწმუნოებრივი მიმდინარეობა საშიშროებას არ წარმოადგენდა სპარსეთისა და ოსმალეთისათვის. მხოლოდ ქართველთა რელიგიას განიხილავდნენ პოლიტიკურად საშიშ ელემენტად, რის გამოც სპარსელებმა და ოსმალებმა დაიწყეს ხანგრძლივი, სარწმუნოებრივი ბრძოლა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა ქართველების გამუსლიმებას; საქართველოს ტერიტორიის გაწმენდას ქართველი ახალგაზრდა და ჯანსაღი მოსახლეობისაგან, მათ ტყვედ გაყიდვასა და სპარსეთ-ოსმალეთში გადასახლებას (ჯაფარიძე 2010: 181). ამიტომ იყო, რომ სხვა რელიგიის აღმსარებლებს სრული თავისუფლება ენიჭებოდათ, ქართველები კი სასტიკად იდევნებოდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვისათვის. დროთა განმავლობაში, ქართველები თანდათან შეეგუენ იმ აზრს, რომ მათი სიცოცხლისა და  კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო სარწმუნოების შეცვლა — მუსლიმურ, სომხურ ან კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლა.

ქართლსა და კახეთში ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის არსებობის პერიოდში ქართველთა ეროვნულ იდენტობას სახელმწიფო ინარჩუნებდა, რომელსაც გვერდში ედგა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და სულიერ მზრუნველობას არ აკლებდა მრევლს. მაგრამ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც

ქართლისა და კახეთის სამეფოები მუსლიმ მმართველთა ხელში აღმოჩნდნენ, ქართველობას საფუძველი გამოეცალა, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული გადაგვარების პროცესის გაძლიერებას.

ამავე პერიოდიდან (XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან) დაიწყო ევროპისა და სპარსეთ-ოსმალეთის სავაჭრო ურთიერთობები. ევროპელები დაინტერესებულნი იყვნენ ამიერკავკასიასთან და მათ შორის, საქართველოსთან ურთიერთობით.

1708 წელს დაიდო პირველი სავაჭრო ხელშეკრულება სპარსეთსა და საფრანგეთს შორის. სპარსეთში მოღვაწეობდნენ ფრანგი მისიონერები, რომლებსაც დაუკავშირდნენ ქართველები და მათი მეშვეობით ვახტანგ VI-მ საფრანგეთის „მეფე-მზე“ ლუი XIV-ისგან წერილი მიიღო. გადაწყდა ელჩობის გაგზავნა სულხან-საბა ორბელიანის მეთაურობით.

ქართველებსა და ფრანგებს შორის კავშირი ელჩობამდე გაცილებით ადრე დამყარდა, მაგრამ ქართველი მეფეები სპარსეთის შიშით ვერ ამხელდნენ საერო თუ სასულიერო პირებთან ურთიერთობას. მაგალითად, ვახტანგ V-ის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „მე სპარსეთის მორჩილი ვარ და ვაითუ მისმა დიდებულებამ იწყინოს, რომ მის დაუკითხავად უცხოელებთან მიწერ-მოწერა გავმართო და საქმე დავიწყო“ (ჯამბურია 1973: 348). ამავეს ითვალისწინებდნენ სხვა ქართველი მეფეებიც, რათა სპარსეთის შაჰის მრისხანება აეცილებინათ საქართველოსთვის.

ელჩობა წინასწარ იყო დაგეგმილი და შესაბამის საერთაშორისო ვითარების დადგომას ელოდა. შექმნილმა გამოუვალმა მდგომარეობამ და ქვეყნის მართვისაგან ვახტანგ VI-ის ჩამოშორებამ დააჩქარა ელჩობა და შესაბამისად, მისი წარმატების შესაძლებლობაც შეამცირა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ელჩობა გასაიდუმლოებული იყო. მეფის ოჯახის წევრებმაც კი, არ იცოდნენ ელჩობის მთავარი მიზანი — თითქოს იგი მხოლოდ სულხან-საბას ინიციატივით ეწყობოდა. ამიტომაც ფრთხილობდა იგი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის მინისტრთან შეხვედრისას: „ჩემი ყოფნა აქ გრძლად არ ვარგა მისთვის, რომ ვინ იცის თუ ჩემი რამ ითქვა და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება“ (თამარაშვილი 1902: 331).

სულხან-საბა ორბელიანი ფრანგ მისიონერ ჟან რიშართან ერთად საქართველოდან 1713 წლის ბოლოს გაემგზავრა და 1714 წლის იანვარში უკვე მარსელში

იყო, სადაც შეხვდა ქალაქის მერს შარლ კუსტანსა და გალერებისა და ვაჭრობის ინტენდანტ პიერ დ'არნუსს, ხოლო ამავე წლის მარტში პარიზში იმყოფებოდა სახელმწიფო მდივან გრაფ დე პონშარტრენთან შეხვედრაზე. აღნიშნულ მოლაპარაკებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჟან რიშარი, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის დადებითად გადაწყვეტაში.

პარიზში ჩასვლისთანავე, სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთის მთავრობისაგან ითხოვა მონასტერში ცხოვრების უფლება, დასახლდა სენ-ლაზარის მონასტერში და სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა საკითხში მიეღო მონაწილეობა.

ელჩობის მთავარი მიზანი იყო:

1. სპარსეთის სახელმწიფოს იურიდიულად ეცნო ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა და ვახტანგ VI ქრისტიან მეფედ დაებრუნებინა საქართველოში;

2. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. გაერთიანების შემთხვევაში საქართველოს შეეძლო მუსლიმური სამყაროს დასაპირისპირებლად 100 000-იანი ჯარი გამოეყვანა, რაც ევროპის ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდა;

3. ჩრდილოკავკასიელ ტომთა შემოსევების აღკვეთა საქართველოში. ამისათვის საჭირო იყო მათი გაქრისტიანება, რაც საფუძველი გახდებოდა მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისთვის;

4. ქართველთა ეროვნული გადაგვარების პროცესის შეწყვეტა. ეს საფრთხე განსაკუთრებით მესხეთსა და ოდიშ-აფხაზთა მხარეს დაემუქრა. ქრისტიანობა აქ იმ ფორმით უნდა გავრცელებულიყო, რომელიც მისაღები იქნებოდა ოსმალეთისთვის. ეს შეაფერხებდა გამუსლიმების პროცესს.

თავისი მიზნის მისაღწევად სულხან-საბა ლუი XIV-ისაგან 300 000 ეკიუს ითხოვდა, რომლითაც სპარსეთის შაჰის გარემოცვა უნდა მოესყიდათ ვახტანგ VI-ის ქართლში ქრისტიანად დაბრუნებისათვის. ასევე, სულხან-საბა პაპ კლიმენტი XI-ს სთხოვდა ეშუამდგომლა ლუი XIV-სთან, „რომ ჩუენსა ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს. იმისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანციის დიდი მეფე ჩუენის მეფის მოხმარებას ეცადოს" (თამარაშვილი 1902: 315). ქართველი პოლიტიკოსები მზად იყვნენ ხელი შეეწყოთ

კათოლიკობის გავრცელებისათვის საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, რაც საფრანგეთის მთავარი მოთხოვნა იყო. ამ ვალდებულების შესრულება მხოლოდ პოლიტიკურად ერთიანი და ძლიერი საქართველოს მეფეს შეეძლო და ეს იქნებოდა ყველაზე მოკლე და მომგებიანი გზა, რომელიც 3/4-ით შეამცირებდა მანძილს აბრეშუმის გასაყიდად, რომელსაც ნაკლებად დასთანხმდებოდნენ სპარსეთი და ოსმალეთი. ამ შემთხვევაში საფრანგეთს მათთან თავისი გავლენა უნდა გამოეყენებინა. ამასთანავე, საფრანგეთის მეფეს შეეძლო მოეთხოვა გემები დაეტვირთათ საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველ მეფეს აეღო ვალდებულება კონსტანტინოპოლამდე მათი ტრანსპორტირების უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნული გეგმის განხორციელება საგრძნობლად შეამცირებდა ჰოლანდიელთა ფაბრიკების რიცხვს, რაც საფრანგეთის მეფეს მისცემდა შესაძლებლობას გაცილებით მაღალ ფასში მიეყიდა მათთვის აბრეშუმი და ასევე: ცვილი, მატყლი, ტყვია და ენდრო, რაც მრავლად მოიპოვება საქართველოში. სანაცვლოდ კი, საფრანგეთს საქართველოს ბაზარზე გაეყიდა თავისი პროდუქცია, რასაც უნდა დამატებოდა ვაჭრობის გზით მიღებული მოგება და მფარველობა, რომელსაც საქართველო მიიღებდა საფრანგეთისგან (ტაბაღუა, 1965 ა: 97).

იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი მიიღებდა და პრაქტიკულად განახორციელებდა სულხან-საბას მიერ შეთავაზებულ გეგმას, მაშინ ვახტანგ VI იქნებოდა საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის აღმოსავლეთ პარტნიორი, რის შემდეგაც განისაზღვრებოდა მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები.

პიერ დ'არნუს აზრით, სულხან-საბას შეთავაზებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ფრანგ პოლიტიკოსთა მხრიდან, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას, საფრანგეთის ეკონომიკურ გაძლიერებას, ინდოეთში მყოფ პორტუგალიელებსა და ინგლისელებთან კონკურენციას, მათ საფრანგეთის მორჩილებაში ყოფნასა და სპარსეთ-ოსმალეთის საფრანგეთისადმი დამოკიდებულებას; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს პროცესები უნდა ყოფილიყო დაფარული, რათა გამორიცხულიყო ამ სახელმწიფოთა ეჭვი და ყოველგვარი ინტერესი (ტაბაღუა 1965 ა: 91). ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად საჭირო იყო დიდი რაოდენობით კარგად შერჩეული შემსრულებლები, რომელთაც სხვა

მისწრაფებები არ უნდა ჰქონოდათ, გარდა დავალებულის საუკეთესოდ შესრულებისა (ტაბაღუა 1965 ა: 93).

ზემოაღნიშნულის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ყოველწლიურად საფრანგეთში განათლების მისაღებად 15-20 ქართველი ახალგაზრდის გაგზავნა, მათთვის ევროპული კულტურის გაცნობა და სხვადასხვა სპეციალობის შესწავლა, რასაც შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას გამოიყენებდნენ (ტაბაღუა 1965 ა: 101).

დასახული გეგმის სისრულეში მოყვანისას სპარსეთი სრულად დამოკიდებული იქნებოდა საფრანგეთის მეფეზე, რომელიც ჩაკეტავდა სპარსეთს სამხრეთიდან, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარე საქართველო იქნებოდა საფრანგეთის მოკავშირე და ყოველმხრივ დაიცავდა მას სპარსეთის მხრიდან გამოვლენილი ქართველთა მიმართ საწინააღმდეგო ყოველგვარი მცდელობისაგან. ამასთანავე, სპარსეთში კათოლიკური სარწმუნოება სრულ თავისუფლებას მოიპოვებდა იმისათვის, რომ სომხებს ეღიარებინათ იგი სპარსეთზე დამოკიდებულ სახელმწიფოებში თავისუფალი ვაჭრობისათვის. თითოეულ ამ სახელმწიფოსთან საფრანგეთი დადებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ხელშეკრულებას, ხოლო თურქეთის გზით წითელ ზღვაზე გასასვლელის მოპოვების შემდეგ, ოსმალთა სულთანი ეცდებოდა მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა საფრანგეთთან სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისას (ტაბაღუა 1965 ბ: 132-133).

მიუხედავად იმისა, რომ სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთში მხოლოდ მფარველობის სათხოვნელად ჩავიდა და მას ხელშეკრულების დადების არანაირი განზრახვა არ ჰქონია, ჟან რიშარის ინიციატივით შემუშავდა და საფრანგეთის მთავრობას წარედგინა საქართველო-საფრანგეთის შეთანხმების პროექტი, რომელიც დაწერილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ და ხელმოწერილი ჟან რიშარის მიერ. შეთანხმებაში, რომელიც 6 მუხლისგან შედგება, საუბარია შემდეგ საკითხებზე: ქართლის მეფე ვახტანგ VI იღებს ვალდებულებას, რომ საფრანგეთის მეფის კონსულსა და ყველა ქვეშევრდომს, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლიან ან გაჩერდებიან, მისცემს სახლს თბილისში და გამოყოფს თანხას მათი შენახვისათვის. დაიცავს საფრთხისაგან მათ საქონელს, რომელსაც ჩამოიტანენ საფრანგეთიდან სპარსეთში წასაღებად, ან ჩამოიტანენ

სპარსეთიდან საქართველოში. მისცემს საჭირო საწყობებს როგორც შავი ზღვის მახლობლად — სამეგრელოში, ასევე, საკუთარ სამეფოში. ხელს შეუწყობს ფრანგ სოვდაგრებს მეგრელებთან და მეზობელ ჩერქეზებთან აბრეშუმის, მატყლის, ცვილისა და სხვა საქონლის წარმოებაში (ტაბაღუა 1965 ბ: 140).

საფრანგეთის მეფესთან შეხვედრის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანი ჟან რიშართან ერთად გაემგზავრა რომში, რადგან საქართველოსთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი საფრანგეთს პაპთან ერთად უნდა გადაეწყვიტა. სულხან-საბამ რომის პაპისგან მიიღო მეფე ლუი XIV-ისადმი გადასაცემი წერილი, რომელშიც იგი მეფეს მოუწოდებდა მფარველობაში მიეღო საქართველოს მეფე და ხელი შეეწყო მისი საქართველოში ქრისტიანად დაბრუნებისათვის, „როგორათაც ვცანით, თუ ეს მეფე თავის სამშობლოში დაბრუნდა თავისუფლად, ცხადად აღმოუჩენს თავის გულკეთილობას კათოლიკეებს და გულმოდგინებით მათ ყველანაირად შეეწევა და დიდი იმედიცა გვაქვს, რომ იქ კათოლიკე სარწმუნოება, ღვთის შემწეობით აღორძინდეს და დღითი-დღე წარემატოს“ (თამარაშვილი 1902: 320). ასევე, საფრანგეთის ხელისუფლება იმედს გამოთქვამდა, რომ ვახტანგ VI ხელს შეუწყობდა კათოლიკობის გავრცელებას ჩერქეზეთშიც, რადგან ქართლის მეფე ჩერქეზთა მთავრის ასულზე იყო დაქორწინებული (ტაბაღუა 1965 ა: 83). ეს წერილი სულხან-საბამ საფრანგეთის მეფეს გადასცა, მაგრამ მისგან გარკვეული პასუხი არ მიუღია. ამავე დროს, პარიზში ჩავიდა სპარსეთის ელჩი მოჰამედ რეზა ბეგი, რომელმაც შეაფერხა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის მიერ ყველა საჭირო განკარგულება გაცემული იყო: საფრანგეთის ელჩად სპარსეთში დაინიშნა ივანე რიშარდი, რომელსაც აუცილებელ მოვალეობად დაეკისრა ვახტანგ VI-ის სპარსეთის ტყვეობიდან განთავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება, რაც დიდად შეუწყობდა ხელს კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში. გამოიყო 7 000 ლივრი საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობისათვის, რასაც ყოველწლიური, სისტემატური სახე უნდა მიეღო და ჩამოყალიბდა მისიონერების სამი ჯგუფი საქართველოში გასამგზავრებლად, რომლებიც იმყოფებოდა ლიონში, მარსელსა და კონსტანტინოპოლში (ტაბაღუა 1966: 165). მაგრამ სანამ ელჩი სპარსეთში გაემგზავრებოდა, საფრანგეთის მეფე ლუი XIV გარდაიცვალა. საფრანგეთის სამეფო ტახტზე აიყვანეს მისი

შვილიშვილის შვილი ლუი XV, რომლის რეგენტი გახდა ფილიპე ორლეანელი. საფრანგეთის სამეფო კარზე ცვლილებები მოხდა, რომელთა შორისაც დაიწყო ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის. აქედან გამომდინარე, საქართველოსთან დაკავშირებული ყველა საქმე შეწყდა და მათი ხელმძღვანელები ჩამოშორდნენ დაგეგმილ პროექტებს, რადგან ახალი ხელისუფლება საქართველოსთან ურთიერთობით ნაკლებად იყო დაინტერესებული და 1715 წელს სულხან-საბა ორბელიანი საქართველოში დაბრუნდა.

ამ მოლაპარაკებების შედეგად აშკარად გამოიკვეთა, რომ საფრანგეთი სულაც არ იყო დაინტერესებული მისთვის უმნიშვნელო საქართველოს გამო სპარსეთსა და ოსმალეთთან საქმე გაეფუჭებინა, რომელთანაც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა. პირიქით, მისთვის საკმაოდ მისაღები იყო ამიერკავკასიაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება, რადგან: საფრანგეთის მეფის მცდელობას, გაეძლიერებინა საქართველო, აუცილებლად შეამჩნევდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიები. ისინი გაერთიანდებოდნენ ქართველების წინააღმდეგ და გამოიყენებდნენ ყოველგვარ საშუალებას, რათა ხელი შეეშალათ ზემოაღნიშნული გეგმის განხორციელებისა და საქართველოს გაძლიერებისათვის. (ტაბაღუა 1965 ა: 103).

ასეთ მძიმე პირობებში საქართველო სრულიად მარტო დარჩა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. ქართველი პოლიტიკოსები, რომელთაც ევროპის იმედი ჰქონდათ, ამჯერად მყარად დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ერთადერთი, რეალური ხსნა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთში იყო.

ასეთმა მოვლენებმა უკიდურესად გაართულა ვახტანგ VI-ის მდგომარეობა. მის მიერ დაწყებული საქმე დასრულებას საჭიროებდა, ხოლო ქართლის გამგებლად დანიშნული გამუსლიმებული იესე ალი ყული ხანი სასტიკად ავიწროებდა ვახტანგის მომხრეებს და მისი ეროვნული გეგმებიც ჩასაშლელად იყო განწირული. რადგან აშკარად ჩანდა, რომ გამუსლიმებული იესე დამღუპველ შედეგს მოუტანდა ქართლის სამეფოს, ამიტომ აუცილებელი იყო ვახტანგის გამეფება, თუნდაც მუსლიმობის მიღებით. ხოლო მისი მტკიცე უარი სარწმუნოების შეცვლასთან დაკავშირებით დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართულ ეკლესიას — ამ შემთხვევაში სპარსელები გააძლიერებდნენ ბრძოლას მართლმადიდებელი სარწმუნოების წინააღმდეგ. ამიტომ საეკლესიო კრებას, რომელმაც ქართლის მეფეს

გამუსლიმების ნება დართო, ჰქონდა დიპლომატიური მნიშვნელობა. ამ გადაწყვეტილებით ქართველი სამღვდელოება აშკარად გამოხატავდა პროსპარსულ ორიენტაციას, რითაც საქართველოს ეკლესიის შევიწროებისგან დაცვასა და ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგის დამტკიცებას ცდილობდა (მენაბდე 1986: 130). ყოველივე ამის გათვალისწინებით მან 1716 წელს მუსლიმობა მიიღო „მხოლოდ სიტყვით და არა საქმითაცა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 496), შაჰმა ქართლის მეფედ დაამტკიცა და 1719 წლამდე სპარსეთში დაიტოვა ორი მიზეზის გამო. შაჰის კარი ფლობდა ინფორმაციას: 1. სულხან-საბას ევროპაში ელჩობისა და 2. სპარსეთში მივლენილი რუსეთის ელჩის ა. ვოლინსკისა და ვახტანგ VI-ის საიდუმლო კავშირების შესახებ, რის გამოც ქართლის მეფემ სპარსეთის შაჰის ნდობა დაკარგა (გურული 2007: 7).

1719 წელს ვახტანგ VI ქართლში დაბრუნდა ეროვნული მოღვაწეობის გასაგრძელებლად. მიუხედავად იმისა, რომ მან იესე მდივანბეგად დაადგინა და მუხრანში მამულები უბოძა, იგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას ქართლის მეფის წინააღმდეგ (ჟორდანია 1991: 35).

რაც შეეხება გარესამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, 1715 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა არტემ ვოლინსკი სპარსეთში ელჩად მიავლინა, რომელმაც სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულება დადო, საფუძვლიანად შეისწავლა მისი საგარეო და საშინაო ვითარება და ქართველებსა და სომხებთან კავშირი დაამყარა. ა. ვოლინსკი საიმპერატორო კარს იქ მყოფ ქართველთა მამაცობის შესახებ მოახსენებდა: სპარსეთში, როგორც წესი, სპასალარებად ქართველი ბატონიშვილები ინიშნებიან და სპარსელებს ოსმალებთან, ინდოელებთან და სხვა ხალხებთან ბრძოლებში ყველა გამარჯვება ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული. თუ ქართველი ბატონიშვილები, მათი დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში შეთანხმებას მიაღწევენ, არა მხოლოდ სპარსეთის უღლისაგან განთავისუფლებას, არამედ სპარსეთის ტერიტორიის დაკავებასაც მარტივად შეძლებენ (ასათიანი 2008: 273).

ამავე აზრს გამოთქვამდნენ საფრანგეთში ქართველების შესახებ: თუ სარწმუნოებამ მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთს ქართველები და ჩერქეზები, ისინი ერთმანეთს დაეხმარებიან და კავკასიის მთებში ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს მათ

განადგურებას მათი უპირატესი მდგომარეობის გამო. პირიქით, თვითონ გახდებიან საშიშნი სპარსელებისა და ოსმალებისათვის (ტაბაღუა 1965 ა: 99).

ა. ვოლინსკის საგანგებოდ ჰქონდა დავალებული, გაერკვია სპარსეთის ტყვეობაში მყოფი ვახტანგ VI-ის ადგილსამყოფელი, შესაძლებლობის შემთხვევაში აუცილებლად დაკავშირებოდა მას და ეშუამდგომლა შაჰის წინაშე ქრისტიანული წესით დაემტკიცებინათ ქართლის სამეფო ტახტზე, მაგრამ სპარსეთში ჩასულ ა. ვოლინსკის ვახტანგ VI უკვე სარწმუნოებაშეცვლილი დახვდა. ამიტომ რუსეთის ელჩს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოეჩინა სპარსეთის შაჰთან და მით უფრო, ქართველებთან.

სპარსეთში მყოფი ქართლის მეფე დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა რუსეთის საიმპერატორო კარს და ზედმიწევნით ასრულებდა მათ დავალებებს მხოლოდ ერთადერთი მოთხოვნით: „თუ ამ წყალობას მიზამთ, რომ ჩემის ქვეყნისა კიდევ ამის უფრო წახდენასა და გაურჯულებას არ მაჩვენებთ და ამას საფლავში არ ჩამატანთ, რომ ის ჩემს შვილსა და შვილიშვილს დაეკარგოს, ხომ კაი წყალობა იქნება... თუ არ დაგვაგდებთ და არ დაგვივიწყებთ, კარგია. თვარამ ნება თქვენია“ (პაიჭაძე 1981: 165).

1722 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა დაცემის პირას მყოფი სპარსეთის დასალაშქრად აქტიური მზადება დაიწყო და ვახტანგ VI-ს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შესთავაზა. მართლმადიდებელ ერთან დაკავშირებას ქართველები დიდი სიხარულით შეეგებნენ, როგორც მუსლიმ დამპყრობთა უღლისაგან გამათავისუფლებელ ძალას. სპარსეთში ტყვეობისას ვახტანგ VI თვალნათლივ ხედავდა, როგორ საგრძნობლად დასუსტდა სპარსეთი. 1722 წელს, როდესაც ავღანელებმა ალყა შემოარტყეს ისპაანს, სპარსეთის პროვინციებში აჯანყებები დაიწყო და შაჰ სულთან ჰუსეინის მმართველობის აღსასრულის დრო დადგა, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ვახტანგ VI-ისა და რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის ერთობლივი ლაშქრობისათვის. პარალელურად, ვახტანგ VI-ს ურთიერთობა ჰქონდა სომეხ მელიქებთან და სამღვდელოებასთან, რომელნიც სპარსეთის უღლისაგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ვახტანგის დახმარების გარეშე დარჩენილი შაჰ სულთან ჰუსეინი დამარცხდა, რა დროსაც ქართლის მეფე სომხებთან და რუსებთან ერთობლივი ლაშქრობის გეგმებს აწყობდა.

რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარების საკითხის განხილვისას დარბაზი მეფის მიერ არჩეული კურსის წინააღმდეგი იყო, რადგან მრავალრიცხოვან მტერს რუსთა ჯარის შემოსვლამდე მარტივად შეეძლო საქართველოს აოხრება. ამიტომ დარბაზი მეფეს ურჩევდა ემოქმედა საიდუმლოდ და ფარულად მიმხრობოდა რუსეთის იმპერატორს (საითიძე 2011: 316).

შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ლაშქარი უნდა შესულიყო აზერბაიჯანში, სადაც მას შეუერთდებოდა ქართველ-სომეხთა ჯარი ვახტანგ VI-ის მეთაურობით და გაერთიანებული ძალებით ლაშქრობა მოეწყოთ სპარსეთის წინააღმდეგ. ქართლის მეფე იმედოვნებდა, რომ ერთმორწმუნე და ძლიერი რუსეთის დახმარებით მარტივად დაამარცხებდა ავღანთა მიერ განადგურების პირას მყოფ სპარსეთის იმპერიას და თავისუფლებას მოიპოვებდა, რომლისთვისაც აქტიურად იბრძოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაც მან უარი თქვა ოსმალთა სულთნის შემოთავაზებაზე, რომელიც სპარსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას აპირებდა და დახმარების სანაცვლოდ მთელს საქართველოს ჰპირდებოდა. ერთ დროს ძლიერი და წარმატებული ვახტანგ VI გულწრფელად ენდო მართლმადიდებელი ქვეყნის დაპირებებს, ეჭქვეშ არ დაუყენებია მათი ერთობლივი შეთანხმება, არ გაითვალისწინა დარბაზის რჩევა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა პეტრე I-თან დაკავშირებას და საბოლოოდ, შეიწირა კიდეც.

ვახტანგმა დაიწყო აქტიური მზადება ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის. მას საუკეთესო შესაძლებლობა მიეცა სამშობლოს მრავალგზის აკლებისა და მოსახლეობის აწიოკებისათვის შესაფერისი სამაგიერო გადაეხადა. ვახტანგ VI-ის მთავარი საზრუნავი ლეკიანობის თავდასხმების აღკვეთა იყო, რომლის მთავარ ობიექტს კახეთი წარმოადგენდა და ამ პერიოდისთვის თანდათანობით ქართლსაც მოედო. იგი ხვდებოდა, რომ ლეკთა თარეშის აღსაკვეთად აუცილებელი იყო ქართლისა და კახეთის ძალთა გაერთიანება. ამ მიზნით, ვახტანგ VI 1703 წელს მცხეთაში, ხოლო მოგვიანებით — 1719 წელს საფურცლეში შეხვდა კახეთის მეფე დავით იმამ ყული ხანს, რომელთაც ერთობლივი გეგმა შეიმუშავეს. დავით იმამ ყული ხანმა ვახტანგს ქართლში გახიზნული კახელი გლეხების უკან დაბრუნება სთხოვა, მთავარი სათხოვარი კი, ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლის ჯარის მოშველიება იყო. ვახტანგმა საბარათიანოს ლაშქარი ერასტი ყაფლანიშვილის მეთაურობით

კახეთში გაგზავნა, მაგრამ დავითმა ვერ გაბედა ლეკებზე გალაშქრება, რადგან ეს ჯარი არ იყო საკმარისი ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის შემდეგ, როდესაც ლეკებმა არა მარტო ქართლ-კახეთი, არამედ მთელი აზერბაიჯანი და აღმოსავლეთ სომხეთი სერიოზულად დააზარალეს და სპარსეთშიც შეაღწიეს, შაჰის ბრძანებით 1721 წელს ვახტანგ VI აზერბაიჯანის სპასალარად დაინიშნა ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1722 წლის აგვისტოში ქართლის მეფე ჯარით განჯისკენ  გაემართა, სადაც მას შეუერთდა სომეხთა ლაშქარი. ლაშქრობა წარმატებით განვითარდა და  შეუტია მტერს ზეგამში, შამქორში, ბარდაში, ჭარში და ყველგან სასტიკად დაამარცხა ისინი. შეშინებულმა ლეკებმა უკან დაიხიეს. მათ სპარსეთში  ელჩები გაგზავნეს, შაჰს მორჩილება აღუთქვეს და ავღანთა წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას შეჰპირდნენ. ასეთ მძიმე პასუხისმგებლობას იმიტომ იღებდნენ საკუთარ თავზე, რომ ესმოდათ, მეფე ვახტანგის ლაშქრობით მათ ხალხს სრული განადგურება ელოდა. ლეკები ცდილობდნენ შაჰისაგან პატიების მიღებას და სთხოვდნენ დაეცვა ისინი ქართველებისაგან, — წერს ამ ამბების მოწმე პოლონელი მისიონერი იან კრუშინსკი (ასათიანი 2008: 272).  ვახტანგი 1722 წლის 22 ნოემბერს დაბრუნდა თბილისში და დეკემბერში მან შაჰ თამაზისაგან მიიღო ცნობა ავღანთა მიერ შაჰ სულთან ჰუსეინის დატყვევების შესახებ და დამხმარე ჯარის გამოგზავნა ითხოვა. ვახტანგ VI-მ ყველაფერი რუსეთის იმპერატორს აუწყა და პეტრე I-ს სთხოვდა დაეცვა ქართლი ოსმალთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმისაგან, მაგრამ რუსეთის იმპერატორი საკუთარი გეგმის სისრულეში მოყვანით იყო დაკავებული, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად იყენებდა ვახტანგ VI-ს.

ამ წარმატებამ  განსაკუთრებით გაზარდა და განამტკიცა ვახტანგ VI-ის ავტორიტეტი და გავლენა. მან შეიმუშავა გეგმა, რომელიც დაუსრულებელ ლეკთა თარეშს ბოლოს მოუღებდა და სამუდამოდ აღკვეთდა მათ თავდასხმებს. ვახტანგის მიზანი იყო მთელი კავკასიის ხალხთა გაერთიანება ლეკების წინააღმდეგ,  სპარსეთის ტყვეობიდან განთავისუფლება და დამოუკიდებლობის მოპოვება. ქართლის გაძლიერება და ვახტანგის ავტორიტეტი ამის რეალურ შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ მეფის მდგომარეობას სპარსეთის შაჰიც ხედავდა და გრძნობდა მის შედეგებს. ამიტომ, შაჰმა ვახტანგს დაღესტნელთა წინააღმდეგ ლაშქრობა მოაშლევინა და უკან დაბრუნება უბრძანა სწორედ იმ

დროს, როდესაც ქართველთა გამარჯვება გარდაუვალი იყო. შაჰმა ვახტანგს უბრძანა ლეკებთან ბრძოლა მშვიდობიანი მოლაპარაკებით შეეცვალა, რის გამოც მან ელჩების წინაშე დაიფიცა, რომ ამიერიდან შაჰისა და სპარსეთისათვის აღარ იბრძოლებდა, რაც შეასრულა კიდეც.

ამასობაში, ქართლში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა: სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ქართლის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდნენ. ამასთანავე, ქართლის მეფის წინააღმდეგ გამოვიდა კახეთის ახალი მეფე კონსტანტინე მაჰმად ყული ხანი (1722-1732 წ.წ.), რომელიც ვახტანგზე განრისხებულმა შაჰ თამაზმა ქართლის მეფედაც დაამტკიცა. გარდა ამისა, შაჰის ბრძანებით ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ აჯანყდა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონი. კონსტანტინემ თავდაპირველად ვახტანგთან შეთანხმება სცადა, მაგრამ ქართლის მეფის რენეგატი ძმის, იესეს ჩარევის გამო ეს შეთანხმება ვერ მოხერხდა. პირიქით, მოღალატეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შეურიგებელი მტრობა ყოფილიყო ამ ორ მეფეს შორის. კონსტანტინე ჯარით შემოვიდა ქართლში, თავდაპირველი მარცხის შემდეგ მან ლეკთა ჯარი დაიქირავა და თბილისს შემოადგა. მასვე მიემხრნენ განჯისა და ერევნის ხანებიც. მაჰმად ყული ხანის წინააღმდეგ იბრძოდნენ ვახტანგი, ბაქარი და სიმონი, მაგრამ მათ ვერ მოასწრეს ხიდის ჩავლა, თაბორის მთაზე მტრის შეკავება და ლეკები თბილისში შემოიჭრნენ. ბრძოლა სამ თვეს გაგრძელდა. 1723 წლის 4 მაისს კონსტანტინემ თბილისი აიღო. ლეკებმა ქალაქი სასტიკად გაძარცვეს და გადაწვეს სიონის ტაძარი, რომლის დროსაც დაიკარგა თბილისის სიონის ხატი. ამასობაში ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ და ივნისში უკვე თბილისსაც მოადგნენ. ქართლში ოსმალთა შემოსვლისთანავე, დომენტი კათალიკოსმა სვეტიცხოვლის ქონება ლარგვისის მონასტერში გახიზნა. კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო დედაქალაქი და თბილისის კლიტეები ოსმალებს გადასცა, რასაც ოსმალები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. მოლაპარაკების დროს ოსმალებმა კონსტანტინე დაატყვევეს. ვახტანგ VI ცხინვალში გაიხიზნა. იგი შეეცადა ოსმალებისაგან მშვიდობა მოესყიდა და ბაქარსა და იესეს მათთან 12 ჯორზე აკიდებული ძვირფასი განძეულობა გაატანა, მაგრამ ოსმალებმა თავად ვახტანგის გამოცხადება ითხოვეს, რაზეც ქართლის მეფემ უარი განაცხადა. მეფე იმედოვნებდა, რომ მალე საქართველოში რუსთა ჯარი ჩამოვიდოდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა ქართლში ჯარი არ გამოგზავნა

და 1724 წელს ოსმალეთთან ხელშეკრულება დადო, რომლის თანახმადაც, ქართველებთან და სომხებთან შეთანხმების გარეშე, კასპიისპირეთი მის ხელში გადავიდა, ხოლო სპარსეთის იმპერიის დაშლის შედეგად ისარგებლა ოსმალეთმა და მთელი ამიერკავკასია, მათ შორის საქართველოც, მისი იმპერიის ფარგლებში მოექცა.

რუსეთის მიერ მიტოვებული და ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქართლის დამარცხებული მეფე 1724 წლის ივლისში საქართველოს გაეცალა და რუსეთში გადაიხვეწა, „რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტიანობისასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 500), სადაც სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა ეროვნულ-კულტურულ მოღვაწეობას.

რაც შეეხება საეკლესიო პოლიტიკას, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია. მთელი სამცხე-საათაბაგო და ბათუმისა და ყარსის ოლქები ოსმალთა გავლენის ქვეშ მოექცნენ. მტერი საქართველოში გაბატონებასა და ისლამის აქტიურ გავრცელებას ცდილობდა. გააუქმეს და მოშალეს მრავალი ეპარქია, ეკლესია-მონასტერი და საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც მიმდინარეობდა მეცნიერული მუშაობა და სულიერი აღმავლობა. დამპყრობთაგან გარშემორტყმული საქართველო მოწყდა ევროპულ კულტურას და დაქვეითების გზას დაადგა. ხოლო XVIII საუკუნის დამდეგიდან, როდესაც რუსეთის იმპერია საქართველოს საზღვრებს მოადგა, ქართველი მეფეები ყოველმხრივ ცდილობდნენ მათთან კავშირის დამყარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების გაძლიერებასა და მათი მეშვეობით მუსლიმ დამპყრობთაგან განთავისუფლებას.

1724 წელს დომენტი კათალიკოსი ოფიციალური წერილით ატყობინებდა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ს, რომ მისი ძმა ვახტანგი იძულებულია დედაქალაქი დატოვოს და მის სამწყსოს ოსმალები შეერივნენ, რომელნიც ლეკებთან არიან შეკრულნი ქართული სოფლების დასამორჩილებლად. ხოლო თბილისი, გორი და სურამი ოსმალებითაა სავსე, რის გამოც რუსეთის იმპერატორს სთხოვდა შეწყალებას და მისგან ელოდა დახმარებას (ქიქოძე 1988: 59).

1725 წელს დომენტი კათალიკოსი ოსმალეთის სულთანმა სტამბოლში გაიწვია. 20 აპრილს კათალიკოსი და მისი თანმხლები პირები: გერმანოზიშვილი წინამძღვარი

დომენტი, მგალობლიშვილი წინამძღვარი ელისე, გედევანიშვილი მოლარეთუხუცესი პაატა, მეჯინიბეთუხუცესი გაბრიელი, არქიდიაკონი საგანაშვილი ელისე, დეკანოზიშვილი დარბაზისმოურავი იორამი, თუშმალიშვილი ქრისტესია, აზმაიფარაშვილი ქაიხოსრო, მაღალაშვილი ტარიელი და თუმანიშვილი მიტროპოლიტი ქრისტეფორე სტამბოლში გაემგზავრნენ. გზად მათ მოილოცეს წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდისა და წმინდა პანტელეიმონის საფლავები და 4 ივნისს სტამბოლში ჩავიდნენ (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ფონდი, საქმე № 102: 6, 10).

არსებობს მოსაზრება, რომ დომენტი კათალიკოსი ოსმალეთში გაემგზავრა ქართლის სამეფო ტახტის დაუფლების მიზნით, მაგრამ ეს აზრი რეალობას არ შეესაბამება და გავრცელებულია კათალიკოსის მოწინააღმდეგეთა მიერ (მენაბდე 1986: 149).

ოსმალეთში გამგზავრებამდე დომენტი კათალიკოსმა თავის მონაცვლედ დანიშნა თბილელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე თუმანიშვილი, რომელსაც ჩააბარა თავისი სამწყსო და აკურთხა ეზრუნა საკუთარ მრევლზე. მიტროპოლიტ ქრისტეფორეს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა არა მხოლოდ სამღვდელოებაში, არამედ როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკოსთა შორის (თამარაშვილი 1902: 353).

კათალიკოსი დიდი პატივით მიიღეს სულთნის კარზე და საკათალიკოსო მამულები დაუმტკიცეს, მაგრამ ახალციხის ისაყ ფაშას შესმენით 1728 წლის 4 თებერვალს დაატყვევეს როგორც ოსმალთა ბატონობის მოწინააღმდეგე და გადაასახლეს კუნძულ ტენედოსზე, რითაც მათ მოიშორეს მთავარი მოწინააღმდეგე ქართლის სამეფოს დაპყრობის საქმეში. აქ მან შეკრიბა საგალობლები და გადააწერინა წმინდა მამათა თხზულებები.

დომენტი კათალიკოსი ტყვეობიდანაც ცდილობდა თავის სამწყსოზე ზრუნვას. ქართლის მეფე იესეს მიერ დადგენილ ბესარიონ კათალიკოსს იგი მოუწოდებდა და იმედს გამოთქვამდა, რომ ბესარიონი იზრუნებდა შერყეული სარწმუნოების აღდგენისა და ოსმალთა მიერ აოხრებული ეკლესიის ქონების დაცვაზე. განსაკუთრებით კი, ეცდებოდა იმ 50 ყრმის გამოხსნას, რომელიც სტამბოლის გზით ეგვიპტეში ტყვედ უნდა გაეყიდათ. ბოლოს კი, თავის სიტყვას ასრულებს ბესარიონ კათალიკოსისადმი შეგონებით: „რას ფიქრობ, რა პასუხი უნდა მისცე ღმერთსა, რომელმან მოგმადლა შენ დაცვა ქრისტეს

ეკკლესიისა შვილთა? ვსწუხარ სულით, რომ შენს მოვალეობას მოგაგონებ, თუმცა მე ღირსი არა ვარ განკიცხვად შენდა“ (კარბელაშვილი 1900: 137).

1723-1744 წლებში — ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრებისა და დომენტი კათალიკოსის დაპატიმრების შემდეგ გამწვავდა საქართველოს პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობა. მათი მმართველობის დროს ქართველ ერს ჯერ კიდევ შესწევდა ძალა ბრძოლისათვის ქვეყნის გასაერთიანებლად და ეროვნული გეგმის განსახორციელებლად. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი პიროვნების მიერ ხელმძღვანელობა, რომელიც ამ საქმეს ჩაუდგებოდა სათავეში საქართველოს გასათავისუფლებლად. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ვახტანგ VI, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების მიერ მიზანმიმართულად ჩამოშორებულ იქნა ქართლის სამეფო ტახტიდან, ხოლო კათალიკოსის დატყვევებით ისარგებლეს ქართლის თავადებმა და საეკლესიო მამულები მიიტაცეს. საქართველოს ეკლესია სპარსელების, ოსმალთა და ლეკთა მუდმივი შემოსევების შედეგად განადგურდა და სამღვდელოება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამეფოებად და სათავადოებად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს დანაწევრება უფრო მეტად გაძლიერდა, რამაც ხელი შეუწყო ეკლესიის დასუსტებას. საეკლესიო დისციპლინა დაეცა და ადმინისტრაცია მოიშალა. ოსმალები დიდად ავიწროებდნენ ქრისტიანულ ეკლესიას, დახარკეს საეკლესიო ყმა-მამული და ხელს უწყობდნენ მუსლიმობის გავრცელებას. საეკლესიო ქონება მოისპო, მრავალი ეპარქია გაუქმდა. ზოგიერთი მღვდელმთავარი — ქრისტეფორე სამთავრელი, პავლე თბილელი, ნიკოლოზ მროველი, არსენ მანგლელი, ნიკოლოზ ურბნელი და იონა, ხოლო მოგვიანებით მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი, რომანოზ სამთავრელი და იოანე მანგლელი ვახტანგ VI-სთან ერთად გაემგზავრნენ რუსეთში, რითაც XVIII საუკუნის დამდეგს დაწყებული ეროვნულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები შეჩერდა და საქართველო ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის პერიოდში კვლავ დაქვეითების გზას დაადგა (ჟორდანია 1991: 36).

1733 წელს რუსეთის საიმპერატორო კარს ვახტანგ VI-მ გეგმა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც რუსთა ჯარი ქართველთა მეთაურობით საქართველოში უნდა შესულიყო. ამავდროულად, ბესარიონ კათალიკოსი უთვლიდა ვახტანგს: სანამ ყაენი გაძლიერდება,

საჭიროა ყოველნაირი ღონის ხმარება, თორემ წართმეულის დაბრუნება გაჭირდებაო (ქიქოძე 1988: 69).

რუსეთის საიმპერატორო კარი ვახტანგ VI-ისადმი მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლებოდა და ქართლის მეფეს თანდათანობით უმყარდებოდა ეჭვი „მფარველი“ სახელმწიფოს დახმარებაში, რის გამოც ყველა ვარიანტს განიხილავდა საქართველოს დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის. იგი გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა და კარგად ესმოდა, რომ დიდი იმპერიები საკუთარ ინტერესებზე მაღლა არ დააყენებდნენ მათთვის უმნიშვნელო საქართველოს. სწორედ ამის გამო იყო, რომ როდესაც 1719 წელს გამუსლიმებული ვახტანგ VI ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებას ჩაუდგა სათავეში ლეკიანობის აღსაკვეთად, მან სწორად დასახული მიზანი შაჰის შეგნებული ჩარევით ბოლომდე ვერ მიიყვანა, რის შედეგადაც: ვერც ლეკთა თავდასხმები შეაჩერა, ვერც სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდა და საკუთარ სამშობლოს მოწყვეტილმა, ერთმორწმუნე „მფარველის“ დახმარების მოლოდინში დალია სული და ეს დარდი თან გაიყოლა. მან თავისი სამეფოსთვის ყველაფერი გააკეთა ისე, როგორც იმ დროის ერთპიროვნულ მმართველს შეეძლო და ღრმად სწამდა, რომ დამპყრობთაგან გარშემორტყმული საქართველო ერთმორწმუნე, ძლიერ იმპერიასთან კავშირში გაიმარჯვებდა და განთავისუფლდებოდა მუსლიმთა ბატონობისაგან. მაგრამ ქართლის მეფის ეს სურვილი მის სიცოცხლეში ვერ განხორციელდა. იგი 1737 წლის 27 მარტს ასტრახანში გარდაიცვალა.

პარალელურად, ვახტანგ VI სომეხი ერისათვის დიდად პატივსაცემი მეფე იყო. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სომეხ ხალხთან მათი არმიის ჩამოყალიბების საქმეში, მიაწოდა მათ სამხედრო მრჩევლები და სარდლები, რის გამოც სომხები დიდად მადლიერნი იყვნენ ვახტანგ VI-ისადმი. ახპატის წინამძღოლი, მინას ვარდაპეტ ფერვაზიანი მოსკოველ მინას მოძღვარს წერდა: „უფალმა გამოუღვიძა ჩვენს ქრისტიანებს კეთილი მწყემსი და მძლე ქართველი ვალი, რომელმაც თავისი კეთილგონიერებითა და ნიჭით შეკრიბა დარჩენილი და გაფანტული სომეხი ერი, ადგილ-ადგილ გაამაგრა და მეურვეობა გაუწია“ (დუმბაძე 1973: 425).

რაც შეეხება დომენტი კათალიკოსს, იგი 14 წლიანი პატიმრობის შემდეგ, 1738 წლის 25 მაისს სტამბოლიდან გამოისტუმრეს, 1739 წლის 27 ნოემბერს სამშობლოში დაბრუნდა და კვლავ ჩაუდგა სათავეში საქართველოს ეკლესიას ეროვნულ-ზნეობრივი მოღვაწეობით. მართალია, მისი საქმიანობა ამჯერად დიდხანს აღარ გაგრძელებულა — 1741 წელს იგი დაავადდა და გარდაიცვალა, მაგრამ მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, მან ერისა და ქვეყნის წინაშე სულიერი წინამძღოლის საპასუხისმგებლო მოვალეობა მეფესთან ერთად ღირსეულად და კეთილსინდისიერად შეასრულა.

გარდაცვალებამდე დომენტი კათალიკოსმა კრებით გამოირჩია იესეს ძე ქუთათელი ანტონი, რომელმაც უარი თქვა კათალიკოსობაზე. რის შემდეგაც, დომენტიმ ურბნელი ნიკოლოზ ხერხეულიძე კათალიკოსად აკურთხა. „ესე იყო უმეცარი და საეროთა უფრო გამწყობი, ვიდრე სამღუდელოთა. და მოყურობდა თათართა, ვიდრე ქრისტიანეთა.“ საეკლესიო ქონების გაუფრთხილებლობისა და არაჯეროვანი საქციელის გამო ღმერთმა სასჯელი მოუვლინა და „უკეთურმან მაჰმადიან ყოფილმან თაზისშვილმან ტარიელ მახვილითა მოკლა“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 518).

კათალიკოსის მკვლელი ქვით ჩაქოლეს და აიკლეს მისი ახლო ნათესავები. ტყვეებით მოვაჭრეთა მებატონეების მიმართ ასეთი შემთხვევები ამ პერიოდის საქართველოში ჩვეული მოვლენა იყო, მაგრამ კათალიკოსის მკვლელობა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მიუთითებს მმართველი წრეების ზნედაცემულ მდგომარეობაზე, რომელიც ეკლესიის წიაღშიც იყო გავრცელებული. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ძირეული ღონისძიებების გატარება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რომლის ხელმძღვანელი მომდევნო პერიოდში მეფე ერეკლე-თეიმურაზთან ერთად გახდა ანტონ I დიდი კათალიკოსი (ქიქოძე 1942: 78).

## § 2.6. ურთიერთობა გარესამყაროსთან მეფედ კურთხევის ტრადიციული ქართული წესის აღდგენისთვის

XVIII საუკუნის დამდეგიდან, რუსეთთან ურთიერთობების გააქტიურების პარალელურად, გაძლიერდა ურთიერთობები კავკასიასთანაც. კავკასიის ქვეყნებს შორის არსებობდა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, ხოლო მათ შორის ყველაზე მჭიდრო კავშირი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ჰქონდა ჩრდილო კავკასიასთან.

აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა 1722 წლიდან, როდესაც რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის შეთანხმებით კასპიისპირეთში დაიწყო ლაშქრობა. იმპერატორის ბრძანებითა და სენატის გადაწყვეტილებით დერბენდში ასახლებდნენ ქართველებს და აძლევდნენ მიწებს. იყო ასევე, ქართველებისა და სომხების ამ ტერიტორიაზე გადმოსახლების მცდელობა ქრისტიანი მოსახლეობის გამრავლების მიზნით, რომელნიც შემდეგ რუსულ ჯარში მსახურობდნენ. აქვე ცხოვრობდა რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის ზოგიერთი თანმხლები პირი. მათ შორის იყვნენ სასულიერო პირები, რომელთაც ჩრდილო კავკასიაში — დაღესტანში, ოსეთსა და ინგუშეთში განაგრძეს მისიონერული მოღვაწეობა. ჩრდილო კავკასიის ხალხებთან საქართველოს მუდამ მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა, რასაც ხელს უწყობდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი საერო და სასულიერო ხელისუფლება.

დერბენდში არსებობდა ქართული მონასტერი, რომლის წინამძღვარი იყო იოანე მანგლელი ეპისკოპოსი. 1735 წელს კასპიისპირეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გადავიდა ყიზლარში, რომელთა რიცხვი XVIII საუკუნის განმავლობაში თანდათან გაიზარდა. მათი ძირითადი ნაწილი დაკავებული იყო სოფლის მეურნეობითა და ვაჭრობით. სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ასტრახანსა და სტავროპოლთან ისევე, როგორც საქართველოს ქალაქებთან (თბილისი, გორი, სურამი).

ჩრდილო კავკასიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის იოანე მანგლელს (სააკაძე), რომელმაც სხვა სასულიერო პირებთან ერთად XVIII საუკუნის 20-40-იან წლებში დერბენდში, ასტრახანსა

და ყიზლარში ააშენა ეკლესიები და მრავალი ქრისტიანი მონათლა. ასევე, ყიზლარში დააარსა სასულიერო სასწავლებელი. იოანე მანგლელს მატერიალურად დიდად ეხმარებოდნენ ქართლის მეფე ვახტანგ VI და რუსეთის იმპერატორი პეტრე I.

1742 წელს იოსებ  სამებელმა და ნიკოლოზ ქართველმა რუსეთის იმპერატორს წარუდგინეს მოხსენება „ოსეთში სამისიონერო მიზნით ქართველი სასულიერო პირების გაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ.“ მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ქრისტიანობის გავრცელების პარალელურად ქართველი სასულიერო პირები ოს ხალხს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებად აქცევდა.

ოსმალეთთან დაპირისპირების ვითარებაში რუსეთის ხელისუფლებისთვის მისაღები იყო ქრისტიანობის გავრცელება, რაც ჩრდილო კავკასიელ ხალხებს დაეხმარებოდა პოლიტიკური ორიენტაციის არჩევაში. აქედან გამომდინარე, 1744 წელს რუსეთის წმინდა სინოდმა დაამტკიცა იოსებ სამებელის ხელმოწერით წარდგენილი გეგმა „ოსეთის სასულიერო კომისიის“ დაარსების შესახებ. „კომისიის“ დაარსების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ბაქარ ბატონიშვილმა, რომლის 1743 წლის ელჩობის შედეგად ყაბარდოელები დასთანხმდნენ ოსეთში მისიონერების მიღებას. მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა იოანე მანგლელი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ასევე ეროვნებით ქართველი არქიმანდრიტი პახომი.

მრავალფეროვანი იყო ჩრდილოკავკასიაში ქართველ სასულიერო პირთა მოღვაწეობა. 1745 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისია“ თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში იყო დაკომპლექტებული სრულად ქართველებით. მომდევნო პერიოდში მმართველობა გადავიდა რუსების ხელში, თუმცა, მათ უმრავლესობას კვლავ ქართველები შეადგენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „მისიას“ მხოლოდ ოსეთის ტერიტორიაზე უნდა ემოღვაწა, მათი საქმიანობა მთელს ჩრდილოკავკასიაზე ვრცელდებოდა.

1745 წელს „კომისიამ“ სინოდს აცნობა, რომ ოსეთის თავკაცებს სურდათ პეტერბურგში ჩასვლა და რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების თხოვნა.

1751 წელს არქიმანდრიტმა პახომმა რუსეთის მთავრობის წინაშე დააყენა ქურთაულის ხეობაში სკოლის გახსნის საკითხი, რომელიც 1764 წელს მოხერხდა მოზდოკში.

მიუხედავად იმისა, რომ „კომისია“ რუსული ორგანიზაცია იყო, რუსეთიდან ფინანსდებოდა და მათი ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა, ქართველი მისიონერები ცდილობდნენ თავიანთი საქმიანობა ჩრდილო კავკასიაში ქართული გავლენის გავრცელებისკენ მიემართათ. ისინი ოს ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ, ოსურად თარგმნიდნენ საეკლესიო წიგნებს, რისთვისაც ოსურ ანბანს ქართული გრაფიკა დაუდეს საფუძვლად, აგროვებდნენ შემოწირულობებს ჩრდილო კავკასიაში ტყვეობაში მყოფი ქართველების გამოსახსნელად და ა.შ. მათ ჰქონდათ მცდელობა ოსეთი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ქვეშევრდომობაში შეეყვანათ, თუმცა „კომისიის“ წევრების — ნიკოლოზ და ქაიხოსრო მახათელიშვილების მიერ სინოდში დასმენის შემდეგ ეს საქმე ჩაიშალა.

„კომისიის“ წევრებს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა. მაგალითად, გერმანე თბილელი ლეკებმა ისე დაჭრეს, რომ სიკვდილს ძლივს გადარჩა; არქიმანდრიტი პახომი ყაბარდოელმა მთავრებმა გაძარცვეს და წაართვეს ქართველი ტყვეების გამოსახსნელად შეგროვებული თანხა; გრიგოლ რომანიშვილი გურიაში მოკლეს ოსმალეთის აგენტებმა და სხვ. მიუხედავად ამისა, ქართველი მისიონერები აქტიურად აგრძელებდნენ მისიონერულ საქმიანობას ჩრდილო კავკასიაში. მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგად XVIII საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის აღორძინებასა და განმტკიცებას, ცხოვრების წესისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლის საქმეს, რაც საფუძველი გახდა საქართველო-რუსეთ-ჩრდილოკავკასიის ხალხთა პოლიტიკური დაახლოებისა (ხანთაძე 1957: 405-411).

ამ დროის საქართველოსა და გარესამყაროში ასეთი პოლიტიკური ვითარება იყო: ბაქარ ბატონიშვილის ოსმალთაგან განდგომის შემდეგ თბილისის გამგებლობა არზრუმის სერასკირმა იბრეჰიმ ფაშამ იგდო ხელთ, რომელმაც ადგილობრივ ხელისუფალთაგან ვერავისთან შეძლო კავშირის დამყარება. ამის გამო მის ნაცვლად დანიშნეს ყარსის მუსტაფა ფაშა, რომელმაც ქართლის გამგებლობა ვახტანგ VI-ის ძმას  იესე მუსტაფას (1724-1727 წ.წ.) გადასცა. იესე ერთგულად ჩადგა ოსმალთა სამსახურში, მაგრამ მათი გაბატონებით უკმაყოფილო იყო  ქართლის მოსახლეობა, რომელიც ასაჯანყებლად ემზადებოდა. მათ მოუწოდეს კონსტანტინე კახთა მეფეს, რომელმაც ტყვეობას დააღწია თავი და ქრისტიანობას

დაუბრუნდა. კონსტანტინეს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მეზობელ მუსლიმურ სახანოებში და ანტიოსმალური კავშირის მეთაურად განიხილებოდა მთელს ამიერკავკასიაში.

ქართლის თავად-აზნაურებმა ერთგულება გამოუცხადეს კონსტანტინე მაჰმად ყული ხანს, რათა სათავეში ჩასდგომოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას. აჯანყებულებს განზრახული ჰქონდათ გორის ციხის აღება და შემდეგ თბილისზე შეტევა.

1724 წლის სექტემბერში გორის მახლობლად, გუფთასთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, სადაც ქართველებმა სძლიეს და გააქციეს ოსმალთა ჯარი, მაგრამ მოღალატე იესემ მოაბრუნა გაქცეული მტერი და დამატებითი ძალებით დაამარცხა ქართველები.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ოსმალებმა ქართლის მოსახლეობა აღწერეს და დიდი ხარკი შეაწერეს: „კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზე აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექუსი შაური, მოსავალსა ზედა ხუთისთავი ხილითურთ და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 508). ამას ემატებოდა ის გადასახადები, რომლებიც ქართველ გლეხებს უცვლელად დარჩათ საკუთარი მებატონეებისგან. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას მუდმივად ესეოდნენ და ძარცვავდნენ ლეკები. მათ მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა: ტყვეები, საქონელი, სურსათი, იარაღი, ავეჯი და ა.შ.

ოსმალთა ბატონობით უკმაყოფილო იყო ქართული საზოგადოების ყველა ფენა. მათ მოხელეთა ძალადობა, მექრთამეობა, უვიცობა, უგულობა, სისასტიკე და თავხედობა მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ყველას. ისინი აბუჩად იგდებდნენ თვით დიდებულ თავადებსაც კი. 12-წლიანი ბატონობის პერიოდში ოსმალები უმკაცრესად სჯიდნენ ქართველთა მიერ გამოვლენილ მუდმივ წინააღმდეგობას. ყველას, ვინც შენიშნული იქნებოდა ოსმალებისადმი რაიმე წინააღმდეგობაში, სასტიკად უსწორდებოდნენ.

1727 წელს მეფე იესეს გარდაცვალების შემდეგ ოსმალებმა ქართლის სამეფოში მოსპეს ადგილობრივი მმართველობა და იგი ახალციხის (ჩილდირის) გამუსლიმებული ჯაყელების შთამომავალს ისაყ ფაშას დაუქვემდებარეს. მასვე დაევალა კახეთის დაპყრობა და დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ზედამხედველობა.

ისაყ ფაშამ ქართლი ოსმალური წესის მიხედვით სანჯაყებად დაყო და 6 გავლენიან თავადს გაუნაწილა, რომელთაც დაევალათ ხარკისა და სხვა მათთვის სასარგებლო მოსაკითხის აკრეფა. ამით ოსმალეთი მათი გულის მოგებას ცდილობდა, მაგრამ ისინი მაინც უკმაყოფილონი იყვნენ იმის გამო, რომ ყმა-მამულის მფლობელობის უფლება ოსმალთაგან უნდა მიეღოთ, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო კახეთი: აქ გადმოსული კონსტანტინე მაჰმად ყული ხანი ხან ლეკებთან კავშირში ოსმალებს ებრძოდა, ხანაც ოსმალების დახმარებით ლეკების განდევნას ცდილობდა, რომელთაც თითქმის მთელი კახეთი დაიმორჩილეს, ააოხრეს და გაავერანეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი მუდმივად ციხეებში იყო ჩაკეტილი, უმრავლესობა გალეკებას არჩევდა, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ეროვნების შენარჩუნება. ყოველივე ამან კახეთის მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. ბრძოლა თელავიდან დაიწყო, რომელთაც დაამარცხეს ლეკთა ჯარი და ამოწყვიტეს მათ სახლებში ჩამდგარი ახალ-ბატონები. თუმცა, ლეკებს ციხეებიც ეჭირათ და მათ დასამარცხებლად ერთიანი ხელმძღვანელობა იყო საჭირო. ამიტომ, კახელებმა მოიწვიეს ფშავში გახიზნული კონსტანტინე და მისი ძმა თეიმურაზი. გაძევებული თავადაზნაურობა და სამღვდელოება თანდათანობით დაუბრუნდა თავის საყმოსა და სამწყსოს და განადგურების პირას მყოფი სამეფოსა და ეკლესიის აღდგენას შეუდგნენ.

თელავში დაბრუნებულმა კონსტანტინემ ლეკებთან მოლაპარაკება სცადა ოსმალთა წინააღმდეგ მათ გამოსაყენებლად, რასაც ვერ ეგუებოდნენ ოსმალები და აძლიერებდნენ კახეთზე შეტევას. ბოლოს, კონსტანტინე დამორჩილდა მათ და ხარკი იკისრა. მიუხედავად ამისა, ოსმალები მას მაინც არ ენდობოდნენ, რის გამოც ისაყ ფაშას ძემ უსუფ ფაშამ იგი თავისთან დაიბარა თითქოს კახეთის გადაცემის შესახებ სულთნის ბრძანების გადასაცემად. იგი დიდი პატივით მიიღეს და ნადიმის შემდეგ უკნიდან მიპარვით ხანჯალი ჩასცეს, ამოწყვიტეს  მისი მხლებლებიც და თავად გაბატონდნენ კახეთში, თუმცა მცირე ხნით.

კონსტანტინე მაჰმად ყული ხანს შვილი არ დარჩენია და კახეთის ტახტის მემკვიდრედ მისი ძმა თეიმურაზი ითვლებოდა. თუმცა, დაუსრულებელი ლეკთა და

ოსმალთა შემოსევების გამო იგი ფშავში იყო გახიზნული. დიდებულთა რჩევით თეიმურაზი კახეთში დაბრუნდა, 1732 წელს ისაყ ფაშამ თბილისში დაიბარა და ქრისტიანობით კახეთის გამგებლად დაამტკიცა.

ამასობაში სპარსეთის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა გამოსწორდა: შაჰ თამაზის ნიჭიერმა სარდალმა ნადირ ხანმა ავღანელები დაამარცხა და 1730 წელს სრულად განდევნა სპარსეთიდან, რის შემდეგაც ოსმალებს შეუტია. მან რუსეთის მთავრობა აიძულა, სამხრეთ და დასავლეთ კასპიისპირეთი კვლავ ირანის მფლობელობაში გადასულიყო. 1733 წელს ნადირ ხანმა კერკუკთან სასტიკად დაამარცხა ოსმალთა არმია და 1734 წელს განჯას შემოარტყა ალყა. შექმნილი ვითარება ქართველებმა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს და კახეთიდან ოსმალთა განდევნა სცადეს. ამ აჯანყებას თეიმურაზ ერეკლეს ძე მეთაურობდა. მან სოფ. მაღაროსთან დაამარცხა იუსუფ ფაშა, რითაც კარგი დახმარება გაუწია სპარსელებს და გზა გაუხსნა ოსმალებს საქართველოდან მათ განსადევნად. ისაყ ფაშამ ახალციხისკენ წასასვლელი გზა ითხოვა, 1735 წლის 30 ივლისს იგი ქართლს გაეცალა და 6 ნოემბერს ნადირ ხანი თბილისში შემოვიდა. ამით ქართლში დასრულდა „ოსმალობა“, რაც არანაკლებ მძიმე „ყიზილბაშობამ“ შეცვალა.

ნადირ ხანმა თეიმურაზს ჭარის დალაშქვრა უბრძანა და ჯარი გამოაყოლა, რაც მან წარმატებით შეასრულა და ერევნისკენ გაემართა. აქ ნადირ ხანმა თეიმურაზი ქართველ დიდებულებთან ერთად დააპატიმრებინა, ქართლ-კახეთის მმართველად კი თეიმურაზის ძმის, დავით იმამ ყული ხანის ძე — ალექსანდრე ალი მირზა დანიშნა. ქართველებმა გაქცევა მოახერხეს და თუშეთს შეაფარეს თავი.

ქართლ-კახეთის ახალმა მმართველმა ნადირ ხანის ბრძანებით ქვეყანას დიდი ხარკი და 2000 მეომრის გამოყვანა დააკისრა, რითაც მოსახლეობა მათ წინააღმდეგ განაწყო.

თბილისში შემოსული ნადირ ხანი მხოლოდ 17 დღეს გაჩერდა დედაქალაქში და ოსმალთა დასახმარებლად დაგვიანებით მოსული ყირიმელთა გასანადგურებლად დარუბანდისკენ გაემართა, უკუაქცია ისინი, თავად მუღანში ჩავიდა, შაჰ თამაზ II გადააყენა და ირანის დიდებულთა ყურულთაიზე 1736 წლის 26 თებერვალს თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. მან დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს საკითხს: ამჯერად ალექსანდრე ალი მირზას მხოლოდ კახეთი, ხოლო ქართლი ყიზილბაშ სეფი ხანს გადასცა, რომელმაც

ახალი, მძიმე გადასახადები დააწესა. ამას ქართველ თავადთა განდგომა მოჰყვა. სეფი ხანმა მათ მარბიელი ლაშქარი შეუსია, რომელიც შანშე ქსნის ერისთავმა და გივი ამილახვარმა დაამარცხეს და აიძულეს სეფი ხანი თბილისში ჩაკეტილიყო.

ასეთ ვითარებაში ქართველთა ერთადერთ სავარაუდო დამხმარე ძალად რუსეთი განიხილებოდა და რამდენიმე ელჩობაც გაიგზავნა, თუმცა არცერთ მათგანში თეიმურაზს არ მიუღია მონაწილეობა. იგი ითვალისწინებდა გარესამყაროში შექმნილ მძიმე ვითარებას და დიპლომატიურად მოქმედებდა. მას სურდა რუსეთიდან გამოეგზავნათ ქართლის ტახტის მემკვიდრე ბაქარ ვახტანგის ძე, მაგრამ ნადირ შაჰის ვერაგული პოლიტიკის შიშის გამო თავად ბაქარი იყო ამ ინიციატივის წინააღმდეგი, რასაც ასევე, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ურჩევდნენ. მიუხედავად ამისა, ამ ელჩობებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

რუსეთის დახმარების იმედად მყოფი აჯანყებული ქართველები მარტონი დარჩნენ. სეფი ხანმა მათ პატიება, შაჰთან შუამდგომლობა და ხარკის შემცირება აღუთქვა; თავისთან დაიბარა, დააპატიმრა და ისპაჰანში გაგზავნა ნადირ შაჰთან, რომელთა შორისაც იყო თეიმურაზ II.

სპარსეთის შაჰი დარწმუნდა, რომ ქართველთა დაუსრულებელი აჯანყებების გამო დათმობაზე წასვლა აუცილებელი იყო. მან 1737 წელს ტყვეობაში მყოფ თეიმურაზს კახეთიდან ქალ-ვაჟის დაბარება მოსთხოვა. თეიმურაზის ასული ქეთევანი ცოლად შერთო თავის ძმისწულ ალი ყული მირზას, რომელიც შემდეგ სპარსეთის შაჰი გახდა ადილ შაჰის სახელით, ვაჟი — ერეკლე თან წაიყვანა ინდოეთის ლაშქრობაში, ხოლო თეიმურაზი სამშობლოში გამოისტუმრა და კახეთი დაუბრუნა სამმართველოდ.

თითქმის ორწელიწადნახევარი დაჰყო ერეკლე ბატონიშვილმა ნადირ შაჰთან, სადაც კარგი სკოლა გაიარა და შეისწავლა სპარსეთის სამხედრო და სამოქალაქო წყობა, პოლიტიკა, დიპლომატია და სტრატეგია. 1739 წლის ბოლოს იგი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დროს დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა ქართლის თავადებს შორის, რომელსაც მიზანმიმართულად ხელს უწყობდნენ და აღვივებდნენ სპარსელები: შანშე ქსნის ერისთავი თავს დაესხა არაგვის საერისთავოს, ამოწყვიტა ბარძიმ ერისთავის სახლი და დაუპირისპირდა საამილახვროსა და

სამუხრანბატონოს. ნადირ შაჰმა შანშეს მოწინააღმდეგე თავადებს წყალობა უბოძა და ქსნის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. გივი ამილახვარი სხვა თავადებთან ერთად ყიზილბაშთა ჯარის დახმარებით ქსნის საერისთავოში შეიჭრა და შანშე დაამარცხა. ერისთავი ძმასთან ერთად ახალციხეში გაიქცა, მაგრამ მალე შეიპყრეს და სპარსეთში გაგზავნეს, სადაც მას თვალები ამოწვეს. გივი ამილახვარმა ქსნის ხეობა და ქართლის ვექილობა მიიღო, ხოლო მის სიძეს — ბეჟანს არაგვის ერისთავობა გადასცეს.

1741-1742 წლებში ნადირ შაჰი დაღესტანში ლაშქრობდა. ჯარის სურსათით მომარაგება ქართველებს დაევალათ, რისთვისაც მოსახლეობა აღწერეს და დამატებითი გადასახადები დააკისრეს. მდგომარეობას ამძიმებდა ისიც, რომ ამ დროს ქართლში პურის დიდი მოუსავლიანობა იყო და ნადირ შაჰმა ხარკის ნაცვლად 3 მლნ ოდენობის პური მოითხოვა, რომელიც ქართველებს თავიანთი ურმებით უნდა მიეტანათ. 8000 ხარიდან მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა უკან, რაც მიწადმოქმედი ქვეყნის გამწევი ძალის გარეშე დარჩენას ნიშნავდა.

ამ მძიმე პირობებმა ქართლი კვლავ ააჯანყა დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელსაც გივი ამილახვარი მეთაურობდა. მან თეიმურაზსაც შესთავაზა აჯანყებაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ კახეთის მეფისგან უარი მიიღო. თეიმურაზი შორსმჭვრეტელი მეფე იყო და სწორად მოქმედებდა: გივი ამილახვარი ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლას ოსმალების მხარდაჭერით ცდილობდა და მათი გამარჯვების შემთხვევაში ქართლში კვლავ „ოსმალობა“ დამყარდებოდა, რაც წინა პერიოდის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყიზილბაშებთან შედარებით გაცილებით უარესი დამპყრობლები იყვნენ.

ნადირ შაჰმა გივი ამილახვრის შემორიგება სცადა, თუმცა უშედეგოდ. მან ქართლის ყიზილბაში მმართველიც ახლით შეცვალა და თავის მოხელეებს დაავალა „ხარაბა“ (მიტოვებული) ადგილები ხარკისგან გაეთავისუფლებინათ. ამასთანავე, კახეთიც გაათავისუფლა ხარკისგან და მხოლოდ 500 მეომრის გამოყვანა დაავალა, რომელიც თეიმურაზს უნდა ხლებოდა. ამრიგად, ნადირ შაჰი დათმობაზე წავიდა და კახეთის „გაყიზილბაშებაზე“ ხელი აიღო.

1743 წელს არაგვის ერისთავი ბეჟანი და მისი ბიძაშვილი ოტია აჯანყებულმა არაგველებმა მოკლეს, თეიმურაზი მეფედ მოიწვიეს და ყმობა შეჰფიცეს. 1744 წელს გივი

ამილახვარს ოსმალეთიდან დამხმარე ჯარი მოუვიდა, რომელიც მის მომხრეებთან ერთად ერეკლე ბატონიშვილმა აჩაბეთის ციხესთან სასტიკად დაამარცხა. ამასთანავე, თეიმურაზმა ტყვედ იგდო სპარსეთის ტახტის ერთ-ერთი მაძიებელი, რომელიც შაჰს გაუგზავნა. ნადირ შაჰმა თეიმურაზი შესაფერისად დააჯილდოვა: ქართლის მმართველად დანიშნა და ყაზახ-ბორჩალო გადასცა. ყოველივე ეს თეიმურაზის სწორ პოლიტიკაზე მიუთითებდა, რის გამოც მოსახლეობა ქართლიდან იყრებოდა და კახეთში სახლდებოდა, გივი ამილახვარს მომხრეები თანდათან აკლდებოდა და ბოლოს მას ქსნისხეველებიც განუდგნენ.

1744 წელს ქართლში ოსმალთა დიდი ჯარი შემოვიდა უსუფ ფაშას მეთაურობით, რომელთაც დაღესტანში თანხა მიჰქონდათ ლეკების დასაქირავებლად. თეიმურაზი ყიზილბაშთა დამხმარე ჯარით გორის მახლობლად შეება, მაგრამ დამარცხდა. აქედან უსუფ ფაშამ ოსმალთა ჯარი გაგზავნა დაღესტანში ლეკთა დასაქირავებლად, რომელთაც ერეკლე ბატონიშვილი არაგვის პირას, საგურამოსთან ჩაუსაფრდა და მოულოდნელი თავდასხმით გაანადგურა. უსუფ ფაშა ახალციხეში გაიქცა, გივი ამილახვარი კი სურამის ციხეში ჩაიკეტა.

ამ პერიოდში ნადირ შაჰს საკმაოდ გაურთულდა მდგომარეობა ოსმალეთთან ომის პირობებში: მისი წაქეზებით აჯანყების პირას იყო მისული მთელი ამიერკავკასიის არაერთი სახანო. შექმნილ ვითარებაში გივი ამილახვრის ბრძოლა, რომელიც უშუალოდ ოსმალეთის მოსაზღვრე ქართულ ტერიტორიას აკონტროლებდა, საქართველოში სპარსეთის ბატონობას დიდ საფრთხეს უქმნიდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ირანს უჭირდა. ნადირ შაჰისთვის ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი ისევ ქართველების ერთმანეთზე წაკიდება იყო, საუკეთესო კანდიდატი კი — თეიმურაზი, რომელიც მთელს სამეფოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

არაგვისა და ქსნის ხეობების შემოერთების შემდეგ კახეთის პოლიტიკოსებს გზა გაეხსნათ გივი ამილახვარზე შეტევისათვის, რომლის სააკითხის მოგვარება სპარსეთის შაჰის კარმა უშუალოდ თეიმურაზს დაავალა. ამ ბრძოლების შედეგად ამილახვარს მომხრეები სრულად შემოეცალა და ოსმალთა აგენტად იქცა საქართველოში. ბოლოს, იმედდაკარგული და ყველასგან მიტოვებული თავადი ერეკლე-თეიმურაზს დანებდა. შეპყრობილი ამილახვარი თეიმურაზმა სპარსეთში გაგზავნა და ნადირ შაჰს მისი შეწყალება სთხოვა.

გივი ამილახვარმა თავისი ახოვანი გარეგნობით, კეთილშობილური ქცევითა და დიპლომატიური ნიჭით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნადირ შაჰზე, რის გამოც დასჯას გადარჩა. მოგვიანებით, მან სპარსეთის ყულარაღასობა მიიღო და დიდი ქონება შეიძინა. 1749 წელს, როდესაც ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ სპარსეთში არეულობა დაიწყო და ქართლ-კახეთის მოსახლეობამ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, გივი ამილახვარი მათ დიდად დაეხმარა და მშვიდობიანად დააბრუნა ქართლში. სიცოცხლის ბოლო პერიოდში გივი ამილახვარმა თავისი ქონების დიდი ნაწილი დანგრეული ეკლესიების აღდგენასა და სხვა სათნო საქმეებს მოახმარა, როგორც ქართლ-კახეთში, ასევე, იმერეთსა და სამცხეში (ქიქოძე 1942: 74-75).

ერეკლე-თეიმურაზის წარმატებული მოქმედებებით უაღრესად კმაყოფილმა ნადირ შაჰმა მიიღო საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება: თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ ქრისტიანად დაამტკიცა, სპარსეთის ხაზინიდან „ჯამაგირი“ დაუნიშნა და ქართლს ხარკი საგრძნობლად შეუმცირა. ეს იყო 150-წლოვანი „ქართველობის“ დიდი გამარჯვება, რომელიც განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა.

მიუხედავად მამა-შვილის ამ წარმატებისა, თავად-აზნაურთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ თეიმურაზმა ქართლის ტახტი უკანონოდ დაიკავა და არ ცნობდა მის ხელისუფლებას. ამიტომ, ანტონ კათალიკოსმა თეიმურაზის ავტორიტეტის ასამაღლებლად მეფედ კურთხევისთვის საგანგებოდ მოამზადა საზოგადოება.

მეფედ კურთხევის ცერემონიალი ჩატარდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში 1745 წლის 1 ოქტომბერს — სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე. თითქმის საუკუნე-ნახევარი იყო გასული, რაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანულად მირონცხებული მეფე აღარ მჯდარა. მეფის კურთხევის წესი დავიწყებული იყო. ამიტომ საქართველოს ახალმა კათალიკოსმა ანტონ I-მა ეს წესი კლასიკური დროის ძეგლების მიხედვით აღადგინა და სათანადო ბრწყინვალებით ჩაატარა. ცხადია, იგი კარგად ითვალისწინებდა ამ აქტის მორალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას (პაპუნა ორბელიანი 1854: 417).

## §2.7. იმერეთის სამეფოში არსებული გამოწვევები და აფხაზთა საკათალიკოსოს როლი „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ

XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო. ფეოდალთა სეპარატიზმი ქვეყანას გაძლიერებისა და გაერთიანების საშუალებას არ აძლევდა. იმერეთის მეფის სუსტი ხელისუფლების გამო ქვეყანას ფეოდალები მართავდნენ. მათი დაუსრულებელი ურთიერთდაპირისპირება ზნეობრივად და მორალურად ასუსტებდა დაცემის პირას მყოფ სახელმწიფოს. ქრისტიანული სარწმუნოების დაკნინებასა და ანტიეროვნული პოლიტიკის წახალისებას ხელს უწყობდა ოსმალეთი, რაც ეროვნულ და მორალურ ღირებულებათა გაუფასურებას განაპირობებდა. მაღალ ფეოდალთაგან მაგალითმიცემულნი, „გარყვნილნი, ფიცის მტეხელნი, ტყვის-მყიდველნი, მხდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი არათუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა მოქმედნი ამის ყოველთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 859). ამ საერთო დაცემულ მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებდა ტყვის სყიდვა: ტყვეებს ყიდდნენ ყველანი — მეფეებიც, მღვდელმთავრებიც, მთავრებიც, თავადებიც, აზნაურებიცა და გაყაზახებული გლეხებიც. ახალციხის ფაშა ოსმალთა სულთნის მიზანმიმართული პოლიტიკით ხელს უწყობდა იმერეთის სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის დასუსტებას, რის გამოც დასავლეთ საქართველოს ფეოდალები იმერეთის ტახტზე მუდმივად ცვლიდნენ — სიკვდილით სჯიდნენ ან განდევნიდნენ მეფეებს (რეხვიაშვილი 1989: 147). ასეთი ვითარება ხელს უშლიდა აღმოსავლეთ საქართველოში ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებულ ქვეყნის გაერთიანების გეგმის განხორციელებას და სისრულეში მოყვანას. მის კარზე თავს აფარებდნენ იმერეთში არეულობის დროს დამარცხებული და გამოძევებული მეფის საგვარეულოს წევრები და თავადები. 1698 წელს იმერეთში ახალციხის ფაშას შუამდგომლობით სულთანმა იმერეთის მეფედ ალექსანდრე IV-ის უკანონო შვილი სიმონი დაამტკიცა. იმერეთის უძლიერესმა თავადმა გიორგი აბაშიძემ სასწრაფოდ ისარგებლა მეფის პოლიტიკური სისუსტით და საკუთარი გავლენის გასამყარებლად თავისი ასული ანიკა მეფეს შერთო ცოლად. სამეფოს მართვაში ასევე აქტიურად მონაწილეობდა მისი მეორე ასული, იმერეთის დედოფალყოფილი — თამარი. მათმა თვითნებურმა მმართველობამ აიძულა სიმონ მეფე დაეტოვებინა სამეფო ტახტი და კვლავ ახალციხეში გადასულიყო, რის

შემდეგაც მთელი ძალაუფლება გიორგი აბაშიძის ხელში გადავიდა. 1701 წელს მამია გურიელმა ახალციხეში გაქცეული სიმონ მეფე იმერეთში ჩამოიყვანა და მეფობა აღუდგინა. თუმცა, ყოვლისშემძლე თავადთან ერთად თავისივე დასმული მეფე სიცოცხლეს გამოასალმა და  იმერეთის ტახტზე მცირე ხნით თავად იჯდა, მაგრამ თავი ვერ გაართვა ქვეყნის მართვის სირთულეებს და მეფობიდან გადადგა. ძალაუფლება კვლავ გიორგი აბაშიძის ხელში გადავიდა: მან გარკვეულწილად დაამშვიდა იმერეთი აკლება-აოხრებისაგან და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მასზე მონოპოლია დააწესა. აფხაზთა კათალიკოსი გრიგოლი  და ქუთათელი ევდემონი აქტიურად იბრძოდნენ „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ.  ასეთ ვითარებაში ეკლესიის უმთავრესი მიზანი საკუთარი ყმა-მამულის შენარჩუნება და მათში ზნეობის დაცვა იყო. მცხეთისა და ბიჭვინთის კათალიკოსებს ჰქონდათ თავიანთი საკათალიკოსოს უძრავ-მოძრავი ქონება, დიდი მამულები და მეურნეობა. კათალიკოსები დაუსახლებელ მამულებში ასახლებდნენ გლეხებს და გადასცემდნენ მათ გარკვეულ ქონებას, რითაც ისინი  ეკლესიას ემსახურებოდნენ და უხდიდნენ გადასახადს. გარდა ამისა, ეკლესიას ჰქონდა დაწესებული „საკანონო“ ყოველ შეცოდებაზე. ამიტომ ეკლესია თავადვე იყო დაინტერესებული ქრისტიანული მოსახლეობის გამრავლებითა და გაძლიერებით. ამ პერიოდის ეკლესიის მთავარი საზრუნავი „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ ბრძოლა იყო —  ოსმალთა ტყვეობიდან ქრისტიანების გამოხსნა, „პარტახ“ ადგილებში დასახლება და ტყვის მსყიდველთა მკაცრად დასჯა. ასევე, ეკლესია დიდად ეხმარებოდა შეჭირვებულ გლეხებს და ათავისუფლებდა მათ გადასახადებისაგან (ჯაფარიძე 2009: 1018-1024). ქართველმა ფეოდალებმა აფხაზთა კათალიკოს გრიგოლის, ქუთათელი ევდემონისა და გენათელი ნიკოლოზის წინაშე ფიცი დადეს, რომ გაერთიანდებოდნენ საერთო დამპყრობლის წინააღმდეგ და საკუთარ სამფლობელოში „ტყვეთა სყიდვას“ აკრძალავდნენ (თაყაიშვილი 1920: 44-47).

გიორგი აბაშიძემ დასავლეთ საქართველოს მთავრებთან ერთად ოსმალეთის ბატონობისაგან თავის დაღწევა სცადა იმ  იმედით, რასაც  რუსეთის იმპერატორი პეტრე I მოსკოვში გადახვეწილ არჩილ მეფეს ჰპირდებოდა. რუსეთის მოსალოდნელი გამოლაშქრებით შეშფოთებულმა ოსმალთა სულთანმა მუსტაფა II-მ 1703 წელს დიდი ლაშქარი გამოგზავნა საქართველოში იმ საბაბით, რომ ღალატით მოკლული სიმონ მეფის ძმა

გიორგი VI აეყვანათ იმერეთის სამეფო ტახტზე. მათ დაიკავეს ბათუმი, ციხეების აგება დაიწყეს და სამეგრელოში გადასხეს ჯარები. ზეგნაყ შარვაშიძე, მამია გურიელი და გიორგი მიქელაძე  საკუთარი ჯარებით ოსმალებს შეუერთდნენ და მათი მეგზურობა იკისრეს, რის შედეგადაც ოსმალთა ჯარი შეიჭრა გურია-სამეგრელო-იმერეთის ციხეების დიდ ნაწილში და მათი საბოლოო დაპყრობა სცადა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა, თავადური ღალატი მტერს წინსვლას უმარტივებდა. საკუთარი მიზნის მისაღწევად ოსმალეთი ახალ ჯარს კრებდა, როდესაც ამ ჯარში აჯანყება დაიწყო. მათ ჩამოაგდეს მუსტაფა II და ტახტზე დასვეს მისი ძმა აჰმედ III. დიდვეზირად დაინიშნა გურჯი აჰმედ ფაშა, რომელმაც ოსმალთა ჯარი იმერეთიდან უკან გაიწვია. მეფედ დატოვეს „ცუნდრუკი, მომხვეჭელი, ანგარი, ვერცხლის მოყვარე“ გიორგი VI, გაიყოლიეს დიდძალი ტყვეები და ნაძარცვი ქონება, მაგრამ გიორგი აბაშიძე ფერსათის მთასთან ჩაუსაფრდა მათ, სრულად გაანადგურა მტერი და ნაძარცვი და ტყვეების ნაწილი დაატოვებინა. მართალია ოსმალთა ამ ლაშქრობამ ძირითად მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ დამპყრობლებმა ბათუმის მხარე მაინც შეინარჩუნეს, დაანგრიეს  ეკლესია-მონასტრები, ააოხრეს სოფლები და თავიანთი მეციხოვნეები ჩააყენეს ფოთის, ანაკლიის, რუხისა და ბაღდათის ციხეებში (ჩხატარაიშვილი 1973: 459).

ასეთ ვითარებაში ქართლის ჯანიშინმა ვახტანგ VI-მ აბაშიძეს დანათესავება შესთავაზა — მისი ქალიშვილი გიორგის ძეზე დაექორწინებინათ და აღუთქვა ქართლის გადაცემა სააბაშიძეოსათვის. ამით ვახტანგის გავლენა დასავლეთ საქართველოზე გაიზრდებოდა და აღმოსავლეთ საქართველოში მის მიერ დაწყებული ქვეყნის გაერთიანების საქმე გამარტივდებოდა, მაგრამ გიორგი აბაშიძემ „მზაკვარ კაცთა“ რჩევით მეფის ეს წინადადება უარყო. ამის შემდეგ ვახტანგმა „იწყო მწეობა“ გიორგი მეფისა, გადაიბირა კათალიკოსი, გენათელი ეპისკოპოსი, რაჭის ერისთავი შოშიტა და მათი დახმარებით აღუდგინა ხელისუფლება იმერეთის მეფეს. გიორგი აბაშიძის ხელისუფლების მოწინააღმდეგე თავადებმა მეფის მხარე დაიჭირეს. ასევე, მეფის მხარეს იყვნენ აბაშიძის ძმიშვილები — ზურაბი, სვიმონი და ვახუშტი. 1711 წელს გიორგი აბაშიძე იძულებული გახდა ქართლში გადასულიყო, ხოლო დასავლეთ საქართველოში კვლავ გრძელდებოდა

ტყვეთა სყიდვა, ციხეების განადგურება და სოფლების აოხრება (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 867-868).

არეულობა იყო ოდიშის სამთავროშიც. გიორგი ლიპარტელიანს განუდგა საკუთარი ძმა, ლეჩხუმის მფლობელი — იესე. გიორგიმ დაამარცხა იესე და ლეჩხუმის თავად თავისი შვილი ბეჟანი დანიშნა, ხოლო დადიანად უფროსი შვილი კაცია, რითაც ოდიშში ახალი საგვარეულოს — ჩიქვანების დადიანობა იწყება (1704 წ.).

ამ ფეოდალური არეულობის დროს იმერეთის ტახტს ხან მამია III გურიელი (1711-1712 წ.წ.) იკავებს, ხან გიორგი VI (1712-1713, 1714-1716, 1719-1720 წ.წ.), ხან გიორგი IV გურიელი და ა.შ. დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალები: გურია-სამეგრელო-აფხაზეთის მთავრები, რაჭის ერისთავი, აბაშიძე, მიქელაძე და ა.შ. მუდმივად იცვლიან ორიენტაციას — გუშინდელი მოკავშირეები დღეს მოსისხლე მტრებად იქცევიან, რასაც ეწირება ქართველთა ინტერესები და დიდ სარგებელს ნახულობენ ოსმალთა ხელისუფალნი. ახალციხისა და არზრუმის ფაშები ხან ერთ დაჯგუფებას უჭერენ მხარს, ხან — მეორეს, რითაც დიდი ქრთამის ფასად საკუთარი „წესრიგის“ დამყარებას ცდილობენ დასავლეთ საქართველოში (ჩხატარაიშვილი 1973: 460).

იმერეთის სამეფოზე თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ც, რომელიც მხარს უჭერს კანონიერი მეფის ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოში.

1720 წელს აბაშიძეებმა ღალატით მოკლეს „ცუნდრუკი“ მეფე გიორგი VI. ქართლის მეფე ვახტანგ VI-ისა და ახალციხის ფაშას შეთანხმებით, იმერეთის მეფედ მოკლული მეფის ძე ალექსანდრე V (1721-1752 წ.წ.) დასვეს, რომელსაც მეურვედ დაუნიშნეს სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი. ალექსანდრე გაორებულ მდგომარეობაში მოექცა: იგი ერთი მხრივ ვახტანგ VI-ის მომხრე და მიმდევარი იყო და ეხმარებოდა კიდეც ჯარით, ხოლო მეორე მხრივ, მისი სამეფოს რეალური მდგომარეობა აიძულებდა ოსმალეთისათვის გაეწია ანგარიში. ვახტანგიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ალექსანდრეს, მაგრამ ოსმალთა მიერ ქართლის დაპყრობისა და ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწის შემდეგ, ალექსანდრეს ეს დახმარება მოაკლდა.

ოსმალებმა საკუთარი მეციხოვნეები ჩააყენეს ციხისძირის, ქობულეთის, სეფის, გრიგოლეთისა და ანაკლიის ციხეებში. მათი გარნიზონები იდგა ქუთაისის, ფოთისა და სოხუმის ციხეებშიც, რის შედეგადაც ისინი მთელს შავიზღვისპირა ზოლს თავად აკონტროლებდნენ და დასავლეთ საქართველოში სრულ გაბატონებას ცდილობდნენ. მათ განსაკუთრებული გავლენა ჰქონდათ აფხაზეთზე და ყველა ღონეს ხმარობდნენ აქ ისლამის გასავრცელებლად, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა და რწმენას ინარჩუნებდა. XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მთავარმა ზეგნაყ შარვაშიძემ სამთავროს ტერიტორია თავის სამ ძეს გაუნაწილა, რის შემდეგაც დანაწევრებული აფხაზეთის დაპყრობის საქმე ოსმალეთს გაუმარტივდა, თუმცა მოსახლეობა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდა. მეფის მეურვე ბეჟან დადიანი ცდილობდა ძალების გაერთიანებას ოსმალთა წინააღმდეგ, მაგრამ 1728 წელს ოსმალებმა იგი ღალატით მოკლეს და მთელი იმერეთის გამგებლობა ალექსანდრე V-ის ხელში გადავიდა.

ხელისუფლების განმტკიცების მიზნით მეფემ დიდი ღონისძიებები გაატარა: იგი დაუმოყვრდა მამია IV გურიელს, ასევე: გადმოიბირა შოშიტა ერისთავის ძმა — გედევან გენათელი, რომელმაც უარი თქვა ეპისკოპოსობაზე. მეფემ მას მამულები უბოძა და რაჭის ერისთავის საპირისპიროდ შექმნა ე.წ. ბარის საერისთავო. გააძლიერა თავისი ერთგული თავადები — წერეთლები და აგიაშვილები.

ოსმალეთი, რომელიც საქართველოში გაბატონების გზით უპირისპირდებოდა სპარსეთისა და რუსეთის იმპერიებს, იმერეთის სამეფოში თავისი გავლენის გაზრდას ცდილობდა. 1725 წელს ფოთში ორთუღიანი ფაშა დაინიშნა. ეს იყო სტრატეგიული მნიშვნელობის საპორტო ქალაქი, რომლითაც ოსმალეთი მდინარე რიონის მეშვეობით დასავლეთ საქართველოს შიდა რეგიონებში შეჭრას ცდილობდა. ამავდროულად, 1730 წელს ოსმალები დიდი ლაშქრით საქართველოში შემოვიდნენ აფხაზეთის წინააღმდეგ და ფოთის ფაშას მეთაურობით მთელი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობა სცადეს. მათ დასახმარებლად მოიწვიეს ოსმალთა დაქვემდებარებაში მყოფი იმერეთის მეფე. მათ ერთობლივი შეტევით მოარბიეს ოდიში, აფხაზეთი, დაწვეს ილორის წმინდა გიორგის ტაძარი და გაამუსლიმეს შერვაშიძეები. იმერეთის მეფე ალექსანდრე V მიხვდა თავის შეცდომას და როდესაც ოსმალეთმა მას კვლავ სთხოვა დახმარება ჯიქეთიდან აზოვამდე

დაპყრობაში, იმერეთის მეფე ოსმალთა ბანაკიდან გაიქცა. მასვე მიემხრნენ აფხაზები და აუჯანყდნენ ფოთის ფაშას, რომელმაც გაქცევით უშველა თავს (გულდური 2021: 141-142).

მეფის ამ ნაბიჯით უკმაყოფილო ოტია დადიანმა, გრიგოლ რაჭის ერისთავმა და ზურაბ აბაშიძემ მისი გადაყენება განიზრახეს. ალექსანდრე V-ის მხარეს გამოვიდნენ მამია IV გურიელი, ბარის ერისთავი გედევანი, ლევან აბაშიძე, მერაბ წულუკიძე და სხვ. 1732 წელს ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის ბრძოლა მოხდა ჩიხორთან, სადაც მეფემ გაიმარჯვა და დაჭრილი ოტია დადიანი ტყვედ იგდო, თუმცა მისი დასჯა ვერ შეძლო, რადგან ამ საქმეში ოსმალთა ფაშა ჩაერია. მეფემ ოტია დადიანი შემოირიგა და ოსმალთა მიმართ კვლავ ყოველწლიური „ქრთამი“ იკისრა.

1735 წლიდან ოსმალეთსა და რუსეთს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა ყირიმსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ალექსანდრე V-მ რუსეთთან დაკავშირება სცადა ოსმალთა დასაპირისპირებლად. 1737 წელს მან პეტერბურგში ელჩობა გაგზავნა ქუთათელ მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილის მეთაურობით, რომელმაც რუსეთის იმპერატორ ანა ივანეს ასულს მეფის წერილი და  იმერეთის რუკა გადასცა. რუკაზე ნაჩვენები იყო ქალაქები, სოფლები, ნავსადგურები, სასახლეები და ეკლესიები. ქართული მხარე ცდილობდა რუსეთის დაინტერესებას იმერეთის სამხედრო-ეკონომიკური მნიშვნელობით და რუსეთის გამოყენებას ოსმალების წინააღმდეგ მეზობელ ქრისტიან ერებთან ერთად, მაგრამ რუსეთმა იმერეთის ელჩის ეს წინადადება არ მიიღო. თუმცა, უარყოფითი პასუხის სასწრაფოდ მიცემაც მიზანშეუწონლად მიიჩნიეს და მხოლოდ 1740 წლის გაზაფხულზე გამოისტუმრეს იმერეთის მეფის ელჩი სამშობლოში.

1741 წელს მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ სამეგრელოსა და აფხაზთა მთავრები და იმერეთის თავადები, რომელთაც ახალციხის ფაშას დახმარებით აიძულეს მეფე ალექსანდრე ქართლში გადასულიყო და აქ მისი ძმა გიორგი გაამეფეს. მაგრამ ალექსანდრემ ნადირ შაჰის შუამდგომლობით იმავე წელს დაიბრუნა ტახტი.

1743 წელს მეფეს ამჯერად აჯანყებული რაჭის ერისთავისა და დადიანის წინააღმდეგ მოუწია ბრძოლა, რომელთაც მისი ძმა —  მამუკა გაამეფეს. ალექსანდრემ ახალციხის ფაშას დახმარებით 1749 წელს დაიბრუნა იმერეთის ტახტი და შემოირიგა მთავრები, მაგრამ 1752 წელს იგი გარდაიცვალა და იმერეთის სამეფო კვლავ ქაოსმა მოიცვა.

# თავი III

# საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირი XVIII საუკუნის II ნახევარში

## § 3.1. დაცემული ეკლესიის გაძლიერება ანტონ I დიდი კათალიკოსის დროს

ანტონ I დიდი კათალიკოსი (ერობაში თეიმურაზ ბაგრატიონი) დაიბადა 1720 წლის 17 ოქტომბერს, მოინათლა 11 ნოემბერს დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრის, არქიმანდრიტ სპირიდონის მიერ, ხოლო აღმზრდელებად მიუჩინეს: ამირსპასალარი ლუარსაბ ორბელიანი, ბერი სპირიდონი, ნოდარ ხერხეულიძე, თავადი იოსებ ფალავანდიშვილი და გაქრისტიანებული სპარსი მირზა ალი (ქრისტიანობაში ილია), (კარბელაშვილი 1900: 142-143).

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქართლის სამეფო ტახტის დაუფლებას გარე და შიდა ძალების ჩარევით არაერთი პრეტენდენტი ცდილობდა, ყველაზე მეტი იურიდიული უფლება ქართლის სამეფო ტახტის დასაკავებლად გააჩნდა თეიმურაზ ბატონიშვილს. იგი იყო ქართლის ბაგრატიონთა შთამომავლის — იესეს შვილი, ერეკლე II-ის მამიდაშვილი. ისინი ბავშვობიდანვე ერთად იზრდებოდნენ, იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მყარი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, სიცოცხლის ბოლომდე ერთად იღვწოდნენ საქართველოსთვის და „ორივემ გვიჩვენეს ჭეშმარიტი გმირობა თავ-თავის ხვედრს საქმეში“ (ჟორდანია 1991: 31).

დაბადებიდანვე თეიმურაზ ბატონიშვილი იზრდებოდა დავით გარეჯის უდაბნოში ნათლიასთან, ხოლო ლეკთა თარეშის გაძლიერების შემდეგ, 1729 წლიდან იგი წაიყვანეს ოსეთისკენ და ბოლოს, რამდენიმე წელიწადს იმყოფებოდა სამთავისში იოსებ სამთავნელთან, სადაც ბერძენ მიტროპოლიტ პართენისგან დაიწყო ბერძნული ენის შესწავლა (კარბელაშვილი 1900: 143).

თეიმურაზ ბატონიშვილმა მიიღო საფუძვლიანი განათლება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. რადგან თეიმურაზის დედა — ელენე დედოფალი შვილს ქართლის

სამეფო ტახტისათვის ამზადებდა, უფლისწულმა შეიძინა ღირსეული მეფისათვის შესაფერისი საერო და სასულიერო განათლება. შეისწავლა წმინდა წერილი, საღვთისმეტყველო მეცნიერებები, ლიტერატურა, ბერძნული, ლათინური, სპარსული, რუსული და სომხური ენები (ჟორდანია 1991: 38).

თეიმურაზ ბატონიშვილს ხშირი ურთიერთობა ჰქონდა გივი ამილახვართან და 1734 წელს დაინიშნა მის ქალიშვილ თამარზე. ამ დროს გივი ამილახვარს განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა და დიდი პრეტენზიები გააჩნდა ქართლის სამეფო ტახტზე, რაც უპირისპირდებოდა კახეთის მეფის — თეიმურაზ II-ის ინტერესებს ქართლის ტახტზე. მას შემდეგ, რაც ქართლში შემოჭრილ ნადირ შაჰის ბრძანებით თამარი სპარსეთში გაგზავნეს, თეიმურაზ ბატონიშვილმა სამუდამოდ აიღო ხელი საერო ცხოვრებაზე და 18 წლის ასაკში ანტონის სახელით ბერად აღიკვეცა გენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს მიერ, რომელმაც დიაკვნად დაასხა ხელი, ხოლო 20 წლის ასაკში აფხაზთა კათალიკოს გრიგოლის მიერ ეკურთხა მიტროპოლიტად (კარბელაშვილი 1900: 144-145). ანტონი იყო გელათის მონასტრის წინამძღვარი (1739 წ.), ქუთათელი მიტროპოლიტი (1740 წ.), ხოლო 1744 წელს, 24 წლის ასაკში ქართლის კათალიკოსად აკურთხეს. ამ დროიდან იწყება მისი ურთულესი მოღვაწეობა საერო და სასულიერო ასპარეზზე, რაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეჩერებულა. მეცნიერთა შეფასებით, იგი იყო დიდი განმანათლებელი, მქადაგებელი, მართლმადიდებლობის დიდი დამცველი, უამრავი ნათარგმნი და ორიგინალური სახელმძღვანელოს ავტორი, პოეტი, ბუნებისმეტყველი, დიპლომატი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, მჭევრმეტყველი და „მოკაშკაშე ვარსკვლავი“ მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართული კულტურის თითქმის ყველა დარგში (კარბელაშვილი 1900: 140). განსაკუთრებული წარმატებით იგი მოღვაწეობდა სასულიერო მწერლობის ასპარეზზე: ეგზეგეტიკის, დოგმატიკის, პოლემიკის, ასკეტიკის, კანონიკის, ჰაგიოგრაფიის, ისტორიის, ლინგვისტიკისა და ფილოსოფიის სფეროებში (კანდელაკი 1966: 190).

1744 წლის 1 ოქტომბერს „ავიდა რა ახალს კათედრაზედ, ანტონის შინაურმა და საზოგადოებრივმა მნიშვნელობამ და გავლენამ მიიღეს ახალი ხასიათი... ის იღებს მონაწილეობას ყოველს ბედნიერს და უბედურს საქმეში, რომელნიც შეეხებიან როგორც

საკუთარ მეფეს და იმის სახლობას, ეგრეთვე საეკლესიო წესს. შესანიშნავია განსაკუთრებითი მისი ყურადღება იმაზედ, რომ გააუმჯობესოს თავისი სამწყსოს დაცემული ზნეობითი მხარე და ჰხმარობს კიდეც დროების და თვით ხალხის შესაფერს საშუალებებს“ (მთვარელიშვილი 1991: 19). განათლებული ანტონი კარგად სარგებლობს თავისი უფლებით და დიდ გავლენას მოიპოვებს საზოგადოებაში: გარშემოიკრებს მგალობელ-მწერალ-მწიგნობრებს, უახლოვდება მეფე თეიმურაზს და საეკლესიო ქონებიდან ეხმარება გაჭირვების დროს. კათალიკოსად დადგინებისთანავე, იგი აღადგენს მეფედ კურთხევის წესს, საზეიმოდ ამზადებს საზოგადოებას და 1745 წლის 1 ოქტომბერს — სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, განსაკუთრებული ბრწყინვალებით ასრულებს თეიმურაზის მეფედ კურთხევის ცერემონიალს.

ანტონ კათალიკოსი აღსაყდრებისთანავე აქტიურად ებმება ქვეყნის მართვის საქმეში და მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდა, განათლების დონის ამაღლება და ცენტრალური ხელისუფლების პოზიციის დაცვა, რაც უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარებას მოითხოვს. იგი იწყებს ნიადაგის მომზადებას აღნიშნული რეფორმების გასატარებლად. თავდაპირველად, მის წამოწყებებს აქტიურად უჭერს მხარს ქართლ-კახეთის სამეფო კარი, რაც შემდეგ კონფლიქტში გადაიზრდება (ქავთარია 1977: 5).

XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან სპარსეთის იმპერია დაქვეითების გზას ადგას. ნადირ შაჰის დასუსტებული ხელისუფლება ვეღარ აწარმოებს დიდ დაპყრობით ომებს. იგი დაღესტნის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი მარცხს განიცდის. 1746 წელს ოსმალეთთან დადებული ზავიც უმნიშვნელო აღმოჩნდება და მხოლოდ სპარსეთ-ოსმალეთის ძველი საზღვრები აღდგება. წარუმატებელი ომების შედეგად ეკონომიკაც ეცემა. ნადირ შაჰი ცდილობს ეს პრობლემა გადასახადების გაზრდით გამოასწოროს, რასაც უკურეაქცია მოჰყვება და მთელს სპარსეთსა და ამიერკავკასიაში აჯანყება იწყება: სომხეთ-აზერბაიჯანის მმართველები უკავშირდებიან ერეკლე-თეიმურაზს და ერთობლივ გამოსვლას სთავაზობენ. ნადირ შაჰი თავისთან იბარებს ერეკლე II-ს, მაგრამ თეიმურაზი ერეკლეს ნაცვლად თავად მიდის შაჰთან შესახვედრად. სპარსეთში მიმავალ ქართლის მეფეს ატყობინებენ, რომ ნადირ შაჰი შეთქმულებმა მოკლეს (1747 წ. 20 ივნისი) და ტახტზე მისი ძმიშვილი, თეიმურაზის

სიძე — ალი ყული მირზა ადის ადილ შაჰის სახელით, რომელსაც ძლიერი მომხრეები ესაჭიროება. ამიტომ თეიმურაზს შაჰის კარზე დიდი პატივით იღებენ და გარკვეული პერიოდის მანძილზე თავისთან აჩერებენ.

ამასობაში ქართლში ერეკლე II-ის წინააღმდეგ ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს ძე აბდულ ბეგი ჯანყდება, რომელიც ქართლის ტახტზე პრეტენზიას აცხადებს. მას თეიმურაზისგან საუფლისწულოდ სამშვილდის ციხე აქვს მიღებული. აბდულ ბეგი ამ ციხესიმაგრეს გააფართოებს და გააძლიერებს, გადაიბირებს ყიზილბაშ სარდლებს, ბორჩალოს სულთანს, სომხით-საბარათიანოს თავადებს და უკავშირდება სპარსეთის ტახტის მაძიებელ ვინმე „საამშას“, რომელიც აბდულ ბეგს ქართლის ბატონობას „უმტკიცებს“.

ასეთ კრიტიკულ მომენტში ქართლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ერეკლეს მხარეს დგას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აბდულ ბეგის ძმა — ანტონ I კათალიკოსი, რომელიც ცდილობს მათ შერიგებას (პაპუნა ორბელიანი 1854: 392), ხოლო როდესაც აბდულ ბეგსა და ერეკლეს შორის ურთიერთობა მწვავდება, ანტონ კათალიკოსი გმობს საკუთარი ძმის ქმედებას, დალოცავს ერეკლე მეფეს და წირვა-ლოცვას აღავლენს მისი გამარჯვებისათვის (ჟორდანია 1991: 58). ერეკლე შემოირიგებს სპარსეთიდან დაბრუნებულ შანშე ქსნის ერისთავს, მიიმხრობს სომხითის მელიქს, ლორეს ქეთხუდებს და თავის გარშემო დიდ ძალას იკრებს, რომლითაც 1748 წელს თბილისის კართან სასტიკად ამარცხებს აბდულ ბეგსა და მის დასახმარებლად წამოსულ ლეკთა ჯარს.

თბილისის ციხეებში მყოფი ყიზილბაში მეციხოვნეები მეტეხისა და თაბორის ციხეებიდან ზარბაზნებს სვრიან მეფის სასახლეს, ქალაქის ქუჩებსა და სიონის ტაძარს. ერეკლე თბილისის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მათ ამარცხებს და ამ ციხეებში საკუთარ მეომრებს აყენებს, რითაც აღმოსავლეთ საქართველო ფაქტობრივად თავისუფლდება სპარსეთის ბატონობისაგან. ამით იზრდება ერეკლეს ავტორიტეტი და მასთან დიდი საჩუქრები მოაქვთ ერევნის, განჯისა და შაქი-შარვანის ხანებს.

ამის შემდეგ ანტონ I კათალიკოსი მუდმივად მეფის მხარეს დგას, მხარს უჭერს მეფის ყოველგვარ გადაწყვეტილებას და მასთან ერთად იცავს ქვეყნის ინტერესებს.

ანტონ კათალიკოსის აღსაყდრება და ერეკლე-თეიმურაზის გამეფება საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს ემთხვევა. მამა-შვილის მეფობით აღმოსავლეთ საქართველო პოლიტიკურად ერთიანდება, ხოლო ეკლესიას სათავეში უდგება ახალგაზრდა, განათლებული და ენერგიული კათალიკოსი, რომელნიც ერთობლივი ძალებით ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს რეფორმებს ატარებენ.

ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მოშლას მოჰყვება მართლმადიდებელი ეკლესიის დაკნინება, საეპისკოპოსოების გაუქმება, საეკლესიო მიწების გაყიდვა და საერო ხელისუფალთა მიერ მათი მიტაცება.

ეკლესიის გაძლიერებისა და შერყეული ავტორიტეტის აღდგენისთვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საეკლესიო ქონების დაბრუნება და ეკონომიკური გაძლიერება, რაც ანტონ კათალიკოსის მთელი მოღვაწეობის მანძილზე მთავარი აქტუალური საკითხია.

ვინაიდან მუსლიმ მეფეთა მმართველობის პერიოდში „უმეცრებითა წერილისათა განრყუნილ იყო და დაკნინებულ კანუნი და წესი ეკლესიისა“ (დოლიძე 1970: 798), ერეკლესა და ანტონის ინიციატივით 1748 და 1749 წელს იწვევენ საეკლესიო კრებას ეკლესიის მდგომარეობის მოსაწესრიგებლად და მართლმადიდებელი სარწმუნოების განსამტკიცებლად. კრებას მღვდელმთავრებთან ერთად თავადაც ესწრებიან, რომელზეც „აღმოფხვრეს ქართლისა ქვეყნისაგან საქმე ყოველი უჯერო და წინააღმდეგი სჯულისა“ (პაპუნა ორბელიანი 1854: 423). 1748 წლის კრების დადგენილებაში წარმოჩენილია ანტონ კათალიკოსის პროგრამა, რომელსაც იგი ეტაპობრივად ახორციელებს მთელი მისი მოღვაწეობის პერიოდში.

კრების დადგენილების უმეტესი ნაწილი ეხება ტაძრის სწორად მოწყობას, შესაბამისი ინვენტარის გამოყენებით ღვთისმსახურების სწორად ჩატარებასა და ტაძარში ქცევის წესებს;

ერთ-ერთი საკითხი, რაც კრებაზე განიხილეს, მიზნად ისახავს საეკლესიო დისციპლინის აღდგენას, რომლის დროსაც იკრძალება მაგალითად: მონაზვნის მიერ თვითნებურად მონასტრის დატოვება; სამღვდელო პირის მიერ სხვის სამრევლოში

ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე წირვის დაყენება; ეპისკოპოსის ბრძანების გარეშე მღვდლის მიერ მრევლის დამოძღვრა; სამღვდელო პირთათვის საერო სამოსლისა და საჭურველის ხმარება;

კრების რამდენიმე კანონი ქორწინების საკითხს ეხება, რომ ნათესავთა შეუღლება მხოლოდ მეხუთე თაობაშია დასაშვები. ასევე, დაუშვებელია, მართლმადიდებლისა და მწვალებლის შეუღლება, მეოთხე ქორწინება და მწვალებლის მიერ მართლმადიდებელი ქრისტიანის მონათვლა;

დადგენილების მეხუთე კანონი ეპისკოპოსს უკრძალავს წმინდა წერილისა და საღვთისმსახურო საკითხებში უმეცართა სამღვდელო ხელდასხმას;

კრების მე-17 და 27-ე კანონები ეხება კერპთაყვანისმცემლობას: სხვადასხვა ნივთის თაყვანისცემას, ტაძრის ტერიტორიაზე პირუტყვის დაკვლასა და მისი სისხლის ეკლესიაზე ცხების აკრძალვას.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭირო იყო პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რის გამოც აღადგინეს ვახტანგისეული სტამბა და საღვთისმსახურო წიგნების ბეჭდვა, რომელმაც 1755 წლამდე იარსება. იყვნენ მხატვრები და „სხვა სახმარიც ყოველივე იშოვებოდა“, რაც აუცილებელი იყო მსახურების სრულყოფილად ჩასატარებლად (მეტრეველი 1957: 413-429).

კათალიკოსობის პირველივე წლებიდან ანტონ I ცდილობს მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას სამეფო სახლთან. მისი უმთავრესი მიზანია ჯერ მეფის შერყეული ავტორიტეტის განმტკიცება და შემდეგ მასზე, როგორც საიმედო მოკავშირეზე დაყრდნობით, დაცემის პირას მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერება. ამ მიზანს ემსახურება ანტონ კათალიკოსის მიერ თეიმურაზის საზეიმო კურთხევა სვეტიცხოველში (ხახანაშვილი 1991: 107).

ანტონ კათალიკოსი ნათესაური კავშირებით განამტკიცებს სამეფო ტახტის პრეტენდენტთა ურთიერთობებს. ნებისმიერ კრიტიკულ მომენტში კათალიკოსი დგას მეფის გვერდით, თამამად იცავს სამეფო ძალაუფლებას და ამხელს ქვეყნის მოღალატე თავადებს.

1749 წელს თეიმურაზი სამშობლოში ბრუნდება და ჩამოაქვს სპარსეთის შაჰის მიერ დამტკიცებული სიგელი ყაზახ-ბორჩალოს ქართლ-კახეთისადმი კუთვნილების შესახებ, რითაც მისი ტერიტორიული ფარგლები მნიშვნელოვნად იზრდება.

ამის შემდეგ მამა-შვილი ერთობლივად იწყებენ ამიერკავკასიაში პირველობის მოსაპოვებლად მოქმედებას იმ სახანოებს შორის, რომელნიც სპარსეთის ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად წარმოიქმნენ. ქართლისა და კახეთის მეფეები სარგებლობენ იმით, რომ თეიმურაზი და შემდეგ ერეკლე სპარსეთის „ვალის“ ტიტულს ატარებენ და იწყებენ მოქმედებას მეზობელი სახანოების დასაქვემდებარებლად.

ამ დროს ერევნის ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარების თხოვნით მიმართავს: ვინმე მაჰმად ხანი, რომელსაც ნადირ შაჰის მკვლელობაში აქვს მონაწილეობა მიღებული, მუღანის ველზე შეკრებს თურქმანულ ტომებს, შეიპყრობს ერევნის ხანის ძმასა და ცოლ-შვილს და ერევნის ციხეს მოადგება ასაღებად. ერეკლე-თეიმურაზი სომხების მონაწილეობით ამარცხებენ მტერს, რის სანაცვლოდაც ერევნის ხანი ყოველწლიურ ხარკს კისრულობს და სომხეთის ეს ნაწილი ქართველთა მფარველობის ქვეშ შედის.

ამის შემდეგ მამა-შვილს დახმარებას სთხოვს განჯის ხანი — შავერდი ყარაბაღის მფლობელის ფანაჰ ხანის წინააღმდეგ და ისეთივე ხარკსა და მორჩილებას აღუთქვამს მათ, როგორიც ერევნის ხანმა იკისრა. ქართველები ამ ბრძოლისთვის საგულდაგულოდ ემზადებიან და სასტიკად ამარცხებენ ფანაჰ ხანს; აყრიან ქართლ-კახეთიდან, ყაზახ-ბორჩალოდან და სომხეთიდან ძალით გადმოსახლებულ გლეხებს და საკუთარ ქვეყნებში აბრუნებენ. განჯის ხანი ლაშქრობის საზღაურს სრულად ვერ ფარავს და იძულებული ხდება ქართველ მეფეებს შამშადილოს ტერიტორია გადასცეს, რითაც ქართლ-კახეთის საზღვრები აღმოსავლეთით მდ. ძეგამამდე ფართოვდება. ამავდროულად, სპარსეთის მმართველი შაჰ როჰი თეიმურაზს „ერანისა და აზერბაიჯანის სპასალარად“ ნიშნავს, ხოლო ერეკლეს — მის ნაიბად (მოადგილედ) დაადგენს.

ყოველივე ამის შედეგად ქართლ-კახეთში შედარებით მშვიდობიანი ხანა მყარდება. ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება საქალაქო ცხოვრება. თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრად იქცევა. იწყება დარბეული და განადგურებული ადგილების აღდგენა. ერთადერთი, რაც ამ წინსვლას აფერხებს, დაუსრულებელი

ლეკიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე 1750 წელს ქართლ-კახეთში შემოჭრილ ლეკთა დიდ ჯარს ამარცხებს, ტყვეებსა და ნაალაფევს დაატოვებინებს და მოთარეშე ლეკების რაზმსაც ანადგურებს, მათ სრულ აღსაკვეთად დიდი ძალაა საჭირო. ამისათვის მეფეები ჭარ-ბელაქნის დაპყრობის მიზნით დიდ ჯარს კრებენ, რომელთა შორისაც ქართველების ყმადნაფიცი ხანებიც შედიან. თუმცა, შაქი-შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ელისენის მხარეს იკავებს, საიდუმლო კავშირს ამყარებს ქართველთა ჯარში მყოფ მუსლიმ ხანებთან და მათ თავის მხარეზე გადაიბირებს, რასაც ქართველთა დამარცხება მოჰყვება. ამ მარცხზე ისიც ახდენს გავლენას, რომ ქართველთა ჯარს ორი სარდალი — ერეკლე და თეიმურაზი ჰყავს. ამიტომ ამის შემდეგ, თეიმურაზი სარდლობას მომდევნო ბრძოლებში ერეკლეს უთმობს.

ეს იყო მამა-შვილის პირველი სერიოზული მარცხი, რასაც სამხრეთ ადარბადაგანის მფლობელის აზატ ხანის შემოსევა მოჰყვება. იგი სპარსეთის შაჰის ტახტზე პრეტენზიას აცხადებს და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაუფლებას ცდილობს. 1751 წელს მისი ჯარი ერევნის ციხეს სრულად აოხრებს. ერევნის ხანი დასახმარებლად ქართველებს მიმართავს. ერეკლე სოფ. ყირბულახთან მოულოდნელად თავს ესხმის აზატ ხანის მრავალრიცხოვან ჯარს და უწესრიგოდ ფანტავს. ქართველები ედევნებიან ყიზილბაშებს, ბევრ მათგანს ხოცავენ და ატყვევებენ, ხოლო გაქცეული აზატ-ხანი ადარბადაგანს აფარებს თავს.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, მთავარ სირთულეს კვლავ ლეკიანობა წარმოადგენს, რადგან აჯი-ჩალაბი კოალიციას ქმნის ქართველთა წინააღმდეგ. იგი საქართველოს ყმადნაფიც მუსლიმ მფლობელებსაც კი მიიმხრობს და 1752 წელს განჯასთან ერეკლე-თეიმურაზის ჯარს ამარცხებს. ასეთ კრიტიკულ მომენტში ქართლ-კახეთის მეფეები მოსახლეობას ციხესიმაგრეებში ხიზნავენ, იქირავებენ ჩრდილოკავკასიელ მთიელებს და რუსეთში გზავნიან ელჩობას ათანასე თბილელის მეთაურობით იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულთან ჯარით დახმარების სათხოვნელად. ქართველთა ასეთი მოქმედებების გამო აჯი-ჩალაბი ხელს იღებს საქართველოს დაპყრობაზე და უკან ბრუნდება. ერეკლე ედევნება მას და ყაზახ-შამშადილოს საზღვართან სასტიკად ამარცხებს. ასევე, სამაგალითოდ სჯიან ყაზახელ და შამშადილოელ მოღალატეებს.

1754 წელს ავარიის მფლობელი ნურსალ ბეგი დიდი ჯარით იჭრება კახეთში; 1755 წელს იგი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მოუწოდებს დაღესტნის, კაკ-ელისენის, ჭარ-ბელაქნისა და ამიერკავკასიის სხვა მუსლიმ მმართველებს; 1757 წელს დაღესტნელთა 4000-იანი ლაშქარი ზემო ქართლს აოხრებს; 1759 წელს 8000-იანი ჯარი კოხტა ბელადის მეთაურობით ლიახვის ხეობას არბევს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ყველა მათგანს ამარცხებენ და უკუაქცევენ, უდიდესი ზარალი ადგება საქართველოს. ეს დამარცხებები მტერს შერიგების ხასიათზე აყენებს. მალე ჭარსა და კახეთს შორის მშვიდობა მყარდება. იწყება მიმოსვლა გაღმამხარის კახეთსა და პირაქეთა ქართულ სოფლებს შორის. მართალია ლეკიანობა სრულად ჯერ აღკვეთილი არ არის, მაგრამ თანდათან მშვიდობა მყარდება და სამეურნეო-ეკონომიკური აღდგენა იწყება.

ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას იღებს ანტონ I კათალიკოსი. იგი მუდამ მხარში უდგას მეფეს ზნეობრივი რჩევებითა და მატერიალური დახმარებით, ყველა სოფელში აღადგენს დანგრეულ ტაძრებს, შეკრებს საეკლესიო მამულების სიგელებს, მეფეს დაამტკიცებინებს მათ და ამ ქონების დასაცავად ქმნის საეკლესიო სასამართლოს — დიკასტერიას. ანტონ I ერთმანეთს უთავსებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესებს, ნებისმიერ განკარგულებას გამოსცემს მეფის სახელით ან მისი ხელმოწერით და ყოველ გამარჯვებას საზეიმო ვითარებაში მეფესთან ერთად აღნიშნავს. ეს მრავალმხრივი მოღვაწეობა წყდება 1755 წელს მეფე თეიმურაზ II-ის მიერ, რომელსაც საკუთარი უსაფუძვლო პრეტენზიები გააჩნია ქართლის სამეფო ტახტზე და უპირისპირდება ანტონ კათალიკოსს.

## § 3.2. მეფე თეიმურაზ II - ის დაპირისპირების მიზეზი ანტონ I კათალიკოსის წინააღმდეგ

1744 წლიდან თეიმურაზ II-ის პოზიციებს ქართლის სამეფო ტახტზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის ღრმად განათლებული, დიდად ენერგიული და განსაკუთრებულად ავტორიტეტული ანტონი დიდი კათალიკოსი, რომელიც არა მხოლოდ ქართლის საკათალიკოსო ტახტის საჭეთმპყრობელია, არამედ აქტიურად ერევა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში (გურული 2007: 52). მიუხედავად იმისა, რომ ანტონ კათალიკოსი

არანაირ სურვილს არ გამოხატავს ქართლის სამეფო ტახტის მიმართ, და პირიქით, XVIII საუკუნის II ნახევრიდან ეკლესია, ანტონ კათალიკოსის მეთაურობით თეიმურაზის მხარეზეა, თეიმურაზი მუდმივად ეჭვის თვალით უყურებს მას — როგორც ქართლის სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, რომ მან შესაძლოა უარი თქვას კათალიკოსობაზე, საკუთარი უფლებები დაამტკიცოს და თეიმურაზი ტახტის გარეშე დატოვოს. ამ მიზეზით თეიმურაზი მუდმივად ფრთხილობს და საბაბს ეძებს ანტონის ჩამოსაშორებლად, რადგან თავად მას სუსტი საფუძველი გააჩნია ქართლის სამეფო ტახტზე. ამიტომ თეიმურაზს ეს ბრძოლა შეგნებულად გადააქვს რელიგიურ ასპექტში და საკუთარ მოძღვარს, ცნობილ მწიგნობარსა და მრავალი ხელნაწერის გადამწერ ზაქარია გაბაშვილს უპირისპირებს ანტონ კათალიკოსს. დაპირისპირებულთა ორივე მხარის უკან მათ მომხრეთა მთელი დასები დგანან (ქავთარია 1977: 15, 5).

1752 წელს ანტონ კათალიკოსმა დაწერა ორიგინალური თხზულება „სპეკალი“, რომელშიც გადმოცემულია ბერძნულ და ლათინურენოვანი ფილოსოფიური იდეები. ამის გამო მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა თბილისში მცხოვრებ კათოლიკე მისიონერებთან. ეს გახდა საბაბი იმისა, რომ თეიმურაზის მოძღვარმა ზაქარია გაბაშვილმა და მისმა მომხრეებმა ანტონ კათალიკოსს გაკათოლიკებაში ცილი დასწამეს და თეიმურაზ მეფეს მოსთხოვეს მისი კათალიკოსობიდან გადაყენება. გარდა ზაქარია გაბაშვილისა, ანტონის მოწინააღმდეგეთა რიგებში იყვნენ: ბოდბელი მიტროპოლიტი საბა ტუსიშვილი, რუისის მთავარეპისკოპოსი იოსები, კირილე სამთავრელი (ციციშვილი), მცხეთის ტაძრის წინამძღვარი ეპისკოპოსი დანიელი, ალავერდელი მიტროპოლიტი ზენონი და სხვ. (ჟორდანია 1991: 83).

1755 წლის 16 დეკემბერს მცხეთაში მეფე თეიმურაზმა მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ყველა ეპისკოპოსი, თავად თეიმურაზი და ერეკლე. მსჯავრდებული კათალიკოსი კრებაზე არ დაუშვეს და მასთან დასაკითხად გაგზავნეს ორი არქიმანდრიტი, რომელთაც ანტონს ჰკითხეს: სწამს თუ არა მას ღმერთი? ერთი ვერსიით ანტონმა აღიარა თავისი დანაშაული და ცდომილება, ხოლო ზეპირი გადმოცემით, კათალიკოსმა უპასუხა ფსალმუნის სიტყვები: „თქუა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი“ (ფსალ. 13, 1). იგი მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას,

რის გამოც კრებამ სამუდამოდ განკვეთა და აუკრძალა მღვდელმსახურება. ამის გამო მან აღიარა თავისი დანაშაული და მეფე თეიმურაზისგან მოითხოვა რუსეთში წასვლის უფლება და სინოდის წინაშე წარსადგენი დოკუმენტი (ჟორდანია 1991: 83). თავდაპირველად, თეიმურაზი საეკლესიო კრების დადგენილებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებდა კათალიკოსის თხოვნას, მაგრამ ანტონმა კვლავ აღიარა თავისი შეცოდება, დაგმო კათოლიკური სარწმუნოება, ითხოვა სასჯელისაგან განთავისუფლება და რუსეთში თავის ნათესავებთან გამგზავრების უფლება, რადგან მას აქ აღარავინ დარჩა. ამბროსი ნეკრესელის კრებულში მოცემულია 1756 წლის 4 აპრილით დათარიღებული ერეკლე-თეიმურაზის მიერ გამოცემული „განჩინება“, რომლის ძალითაც კათალიკოსს რუსეთში გამგზავრების ნება დართეს და აღუდგინეს მღვდელმსახურების უფლება (ჯაფარიძე 2003: 207), რომ გამგზავრების წინ, 14 აპრილს — აღდგომის დღესასწაულზე ჩაეტარებინა ლიტურგია (ჟორდანია 1991: 89). 1756 წლის აპრილში ოცდაერთკაციანი ამალით კათალიკოსი საქართველოდან გაემგზავრა. მის მოწინააღმდეგეთა დაჟინებული თხოვნით მეფემ კათოლიკე მისიონერები განდევნა თბილისიდან და გორიდან, ხოლო მათი ტაძრები მართლმადიდებლებს გადაეცათ. ისინი საქართველოში დაბრუნდნენ მხოლოდ ერეკლეს დროს (ხახანაშვილი 1991: 109).

რუსეთში გამგზავრებისას ანტონს თან გაჰყვნენ: არქიმანდრიტები სტეფანე და პაისიოს, კანდელაკი, მიქელ (ინასარიძე), დეკანოზი ზაქარია (მესხი), მთავარდიაკონი გაბრიელ, იეროდიაკონი იოანე (შემდგომში მროველი იონა), ბერი პორფირი, იპოდიაკვნები: ეფრემი, იოანე, გიორგი (ნათლისძე), მკითხველი ტრიფილე (ჯორაშვილი); თავადები: იოანე ხერხეულიძე, როინ მელიქიშვილი, პართენ გედევანიშვილი, ბეჟან თავყელიშვილი; მსახურები: გიორგი ნანეზაშვილი, პავლე, ზურაბა, გიორგი, ეფრემ, ივანე და სხვ. (კარბელაშვილი 1900: 162-163)

1757 წლის 11 მარტს ანტონი რუსეთის სინოდის წინაშე წარსდა, სადაც მას უნდა გაერკვია თავისი აღმსარებლობა და დაესახელებინა საქართველოს დატოვების მიზეზები.

16 მარტს ანტონმა რუსეთის სინოდს ქართულ და რუსულ ენებზე წარუდგინა „მრწამსი“, რითაც საკუთარი მართლმადიდებლური აღმსარებლობა დაადასტურა და ვრცელი მოხსენებით განუმარტა რუსეთში გადასახლების მიზეზი (ქავთარია 1977: 29). 1757

წლის 1 დეკემბერს რუსეთის სინოდმა ანტონს შესთავაზა ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქია (მოსკოვს გამოეყო 1748 წლის 16 ივლისს). ეპარქიის მმართველის, ეპისკოპოს პლატონის გარდაცვალების შემდეგ ანტონი დაინიშნა მის არქიეპისკოპოსად, რომლის მართვასაც იგი შეუდგა 1757 წლის 9 დეკემბრიდან, ხოლო თარჯიმნად დაუნიშნეს ქ. სვიაჟელი მღვდელი გიორგი დავითაშვილი (ჟორდანია 1991: 98).

ვლადიმირისა და იეროპოლის ეპისკოპოსმა ანტონმა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებას წარუდგინა დოკუმენტი — „საფიცარი აღთქმა“, რაც ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში ჩვეული მოვლენა იყო. ყოველი ახლადნაკურთხი ეპისკოპოსი კათალიკოსს „ფიცის წიგნს“ აახლებდა და საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურისადმი მორჩილებასა და ერთგულებას გამოხატავდა (ქავთარია 1977: 30).

„საფიცარი აღთქმა“ ანტონის მხრიდან „მრწამსის“ გაგრძელებაა. მასში კიდევ ერთხელ დადასტურებულია ანტონის აღმსარებლობა და მისი ერთგულება სინოდისადმი.

ანტონ კათალიკოსმა 7 წელი გაატარა ვლადიმირის ეპარქიაში, სადაც იგი იმავე ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა, რასაც საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეთაგან მას, როგორც თავად ამბობს, გაკიცხვის მეტი არა მიუღია რა (ქავთარია 1977: 43). ანტონს ურთიერთობა ჰქონდა რუს მეცნიერებთან და ამ პერიოდის განმავლობაში ქართულად გადმოთარგმნა მრავალი რუსული წიგნი, რომლებიც ისწავლებოდა რუსულ სემინარიებში: თვენი, კონდაკი, პარაკლიტონი, ტიბიკონი, მღვდელმთავრის კურთხევის წესი, ახალი ფილოსოფია, ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა; ლათინურიდან თარგმნა: ღვთისმეტყველება, ფილოსოფიური ტრაქტატები, კურციუსის ისტორია; შეადგინა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, ლოგიკის, მეტაფიზიკის, ზნეობრივი ფილოსოფიის, თეორიული ფიზიკის, პრაქტიკული ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოები; მოამზადა მასალები ახალი ქართული გრამატიკის გამოსაცემად (მთვარელიშვილი 1991: 23; ჟორდანია 1991: 100; კეკელიძე 1991: 127).

რუსეთში გამგზავრების დროს ანტონ კათალიკოსმა, როგორც თავად ამბობს, არ იცოდა სხვა ენა, გარდა ქართულისა, ამიტომ მას შეეწეოდნენ „რუსნი კაცნი სწავლულნი“. მომდევნო პერიოდში მან შეისწავლა უცხო ენები, თუმცა მთარგმნელობით საქმიანობას იგი ეწეოდა მეცნიერთა ჯგუფთან ერთად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კათალიკოსმა

შექმნა ძლიერი სკოლა, სადაც აღზარდა არაერთი მეცნიერი, რომელიც მასთან ერთად ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. მათ შორის იყვნენ სხვადასხვა უცხო ენის მცოდნენიც, რომელთაც ანტონ I-ის მიერ შერჩეული წიგნების თარგმნა ევალებოდათ ქართულ ენაზე. ამ თარგმანებს კათალიკოსი ასწორებდა, აზუსტებდა, დედანს ადარებდა და კომენტარებს ურთავდა (ავალიანი 1983: 9-14).

მიუხედავად იმისა, რომ ანტონ კათალიკოსი მკაცრად ამხელდა სომხური სარწმუნოების აღმსარებლებს, მან გარს შემოიკრიბა სომხური ენის მცოდნენი, დაიახლოვა ისინი და მათი მეშვეობით ქართულ ენაზე დაიწყო სომხური თხზულებების თარგმნა. ამის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის შუა პერიოდში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართველებისათვის ერთადერთი ხელმისაწვდომი მწერლობა, რომლიდანაც შეიძლებოდა ძეგლების თარგმნა, იყო სომხური ლიტერატურა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო მათთან ურთიერთობა კულტურულ-სამეცნიერო მუშაობისათვის. ანტონმა შექმნა მთარგმნელთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: იოანე მდივანბეგ ორბელიანი, გიორგი/გლახა ნათიშვილი, ქიზიყელი ნიკოლოზ მღვდელი, მესხიშვილები, ზაქარია მადინაშვილი, დოსითეოზ ნეკრესელი ჩერქეზიშვილი, ფილიპე ყაითმაზაშვილი და სხვ., და სათარგმნი ლიტერატურა მკაცრად შეზღუდა მხოლოდ ფილოსოფიურ-გრამატიკული ძეგლებით (ქავთარია 1977: 65-66).

## § 3.3. მეფე ერეკლე II-ის როლი საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში

XVIII საუკუნის II ნახევარში სპარსეთში სრული ანარქია სუფევდა, რაც შესაბამის გავლენას ახდენდა ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მეფე თეიმურაზი ფიქრობდა, რომ სპარსეთის საქმეების მოგვარება მხოლოდ რუსეთის ჩარევით იყო შესაძლებელი და ცდილობდა ამ საკითხით რუსეთის დაინტერესებას: ჯერ კიდევ 1752 წელს რუსეთში ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობის დროს ქართლისა და კახეთის მეფეები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთი შეეცდებოდა სპარსეთის ბატონობისგან საქართველოს განთავისუფლებას და მათთან კავშირის დამყარების გზით წინა აზიის

ასპარეზზე აქტიური პოლიტიკის წარმოებას. 1760 წელს პეტერბურგში ჩასულმა თეიმურაზმა საიმპერატორო კარს წარუდგინა გეგმა, რომლის თანახმადაც რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს ძლიერი არმიის შექმნაში, ანდა სესხად მისცემდა თანხას ჯარის დასაქირავებლად. ამით ქართლ-კახეთში აღკვეთდნენ ლეკიანობას, რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარი შევიდოდა სპარსეთში, მოიწვევდა სპარსელ დიდებულთა ყრილობას და შაჰად აირჩევდა რუსეთისთვის სასურველ კანდიდატს. ამით ქართველები განთავისუფლდებოდნენ სპარსეთის ბატონობისაგან და საბოლოოდ აღკვეთდნენ იმიერკავკასიელი მთიელების დაუსრულებელ თავდასხმებს. მაგრამ ეს გეგმა მიუღებელი იყო სპარსეთისთვის, რადგან იგი შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული და ოსმალეთის გაღიზიანებას ერიდებოდა, რის გამოც ელჩობა უშედეგოდ დასრულდა. თუმცა, რუსეთი თეიმურაზის — კავკასიაში მისი საიმედო მოკავშირის უპასუხოდ გამოსტუმრებას არ აპირებდა  და ევროპაში ვითარების შეცვლას ელოდებოდა,  რის გამოც იგი  1761 წლის დეკემბრამდე გააჩერეს რუსეთში.

ქართლის მეფე სამშობლოში გამომგზავრებას აპირებდა, როდესაც 1762 წლის 8 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ ცნობის მიღებისთანავე, ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ გამოაცხადა. მან დაამარცხა ყარაბაღის მფლობელი ფანაჰ ხანი და განჯაში საკუთარი მფლობელობა განიმტკიცა. მისი უზენაესობა აღიარეს შაქის, შამახიის, ნახიჭევანისა და ერევნის მფლობელებმა. გარდა ამისა, ერეკლემ ტყვედ იგდო სპარსეთის ტახტის მოსურნე აზატ ხანი, რომელიც სპარსეთის მბრძანებელს მხარშეკრული გაუგზავნა. მადლიერმა ქერიმ ხანმა ცნო ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აღიარა ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და მისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. გაჩნდა პერსპექტივა ძლიერი საქართველოს აღდგენისა, რაშიც ერეკლეს თანამოაზრეები და თანამოსაგრეები სჭირდებოდა. ამ საქმის განმახორციელებლად მას პირველ რიგში, საქართველოდან გაძევებული და ყველა უფლებაჩამორთმეული თავისი მამიდაშვილი ანტონ კათალიკოსი ესახებოდა. მეფისა და კათალიკოსის დაპირისპირების დროს ერეკლე ანტონის მხარეს იდგა, რაც კარგად ჩანს მათი მიმოწერიდან, მაგრამ იგი ვერ ერეოდა თეიმურაზის გადაწყვეტილებებში. ამიტომ, როდესაც ერეკლე გაერთიანებული სამეფოს სრულუფლებიანი მეფე გახდა, მან ანგარიში არ

გაუწია არც საეკლესიო კრების ძველ დადგენილებას, არც სამეფო კარზე გაბატონებულ ანტონ კათალიკოსის ოპოზიციას და პირველივე — 1762 წელს ანტონი საქართველოში მოიწვია. 1763 წელს იგი ქართლში დაბრუნდა.

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ერეკლე II-სა და ანტონ I კათალიკოსის წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიცია არსებობდა. ანტონს პირველ რიგში მისი ძველი მოწინააღმდეგე ზაქარია გაბაშვილი დაუპირისპირდა. მათი დაპირისპირების მიზეზი გახდა ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი „მიწყალეს თარგმანი“, რომელშიც სასულიერო ცენზურამ მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო ადგილები დაინახა და აკრძალა მისი გავრცელება. „მიწყალეს თარგმანის“ მოწინააღმდეგეთა შორის, გარდა ზაქარია გაბაშვილისა, იყვნენ: იოსებ კათალიკოსი, ალავერდელი ზენონი, არკადი ხუცეს-მონაზონი, მღვდელი დავითი, იოსებ დიაკვანი და სხვ. (კარბელაშვილი 1900: 176).

1764 წლის ოქტომბერში შედგა საეკლესიო კრება, რომელსაც მეფესთან ერთად ესწრებოდა ანტონ კათალიკოსი, კირილე მთავარეპისკოპოსი, ბესარიონ ეპისკოპოსი, თბილელი ქრისტეფორე, მროველი გერმანე, ნინოწმინდელი საბა, მანგლელი ნიკოლოზი და რუსთაველი იოსები. კრებაზე იოსებ კათალიკოსი დაადგინეს ხარჭაშნელად, ანტონი დააბრუნეს საკათალიკოსო ტახტზე, ხოლო მისი ცილისმწამებლები და „მიწყალეს თარგმანის“ უარმყოფელები განაკანონეს და ზაქარია გაბაშვილი განკვეთეს მღვდლობიდან (კარბელაშვილი 1900: 166). იგი ჯერ რუსეთში და შემდეგ იმერეთში გადაიხვეწა (მთვარელიშვილი 1991: 28), გაცილებით მძიმე ვითარება იყო ქართლის რეაქციონერ თავადებთან.

ქართლ-კახეთის გაერთიანება და მეფის გაძლიერება მოსვენებას უკარგავდა დიდგვაროვან თავადებს, რომლითაც თანდათანობით იზღუდებოდა მათი თვითნებობა. ისინი მიზეზს ეძებდნენ და საბაბად გამოიყენეს ის ფაქტი, რომ ერეკლე კახეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი იყო და ქართლის ტახტის „კანონიერ“ მემკვიდრედ მხოლოდ ვახტანგ VI-ის შთამომავლებს თვლიდნენ. ამ მიზნით მათ ერეკლეს დაუპირისპირეს ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი — პაატა ბატონიშვილი, რომელიც ვახტანგთან ერთად რუსეთში იყო გადახვეწილი და 1752 წელს სამშობლოში დაბრუნდა. ამავდროულად, 1750 წელს გარდაიცვალა რუსეთში მყოფი ბაქარ ბატონიშვილი და

ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ იქცა მისი ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი. ამავე პერიოდში, 1754 წელს გარდაიცვალა გივი ამილახვარი, რომელსაც შაჰის კარი უჭერდა მხარს ერეკლე-თეიმურაზის წინააღმდეგ. ერეკლე საამილახვროს გაუქმებას აპირებდა ისევე, როგორც ფაქტობრივად გაუქმებულნი იყვნენ ქსნისა და არაგვის საერისთავოები. ქართლის სხვა სათავადოებიც დიდი საფრთხის წინაშე დადგნენ. ამით ისარგებლა პაატა ბატონიშვილმა და 1765 წელს თავისთან შემოიკრიბა ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო თავადები, რომელთაც ერეკლესა და მისი ოჯახის ამოწყვეტის გეგმა შეადგინეს. შეთქმულება გამომჟღავნდა და ერეკლემ დააპატიმრა მისი მეთაურები, მოითხოვა შექმნილიყო საგანგებო სასამართლო, სადაც შეყვანილი იქნებოდნენ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები და ქართულ-ევროპული სამართალწარმოების მიხედვით მიუკერძოებლად გამოეტანათ სათანადო სასჯელი დამნაშავეთათვის.

შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ მასში მონაწილე ქართლელი თავად-აზნაურები მკაცრად დაისაჯნენ. მათი ერთი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს, ნაწილი დაასახიჩრეს, ხოლო დანარჩენ ნაწილს წოდებები და ყმა-მამული ჩამოართვეს და გარეკახეთში გადაასახლეს (ჯავახიშვილი 2013: 183).

გიორგი ბატონიშვილი შიშობდა, ერეკლეს იგი ტახტიდან არ ჩამოეცილებინა და უმცროსი ძმები დაეწინაურებინა, ამიტომ იგი მხარს უჭერდა და იცავდა მამის მოწინააღმდეგეებს, რითაც მათ კეთილგანწყობას იმსახურებდა. თავადთა ურჩობის აღსაკვეთად მეფემ და კათალიკოსმა მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც გარდა მეფისა და კათალიკოსისა, ესწრებოდა რვა მღვდელმთავარი და სამეფო კარის უმაღლესი წევრები. კრებაზე დაადგინეს ჩამოეცილებინათ სამშობლოს მოღალატე თავადები, ჩამოერთმიათ მათთვის ძალაუფლება და მამულები და გაეუქმებინათ ქსნისა და არაგვის საერისთავოები. ამ აქტს ყველამ მოაწერა ხელი, გარდა გიორგი ბატონიშვილისა, რითაც ორგულ თავადთა მეტი ნდობა მოიპოვა და მხოლოდ მამის მუქარის შემდეგ დასთანხმდა ხელმოწერას. მას სძულდა კათალიკოსი, დასცინოდა, არ ესწრებოდა მის წირვებს და სამღვდელოებაში ეძებდა კათალიკოსის მოწინააღმდეგეებს (ჟორდანია 1991: 59).

1765 წლის შეთქმულების ჩაშლის შემდეგ უფრო მეტად გაძლიერდა ქართლ-კახეთის მეფის ხელისუფლება, გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა.

ახლო აღმოსავლეთის ერები და განსაკუთრებით ქრისტიანები — სომხები, აისორები, ქურთები, ანატოლიელი ბერძნები და სხვ. საქართველოს დახმარებით ცდილობდნენ თავისუფლების მოპოვებას და ერეკლეს მფარველობას სთხოვდნენ.

ამ პერიოდში ერეკლე II-ს გადმოსახლების თხოვნით მიმართეს ურმიის ტბის მიდამოებში მცხოვრებმა აისორებმა და იეზიდებმა. სწორედ ამ დროს რუსეთი აქტიურად ამოქმედდა ამიერკავკასიაში და ერეკლე ცდილობდა რუსეთის იმპერატორი დაეინტერესებინა ქრისტიანი ერის ამ შემოთავაზებით. თუმცა, რუსეთის სარდლობამ ეს ხელსაყრელი შესაძლებლობა არ გამოიყენა და ყოველმხრივ შეუშალა ხელი ერეკლეს წარმატებას და მისი ავტორიტეტის საერთაშორისო განმტკიცებას.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა თავდაუზოგავი ბრძოლების შედეგად ქართლისა და კახეთის სამეფოებში შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 40-იანი წლებიდან მოყოლებული, ერეკლემ და თეიმურაზმა გააუქმეს არაგვისა და ქსნის საერისთავოები, ასევე, მუსლიმ მმართველთა გამგებლობაში მყოფი ქართლ-კახეთის განაპირა მხარეების სახანოები, რომლებიც უშუალოდ მეფის მმართველობას დაუქვემდებარეს.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს — 1771 წლის 29 დეკემბერს ერეკლემ სპეციალური ელჩობა გაგზავნა რუსეთში ლევან ბატონიშვილისა და ანტონ I კათალიკოსის მეთაურობით. ანტონ კათალიკოსი შეგნებულად იყო შერჩეული ელჩობისთვის, რადგან იგი კარგად იცნობდა რუსეთის საერო ხელისუფლებასა და სამღვდელო პირებს, რაც ხელს შეუწყობდა მათ ურთიერთობებს პოლიტიკური და სასულიერო საკითხების გადაწყვეტისას, რადგან ამ დროს მზადდებოდა ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს ეკლესიის საკითხიც უნდა ასახულიყო (ბუბულაშვილი 2017: 28-29).

ერეკლე II-ის მიერ ხელმოწერილ „სათხოვარ პუნქტებში“, რომელიც ქართველმა ელჩებმა რუსეთის საიმპერატორო კარს წარუდგინეს, ქართლ-კახეთის მეფე ითხოვდა:

1. საქართველოში გამოგზავნილიყო 4000-იანი ჯარი;
2. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე მხოლოდ ერეკლეს შთამომავალი დამტკიცებულიყო;

3. საქართველოს ეკლესიის სათავეში მუდმივად ქართველი კათალიკოსი ყოფილიყო;

4. განთავისუფლებულიყვნენ ყირიმში მყოფი ქართველი ტყვეები;

5. გამოყოფილიყო თანხა სესხის სახით, რომელიც ადგილობრივი ჯარის შენახვას მოხმარდებოდა;

6. განთავისუფლებულიყო მესხეთი თურქთა ბატონობისაგან და მესხეთის მოსახლეობაში შენარჩუნებულიყო ქართული ენა და მართლმადიდებელი სარწმუნოება.

მეფე თანახმა იყო რუსეთის კარზე მძევლად გაეგზავნა თავისი რომელიმე ვაჟიშვილი და თავადაზნაურთა შვილები. რუსეთის იმპერატორს თავისი ქვეყნის მფარველობაში მიღების სანაცვლოდ ერეკლე ბევრ სარგებელს აღუთქვამდა, მაგრამ თურქეთთან წარმოებული ომის გამო რუსეთმა საქართველოს სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია და ელჩობა უშედეგოდ დასრულდა.

რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რადგან: ერეკლემ რუსეთის მხარეს მტკიცედ დგომით ოსმალეთიც გადაიმტერა და სპარსეთის ნდობაც დაკარგა. ქართლ-კახეთის მეფეს განუდგნენ მეზობელი ხანებიც, გახშირდა ლეკთა თარეში. სპარსეთის მფლობელი ქერიმ ხანი ერეკლეს მოწინააღმდეგეებს თავშესაფარს აძლევდა. მისი გარდაცვალების შემდეგ სპარსეთში არეულობა დაიწყო, რომლის დროსაც შაჰობის მოსურნე ყუბის სახანოს მპყრობელი ფათალი ხანი ერეკლე II-ის მთავარ მეტოქედ იქცა და ქართლ-კახეთის მეფეს განჯისა და ერევნის ხანები აუჯანყა. პარალელურად, მის წინააღმდეგ ქართლის თავადები აპირებდნენ გამოსვლას, რომელთაც ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე აქეზებდა და ქართლში გამეფების გზებს ეძებდა. ერეკლე II დიპლომატიური ღონისძიებებით ცდილობდა გარეშე და შინაური მტრების მოგერიებას.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნისას ქართველები გაეცვნენ „განსწავლული ჯარის“ უპირატესობებს და 1773 წელს სამეფო დარბაზმა მიიღო „მორიგე ჯარის განჩინება“, რომელიც 1774 წელს ამოქმედდა.

ერეკლე მეფემ მთელი ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის მამაკაცთა რაოდენობა აღწერა, შვიდ ნაწილად დაჰყო და დავთრები სოფლის მებატონეებს დაურიგა.

მიუხედავად სარწმუნოებრივი და წოდებრივი განსხვავებისა, ყოველი მამაკაცი ვალდებული იყო ერთი თვის განმავლობაში „მორიგე ჯარში“ ემსახურა საკუთარი ხარჯებით, ხოლო თუ გლეხს ამის საშუალება არ გააჩნდა, მებატონე ვალდებული იყო უზრუნველეყო საკუთარი გლეხი ყოველგვარი საჭიროებით სამხედრო ბეგარის მოსახდელად. დუქნის მეპატრონეებს, მწყემსებს, ხაბაზებს, მზარეულებს, მეწისქვილეებსა და გუთნისდედებს (მხოლოდ ხვნის დროს) უფლება ეძლეოდათ საკუთარი შემცვლელი წარედგინათ „მორიგე ჯარში“. ურჩობა და დამალვა მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა — სხვადასხვა ჯარიმას ყველა წოდების მიხედვით, ხოლო ჯარიმის გადაუხდელობა — დაპატიმრებას. „მორიგე ჯარში“ გაწვეული გლეხობა თავისუფლდებოდა სხვა საურავისაგან (ქიქოძე 1942: 156-158).

ანტონ კათალიკოსი მხარს უჭერდა ამ რეფორმას მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო ყმებს ეს გადაწყვეტილება მძიმე ტვირთად დააწვებოდა (ჟორდანია 1991: 60). ამ რეფორმის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოს მუდმივად 5000 საომრად გამზადებული ჯარისკაცი ჰყავდა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის  გაძლიერების საქმეში: შეწყდა ლეკთა თარეში, გლეხებმა დატოვეს ციხე-გალავნები და მეურნეობას დაუბრუნდნენ; შეიზღუდა დიდგვაროვან თავადთა თვითნებობა, რის გამოც ისინი წინ აღუდგნენ „მორიგე ჯარის“  დამკვიდრებას საქართველოში და ყველაფერი გააკეთეს მისი გაუქმებისათვის. საბოლოოდ, 1781 წელს ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო „მორიგე ჯარმა“ არსებობა შეწყვიტა, რადგან სხვა ბატონიშვილებს მისი ხელმძღვანელობის სურვილი და ხალისი არ აღმოაჩნდათ.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში დიდი ცვლილებები მოხდა დარბაზში. ერეკლე II-ის რეფორმების შედეგად იგი მუდმივმოქმედ ორგანოდ იქცა და მეფე ყოველ მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხს ამ საბჭოსთან ერთად წყვეტდა, რომელიც ორგვარი იყო: დიდი და მცირე. პირველში შედიოდნენ ბატონიშვილები, კათალიკოსი და სხვა დიდებულები, ხოლო მეორეში — საგანგებოდ შერჩეული პირები: მეფის ერთგული მრჩევლები და ა.შ.

რაც შეეხება გლეხთა ფენას, რომელიც სახელმწიფოს საყრდენსა და წინაპართა წეს-ჩვეულებების, ენისა და რწმენის შენარჩუნების ძალას წარმოადგენდა, უმძიმეს მდგომარეობაში იყო. გლეხთა ფენის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას ხელს

უწყობდა ის ფაქტი, რომ დიდი მემამულეები ცდილობდნენ საეკლესიო, სამონასტრო და სახასო გლეხების მიტაცებას, რომელნიც საბატონო გლეხებთან შედარებით ეკონომიკურად უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, რადგან: საეკლესიო გლეხებს შეეძლოთ საკუთარი სახლ-კარისა და  სხვა ქონების გაყიდვა, ან/და სავაჭროდ წასვლა და მათი გადასახადიც მხოლოდ საეკლესიო მსახურებებთან იყო დაკავშირებული. ამ დროს კი, საბატონო გლეხს უნდა გადაეხადა ყოველგვარი ნატურალური გადასახადი — პურის, ღვინის, ხორცის გამოსაღები, ლხინისა და ჭირის შესაწირავი, კვირაში რამდენიმე დღე ბატონთან ემუშავა და ეკლესიისა და სახელმწიფოს ხარჯებიც დაეფარა, რასაც ემატებოდა ლაშქრობა-ნადირობის ბეგარა და ე.წ. თათრის საურავი, რომელსაც ნებისმიერი კატეგორიის გლეხი იხდიდა (ქიქოძე 1942: 110-114).

ფეოდალურ საქართველოში მოქმედებდა ე.წ. ბეითალმანის კანონი, რომლის თანახმადაც უძეოდ გარდაცვლილი გლეხის მთელი ქონება რჩებოდა მებატონეს, გარდაცვლილის ქალიშვილები შინამოსამსახურეებად მიჰყავდათ და ოჯახი იშლებოდა. XVIII საუკუნის შუა პერიოდში ერეკლე II-მ და ეპისკოპოსმა ნიკოლოზ ალავერდელმა შეცვალეს ბეითალმანის წესი, რის შემდეგაც უძეოდ გარდაცვლილი გლეხის ქონების მემკვიდრედ ცხადდებოდნენ მისი ქვრივი და ქალიშვილები.

ამასთანავე, ერეკლე II-მ ზოგიერთ გლეხს გადასახადი შეუმცირა, შეღავათებს აძლევდა ახალმოსულ გლეხებსა და ქვრივ-ობლებს. სამეფო გლეხების ინტერესებს იცავდა და მებატონეებისგან კატეგორიულად მოითხოვდა ზედმეტი გადასახადები არ აეღოთ გლეხებისგან, რის გამოც ისინი მებატონეებისგან გარბოდნენ ზოგჯერ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კი. ამ შემთხვევაში მეფე პასუხისმგებლობას მებატონეს აკისრებდა და აფრთხილებდა, რომ მსგავს შემთხვევაში უმკაცრესად დასჯიდა მათ. 1765 წელს ერეკლემ მიიღო კანონი ტყვეობიდან მოსული გლეხის თავისუფლების შესახებ, რომლის თანახმადაც მებატონეს უფლება ეძლეოდა სხვა ბატონის გლეხი თავისთან მიეყვანა, გლეხს კი შესაძლებლობა მიეცა სხვა ბატონს უკეთეს პირობებში ყმობოდა. ამასთანავე, მეფემ აკრძალა გლეხის უმიწოდ გაყიდვა. დასახელებული ღონისძიებები აიძულებდა მებატონეებს მიებაძათ ერეკლესა და ალავერდელი ეპისკოპოსისათვის, რათა ყმები შეენარჩუნებინათ.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება ბრძოლა გლეხთა ბატონყმური უღლისგან განთავისუფლებისათვის. ისინი უარს ამბობდნენ მებატონეების სამსახურზე და ყოველგვარ საბატონო გადასახადზე. მებატონეები და ცენტრალური ხელისუფლება მწვავედ რეაგირებდა მათ ურჩობაზე: კათალიკოსის მოხელეებმა ჯოხით სცემეს გლეხები, რომლებიც უარს აცხადებდნენ გადასახადზე. გლეხები ზოგჯერ თავიანთ საძულველ მებატონეებს ხოცავდნენ, არბევდნენ და სახლ-კარს უწვავდნენ.

1749 წელს გლეხთა მღელვარება იყო ბოლნისის ეკლესიის კუთვნილ სოფლებში. 1775 წელს ერეკლემ ქიზიყის მოურავს დაავალა პორტაიტის მონასტერში სასტიკად გასწორებოდა ურჩ გლეხებს და ყველაფერი წაერთმია მათთვის, ვიზეც მონასტრის წინამძღვარი მიუთითებდა. იგივე მდგომარეობა იყო ურბნისის ეკლესიაში, როდესაც 1776 წელს ეპისკოპოსმა დახმარებისთვის ერეკლეს მიმართა (ასათიანი 2008: 387-392).

XVIII საუკუნის II ნახევრის მთელს საქართველოში ყველაზე დიდი მესაკუთრე მეფე-მთავრები და ორი კათალიკოსი — ქართლისა და აფხაზთა კათალიკოსები იყვნენ. მეფე თავისი სახასოს შემოსავალს სახელმწიფო საქმეებზეც ხარჯავდა. არსებობდა ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადი, რომელსაც თავად-აზნაურთა და ეკლესია-მონასტრების ყმა-გლეხები იხდიდნენ. ასევე, სამხედრო ვალდებულება — ლაშქარ-ნადირობა, რომლიდანაც არავინ თავისუფლდებოდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

„ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ პერიოდში საქართველოს ეკლესია საგრძნობლად დაზარალდა, გაუქმდა მრავალი საეპისკოპოსო და მონასტერი: რუისის, ურბნისის, სამთავისის, ნიქოზის, დმანისის, ბოლნისის, ნეკრესისა და სხვა ეპარქიები, გარეჯის, ფიტარეთისა და სხვა მონასტრები. ასევე, დასავლეთ საქართველოში: საქუთათლოს, ბიჭვინთის, ხონისა და სხვა ეპარქიები, მათი ყმა-მამული კი მთავრებსა და თავადებს ჰქონდათ მიტაცებული. საჭირო იყო განადგურების პირას მყოფი ეკლესიის აღდგენა, მოსახლეობის ზნეობრივი გადაგვარების პროცესის შეჩერება და ეროვნული ცნობიერების ამაღლება, რაც უდიდეს ენერგიასა და უმნიშვნელოვანეს საეკლესიო რეფორმებს მოითხოვდა. ანტონ კათალიკოსმა შეკრიბა საეკლესიო მამულების სიგელები, მეფეს დაამტკიცებინა საეკლესიო მამულები და აღადგინა ეპარქიები და ტაძრები ყველა

სოფელში, რითაც განმტკიცდა ეკლესიის ავტორიტეტი და მეფეს ამოუდგა მხარში ეროვნული საქმის განხორციელების დროს (ხახანაშვილი 1991:108).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სწავლა-განათლებას. თუ მანამდე სწავლა კერძო ხასიათს ატარებდა და დამოკიდებული იყო რომელიმე კონკრეტული განათლებული პირის კეთილ სურვილებზე, ამიერიდან სასწავლებლები სახელმწიფო სტატუსს იძენდა და ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ამ რეფორმის მოთავეები იყვნენ ერეკლე II და ანტონ I დიდი კათალიკოსი, რომელთა სახელთან დაკავშირებულია არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი დამპყრობლები და მოთარეშე ლეკები მუდმივად აოხრებდნენ ქართულ ტაძრებს, XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ეკლესია-მონასტრებთან, ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა სახლებში არსებობდა დაწყებითი ტიპის სასწავლებლები, სადაც განათლების მიღება შეეძლო ყველას, განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა. დავით გარეჯის მონასტერში არსებობდა უმაღლესი „შკოლა“ მდიდარი ბიბლიოთეკით. ასეთივე სასწავლებლები არსებობდა გელათში, შემოქმედსა და ხონში. პირველდაწყებითი სკოლები არსებობდა სიონის, კალოუბნის, ქაშვეთის, ანჩისხატის, ნეკრესის, მეტეხის, ნათლისმცემლის ეკლესიებსა და წმინდა ნინოს მონასტერში, სადაც არაერთი საერო და სასულიერო პირი აღიზარდა (დარჩია 1987: 21-25).

საქართველოში დაბრუნების პირველივე — 1764 წელს ანტონ კათალიკოსმა ანჩისხატის ტაძრის ეზოში მდებარე თბილისის სასულიერო სკოლა ფილოსოფიურ სემინარიად გადააკეთა, რომლის რექტორად დაინიშნა ფილოსოფოსი ფილიპე ყაითმაზაშვილი. მოგვიანებით, მსგავსი ხასიათის სემინარია გაიოზ არქიმანდრიტის ინიციატივით 1782 წელს დაარსდა თელავშიც, რომლის რექტორადაც თავად დაინიშნა. 1778 წელს თბილისში მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა რუსული ენის შემსწავლელი სკოლა, რაც პრაქტიკული საჭიროებით იყო გამოწვეული. აღნიშნულ სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, არითმეტიკას, გალობას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ისტორიასა და ა. შ., სადაც განათლებას იღებდნენ როგორც ქართველები, ასევე, სომეხი და მუსლიმი მოქალაქეები. არსებობდა კათოლიკეთა კერძო სკოლაც, რომელმაც არსებობა შეწყვიტა 1755

წელს, თეიმურაზ II-ის მიერ ქართლ-კახეთიდან კათოლიკეების განდევნის შემდეგ. ზემოაღნიშნული სკოლებისთვის სპეციალურად იქმნებოდა ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოები. ანტონ კათალიკოსის მიერაა შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა," „მოკლე ისტორია საქართველოსი", „კატეხიზისი", „ღვთისმეტყველების" 4 ტომი, „რიტორიკა მხითარისი", „კატეღორია სიმეტნე", „მარტირიკა," „კიბე ცად ამყვანი იოანე სინელისა", „ქებითი სიტყვა პატივად ღირსისა შიო მღვიმელისა", „დასდებელნი, საგალობელნი პატივად რომელთამე ქართველთ ეკლესიის წმიდათა", „პროლოღი პატივად წმიდათა", „ისტორია ეფესოს კრებისა", „ერგასეულნი", „წიგნი აღსარებისა", „აპოლოღია", „ქადაგებანი მრავალნი", „განმარტება ეპისტოლისა რომაელთა მიმართ", „კლდე სარწმუნოებისა სტეფანე იავორსკისა", „კერძოობითი ანტონის წერილები", „წყობილსიტყვაობა", „საქართველოს მეფეთა შთამომავლობისათვის", „სპეკალი" (ჟორდანია 1991: 25), „წმინდა აბიბოს ნეკრესელის ქება", „ქადაგება უფლის მირქმის დღეს" (ხახანაშვილი 1991: 108). ბაქარ ბატონიშვილის დავალებით დიმიტრი ციციშვილმა გერმანულიდან თარგმნა „არითმეტიკის" სახელმძღვანელო, ვასილ ჭილაძესა და გოდერძი ფირალიშვილს ეკუთვნის „ღეომეტრიის წიგნები" და „მხაზველობითი ხელოვნების სახელმძღვანელო." სოლომონ ლიონიძის მიერაა შედგენილი რუსული ენის სავარჯიშო წიგნი „რაზღოვორი"; ვარძიის მონასტერში შეიქმნა „ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი" (კეკელიძე 1991: 127).

მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ანტონ კათალიკოსს, იოანე, ლევან და დავით ბატონიშვილებს, დიმიტრი ციციშვილს, ვასილ ჭილაძეს, ტიმოთე გაბაშვილს, იონა გედევანიშვილს, რაფიელ დანიბეგაშვილს, ავთანდილ თუმანიშვილს, გაიოზ რექტორს, პაპუნა ორბელიანს, ომან ხერხეულიძეს, ალექსანდრე ამილახვარს, იესე ბარათაშვილს, დოსითეოს ნეკრესელს, ფილიპე ყაითმაზაშვილს, ანტონ ცაგარელ-დადიანს და სხვ. მათ მიერ შეიქმნა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, სამედიცინო, სამხედრო-ტექნიკური, გეოგრაფიის, ფილოსოფიის, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის, პედაგოგიკის, სამართლისა და სხვ. როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი სახელმძღვანელოები (ასათიანი 2008: 398-402).

ანტონ კათალიკოსმა მოიძია მთელს საქართველოში გაბნეული ხელნაწერები და მცხეთასა და დავით გარეჯში შექმნა ბიბლიოთეკები, რომლის ფონდი 7000 ტომს აღწევდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ეპარქიებში ბიბლიოთეკების დაარსება. მის მიერ დაფუძნებულ საეპარქიო სკოლებში ეპისკოპოსები ვალდებულნი იყვნენ მოსახლეობისთვის წერა-კითხვა ესწავლებინათ (ჟორდანია 1991: 68).

ანტონ კათალიკოსის ხელმძღვანელობით ქართლ-კახეთის მოღვაწეებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველ და კავკასიის მთიანეთის ხალხთა კულტურული კავშირის განმტკიცებაში. „ოსეთის სასულიერო კომისია“ მოსკოვის ქართულ ახალშენსა და საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში.

აღსანიშნავია, რომ თელავის სემინარიაში ოსი ეროვნების აღსაზრდელებიც იღებდნენ განათლებას. ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა მომმე ქართველი და ოსი ერის ურთიერთკავშირის აღდგენასა და მათ დაახლოებას.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში „კომისის“ მიერ იყო მცდელობა ქართულიდან ოსურ ენაზე ეთარგმნათ რელიგიური თხზულებები ქართული ანბანის გამოყენებით. 60-იან წლებში მოზდოკში არსებობდა ქართული სკოლა ოსი უხუცესების ბავშვებისთვის და იქმნებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები. 1769 წელს მოზდოკში ქართულიდან რუსულ ენაზე ითარგმნა რუსეთის მთავრობისთვის ერეკლე მეორის მიერ შედგენილი: „Описание стран и народов, окружающих Грузию“ (Гамрекели 1972: 11).

1772-1773 წლებში ყიზლარში გიულდენშტედტის თხოვნით დეკანოზმა პორფირი ბაგრატიონმა რუს სტუდენტ ს. ბელიაევთან ერთად გადათარგმნა „ქართლის ცხოვრების“ პირველი თავები. რამდენიმე წლის შემდეგ თერგისპირეთის მკვიდრმა ვარლამ სავარსამიძემ პ. გრიგორიევთან ერთად თარგმნა სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის თხზულებები. პარალელურად, ყიზლარსა და მოზდოკში მიმდინარეობდა მთარგმნელობითი სამუშაოები რუსულიდან ქართულ ენაზე. ამ სფეროში განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა გაიოზ რექტორი. იგი მის მიერ თარგმნილ ლიტერატურას იყენებდა საგანმანათლებლო სფეროში ოსებისა და ინგუშების გასაქრისტიანებლად. 1784-1793 წლებში გაიოზ რექტორი იყო „ოსეთის კომისიის“ წევრი,

რომელსაც  უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ოსი ხალხის რუსულ და ქართულ კულტურასთან დაახლოებაში. 1793 წელს იგი იმპერატორ ეკატერინე II-ის თანდასწრებით ეპისკოპოსად აკურთხეს; უბოძეს ბრილიანტებით მორთული ოქროს ჯვარი, 5000 ხუთმანეთიანი ოქრო და დანიშნეს მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსად (დარჩია 1987: 76).

1793-1799 წლებში გაიოზ რექტორი იყო მოზდოკის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი, ხოლო ეპარქიის გაუქმების შემდეგ 1799-1808 წლებში ასტრახანისა და კავკასიის მთავარეპისკოპოსი. იგი დიდად დაინტერესებული იყო სტამბის დაარსებისა და წიგნის ბეჭდვის საქმით, რაც სასკოლო და მხატვრული ლიტერატურის ნაკლებობით იყო განპირობებული. მისი ინიციატივით გაიხსნა სტამბები მოზდოკსა და კრემენჩუგში, სადაც დაიბეჭდა ქართული „ღრამატიკა“, „საცისკრო ლოცვანი“, „მცნება ბასილის ბერძენთ მეფისა“, სასკოლო-სააღმზრდელო და საღვთისმეტყველო ლიტერატურა (დარჩია 1987: 87-88).

რუსეთში ქართული სტამბის ერთ-ერთი დამაარსებლის, იოსებ სამებელის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილას დაინიშნა ეპისკოპოსი ათანასე თბილელი. მას სასულიერო მოღვაწეობის გარდა  დიპლომატიური მისიაც დაეკისრა, რითაც უფრო მეტად განმტკიცდა საქართველოს კავშირი რუსეთში მცხოვრებ ქართველებთან.

1796-1798 წლებში გაიოზ რექტორის ორგანიზებით სომხურიდან ოსურად ითარგმნა და გამოიცა „Начальное учение человеком, хотящим учитися книг божественного писания“. ეს იყო პირველი გამოცემული ნაშრომი ოსურ ენაზე. 1775 წელს არქიმანდრიტმა პორფირიმ ანტონ კათალიკოსის დავალებით ქართულად თარგმნა 1773 წელს გამოცემული თეოფანე პროკოპოვიჩის ნაშრომი „История  о начале ипродолжении раздора между греками и римлянамми“ (Гамрекели 1772: 12).

1796-1801 წლებში გამოიცა ანბანი, ლოცვანი, ქრისტიანული სწავლანი, ქართული ენის გრამატიკა და სხვ.  მათ შორის ბევრი ქართველი მუშაობდა წიგნის გადამწერად.

გაიოზ რექტორმა რუსული ენიდან თარგმნა: „დაბადება“, „ქრისტიანებრი სწავლა ანუ ჭეშმარიტი სიტყუა ღ˜ისა“, „აღსარების წიგნი“, ამბროსი მედიოლანელის „მიცვალებისა ძმისა მისისა სატირისა და თეოდოსი დიდისა“, „სამღვდლო ისტორია“, „ძველთა სამეფოთა ისტორია“, „რეღლამენტი“, „ტიპიკონი“, „ვასილი დიდის ეპისტოლენი“, „განმარტება იგავთა სოლომონისათა“, „სარწმუნოების კითხვა-მიგება“, ნიკოლა რაძივალას „მგზავრობა წმინდა

ადგილთა იერუსალიმს“, „კიტაის სიბრძნე“, „საყოფაცხოვრებო ჰსჯა“ და სხვ. გაიოზ რექტორის თანამედროვეთა ცნობით, მას 300-ზე მეტი წიგნი ჰქონდა ქართულად ნათარგმნი.

„მორიგე ჯარის“ შექმნის შემდეგ ერეკლე II-ის თხოვნით გაიოზ რექტორმა რუსულიდან თარგმნა იმპერატორ პეტრე I-ის ავტორობით შედგენილი წესდება „სამხედრო ტიპიკონი“.

XVIII საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სასულიერო წოდებას უსწავლელ და გაუნათლებელ პირებს ანიჭებდნენ. მის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ ანტონ კათალიკოსი და ერეკლე II. მათ მიერ მიღებულ იქნა არაერთი დადგენილება, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა შესაბამისი განათლების მიღების გარეშე სასულიერო პირად კურთხევა. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გაიოზ რექტორის მიერ ითარგმნა მთელი სერია ქრისტიანული წესებისა, რომელიც ეკლესიაში მსახურ პირებს ეხებოდა: „წესი დადგინებასა ზედა წიგნის მკითხველისა და მგალობელისა“, „წესი იპოდიაკონის ხელდასხმისა“, „წესი ხელდასხმისა ზედა დიაკონისა“, „წესი ხელდასხმისა ზედა ხუცისასა“, „ცნობები ეკლესიათა აგების შესახებ“ (დარჩია 1987: 117-139).

ანტონ I-ის ხელმძღვანელობით ქართლ-კახეთის მოღვაწეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველებისა და კავკასიის მთიანეთის ხალხთა კულტურული კავშირის განმტკიცებაში. „ოსეთის სასულიერო კომისია“ წარმოადგენდა ერთგვარ შუამავალს რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობების განვითარებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩრდილო კავკასიაში ქართველ გადასახლებულთა ორი პერიოდი გამოიყოფა: 1. 1722-1733 წ.წ. — კასპიისპირეთში და 2. 1735-1800 წ.წ. — თერგისპირეთში. მეორე პერიოდი იყო უფრო ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იმ გაგებით, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა გააქტიურდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ქართველებსა და ჩრდილო კავკასიელ ხალხთა შორის; ასევე, საქართველოს ურთიერთობა გაღრმავდა ჩრდილო კავკასიასა და რუსეთთან. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რიცხვი მხოლოდ 3000-მდე აღწევდა და არ იყო მრავალრიცხოვანი,

საზოგადოებაში გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ მოღვაწეობასა და ურთიერთობას ჩრდილო კავკასიის ქვეყნებსა და რუსეთთან.

ანტონ კათალიკოსმა მის მიერ დაფუძნებულ სემინარიებსა და სკოლებში აღზარდა განათლებულ სამღვდელოთა მთელი გუნდი და მათთან ერთად შექმნა ახალი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, მტკიცედ იცავდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ პროცესებში. იგი ყოველ ბრძოლას იწყებდა წირვა-ლოცვით და ასრულებდა სამადლობელო პარაკლისით და განსაცდელისა თუ გამარჯვების დროს მუდამ მეფის გვერდით იდგა. ამით იგი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთკავშირის განმტკიცებას ცდილობდა, რაც საეკლესიო რეფორმების წარმატებით გატარებას განაპირობებდა (პაპუნა ორბელიანი 1854: 447).

გაიოზ რექტორის დახასიათებით, ანტონ კათალიკოსმა, „აღმომყვანმან სიბნელისაგან უმეცრებისა საქართველოჲსა იწყო შენობად ბედნიერობისა ამის ჩვენისა. ამან სრულ-ჰყოცა სახლი სიბრძნისა საქართველოჲსა ყოვლითა საჭიროთა სწავლულობითა... ამან გულს-მოდგინებით თვისითა ჰყო ათინად მამული თვისი, რომელიცა უწინარეს ამისა ვითარსა სიბნელესა შინა უმეცრებითსა დაფარულ იყო“ (მთვარელიშვილი 1881: 109).

1781-1782 წლებში კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანილმა ხელოსნებმა თბილისში დააარსეს ახალი ტექნიკით აღჭურვილი სტამბა, რომელიც მეფეს 20 000 მანეთი დაუჯდა. სასტამბო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მბეჭდავ-გამომცემელი ქრისტეფორე კეჟერაშვილი. მის სტამბაში დაიბეჭდა 10 000-მდე წიგნი. ასევე, სტამბა არსებობდა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც მესტამბე გიორგი პაიჭაძე ხელმძღვანელობდა. პარალელურად, ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ კალიგრაფ-გადამწერები: მესხიშვილები, მაღალაძეები, მოძღვრიშვილები და ა.შ.

გარდა ამ ღონისძიებებისა, ერეკლე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკურ განვითარებას. 1774 წელს მან ოსმალეთიდან მოიწვია ბერძენი სპეციალისტები და განაახლა სამთამადნო მრეწველობის საქმე ახტალასა და ალავერდში, რამაც საგრძნობლად გაზარდა სამეფო შემოსავალი. მეფე ზრუნავდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაზე. ცდილობდა მოწვეული ოსტატები ჩაენაცვლებინა

ადგილობრივი კადრებით და დაეარსებინა შაქრის, მაუდის, მინაბროლისა და სარკის წარმოების ქარხნები (ბერძენიშვილი 1965: 224).

ასე თანდათანობით ძლიერდებოდა გაპარტახებული სოფლები და მოსახლეობა ძალას იკრებდა უკეთესი მომავლისათვის, რაც შეაფერხა და ბოლო მოუღო გარესამყაროში მიმდინარე პროცესებმა.

## § 3.4. სოლომონ I და საეკლესიო მოღვაწენი დასავლეთ საქართველოში

1752 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე V და ტახტზე ავიდა მისი 17 წლის ვაჟი სოლომონ I, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო დაშლილ-დანაწევრებული სამეფო, დასუსტებული ეკლესია, დაცარიელებული ხაზინა, მეფისა და სამშობლოს მოღალატეთა დიდი რაოდენობა და იმერეთის სამეფოს ციხეებში გამაგრებული ოსმალო მეციხოვნეები. გარდა სამეფოში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა, სოლომონ მეფის ცხოვრება ბავშვობიდანვე აღსავსე იყო პირადი ტრაგედიებით: მას მამა — ალექსანდრე V, როგორც აღინიშნა, 17 წლის ასაკში გარდაეცვალა, დედა — თამარ აბაშიძე აჯანყებაში მონაწილეობის გამო 1753 წელს იმერეთიდან გაამევა და მასთან ურთიერთობა აღარ ჰქონია, 1775 წელს მეფეს გარდაეცვალა ძმა — არჩილ ბატონიშვილი, 1776 წელს მეორე ძმა — იოსებ კათალიკოსი, 1778 წელს მეუღლე — მარიამ დადიანი, ხოლო 1780 წელს ვაჟი — ალექსანდრე ბატონიშვილი, რამაც უმძიმესი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე.

სოლომონ I-ს გამეფებისთანავე დაუპირისპირდნენ იმერეთის ტახტისათვის მებრძოლი ბიძები — მამუკა და გიორგი ბაგრატიონები; უძლიერესი თავადები — მამია IV გურიელი, როსტომ რაჭის ერისთავი და მისი ძმა — აფხაზთა კათალიკოსი ბესარიონი; ლევან აბაშიძე და მისი ქალიშვილი, სოლომონის დედა — თამარი. მეფემ ახალციხის ფაშას დახმარებით დაამარცხა და მკაცრად დასაჯა მოწინააღმდეგეები: მამუკა ბატონიშვილი იმერეთიდან განდევნა და გიორგი დააპატიმრა; ლევან აბაშიძეს მამულები შეუმცირა; მამია გურიელი გადააყენა და მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი დანიშნა, ხოლო დედა იმერეთიდან გაამევა. დასჯას გადაურჩა მხოლოდ რაჭის ერისთავი, რადგან ახალგაზრდა მეფეს ჯერ არ შესწევდა საამისო ძალა, რომ სათანადოდ გასწორებოდა უძლიერეს თავადს. ასე დაიწყო მან იმერეთის სამეფოში წესრიგის აღდგენა. ამ საქმეში მას ძლიერი საყრდენი ძალა

ესაჭიროებოდა, რადგან მისი მოწინააღმდეგეები მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის იბრძოდნენ და თავიანთ სამფლობელოში ემსახურებოდნენ ოსმალთა მიზნებს საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ, რასაც ეწირებოდა დასავლეთ საქართველოს ყმა-გლეხობა, აზნაურობა და ეკლესია. სწორედ ეს იყო ის დასაყრდენი ძალა, რომლის მხარდაჭერითაც მეფეს უნდა ემოქმედა თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ „ქართველობის“ შესანარჩუნებლად. ამ მიზნის მისაღწევად ყველა პროგრესული ძალა მეფის მხარეს დადგა.

სოლომონმა ბავშვობიდანვე, გამეფებამდე გაცილებით ადრე, მიზნად დაისახა იმერეთის სამეფოში „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვა. ამ მიზნით მან ჩამოაყალიბა „წმინდა გიორგის რაზმი“, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ სოლომონი, მისი ძმა არჩილი და მათი თანატოლი ერთგული თავადები. მათ ჯვარზე დაიფიცეს და მუდმივად არბევდნენ ოსმალებსა და მათ მხარეზე მყოფ ქვეყნის მოღალატეებს, რამაც დიდი სარგებელი მოუტანა იმერეთის მეფესა და მის სამეფოს (ტყეშელაშვილი 2016: 15).

სოლომონის გამეფების დროს იმერეთის ციხეების დიდ ნაწილში — ქუთაისში, ბაღდათში, შორაპანში, ცუცხვათში, გონიოში, ბათუმში, ფოთში, რუხში, ანაკლიასა და სოხუმში ოსმალო გარნიზონები, იანიჩარები და ფაშები ისხდნენ, რომლებიც ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ქართველთა შორის დაპირისპირების გაღვივებას, ეკონომიკის მოშლასა და „ტყვის სყიდვის“ გაძლიერებას. მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში საგარეო ვაჭრობის ძირითადი ფორმა და ხარკის გასტუმრების ერთადერთი საშუალება „ტყვეთა სყიდვა“ იყო, რასაც სიამოვნებით იღებდა სულთნის კარი და უპირველეს მოთხოვნად იმერეთიდან მათ შეუფერხებლად გაყვანას აყენებდა. ამიტომ მეფემ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხეების დაბრუნებით დაიწყო. გარდა სვერის ციხისა, რომელიც ალექსანდრე V-მ დაიბრუნა, სოლომონ I-მა 1752 წელს გიორგი აბაშიძე-მამუკაშვილისგან იყიდა ხარაგაულის ციხე მამულით, აზნაურებით, მსახურებითა და გლეხებით. 1753 წელს კაცხის ციხეც მის ხელში გადავიდა, ხოლო 1762 წელს ჩხერის ციხე შეისყიდა (გურული 2011: 332). პარალელურად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ „ფიცის კაცებს“, რომელნიც იყვნენ: თავადი ლორთქიფანიძეები და აზნაურები: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ღოღობერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი,

უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი, რომელნიც ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში: ახალბედისეული, დედალოური, ცხუნკური, გვაშტიბი, ჩუნეში, წყალტუბო, ქვილიშორი, გუმათი, ჯიმაშტარი, ოფიჩხეთი და ნამახვანი. „ფიცის კაცნი“ თავისი ყმებით სამღვდელოებისა და ხატების წინაშე ყოველი წლის 15 მაისს იკრიბებოდნენ და მეფის ერთგულებაზე დებდნენ ფიცს. შემდეგ იწყებოდა ლხინი, რომელიც კარგი ამინდის შემთხვევაში ორ კვირას გრძელდებოდა. „ფიცის კაცნი“ დიდი გავლენით სარგებლობდნენ სამეფო კარზე და შეეძლოთ მეფესთან ეშუამდგომლათ დამნაშავეთათვის, გარდა ქვეყნის მოღალატისა. ისინი ასევე, დიდი ერთგულებით გამოირჩეოდნენ ერთმანეთის მიმართ. განსაკუთრებით ბრძოლის დროს ერთად იბრძოდნენ და დაჭრილებსა და გარდაცვლილებსაც ერთად პატრონობდნენ, გარდა ღალატის შემთხვევისა, რომელთაც აძევებდნენ საკუთარი საზღვრებიდან (სიხარულიძე 1964: 162-164).

ქართველ სამეფო-სამთავროებს შორის არსებობდა ძლიერი დაპირისპირება, ხშირად ოჯახებს შორისაც კი, რაც გამოიხატებოდა მოწინააღმდეგეთა ტერიტორიებზე თავდასხმაში, ციხეების, სოფლების, ეკლესიების რბევასა და ძარცვაში და მოსახლეობის გატაცებაში, რომელთაც შემდეგ ტყვეებად ჰყიდდნენ ოსმალეთში (გულდური 2021: 121).

დასავლეთ საქართველოში — იმერეთში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში მთელი ორგანიზაციები არსებობდა, რომელნიც ადამიანთა გატაცებით იყვნენ დაკავებულნი და ამ საქმეს ძირითადად თავად-აზნაურები ემსახურებოდნენ. თუკი ქართველი მეფე-მთავრები ცდილობდნენ რაიმე გზით აღეკვეთათ ოსმალთა ეს მოთხოვნა, ყოველ მსგავსს მცდელობაზე ოსმალეთი დამსჯელ ექსპედიციებს გზავნიდა და უფრო მეტად ანადგურებდა საქართველოს მოსახლეობას.

გურიის სამთავროში, ქობულეთის ტყვეთა ბაზარში ჩამოდიოდნენ ოსმალო ვაჭრები რიზედან, გონიოდან, და ტრაპიზონიდან, ჩამოჰქონდათ ფული და ტანსაცმელი შეჭირვებული ქართველებისათვის, ხოლო მათ სანაცვლოდ მიჰყავდათ მხოლოდ ტყვეები — გასაყიდად ჩამოყვანილი ქართველები, კახელები და აფხაზები. და ეს ტყვეები აუცილებლად ქართველები, ე.ი. მართლმადიდებელი ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ (ჯაფარიძე 2009: 969). გურიის ეპარქიის არქიმანდრიტ არსენის თქმით, ქობულეთი იყო

გურიის სამთავროს „დამბნელებელი და წარმტაცებელი“, სადაც მოქმედებდნენ „სჯულისაგან განმდგარი ავაზაკები“ (კილასონია 1982: 107-112).

საფრანგეთის სავაჭრო სფეროს წარმომადგენლი, პიერ დ’არნუ აღნიშნავს, რომ ქართველ ხალხს გააჩნია განსაკუთრებით დასაძრახი ჩვეულება — ბავშვების ტყვედ გაყიდვა. ეს საშინელი ჩვევა ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მართლმადიდებელ სარწმუნოებას, არამედ მთელი ქართველი ხალხის საერთო ინტერესს, რადგან ბავშვების გაყიდვით ტყვის მსყიდველები ხელს უწყობენ მათ გამუსლიმებას და საქართველოს მოსახლეობის შემცირებას. ამით საქართველო თანდათან უფრო და უფრო სუსტდება და მონობის საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს (ტაბაღუა 1965: 100).

ამავეს წერდა რომში მიწერილ ერთ-ერთ წერილში კათოლიკე მისიონერი იოსები: „...უმანკო ბავშებს, თუ ვაჟებს და თუ ქალებს, სავაჭრო მეიდააზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა... ამ დროს ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმან აღარ იყიდონ და წმიდა სარწმუნოება არ დაატოვებინონ...“ (თამარაშვილი 1902: 249).

ვახტანგ VI-ის სამართალში გარკვეული გადასახადი იყო დაწესებული ტყვეებით მოვაჭრეებზე: „ქართველმან, თათარმან, სომეხმან თუ რამც სჯულისმან იმერეთს რომ ტყვე იყიდოს, ტყვის თავს მსყიდველს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოართმევდნენ, თუ ქართლში გადმოიყვანეს და აქ გაისყიდა, ან აქაური ერთმანეთს მიჰყიდეს, სამ მინალთუნს მყიდველი და სამს მინალთუნს გამსყიდველი ბატონს ვერ დააკლებს“ (რეხვიაშვილი 1989: 412).

სოლომონმა პირველ რიგში იმ მთავრებისა და თავადების წინააღმდეგ გაილაშქრა, რომლებიც ოსმალთა წაქეზებით „ტყვეთა სყიდვის“ საქმეს ემსახურებოდნენ. ამ გამაჩანაგებელი სენის გამო სრულიად საქართველო გადაშენების გზაზე იდგა და უპირველეს ყოვლისა მისი აღკვეთა იყო საჭირო, რასაც მხარს უჭერდა მხოლოდ ეკლესია. ამასთანავე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოსმალეთი ასე მარტივად არ დათმობდა „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვას, რადგან მხოლოდ იმერეთს 300 „ქისის“ გაღება ევალებოდა, რაც 90 000-დან 150 000-მდე მანეთს უდრიდა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოსმალთა იმპერია ამ პერიოდში მუდმივ სამხედრო მოქმედებებს აწარმოებდა და მისი არმიის შევსება

აუცილებელი იყო ქართველი მეომრებით. აქედან გამომდინარე, „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვა ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას გულისხმობდა და საჭირო იყო ძლიერი მომზადება ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლებისთვის. ასეთ მძიმე ვითარებაში მეფე ცდილობდა გამოეყენებინა იმერეთის სამეფოს ბუნებრივი პირობები და მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ვიწრო ხეობებში გაემართა, რაც ქართველთა ჯარს დიდ უპირატესობას ანიჭებდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა მოულოდნელი თავდასხმები, რაც იმერეთის სამეფოს დამპყრობთაგან განთავისუფლების საქმეს ამარტივებდა.

მეფე ორ ფრონტზე იბრძოდა: ერთი მხრივ იგი იმ თავად-აზნაურთა აღკვეთას ცდილობდა, რომელნიც ქართველი ერის დამღუპველ „ტყვეთა სყიდვას“ უწყობდნენ ხელს და ამით უდიდეს სარგებელს ნახულობდნენ საკუთარი ქვეყნის, სამშობლოსა და მოსახლეობის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, სოლომონი ყოველმხრივ უძლიერეს ოსმალთა იმპერიას უწევდა წინააღმდეგობას, რომლის მთავარი მიზანი იყო იმერეთის სამეფოში მართლმადიდებელი სარწმუნოების დაკნინება, მოსახლეობის შემცირება და დასავლეთ საქართველოს ოსმალთა იმპერიის პროვინციად გადაქცევა.

ოსმალთა ჰაჯი აჰმედ ფაშა ჩაერია იმერეთის შიდა საქმეებში და სოლომონის მიერ იმერეთიდან გაძევებულ მამუკა ბაგრატიონს კვლავ დაუბრუნა მამულები. ასევე, მამია გურიელი მეფეს კვლავ გურიის მთავრად დაამტკიცებინა.

სოლომონმა სამეგრელოს მთავრის შემორიგების მიზნით გაუშვა პირველი ცოლი, აფხაზთა თავადის ინალიშვილის ასული და მეორე ცოლად შეირთო ოტია დადიანის ასული მარიამი. მეფემ ასევე შეძლო მამია გურიელის შემორიგებაც.

1757 წელს სოლომონმა ხარკის გადახდა შეუწყვიტა ახალციხის ფაშას, რის გამოც ლევან აბაშიძემ და როსტომ რაჭის ერისთავმა იმერეთში შემოიყვანეს ოსმალთა ჯარი. მათვე შეუერთდა იმერეთისა და რაჭის გაერთიანებული ლაშქარი და ზოგიერთი სხვა თავადი, რომელნიც ოკრიბის ვიწრო ხეობაში, ხრესილის ველზე დაბანაკდნენ. სოლომონს მოუვიდა ოტია დადიანის მიერ გამოგზავნილი ოდიშელთა, ლეჩხუმელთა და სამურზაყანოს ლაშქარი, მის მხარეზე იდგა მამია გურიელიც. ამ ბრძოლისათვის ორივე მხარე საგულდაგულოდ ემზადებოდა. თუმცა, ძალები მკვეთრად არათანაბარი იყო და ოსმალები დარწმუნებულნი იყვნენ საკუთარ გამარჯვებაში. რადგან სოლომონმა ოსმალთა წინააღმდეგ

მიმართული პოლიტიკის გატარება სცადა საკუთარ სამეფოში, მათი მთავარი მიზანი იყო იმერეთის სამეფოს საბოლოო დამარცხება, სოლომონის ტახტიდან ჩამოგდება და იმერეთის სამეფოს განთავისუფლება ბაგრატიონთა მმართველობისაგან. ბრძოლის წინ მეფემ ჯარი დალოცა და სიტყვით მიმართა მათ: „ჩემო იმერლებო! მტრები ბევრით ჩვენზე მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით! დღეს მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთანა არს ძალი იესო მაცხოვრისა. დღეს ეჭივრება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენი ქრისტეს სარწმუნოებას, გამხნევდით, შვილებო, გამხნევდით! მეც თქვენთან ვიქნები, არც ჭირში და ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე.“ ამ გამამხნევებელი სიტყვის შემდეგ მეფეს მთელი ღამის განმავლობაში არ უძინია, პირველ მამლის ყივილამდე დაჩოქილი ლოცულობდა. ღმერთისადმი აღვლენილი ვედრება უფლის სადიდებლით დაასრულა, რომელსაც შეავედრა საკუთარი ჯარი: „დიდება ღმერთსა! ღმერთო გაუმარჯვე ჩემს ჯარს, საქრისტიანოს დახსნისათვის მსხვერპლად დამზადებულს!“ (სიხარულიძე 1964: 159). სოლომონმა ჩაკეტა ფოთიდან, გურიიდან და ახალციხიდან მომავალი გზები, საიდანაც მოსალოდნელი იყო ოსმალთა დამხმარე ძალების შემოსვლა, ძირითადი ჯარით ხრესილის ველზე დაამარცხა მოწინააღმდეგის უზარმაზარი არმია და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მოღალატე თავადთა ერთი ნაწილი მეფის მხარეზე გადავიდა, ოსმალთა ჯარი მოიშალა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. მათი დიდი ნაწილი ამოწყდა, ნაწილი კი, ტყვედ ჩავარდა.

სოლომონმა მოღალატე აბაშიძეებს ზოგს თვალები დასთხარა, ზოგი იმერეთიდან გააძევა და ზოგი ფიცით შემოიმტკიცა. დანარჩენ მოღალატეებსაც მამულები და ციხეები ჩამოართვა. დაუსჯელი დარჩა მხოლოდ რაჭის ერისთავი, რომელმაც გაქცევით უშველა თავს.

1758 წელს მეფე ქართლში გადავიდა ერეკლე-თეიმურაზთან და მათ შორის გორში გაფორმდა ხელშეკრულება მტრის შემოსევის დროს ურთიერთკავშირსა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ხრესილის ველზე განცდილ მარცხს მალე ოსმალთა საპასუხო ლაშქრობა მოჰყვა ახალციხის ფაშა ჰაჯი აჰმედის მეთაურობით და იმერეთის აოხრება იწყო. სოლომონ მეფე თავად ჩავიდა ახალციხეში მოსალაპარაკებლად და მოსახლეობის საჩივრები ჩაიტანა.

მიუხედავად მათი შეთანხმებისა, ფაშა ბოლომდე არ ენდობოდა სოლომონს, რის გამოც უკანგამობრუნებულ მეფეს 3000 ოსმალო გამოაყოლა და „ტყვეთა სყიდვის“ პირობების შესრულება უბრძანა, მაგრამ, წინასწარი შეთანხმების თანახმად, იმერეთში შემოსულ ოსმალებს თავს დაესხნენ ქართველები და ერთიანად გაანადგურეს. ასეთი მარცხის გამო ჰაჯი აჰმედ ფაშა გადააყენეს და სიკვდილით დასაჯეს. თუმცა, თურქი ისტორიკოსები მისი სიკვდილით დასჯის მიზეზად ქართველების მიმართ ცუდად მოპყრობას ასახელებენ (გლოველი 2023: 47).

1758 წელს ახალციხის ფაშას მეთაურობით მოულოდნელად იმერეთის სამეფოში ლეკები შემოიჭრნენ, ააოხრეს გელათი და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ (ვახუშტი ბატონიშვილი 1854: 474). როდესაც ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა უმრავლესობა დამწვარი და წახდენილი გელათის აღდგენას ცდილობდა, დანარჩენი ნაწილი მის გაძარცვაზე ფიქრობდა, რის გამოც კათალიკოსის მიერ მძარცველებს ჩამოერთვათ ნაძარცვი ქონება და მის მსახურებად იქცნენ (ჟორდანია 1967: 261).

ამავე წელს ახალციხის ახლადდანიშნულმა ჰასან ფაშამ ორჯერ ილაშქრა იმერეთში და ორივე ბრძოლაში მარცხი განიცადა, რის გამოც 1759 წელს იგი გადააყენეს და მის ნაცვლად იბრაჰიმ ფაშა დანიშნეს. მასთან მოსალაპარაკებლად სოლომონმა თავისი მეუღლე მარიამ დადიანი გაგზავნა და მშვიდობა და დაზავება შესთავაზა. სანაცვლოდ ფაშამ „ტყვეთა სყიდვის“ აღდგენა მოითხოვა, რის გამოც მოლაპარაკება ჩაიშალა (ტყეშელაშვილი 2016: 50). წინ კიდევ ბევრი ბრძოლა იყო მისალოდნელი, რომლის დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის პოზიციას.

გარდა იმისა, რომ ოსმალები ყოველმხრივ ავიწროებდნენ ქართულ ეკლესიას, აქ მუსლიმობის გავრცელებას უწყობდნენ ხელს, ანგრევდნენ ეკლესიებს, აგებდნენ მეჩეთებს და კრძალავდნენ ახალი ეკლესიების აგებასა და ძველის შეკეთებას, ქართველი თავადები უფრო მეტად ამძიმებდნენ მის მდგომარეობას და იტაცებდნენ საეკლესიო ყმა-მამულს, რის წინაშეც უძლური იყო იმერეთის მეფის სუსტი ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ეკლესია თავად იყო დაინტერესებული სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასა და განმტკიცებაში. ეკლესიას განსაკუთრებული როლის შესრულება შეეძლო „ტყვეთა სყიდვის“

აკრძალვასა და „ქართველობის“ დაცვის საქმეში. ამიტომ სოლომონმა ეს საკითხი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარ საკითხად აქცია.

ეკლესია ყოველთვის ცდილობდა ტყვეობაში მყოფი გლეხების გამოხსნას. მისი ხარჯი, ეკლესიის დადგენილებით, ეწერებოდა იმ მამულს, სადაც გლეხი ცხოვრობდა დატყვევებამდე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) მოგვითხრობს ქაიხოსრო ყიფიანის მიერ ნაამბობ საინტერესო ინფორმაციას, რომელიც ცხადად ადასტურებს, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესია ტყვეთა გამოსყიდვას: როდესაც ქუთაისის ციხე-სიმაგრეში ოსმალები დამკვიდრდნენ, ფაშა ვალდებული იყო ხონთქრისათვის ყოველწლიურად 30 ქალ-ვაჟი გაეგზავნა. ერთხელ, როდესაც ფაშას გამზადებული ჰყავდა ტყვეები გასაგზავნად, გენათელმა მასთან გაგზავნა დეკანოზი ნიკოლოზ კანდელაკი და ტყვეების დახსნა სთხოვა. როდესაც დეკანოზმა ფაშასთან მისვლის მიზეზი მოახსენა, მისგან ასეთი პასუხი მიიღო: „ჯერ სადილი მიირთვი და შემდეგ, ყველა ტყვეს დავუბრუნებ გენათელსო.“ სადილად გამზადებულ ფაშას სუფრაზე ახლადმოხარშული ძროხის ხორცი ედგა და  რადგან დიდი ოთხშაბათი იყო, ფაშა ფიქრობდა, დეკანოზი არ გატეხდა მარხვას. „ამის ჭამას დღეს 30 სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ თუ მხოლოდ ამით შეიძლება ტყვეების დახსნა, თუნდაც ვიცოდე, რომ წარვწყდები საუკუნოდ, მაინც ვჭამ. ერთი ეგ არის, მეშინია, ამის შემდეგაც არ მომცე ტყვეებიო“ — მიუგო დეკანოზმა. ფაშამ შეჰფიცა ხონთქრის თავი და მაჰმადიანთა სარწმუნოება და სადილობის შემდეგ შეასრულა თავისი სიტყვა: ოცდაათივე ტყვე გამოაყოლა გენათელთან. გახარებულმა გენათელმა იკითხა, რამდენი უნდა გადაეხადა და ძალიან გაიკვირვა მათი უსასყიდლოდ გამოგზავნა. მეორე დღეს გენათელი მწირველი იყო და დეკანოზსაც უბრძანა, მომზადებულიყო საწირავად, მაგრამ ამ უკანასკნელმა უპასუხა, ისეთი საქმე შემემთხვა, თავს ღირსად არ ვთვლი ამ დიდი საიდუმლოს შესასრულებლადო და უამბო მომხდარი. მაშინ გენათელმა ანუგეშა დეკანოზი, რომ მას ჩაუდენია ნამდვილი ქრისტიანული საქმე, ამდენი ქრისტიანი დაუხსნია სამშობლოს მოშორებისაგან და გამაჰმადიანება-წარწყმედისაგან. და მისგან ჩადენილი საქმე  არათუ ცოდვად არ ჩაეთვლება, არამედ ღირსეულად იქნება მიღებული ზეცათა მეუფისაგან და კვლავ უბრძანა, მომზადებულიყო

წირვისათვის (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ № 39 (392), ეკლესია - ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგი, წმინდა ამბროსი აღმსარებლის (ხელაია) მონათხრობი, 2006 წ., გვ. 17-18).

1759 წლის 4 დეკემბერს მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც ესწრებოდა მთელი დასავლეთ საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლება: კათალიკოსი ბესარიონი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გაბრიელი, გენათელი მიტროპოლიტი იოსები, შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ცაგერელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ბედიელი მიტროპოლიტი მაქსიმე და „სხვანი ყოველნი სამღდელონი არქიმანდრიტ მღვდელმონაზონ წინამძღვარნი, მღდელნი და დიაკონნი... დადიანი კაცია, გურიელი მამია... უფლისწული ბატონიშვილი გიორგი, მამუკას ძე თეიმურაზ, ბაგრატ და არჩილ... ერისთავი როსტომ... ერთობით დარბაზის ერნი მიქელაძენი, ნიჟარაძენი, ლორთქიბანიძენი და ღოღაბერიძენი... და სხვანი ყოველნი სამღდელონი და საერონი სახლისა ჩვენისანი და სრულიად იმერნი ოდიშარნი და გურიულნი“ (კაკაბაძე 1913: 3-5).

კრება მიზნად ისახავდა საეკლესიო საქმეების მოწესრიგებასა და „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვას.

კრების პირველი სხდომის  მთავარი საკითხი იყო საქუთათლოს კათედრის აღდგენა, რომლის მღვდელმთავრად დაადგინეს მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე, დაუმტკიცეს ყმა-მამული და გაათავისუფლეს საურავისა და საუდიეროს გადასახადებისაგან, ლაშქარ-ნადირობისა და სხვა საბეგრო სამსახურისაგან. სამეფო კარის გადაწყვეტილებით, ქუთათელს „წინ არავინ აღუდგეს და შლად არა ხელყოს“ (ბუბულაშვილი 2013: 34). მაქსიმე აბაშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საეკლესიო და პოლიტიკურ საკითხებში. იგი ღრმად განათლებული მღვდელმთავარი იყო როგორც სასულიერო, ასევე, საერო სფეროებში, კარგად ფლობდა უცხო ენებს და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს მუდმივად მხარში ედგა მეფეს.

საქუთათლოს კათედრა  მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვა საეპისკოპოსოებისთვისაც. კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა „აფხაზ-იმერთა“ კათალიკოსის კუთვნილ ყმა-მამულის დაცვისა და საერო ფეოდალთაგან მის უფლებათა უზრუნველყოფის საკითხს. კრების მეორე სხდომაზე — 5 დეკემბერს, დასავლეთ საქართველოს თავადებმა და მთავრებმა: იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ფეოდალებმა

აფხაზთა კათალიკოს ბესარიონისა და მღვდელმთავრების წინაშე იმერეთის მეფისადმი მორჩილებისა და „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს (გაფრინდაშვილი, 2014: 127). მღვდელმთავრებმა შეაჩვენეს ტყვის მსყიდველნი, ხოლო საერო ხელისუფლება მათ სიკვდილით დაემუქრა (ჩხატარაიშვილი 1973: 641).

საეკლესიო კრების დადგენილებით დასავლეთ საქართველოში თანდათანობით მოწესრიგდა საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც მტკიცედ ჩადგა ცენტრალური ხელისუფლების სამსახურში და მოსახლეობაში აღიდგინა შერყეული ავტორიტეტი. მეფის ძმა — გენათელი მიტროპოლიტი იოსები აქტიურ მონაწილეობას იღებდა არა მხოლოდ საეკლესიო საქმეებში, არამედ დიპლომატიურ და სასამართლო პროცესებშიც. მათი თანამშრომლობის შედეგად XVIII საუკუნის II ნახევარში მთელი რიგი რეფორმები გატარდა დასავლეთ საქართველოს საერო და სასულიერო სფეროში. იოსებ გენათელმა, მიუხედავად უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობისა, ეპისკოპოსობის პირველივე წლებში დაიბრუნა ფეოდალთაგან უკანონოდ მიტაცებული საეკლესიო მამულები, ხოლო მეფე სოლომონ I-მა გელათის საეპისკოპოსო გლეხებს სრული შეუვალობა მიანიჭა (გაფრინდაშვილი 2014: 124, 127).

1760 წელს ახალციხის ფაშამ სოლომონს „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვის გაუქმება მოსთხოვა და უარის მიღების შემდეგ 20 000-იანი ჯარით იმერეთის დარბევა იწყო. ასეთ რთულ დროს მეფის ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე მტრის მხარეზე გადავიდა, მაგრამ სოლომონმა სასტიკად დაამარცხა ისინი. ასევე, გაანადგურა ერზრუმის ფაშას სარდლობით იმერეთში შემოჭრილი 13 000-იანი ოსმალთა ლაშქარი 1763 წლის იანვარში და შემდეგ იმავე წლის ოქტომბერში მრავალრიცხოვანი ჯარი. ამის შემდეგ, ოსმალებმა აღმოსავლეთიდან სცადეს იმერეთზე თავდასხმა, მაგრამ ერეკლემ გზა ჩაუკეტა და უკან გააბრუნა ლაშქარი.

1761 წლის 23 აპრილს სოლომონის ინიციატივით მეორედ მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელზეც აღადგინეს ხონის კათედრა და მოაწესრიგეს ფინანსური საკითხები. ამავე კრების დადგენილებაში განმარტებულია ეკლესიის მნიშვნელობა და დანიშნულება: „ეკლესიანი არა თუ მარტო შენებანი და შემკობანი ტაძართანი არიან, არამედ სავსებაჲ იგი მათ შინა შეკრებულთა ღმრთის მსახურთა ერთა სიმრავლესა ეწოდების, რომლითა იდიდების ძე ღმრთისა დამხსნელი ჩვენი იესო“ (დოლიძე 1970: 844). დასახელებული

ღონისძიებების შედეგად ეკლესია ფეოდალებისაგან დამოუკიდებელი გახდა და მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა, ხოლო ეკლესია მეფისათვის უმნიშვნელოვანესი საყრდენი იყო ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებში. სოლომონ მეფის დროს აშენდა კაცხის, ჭალატყის, გოგნის ტაძრები, გადაიხურა და შეიმკო გელათის მონასტერი. ასევე, ხრესილის ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილი გამუსლიმებული მესხი, აჭარელი და გურული გლეხები გაქრისტიანდნენ და სახელმწიფო მიწებზე დასახლდნენ, დიდად მფარველობდა მეფე ახალციხიდან მოსულ კათოლიკეებსაც. ყოველივე ამას სოლომონ I-ის ავტორიტეტის ზრდა მოჰყვა, მოსახლეობა მტკიცედ დადგა მეფის მხარეს როგორც საგარეო მტრის, ასევე, ქვეყნის მოღალატე თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოლომონთან ამდენი წარუმატებლობით შეშფოთებული ოსმალთა სულთანი საგულდაგულოდ მოემზადა და ერეკლეს დაემუქრა უარი ეთქვა სოლომონის დახმარებაზე, მაგრამ ერეკლემ მას მუქარითვე უპასუხა. ოსმალები მთელი ძალებით იმერეთისაკენ დაიძრნენ და თან მოჰყავდათ იმერეთის ტახტის მაძიებელი — თეიმურაზ მამუკას ძე. თავდაპირველად მათ მძიმე ბრძოლების შედეგად გურია დაიკავეს, გადააყენეს მამია გურიელი და მისი ძმა გიორგი დანიშნეს. 1765 წლის ზამთარი სამეგრელოში გაატარეს და 1766 წელს იმერეთში შეიჭრნენ, აიღეს სვერის ციხე და განდევნილი სოლომონის ნაცვლად ქუთაისის სამეფო ტახტზე თეიმურაზ მამუკას ძე დასვეს, რომელსაც სოლომონის მოწინააღმდეგე თავადები ეახლნენ და მორჩილება აღუთქვეს.

დიდი მცდელობის მიუხედავად ოსმალებმა ხელთ ვერ იგდეს სოლომონი, მის გარშემო იკრიბებოდნენ ოსმალთა პოლიტიკით უკმაყოფილო გლეხები, აზნაურები და წვრილი თავადები. მათთან ბრძოლა ოსმალეთს ძვირი უჯდებოდა  და სასურველ შედეგსაც ვერ იღებდა. სოლომონის მებრძოლები თავს ესხმოდნენ მტერს, ვიწრო ადგილებში იტყუებდნენ და ანადგურებდნენ. ასეთ ვითარებაში ოსმალეთი დასთანხმდა სოლომონთან მოლაპარაკებას, რომელსაც მეფის ძმა იოსებ გენათელი აწარმოებდა. 1767 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ოსმალეთმა ხელი აიღო იმერეთის ვასალურ ქვეყნად გამოცხადების მოთხოვნაზე და მხოლოდ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ ცნობდა მას. იმერეთის მეფეს სულთნისათვის ყოველწლიურად 60 ტყვე-ქალი უნდა გაეგზავნა, მაგრამ აუცილებელი არ იყო ისინი ქართველები ყოფილიყვნენ.

თეიმურაზ მამუკას ძე სოლომონს შეურიგდა, თუმცა დროებით. მათ შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1768 წელს ცხრაწყაროსთან, რომელიც სოლომონის გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ მეფემ სასტიკად მოარბია რაჭის საერისთავოს ურჩი ვასალის მამული, ციხეები თავად დაიჭირა და მძევლად წაიყვანა ერისთავის აზნაურები. როსტომის დახმარებაზე უარი თქვა ახალციხის ფაშამ. იმერეთის მეფესთან დადებული ზავის პირობების დარღვევას მოერიდა და მეფისადმი ერთგულების ნიშნად როსტომისგან გაგზავნილი ბესარიონ კათალიკოსი დააპატიმრებინა. რაჭის ერისთავმა ერეკლე მეფესაც მიმართა შუამდგომლობისთვის, მაგრამ მისგანაც უარი მიიღო და ვერც ყაბარდოს მთავარი დაეხმარა.

1769 წელს მეფემ კათალიკოსობიდან გადააყენა ბესარიონი და საკათალიკოსო ტახტზე თავისი ძმა — იოსებ გენათელი დანიშნა. ახალციხის ფაშის პატიმრობიდან გამოქცეულმა ბესარიონმა თავი სამეგრელოს შეაფარა და კაცია დადიანმა, რომელიც იმერეთის მეფის უპირატესობას არ აღიარებდა, იგი ოდიშის კათალიკოსად დანიშნა. მაგრამ ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ (1773 წ.) ახალი კათალიკოსი აღარ აურჩევიათ (რეხვიაშვილი 1989: 215).

ყველასგან მიტოვებულმა რაჭის ერისთავმა იმერეთის მეფესთან შერიგება არჩია: კათალიკოსად დადგინებისთანავე, მეფემ თავისი ძმა შერიგების მიზნით როსტომ ერისთავთან გაგზავნა. ბარაკონში ჩასული იოსებ კათალიკოსი დიდი პატივით მიიღეს და თანხმობა განაცხადეს იმ პირობით, რომ კათალიკოსს ეკლესიაში ბარძიმზე დაეფიცებინა მეფის უღალატობაზე. სოლომონმა ფიცი დადო, რომ არც როსტომსა და არც მის შვილებს არ მოკლავდა და ისე მოექცეოდა, რომ საარაკოდ დარჩენილიყო მათი პატივისცემა. მეფის უღალატობაში დარწმუნებული რაჭის ერისთავი თავისი შვიდივე შვილით ვარციხეში გაემგზავრა მეფესთან შესარიგებლად, სადაც ისინი დიდი პატივით მიიღეს და 20 დღიანი ლხინის შემდეგ თვალები დათხარეს, რასაც იოსებ კათალიკოსის დიდი სინანული და მეფისადმი განრისხება მოჰყვა (გაფრინდაშვილი 2014: 129-130).

მაქსიმე ქუთათელის ძალისხმევით, რაჭის ერისთავის მიერ აფხაზთა საკათალიკოსოს გადაეცა საკუთარ სამფლობელოში არსებული საქუთათლოს კუთვნილი მიწები ყმა-მამულითა და გლეხებით (ბუბულაშვილი 2013: 36).

მეფისა და ერისთავის 17 წლიანი ომის დასრულების შემდეგ სოლომონმა რაჭის საერისთავო გააუქმა და მისი დიდი ნაწილი სამეფო სამფლობელოდ გამოაცხადა, ნაწილი კი ერისთავისადმი მტრულად განწყობილ თავის ერთგულ თავადებს — წულუკიძეებსა და წერეთლებს გადასცა.

1768 წელს რუსეთში საგანგებო ელჩად სოლომონ I-მა მაქსიმე ქუთათელი (აბაშიძე) მიავლინა მფარველობის სათხოვნელად და სანაცვლოდ ოსმალეთთან ბრძოლის დროს მის მხარეზე დადგომა აღუთქვა, რასაც დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ რუსეთის საიმპერატორო კარზე. მაქსიმე მიტროპოლიტს, გარდა სოლომონ I-ის წერილობითი თხოვნისა, სიტყვიერად უნდა გადაეცა მეფის „გულის სიტყვა და განზრახვა“. მიუხედავად მრავალი სირთულისა, მას აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებასთან და პირადად იმპერატორ ეკატერინე II-სთან (ბუბულაშვილი 2013: 35). ყიზლარში ჩასული იმერეთის დელეგაციიდან უკან გამოაბრუნეს ამ ელჩობის ერთ-ერთი წევრი და თან გამოაყოლეს პორუჩიკი ხვაბულოვი (ქობულაშვილი) სოლომონ მეფესთან მოსალაპარაკებლად და საქართველოში არსებული ვითარების დასაზვერად, რომელსაც თან მოჰქონდა გრაფ ნ. პანინის წერილი და ატყობინებდა იმერეთის მეფეს, რომ თუ ამ ომში რუსეთი გაიმარჯვებდა, ზავის დადების დროს იმერეთის ინტერესებიც იქნებოდა გათვალისწინებული და ხელშეკრულებაში შესაბამისი მუხლები იქნებოდა შეტანილი.

აღნიშნულმა წერილმა იმერეთის სამეფო კარზე დიდი კმაყოფილება გამოიწვია და სოლომონი მალე თბილისში ჩამოვიდა ერეკლე მეფესთან ერთობლივი თათბირისთვის. მეფეებმა დავით კვინიხიძისა და არტემ ანდრონიკაშვილის მეთაურობით მოამზადეს ელჩობა პეტერბურგში მომავალი შეთანხმების კონკრეტული პირობების გასაგზავნად.

პარალელურად, საიმპერატორო კარზე მაქსიმე ქუთათელის მოლაპარაკებების შედეგად 1769 წლის 27 მარტს იმპერატორმა ეკატერინე II-მ გამოსცა ბრძანება საქართველოში ჯარის გამოგზავნის შესახებ. თავდაპირველად გამოიგზავნებოდა შეზღუდული რაოდენობა, რომელიც თანდათანობით გაიზრდებოდა. მათი მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო დივერსიული ხასიათის ბრძოლები, რომელიც გააადვილებდა რუსეთის ჯარების საომარ მოქმედებებს ყირიმსა და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში. საექსპედიციო ჯარში საგანგებოდ ჩართეს რუსეთის ჯარში მყოფი

ქართული წარმოშობის ოფიცრები: გაუმჯობესებული საარტილერიო იარაღის ავტორი, პოდპოლკოვნიკი თავადი სიმონ ჩოლოყაშვილი; სამხედრო საქმისა და ენების კარგი მცოდნე, მაიორი ნიკოლოზ რატიშვილი (რატიევი); საგანგებო რწმუნებულად დაინიშნა თავადი ანტონ მოურავოვი, ხოლო რუსეთის საექსპედიციო ჯარის მეთაურად — გენერალი ტოტლებენი (ასათიანი 2008: 323).

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ჩაბმა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის მხრიდან ყოვლად გაუმართლებელი იყო. ასეთ ვითარებაში ქართველ მეფეთა მხრიდან აუცილებელი იყო უდიდესი სიფრთხილე და წინდახედულება რუსეთთან ურთიერთობისას. ამ დროისათვის სოლომონს მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა ოსმალეთთან, ხოლო 1769 წელს ომში ნეიტრალიტეტის დაცვის თხოვნით თბილისში ჩამოსული ოსმალთა ელჩები ერეკლემ ქვეყნიდან გააძევა და რუსეთიდან საიდუმლოდ ჩამოსულ წარმომადგენელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმაზე თანხმობა განუცხადა. ერეკლე II-ის მიერ ომში ჩაბმა გამოიწვევდა არა მხოლოდ სპარსეთის შეშფოთებას, არამედ დაძაბავდა როგორც ქართლ-კახეთსა და სპარსეთს, ასევე, სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობებს (გურული 2007: 58).

საქართველოში შემოსულ ტოტლებენს სტეფანწმინდასთან საზეიმოდ დახვდა ერეკლე II და დაიწყო მზადება ოსმალების წინააღმდეგ ახალციხის მიმართულებით ერთობლივი შეტევისთვის. მაგრამ მალე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. 1770 წლის 14 აპრილს რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარი უკვე სადგერში იდგა. მიუხედავად ერეკლე მეფის დიდი წინააღმდეგობისა, ტოტლებენმა თავისი სამხედრო ძალის ნახევარი სადგერის ციხეში დატოვა. 17 აპრილს რუს-ქართველთა ჯარი აწყურის ძნელად მისადგომ ციხეს მიადგა და ტოტლებენმა მის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო. ერეკლე პირდაპირ ახალციხეზე გალაშქრებას მოითხოვდა, რითაც აწყურის ციხის საკითხიც თავისთავად გადაწყდებოდა. ორდღიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ ტოტლებენი ციხეს მოეხსნა და უკან გაბრუნდა, რამაც ქართველთა ჯარში არეულობა გამოიწვია და ციხიდან მტერი შეტევაზე გადავიდა. ერეკლემ ჯარში დისციპლინა აღადგინა, დამარცხებული მტერი ისევ ციხეში შერეკა და განაგრძო წინსვლა ასპინძის მიმართულებით. ახალციხის ფაშამ ქართველთა ჯარისათვის გზის გადასაჭრელად 1500 კაცი გამოიყვანა, რომელიც ერეკლემ ერთიანად

გაანადგურა. მალე ასპინძას თურქ-ოსმალთა 8000-იანი ძირითადი ძალა მოადგა და მდ. მტკვარზე გადმოვიდა. ერეკლემ უკან დაიხია და როდესაც ჯარმა გადმოლახა მტკვარი, ერეკლემ ღამით გაგზავნა აღაბაბა ერისთავის შვილი, სვიმონ მუხრან-ბატონის შვილი და ხუდია ბორჩალოელი, რომელთაც აჰყარეს ხიდი და მტერს უკან დასახევი გზა მოუჭრეს.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან, სადაც ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მტრის 4000 მეომარი ბრძოლის ველზე დაეცა, უწესრიგოდ გაქცეულთა დიდი ნაწილი მტკვარში ჩაიხრჩო, ნაწილი კი ტყვედ ჩავარდა. ბრძოლაში დაიღუპა თურქ-ოსმალთა ჯარის მთავარსარდალი, 12 სანჯაყის მფლობელი და 3 ფაშა. ქართველებმა ხელთ იგდეს მრავალი დროშა, ცხენი და იარაღი. ქართველთა ზარალი 25 მოკლული და 7 დაჭრილი იყო (ასათიანი 2008: 325).

სოლომონ I-მა კარგად ისარგებლა ახალციხის ფაშის დამარცხებით და ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა, ქუთაისი დაიკავა და ტოტლებენის ჯარის დახმარებით დედაქალაქის ციხიდან თურქთა გარნიზონი განდევნა. მასვე დანებდა ბაღდათის ციხის გარნიზონიც. მაგრამ მალე სოლომონსა და ტოტლებენს შორისაც უთანხმოება ჩამოვარდა. ამ უთანხმოებისა და დაპირისპირების დროს ქუთათელი მიტროპოლიტი მათ შერიგებას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ.

ქუთაისის განთავისუფლებამდე მაქსიმე აბაშიძე სოფელ მაღლაკში ცხოვრობდა. 1766 წელს მეფე სოლომონ I-მა მაღლაკის საეკლესიო ყმებს მოუხსნა გადასახადი, რის სანაცვლოდაც ყოველი წლის აღდგომა დღეს ქუთათელი მიტროპოლიტი მეფისათვის წირვას აყენებდა. მაქსიმე ქუთათელი ზრუნავდა საეკლესიო შემოსავლის გაზრდაზე, აღადგინა ჯუმათისა და შემოქმედის ეპარქიები, დაიბრუნა ფეოდალთა მიერ მიტაცებული ეკლესიის კუთვნილი მამულები. ეპარქიის ამოწყვეტილ გლეხთა მამულებში იგი ასახლებდა მცირემიწიან გლეხებს და უწესებდა მათ გარკვეულ ვალდებულებებს. იგი ასევე ზრუნავდა მთელს დასავლეთ საქართველოს დანგრეული და განადგურებული ეკლესია-მონასტრების აღდგენასა და განახლებაზე (ბუბულაშვილი 2013: 35).

გენერალი ტოტლებენი ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეებს ვერანაირად შეეგუა და მისთვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელი ის იყო, რომ ქართველ მეფეებს საკუთარი მიზნები გააჩნდათ. ამ ინტერესებს რუსი გენერალი ანგარიშს არ უწევდა და

ერეკლე-სოლომონისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. რადგან ქართველი მეფეები ტოტლებენის დამორჩილებას არ აპირებდნენ, იგი დაუახლოვდა ოპოზიციურად განწყობილ თავადებს: დადიანს, გურიელს, ქსნის ერისთავსა და სხვ., რომელნიც საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების წინააღმდეგნი იყვნენ (ბერძენიშვილი 1965: 217).

ქართველ მეფეებთან შეუთავსებლობის გამო რუსეთის საიმპერატორო კარმა ტოტლებენი საქართველოდან გაიწვია და მის ნაცვლად გენერალი ალექსი სუხოტინი დანიშნა, რომელიც საქართველოში 1771 წლის მაისში ჩამოვიდა და სოფ. ხელთუბანში თათბირი გამართა ქართველ მეფეებთან ერთობლივი მოქმედებების შესათანხმებლად. მიუხედავად ქართველი მეფეების წინააღმდეგობისა, მან ფოთის ალყა მოითხოვა, დაიწყო სამხედრო მოქმედება და დიდი ზარალი ნახა: ჯარში გაჩნდა მალარია და სუხოტინი იძულებული გახდა ფოთის ალყა მოეხსნა. 1772 წლის გაზაფხულზე რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით რუსთა ჯარი საქართველოდან გავიდა.

რუსეთის ჯარის მიიერ საქართველოდან გასვლის შემდეგ ოსმალებმა გააძლიერეს შემოტევები გურიის სამთავროზე. ქობულეთის სარდალ-მოურავმა მამუკა თავდგირიძემ წინააღმდეგობა გაუწია მტერს, თუმცა მათი შეკავება ვერ შეძლო. მამია გურიელს სამთავრო ტახტს მისი ძმა — გიორგი ეცილებოდა, რის გამოც სათანადო დახმარება ვერ გაუწია ქობულეთის გამგებელს. ოსმალებმა ქობულეთის მხარე დაიკავეს, დაარბიეს ეკლესიების დიდი ნაწილი, ააოხრეს სოფლები და ადგილობრივი ფეოდალები გამოაძევეს. მამუკა თავდგირიძე აკეთში დამკვიდრდა, მისი ვაჟი მაქსიმე კი ოსმალებმა გაამუსლიმეს და ქობულეთის მხარის ბეგად დანიშნეს, სადაც ოსმალები უმკაცრესი ზომებით ცდილობდნენ მოსახლეობის გამუსლიმებას. მიუხედავად ამისა, ქართველები მაინც ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას, შუა გურიაში სახლდებოდნენ და ხიზნური წესით ემსახურებოდნენ მებატონე-თავადებს. ოსმალურმა ენამ და წეს-ჩვეულებებმა აქ დიდი გავრცელება ვერ ჰპოვა, ოსმალთა ბატონობა მხოლოდ ზედაპირული იყო. ქვემო გურიის მოსახლეობას საქართველოს სხვა რაიონებთან ეკონომიკურ-კულტურული ურთიეთობა არ გაუწყვეტია. მდ. ჩოლოქის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ოსმალებმა ადმინისტრაციულად ტრაპიზონის ვილაიეთს შეუერთეს.

რუსეთი თურქეთთან ომის დროს სამშვიდობო მოლაპარაკებასა და მასთან ზავის დადებას ჩქარობდა. 1774 წლის 10 ივლისს სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში მათ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის დროსაც რუსეთის მხარის წარმომადგენელი, ყოფილი რეზიდენტი კონსტანტინოპოლში ა. მ. ობრესკოვი საქართველოს ინტერესებს იცავდა და მოითხოვდა, რომ ქართველებს დაბრუნებოდათ ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეები; ამასთანავე, საქართველო განთავისუფლებულიყო დამამცირებელი ხარკისაგან — ოსმალეთში მოსახლეობის ტყვედ გაყვანისაგან, რასაც ოსმალეთის მხარე არ თანხმდებოდა. ამიტომ ობრესკოვმა ეს საკითხი ისე ჩამოაყალიბა, რომ აღნიშნულ ციხეებზე ოსმალეთის უფლებები სადავო ხდებოდა: ბაღდათის, ქუთაისისა და შორაპნის ციხეები, რომლებიც რუსეთის იარაღით იქნა დაპყრობილი, იმის საკუთრებად ცხადდებოდა, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდა. 23-ე მუხლის თანახმად დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთის ქვეშევრდომად რჩებოდა იმის გათვალისწინებით, რომ უნდა აღკვეთილიყო ტყვეთა და სხვა ხარკის მოთხოვნა იმერეთში.

1776 წელს, იოსებ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, მის ადგილას აირჩიეს ქუთათელი მაქსიმე (აბაშიძე). იგი „მამა იყო ერისა, კაცი მხნე და განსწავლული, სიმართლის მოყვარე და გაბედული“ (კელენჯერიძე 1913: 3). მიუხედავად კათალიკოსად კურთხევისა, მაქსიმე 1781 წლამდე ქუთათელის ფუნქციებსაც ითავსებდა, რის გამოც იგი წყაროებში „კათალიკოს-ქუთათელად იხსენიება (ბუბულაშვილი 2013: 36).

ეკლესიის დასუსტებისა და დაკნინების დროს მეფეებს, სამართლისა და ჩვეულების საპირისპიროდ, ბიჭვინთის მამულების მმართველებად თავიანთი მოურავები ჰყავდათ დაყენებული. მაქსიმე კათალიკოსმა ეს წესი შეაცვლევინა მეფეს. 1776 წლის სიგელით იმერეთის მეფე სოლომონ I, მისი მეუღლე მარიამი და მათი ძე ალექსანდრე პირობას დებდნენ, რომ საეკლესიო საქმეებში აღარ ჩაერეოდნენ. მაქსიმე კათალიკოსი როგორც თავად სწირავდა ეკლესიას ქონებასა და გლეხებს, ასევე, სხვებსაც აწირვინებდა. იგი იბრძოდა თავგასული თავადების — გურიელებისა და თავდგირიძეების წინააღმდეგ, რათა დაებრუნებინა მათ მიერ მიტაცებული ეკლესიის მამულები და ყმები. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი ცდილობდა ქართველი ერის გამანადგურებელი „ტყვეთა სყიდვის“

მოსპობას საქართველოში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული თავადები იყვნენ გურიელი და ლორთქიფანიძე, რომელნიც კათალიკოსმა შეაჩვენა (კელენჯერიძე 1913: 3-4).

გარდა დასახელებული ღონისძიებებისა, მაქსიმე კათალიკოსი განსაკუთრებით ზრუნავდა რწმენის განმტკიცებასა და დაცემული ზნეობის აღდგენაზე. იგი მონასტრის წინამძღვრებს მოუწოდებდა, რომ თუკი მათ სამწყსოში ვინმე უწესოდ და არაქრისტიანულად ცხოვრობდა, ემხილებინათ და მათ გამოსწორებაზე ეზრუნათ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში განეკვეთათ და სასულიერო ხარისხი ჩამოერთმიათ. საეკლესიო საიდუმლოების შესრულების უფლება მიეცათ მხოლოდ ღვთისმოშიშ და განათლებული მოძღვრებისათვის; კათალიკოსი მოუწოდებდა მათ, დაეცვათ ტაძარში სიწმინდე, წესრიგი და დისციპლინა. ეკლესია გაესუფთავებინათ დაძველებული ნივთებისაგან, მის მოწესრიგებაში დაეხმარებინათ მრევლის წევრები და მათთვისაც მოეწოდებინათ დღესასწაულებზე მთელი მრევლი ერთად დასწრებოდა წირვა-ლოცვას და გაეწყვიტათ მკითხავებთან ყოველგვარი კავშირი (დოლიძე 1970: 914-916).

რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ იმერეთის სამეფო საკმაოდ გაძლიერდა, რადგან ხარკს აღარ უხდიდა ოსმალეთს. ამავდროულად, სოლომონ I-მა დაიმორჩილა ურჩი თავადები: რაჭის ერისთავი, გურიისა და სამეგრელოს მთავრები. ეკლესიის გაძლიერებითა და ურჩი მთავრების დამორჩილებით განმტკიცდა სოლომონ I-ის ავტორიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ 1776 წელს იმერეთში ოსმალთა ელჩობა ჩამოვიდა და დიდი საჩუქრები მოართვეს მეფეს, თავადთა ნაწილი მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო და მის წინააღმდეგ გამოსვლას გეგმავდა, რომელთა მოთავენი იყვნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და მოურავი თამაზა მესხი. მათ მხარეზე იყვნენ ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი და სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. მეფემ დიდი ლაშქარი შეკრიბა, აჯანყებულები დაამარცხა და დასაჯა (გურული 2011: 335).

1779 წლის ბოლოს ოსმალებმა დაიწყეს მზადება აფხაზეთის მხრიდან იმერეთზე შემოტევისთვის, რომელშიც ჩართეს მთელი ჩრდილოკავკასიელი მთიელები, ყირიმელი მოსახლეობა და სამეგრელოს დაპყრობას შეეცადნენ. სოლომონი გურია-იმერეთის ლაშქრით დადიანის დასახმარებლად გამოვიდა და რუხის ციხესთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 1784 წელს, ახალი წლის გამთენიისას ოსმალეთის დავალებით აჭარის

ბეგი აბდულა ხიმშიაშვილი გურიაში შემოიჭრა ს. აკეთში. მამუკა თვდგირიძის სარდლობით გურულებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. გურიის სამთავროს ოსმალეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ, რომელსაც თავის პლაცდარმად მიიჩნევდა და გურიელის მიმხრობას ცდილობდა. ამიტომ, სოლომონ მეფემ 1784 წელს გურიის შემოერთება გადაწყვიტა, რასაც ეწინააღმდეგებოდნენ გურული თავადები. ეს ლაშქრობა მეფემ დიდი სიფრთხილით დაგეგმა და გიორგი გურიელი დაითანხმა ბათუმისკენ ლაშქრობაზე. იმერეთისა და გურიის გაერთიანებულმა ლაშქარმა აიღო ქობულეთის ციხესიმაგრე, ჩაქვიდან განდევნა ოსმალები და ბათუმამდე მიაღწია. მაგრამ 1784 წლის 9 მარტს დადიანის ღალატით, ფოთის ფაშამ უკან მობრუნებულ მეფეს ციხისძირთან, ნაჭიშკარევის ტყით დაფარულ ვიწრო გასასვლელში ოსმალთა ჩასაფრებული ლაშქარი დაახვედრა, რასაც იმერეთის მეფის დამარცხება მოჰყვა (გურული 2011: 335). ბრძოლაში დაიღუპა 600 იმერელი, მათ შორის 18 თავადიშვილი, 200 კი ტყვედ ჩავარდა. მძიმე მარცხი მეფემ დიდად განიცადა და მალევე, 1784 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა, რასაც დიდი ზეიმით შეხვდნენ ოსმალეთში, ხოლო ქართველთა შორის დიდი გლოვა გამოიწვია. იგი იყო უდიდესი მეფე, რომელმაც დაუშრეტელი ენერგიითა და თავდადებული ბრძოლით უმძიმესი მდგომარეობიდან გამოიყვანა იმერეთის სამეფო, გაიმარჯვა არაერთ ბრძოლაში და ქვეყანა ფაქტობრივად გაათავისუფლა ოსმალთა ბატონობისაგან. აღადგინა წესრიგი და აღკვეთა „ტყვეთა სყიდვა," რითაც საქართველოს სრული გადაშენება ემუქრებოდა. ყოველივე ამის გამო მან ქართველი ხალხის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, ხოლო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

## § 3.5. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების პოლიტიკა გაუქმებული ავტოკეფალიის პირობებში

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს მკვეთრად დაიძაბა ურთიერთობა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთისთვის, რომელიც კავკასიაში გაბატონებას

ცდილობდა, პლაცდარმის გაჩენის მიზნით უმნიშვნელოვანეს საყრდენს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფო, რომელსაც თანდათანობით უმწვავდებოდა ურთიერთობა ოსმალეთთან. ოსმალთა სულთანი და მისი ფაშები ხელს უშლიდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ გაძლიერებას; ალექსანდრე ბაქარის ძე ბატონიშვილი და ფათალი ხანი ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედებდნენ, რომელთაც მხარს უჭერდნენ ქართლის რეაქციონერი თავადები. მიუხედავად შექმნილი მძიმე ვითარებისა, ერეკლე II ქვეყნის ხსნის საშუალებებს ეძებდა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქართლ-კახეთის მეფემ ევროპის სახელმწიფოებთან სცადა კავშირის დამყარება. მან კათოლიკე მისიონერებს წერილები გაატანა რომის პაპთან, ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის, ვენეციის რესპუბლიკის, სიცილიისა და სარდინიის მეფეებთან, მაგრამ მისი ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში რუსი და ავსტრიელი დიპლომატების მიერ შემუშავდა ე.წ. „საბერძნეთის პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპიდან ოსმალეთის განდევნას და ახლო აღმოსავლეთში რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნას. პროექტის განხორციელებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართლ-კახეთის მეფეს, რადგან იგი ქართულ-სომხური ერთეულის მესვეურად იყო ნაგულისხმევი.

ამავე პერიოდში რუსმა დიპლომატებმა გაიხსენეს 1771-1772 წლებში ერკლე II-ისა და სოლომონ I-ის მიერ რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სადმი გაგზავნილი „სათხოვარი პუნქტები“. კავკასიის საკითხების გამგებელ ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინისაგან საქსონიის მოქალაქე იაკობ რაინეგსიმ მიიღო დავალება ჩამოსულიყო ერეკლე II-სთან და ჩაეგონებინა, რომ მფარველობა ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის. ი. რაინეგსი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, დაახლოებული იყო ქართლ-კახეთის სამეფო კართან და კარგად ფლობდა ქართულ ენას. რუსეთის დავალება მან ბრწყინვალედ შეასრულა.

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში უმძიმესი ვითარება შეიქმნა ქართლ-კახეთის სამეფოში. რუსეთთან კავშირის დამყარების გამო ერეკლეს განუდგა თავადთა ნაწილი, რომელიც ახალციხის ფაშასთან გაიქცა და ლეკთა ბრბოების მეგზური გახდა. თავადთა

მეორე ნაწილმა  ქვეყნის შიგნით იწყო მეფის ურჩობა, აღარც მორიგე ჯარში გამოდიოდნენ და აღარც ერეკლეს გამოცემულ კანონებს ემორჩილებოდნენ. რუსული ორიენტაციის გამო ერეკლეს კარზე ძლიერი ოპოზიცია ჩამოყალიბდა, რომლის სათავეში მდივანბეგ სოლომონ ლიონიძე და სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი იდგნენ.

1781-1783 წლებში, ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობისას, საგანგებო ყურადღება უნდა დათმობოდა ეკლესიის საკითხს. თავდაპირველად, საქართველოს კათალიკოსს რუსეთის მღვდელმთავრებს შორის უნდა დაეკავებინა მეხუთე ადგილი. საქართველოს ეკლესიის ამ დაკნინებას რუსეთის მხარე განმარტავდა იმით,  რომ ეს გადაწყვეტილება არანაირ საფრთხეს არ უქმნიდა საქართველოს ეკლესიასა და მისი საპატრიარქო ტახტის საჭეთმპყრობელს — იგი მხოლოდ მთავარეპისკოპოსის ტიტულით მოიხსენიებოდა.

1782 წლის 21 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის იმპერატორს „სათხოვარი პუნქტები“ გაუგზავნა, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური შეთანხმება. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ჩასულ ქართველ ელჩებს დაახვედრეს ტრაქტატის ტექსტი, რომელშიც საქართველოს კათალიკოსს მერვე ადგილი უჭირავს ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ და თუ ქართული მხარე ამ გადაწყვეტილებას ხელს არ მოაწერდა, მათი შეთანხმება არ შედგებოდა (ბუბულაშვილი 2017: 31-33).

1783 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“ იყო რუსეთ-საქართველოს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთის იმპერია სპარსეთისა და ოსმალეთის გასაგონად აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ დაიცავდა ქრისტიანულ ქართლ-კახეთს.

„გეორგიევსკის ტრაქტატი“ დიდი მონაპოვარი იყო რუსეთის იმპერიისათვის, რითაც მან კავკასიაში შექმნა საკუთარი პლაცდარმი ქართლ-კახეთის სამეფოს სახით, ჩაერია მის საშინაო საქმეებში და მოამზადა ნიადაგი საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისათვის.

1784 წელს რუსეთში გაიგზავნა დელეგაცია გ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში იმყოფებოდა ერეკლე II-ის ძე იეროდიაკონი ანტონი, რომელიც პეტერბურგის

საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხეს და ნინოწმინდისა და ალავერდის მღვდელმთავრად დაადგინეს. ხოლო 1788 წელს ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ მცხეთის კათალიკოსად აკურთხეს (ბუბულაშვილი 2017: 37).

ანტონ II კათალიკოსმა ქართულ მოსახლეობაში თავისი დიდი განათლებითა და ნიჭიერებით უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა. როგორც ქვეყნის მწყემსმთავარი, წინამორბედ კათალიკოსთა მსგავსად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საკუთარი სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კათალიკოსად ხელდასხმის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ანტონ II-ის კურთხევით დაიბეჭდა საეკლესიო წიგნები: „ზატიკი“, „დავითნი“, „ჟამნი“, „სამოციქულო“, „სახარება“, „მარხვანი“, „მცირე ლოცვანი“ და რწმენის განმტკიცების მიზნით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისიონერთა დიდი ჯგუფი გაიგზავნა. (ბუბულაშვილი 2002: 12).

საქართველოში რუსთა ჯარის გამოჩენამ ერეკლეს წინააღმდეგ აამხედრა მუსლიმი მეზობლები. ოსმალებმა ერეკლეს წინააღმდეგ განაწყვეს დაღესტნის მთავრები, ამიერკავკასიისა და აზერბაიჯანის ხანები; ქართლ-კახეთის მეფეს ხარკი შეუწყვიტეს განჯისა და ერევნის ხანებმა; ყაზახ-შამშადილუს მოსახლეობაც აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს.

ოსმალთა აგენტი ომარ-ხან ავარიელი 1785 წლის სექტემბერში 20 000-იანი ლაშქრით შემოიჭრა საქართველოში, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადმოლახა ალაზნის, ივრისა და მტკვრის ხეობები, აიღო ბორჩალოს ციხე და გაანადგურა ახტალის მადნები, რითაც ქართლ-კახეთის სამეფოს 100 000 მანეთის ზარალი მიაყენა; ააოხრა ლორე და ახალციხე, გაძარცვა იმერეთის სოფლები და მხოლოდ მას შემდეგ გაეცალა საქართველოს, როდესაც ერეკლე II-მ ყოველწლიური ჯამაგირი — 5000 მანეთი იკისრა და დამატებით 10 000 მანეთი მისცა ლეკთა ბელადებისათვის დასარიგებლად.

აოხრებული ქართლ-კახეთის სამეფო გადასახადებს ვეღარ იხდიდა. მოხარკეც აღარავინ ჰყავდა. ვაჭრობა დაეცა და საბაჟო შემოსავალიც შემცირდა. ერეკლე და მისი ელჩი საიმპერატორო კარზე — გარსევან ჭავჭავაძე მფარველ ქვეყანას დახმარებას და ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას სთხოვდნენ, მაგრამ რუსეთს ამ დროს

საქართველოსთვის არ ეცალა: 1787-1791 წლებში ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და თურქეთს შორის. რუსეთს ასევე ომი ჰქონდა შვედეთთან; დაძაბული ვითარება იყო პოლონეთშიც. ამავდროულად, ოსმალეთი ერეკლე II-ს რუსეთთან დაშორებას და მასთან კავშირის აღდგენას სთხოვდა. ასეთ დაძაბულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოს დღის წესრიგში კვლავ დადგა საგარეო მოკავშირის ძიების საკითხი, რომლის შედეგადაც 1786 წლის 12 სექტემბერს ქართლ-კახეთისა და ახალციხის საფაშოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მოკავშირეები ხელს იღებდნენ ერთმანეთის მტრობაზე. ერეკლე კისრულობდა საკუთარ სამეფოში მანამდე მყოფ რუსის ჯარის გარდა მეტს აღარ შემოიყვანდა, ხოლო ახალციხის ფაშა ვალდებულებას იღებდა სულთნის ჯარები ქართლ-კახეთის საზღვრებთან არ დაეყენებინა. ამ ზავით ერეკლე II-მ შეძლო ქართლ-კახეთში რუსთა ჯარის ყოფნა შეეთავსებინა ოსმალეთის საფაშოსთან და შეენარჩუნებინა სამშვიდობო ურთიერთობა მასთან, რომელიც იმ დროს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა.

ერეკლეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს გაძლიერებისთვის, ქართველი ხალხის განათლებისა და ევროპული კულტურის ზიარებისათვის აუცილებელი იყო მუსლიმური გავლენისგან განთავისუფლება. ამ საკითხზე ქართველთა შორის განსხვავებული აზრი არსებობდა: ერთნი ფიქრობდნენ, რომ საქართველოს გადარჩენა შესაძლებელი იყო სპარსეთ-ოსმალეთთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებით; მეორენი თვლიდნენ, რომ ევროპის ქვეყნებს შეეძლოთ საქართველოსთვის დახმარება გაეწიათ; ხოლო მესამენი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს ერთადერთი მხსნელი მხოლოდ მართლმადიდებელი რუსეთი იყო. ერეკლეც ამავე აზრზე იდგა და ყველანაირად ცდილობდა სპარსეთ-ოსმალეთთან დასაპირისპირებლად რუსეთთან კავშირის დამყარებას.

1786 წლის 18 დეკემბერს ერეკლე II-მ საგარეჯოში ოსმალეთის ელჩები მიიღო, რითაც მან რუსეთს აგრძნობინა გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები შეესრულებინა. ოსმალეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ეს კავშირები იმის მომასწავებელი იყო, რომ ერეკლე II დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლას აპირებდა.

XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის სპარსეთში დასრულდა მრავალწლიანი შიდაფეოდალური ბრძოლა და გამარჯვება ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელს, მრისხანე და შეუბრალებელ საჭურისს აღა მაჰმად ხანს დარჩა. მან ხელში ჩაიგდო სპარსეთის შაჰობა და მთელი ყურადღება ამიერკავკასიას მიაპყრო.

1787 წელს რუსეთმა საქართველოდან ჯარი გაიწვია. 1791 წელს აღა მაჰმად ხანმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა. მის მხარეზე გადავიდა შირაზის მმართველიც. 1794 წელს მან ლუტფალი ხან ზენდი დაამარცხა და მთელი სპარსეთის მბრძანებელი გახდა. აღა მაჰმად ხანმა ერეკლე II-საც შესთავაზა მეგობრობა, იგი ქართლ-კახეთის სამეფოზე ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა. ერეკლე მეფე რუსეთს სთხოვდა მის წინააღმდეგ დახმარებას და 1783 წლის ტრაქტატის ვალდებულებების შესრულებას, მაგრამ კავკასიის ხაზის უფროსის ი. გუდოვიჩის სიტყვიერ დაპირებას ქართლ-კახეთის მეფისადმი არანაირი პრაქტიკული დახმარება არ მოჰყოლია.

1795 წლის 4 აგვისტოს აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ დაიძრა. აზერბაიჯანის ხანების დამორჩილების შემდეგ მის მხარეზე გადავიდა ერეკლეს ყმადნაფიცი ჯავათ ხანიც. ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი შუშის ციხეში ჩაიკეტა და მტერთან შესახვედრად მოემზადა. აღა მაჰმად ხანმა ერეკლესაც გამოუგზავნა ელჩი და მორჩილება შესთავაზა, მაგრამ მეფემ იგი დაატყვევა და ომისთვის მზადება დაიწყო. რუსეთის იმედად მყოფმა ერეკლემ 4-5 ათასიანი ჯარი ძლივს შეაგროვა. გარდა ყმადნაფიცი ხანებისა და სომეხი მელიქებისა, მეფეს უღალატეს საკუთარმა თავადებმა. მოღალატე ანდრონიკაშვილმა 200 ქიზიყელი გააპარა ბრძოლის წინა ღამეს.

მეფე ერეკლემ კავთისხევიდან წმინდა ევსტათის წმინდა ნაწილები ჩამოაბრძანებინა და მის წინაშე ლოცვა აღავლინეს ბრძოლაში შეწევნისათვის.

ერეკლე მეფემ თავისი ჯარი დაყო რაზმებად და თითოეულ მათგანს თავისი წინამძღოლი მიუჩინა. 1795 წლის 10 სექტემბერს თბილისში შემოსული მტერი შეტევაზე გადავიდა, რომელიც ქართველებმა ძლიერი შეტევით დაამარცხეს. ამან დააფიქრა აღა მაჰმად ხანი, რომ ქართველებს კრწანისიც ასევე გამაგრებული ექნებოდათ, ამიტომ თავისი ჯარები გადააჯგუფა.

11 სექტემბერს ნისლიანი დილა გათენდა. თანდათან მზემ ნისლი გაფანტა და დილის 7 საათზე მტერი შეტევაზე გადავიდა. დაიწყო უმოწყალო სისხლის ღვრა. აღა მაჰმად ხანის ზარალი 13 000 კაცს აღემატებოდა. მათ ერეკლეს ტყვედ გდება სურდათ, მაგრამ ამ ხიფათს მეფე იოანე ბატონიშვილმა გადაარჩინა.

14 სექტემბერს შაჰამდე მიაღწია ხმამ, თითქოს მეფე ერეკლე სამღვდელოებამ წააქეზა, რომ სპარსეთის ხელისუფლება არ ეცნო. ეს იყო მიზეზი ბრძანებისა, რომ სასულიერო პირები ეწამებინათ. ხელებშეკრულ სამღვდელოებას ჯალათები მტკვარში ყრიდნენ. ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილი მიტროპოლიტი დოსითეოსი საკუთარი სახლის ბანიდან გადააგდეს; სიონის ტაძრის კანკელი დაწვეს, გაძარცვეს ეკლესიები; წმინდა ევსტათის ნეშტთან მიყვანილ ქართველებს უბრძანებდნენ სიწმინდე შეურაცხეყოთ და წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას მდინარეში ყრიდნენ; დედებს ჩვილ ბავშვებს სტაცებდნენ და მათ თვალწინ შუაზე ჰკაფავდნენ. ვინც სიკვდილს გადაურჩა, დაატყვევეს და სპარსეთის გზას გაუყენეს; გაანადგურეს არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები: მეფის სასახლე, წიგნთსაცავი, სტამბა, სემინარია, ზარაფხანა, აბანოები... ბოლოს, წმინდა ევსტათის მუსლიმთაგან გათელილი ნეშტიც მდინარეში გადააგდეს. როგორც მათივე მემატიანე ამბობს, სპარსეთის ჯარმა თბილისის გაჩანაგების დროს ისეთივე მაგალითი უჩვენა ურწმუნო ქართველებს, როგორსაც განკითხვის დღეს უნდა ელოდნენ (ხელაია 2012: 248-255).

20-21 სექტემბერს აღა მაჰმად ხანი თავისი ლაშქრით, ნაძარცვითა და 15 000-მდე ტყვით თბილისს გაეცალა, რომელსაც გამარჯვებას ულოცავდნენ ოსმალთა სულთანი, საფრანგეთი და ინგლისი. ისინი რუსეთის დამარცხებად მიიჩნევდნენ ამ ფაქტს და კავკასიიდან მის საბოლოო განსადევნად აღა მაჰმად ხანს ურჩევდნენ კვლავ ელაშქრა საქართველოში.

რუსეთის მთავრობა მიხვდა თავის შეცდომას, რომ ძვირფასი მოკავშირე ეკარგებოდა, მხოლოდ ახლა გაახსენდა საქართველო და გენერალმა გუდოვიჩმა ერეკლესთვის დახმარების ბრძანება მიიღო. 1795 წლის დეკემბერში რუსთა 2000 კაციანი ჯარი შემოვიდა საქართველოში, ხოლო 1796 წელს 30 000-იანი რუსთა ლაშქარი დარუბანდში შეიჭრა, რომელსაც შეუერთდა ქართველებისა და ამიერკავკასიელი სხვა

ხალხების ნაწილი და აიღეს დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია და სპარსეთში სალაშქროდ მოემზადნენ. ამავე დროს გაცოცხლდა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის ძველი გეგმა — ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნისა, რომლის მეთაური ერეკლე II უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ყველაფერი სწრაფადვე გაქრა და მისი ინიციატორი რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II 1796 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ იმპერატორმა პავლე I-მა სპარსეთის ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია, რაც აღა მაჰმად ხანმა თავის გამარჯვებად მიიჩნია და საქართველოში კვლავ ლაშქრობა დააპირა, მაგრამ 1797 წლის 6 ივნისს იგი შეთქმულებმა მოკლეს.

რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მიერ რუსთა ჯარის გაწვევით შეშფოთებული ერეკლე მეფე რუსეთის მთავრობას აღა მაჰმად ხანისაგან განადგურებული ქვეყნის აღსადგენად ჯარითა და ფულით დახმარებას სთხოვდა, რაც 1783 წლის ტრაქტატში იყო გათვალისწინებული, მაგრამ მფარველი სახელმწიფოს ინტერესებში აღარ შედიოდა საქართველოს გაძლიერება.

დახმარების მოლოდინში მყოფი ქართლ-კახეთის მეფე 1798 წლის 11 იანვარს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტია სახელმწიფო მოღვაწეობა. ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ გიორგი XII-ის კურთხევასთან დაკავშირებით ვითარება მეტად დაიძაბა: ტახტის დაუფლებისათვის ბატონიშვილთა შორის დაიწყო ბრძოლა, რომლებიც იულონ ერეკლეს ძესა და დავით გიორგის ძეს გარშემო დაჯგუფდნენ. მათ შორის ბრძოლა წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეს შესაძლებლობა გამოეყენებინათ და გადაეწვიტათ საქართველოს საკითხი. იმპერატორმა პავლე I-მა განაახლა 1783 წლის ტრაქტატი და 1799 წლის 18 აპრილს დააკმაყოფილა გიორგი XII-ის თხოვნა ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილის დამტკიცების შესახებ. ასევე, სამხედრო და სამოქალაქო დახმარების მიზნით საქართველოში იგზავნებოდა ჯარი, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფე დიდი სიხარულით შეეგება.

1800 წლის 7 ნოემბერს, როდესაც ომარ-ხან ავარიელი უზარმაზარი ლაშქრით კახეთში შემოიჭრა და რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სამარცხვინოდ დაამარცხა და ბრძოლის ველიდან გააქცია, ქართველ ხალხს  რუსთა მაშველი ჯარის დახმარების დიდი იმედი მიეცათ.

რაც შეეხება შიდაპოლიტიკურ ვითარებას, ოფიციალურად ტახტის მემკვიდრედ დავით გიორგის ძის გამოცხადებამ, რომელსაც რუსი მოხელეების მოთხოვნით ფიცზე ხელს აწერდა ქართლ-კახეთის სამეფო კარი, ანტონ II კათალიკოსი და სხვა მღვდელმთავრები, დარეჯან დედოფლისა და მისი შვილების უკმაყოფილება გამოიწვია. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, ერეკლე II-მ დარეჯან დედოფლის ზეგავლენით შეცვალა ტახტის მემკვიდრის წესი, რომლის თანახმადაც, მეფობა უფროსი შვილიდან მომდევნო ძმებზე უნდა გადასულიყო. სამეფო კარზე დაიწყო ბრძოლა მათ შორის, რომელშიც ქართველ ბატონიშვილებთან და თავადებთან ერთად ჩაერთვნენ სომეხი მელიქები, აზერბაიჯანის ხანები და ახალციხის ფაშა.

გიორგი XII-ის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. 1800 წლის 24 ივნისს მან „სათხოვარი პუნქტები“ გაგზავნა  რუსეთის იმპერატორის მიმართ, სადაც ითხოვდა სამუდამო ქვეშევრდომობაში მიღებას და ვალდებულებას იღებდა ეცნო რუსეთის იმპერატორი საკუთარ ხელმწიფედ იმ პირობით, რომ მისი მემკვიდრეები დარჩებოდნენ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე. ასევე, ქართლ-კახეთის მეფე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის ითხოვდა: „...რომელ ყოველნივე იგინი სამღვდელოთა წესნი იყვნენ შეწყნარებულ, პატივცემულ ღირსებისამებრ ხარისხისა მათისა თანასწორად სხვათა ხარისხისა მექონთა რუსეთისათა, ვინათგან ქვეშევრდომად ქმნილი იგი სამეფო თვისისა ნებითა შეერთდა საიმპერატოროსა“ (ბუბულაშვილი 2017: 39).

იმპერატორმა პავლე I-მა დააკმაყოფილა ქართლ-კახეთის მეფის მოთხოვნა და გენერალ კნორინგს საიდუმლოდ დაავალა გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის მთავრობის ნებართვის გარეშე ტახტის მემკვიდრე არ ეკურთხებინათ.

1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა, რამაც კიდევ უფრო მეტად დაძაბა სამეფო კარზე ვითარება. იულონ ბატონიშვილმა სცადა მცხეთაში მეფედ კურთხევა, მაგრამ დავით გიორგის ძემ რუსთა ჯარის დახმარებით შეძლო მისი ჩაშლა. გენერალმა კნორინგმა უადგილოდ მიიჩნია იმპერატორისგან საიდუმლოდ მიღებული მანიფესტის გამოცხადება და თბილისში დამატებითი ჯარი გამოაგზავნა გენერალ ლაზარევის მეთაურობით, რომელიც წინ აღუდგებოდა დავით გიორგის ძის მეფედ გამოცხადებას.

ქართველ ხალხს უნდა უარეყო საკუთარი მეფე, რუსეთის იმპერატორი უნდა ყოფილიყო მეფე ქართველთა და დაეფიცებინა მის ერთგულებაზე.

მიუხედავად იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტისა, ტაძარში წირვა-ლოცვის დროს ქართველი სამღვდელოება მეფედ იულონ ბატონიშვილს იხსენიებდა, რის გამოც გენერალმა ი. ლაზარევმა და კ. კნორინგმა კათალიკოსს მოსთხოვეს აეკრძალა იულონის მეფედ მოხსენიება. საპასუხო წერილში ანტონ II შეფარვით ითხოვდა იულონის გამეფებას და იმედს გამოთქვამდა, რომ ამ თხოვნას სათანადო ყურადღება მიექცეოდა (ბუბულაშვილი 2002: 13-15).

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების პარალელურად, კ. კნორინგი ანტონ II კათალიკოსისგან მოითხოვდა, რომ მისთვის მიეწოდებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შესახებ სრული ინფორმაცია:

- ეპარქიების, მღვდელმთავრების, სამღვდელოებისა და ეკლესია-მონასტრების ზუსტი რაოდენობა;
- ეკლესია-მონასტრების შემოსავლის წყარო;
- ეკლესიის დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებისადმი;
- სასულიერო წოდების მინიჭების წესები;
- არსებობს თუ არა საქართველოში სასულიერო სასწავლებლები, რა ისწავლება და მათი დაფინანსების საშუალებები;
- აქვს თუ არა საქართველოს ეკლესიას სასამართლო/დიკასტერია, სად და ვისი თანდასწრებით ირჩევა სასულიერო პირთა საქმეები (ბუბულაშვილი 2002: 16-17).

ანტონ II კათალიკოსმა ვრცელი პასუხი გაუგზავნა კ. კნორინგს, სადაც იგი ხაზგასმით და დეტალურად აღწერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ყურადღებას ამახვილებს IV საუკუნეში წმინდა ნინოს მიერ ქადაგებასა და მეფე მირიანის მიერ ქართლის გაქრისტიანებაზე; ხაზგასმით აღნიშნავს V საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას და განსაკუთრებით აღნიშნავს სამეფო სახლისა და სასულიერო პირების ურთიერთკავშირს, რომ ქართველი მეფეები და მთავრები დიდად ეხმარებოდნენ სამღვდელოებას ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში და სწირავდნენ მათ ყმა-გლეხებსა და მიწებს. ბოლოს,

კათალიკოსი საუბრობს ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ სასწავლებლებზე, აღწერს ერეკლე მეფის ფინანსურ მხარდაჭერას მათ მუშაობაში და წარმოაჩენს ეკლესიის როლს სწავლა-განათლების სფეროში (ბუბულაშვილი 2002: 17-19).

იმპერატორ პავლე I-ს არ დასცალდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. იგი 1801 წლის 11 მარტს შეთქმულებმა მოკლეს. მის მიერ დაწყებული საქმე 1801 წლის 12 სექტემბერს სისრულეში მოიყვანა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, რომლის მიერ გამოცემული მანიფესტი 1802 წლის 12 აპრილს გააცნეს სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ თავად-აზნაურებს. ხოლო ვინც უარი განაცხადა დაფიცებაზე, მთავარმართებლის ბრძანებით დააპატიმრეს.

ფიცის ტექსტს რუსი მოხელეების ზეგავლენით საერო და სასულიერო პირებთან ერთად კათალიკოსიც აწერდა ხელს და აშკარად ვერ გამოხატავდა თავის უარყოფით პოზიციას ამ მოვლენისადმი, რაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას დააჩქარებდა. თუმცა, რუსი მოხელეებისთვის ცნობილი იყო, რომ ანტონ II კათალიკოსი ფარულად მხარს უჭერდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას (ბუბულაშვილი 2002: 24).

მომდევნო მთავარმართებელი პ. ციციანოვი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი წარმომავლობის იყო, აშკარად რუსულ პოლიტიკას ატარებდა. იგი თითქოს ქართული ეკლესიების აღდგენაზე ზრუნავდა, მაგრამ როდესაც კათალიკოსი ფინანსურ დახმარებას სთხოვდა, პ. ციციანოვი აბუჩად იგდებდა ქართულ კულტურას, საეკლესიო საგალობლებს თხის კიკინს უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ ქართულ ეკლესია-მონასტრებს არანაირი ღირებულება არ გააჩნდა და მათი აღდგენის შედეგად დიდი ფინანსური ზარალი მიადგებოდა სახელმწიფოს (ბუბულაშვილი 2002: 26). იგი უხეშად ერეოდა საქართველოს ეკლესიის შიდა საქმეებში, ეპარქიების გაუქმების მიზნით თავად კარნახობდა კათალიკოსსა და მღვდელმთავრებს მათ მიერ გადასაწყვეტი საკითხების მოგვარებას, ძაბავდა ურთიერთობებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის და ამზადებდა ნიადაგს მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის გაუქმებისათვის, რაც მომდევნო მთავარმართებელმა ა. ტორმასოვმა აღასრულა. ანტონ II კათალიკოსი უმძიმეს მდგომარეობაში მოექცა. მას ჩამოერთვა ყოველგვარი უფლება, აღარც სასულიერო პირთა ხელდასხმა შეეძლო, ვეღარც

ეპარქიებზე ავრცელებდა საკუთარ იურისდიქციას და საეკლესიო შემოსავლის კონტროლიც აეკრძალა, რომელიც მთავრობის ხელში გადავიდა და კათალიკოსისგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მფარველმა სახელმწიფომ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა და იგი თავის კოლონიად აქცია. არც ერთ მეფეს არც ერთი მოკავშირისათვის არასდროს უთხოვია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმება და მით უფრო, მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა. რუსეთის მხრიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ამ არაკანონიკურ ქმედებას მოჰყვა ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

1783 წლიდან მოყოლებული 1800 წლამდე ქართლ-კახეთის სამეფო თანდათან ეცემოდა. ქვეყნის საგარეო მტრები რეაქციონერ თავადებს დაუკავშირდნენ, რამაც აღმოსავლეთ საქართველოს დაცემა და ქართველი საზოგადოების დამარცხება გამოიწვია (ბერძენიშვილი, 1965: 243). ასეთ უმძიმეს პირობებში ქვეყანას სულიერ მზრუნველობას არ აკლებდა ანტონ II კათალიკოსი. მან „მრავალი იღვაწა“ საქართველოს ეკლესიისათვის, შეისყიდა სოფლები, ააშენა აოხრებული ადგილები და აღა მაჰმად ხანის მიერ დაქცეული ეკლესიები აღადგინა (ბუბულაშვილი 2002: 13).

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის გეგმის სისრულეში მოსაყვანად დღის წესრიგში დადგა იმერეთის სამეფოს დაპყრობაც.

1784 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I. მას ტახტის მემკვიდრე არ დარჩენია და იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ თავისი ძმიშვილი დავით არჩილის ძე (ერეკლე II-ის შვილიშვილი) გამოაცხადა. მეფობაზე პრეტენზიას აცხადებდა სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძეც.

იმერეთის სამეფოს გავლენიანმა თავადებმა დავით არჩილის ძის მცირეწლოვნობის გამო  დავით გიორგის ძე გაამეფეს. 1784 წლის მაისში მათ წერილი გაუგზავნეს პ. პოტიომკინს, სადაც მწუხარებას გამოთქვამდნენ  სოლომონ მეფის უეცარი გარდაცვალების გამო და განმარტავდნენ დავით გიორგის ძის გამეფების მიზეზს. წერილს ხელს აწერენ: ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გენათელი მიტროპოლიტი

ეფთვიმი, მთავარეპისკოპოსი იოანე, ქსნის ერისთავის ძე ელისბარ, წულუკიძე ბერი, სარდალი წერეთელი პაპუნა, წულუკიძე გიორგი, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, აგიაშვილი სარდალი ქაიხოსრო, მაჩაბელი ზურაბ, მდივანბეგი კნიაზი დავით, მდივანი მესაიდუმლე გაბაშვილი ბესარიონ (რეხვიაშვილი 1989: 284).

ერეკლე II ცდილობდა იმერეთში მშვიდობა დამყარებულიყო, ამიტომ დროებით შეურიგდა ამ მოვლენას და 1784 წლის მაისში იმერეთის მეფეს მოსთხოვა დავით არჩილის ძისათვის დაებრუნებინა ყმა-მამული. დავით გიორგის ძემ შეასრულა ეს თხოვნა და დავით არჩილის ძეს სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ ტახტის დათმობა აღუთქვა. მიუხედავად ამისა, იმერეთში შინაური არეულობა გრძელდებოდა. მეფით უკმაყოფილო და დავით არჩილის ძის მომხრე გავლენიანი ფეოდალები ბრძოლას განაგრძობდნენ, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ერეკლე II. ასევე, იმერელი ფეოდალები მზად იყვნენ ტახტზე აეყვანათ სოლომონ I-ის მიერ იმერეთიდან განდევნილი ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე, რომელსაც ოსმალეთი ჯარით ეხმარებოდა.

ვინაიდან დავით გიორგის ძემ გამეფებისთანავე რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი ს. ბურნაშოვი მაშინვე ჩაერია იმერეთის სამეფოს საქმეებში, რამაც ოსმალეთის შეშფოთება გამოიწვია. ს. ბურნაშოვის აქტიური საქმიანობის შედეგად დავით გიორგის ძემ რუსეთში ელჩები გაგზავნა და მფარველობა ითხოვა. რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდნენ ასევე, იმერეთის მეფით უკმაყოფილო კაცია დადიანი და გიორგი V გურიელი.

1784 წლის სექტემბერში იმერეთის მეფემ პეტერბურგში ელჩობა გაგზავნა მაქსიმე კათალიკოსის, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და მდივანბეგ დავით კვინიხიძის შემადგენლობით. ისინი რუსეთისგან მოითხოვდნენ დავით გიორგის ძის მეფედ ცნობას, იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას და ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებას. რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II მოწონებით შეხვდა დავით მეფის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მის დაპირებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

მაქსიმე კათალიკოსი ჯანმრთელობის გაუარესების გამო საქართველოში ვეღარ დაბრუნდა. მან რუსეთის მთავრობისგან მიიღო უფლება სამუდამოდ დარჩენილიყო რუსეთში და გარკვეული გასამრჯელო დაენიშნა. 1785 წელს მოსკოვში მას მიანიჭეს

მსახურების, ტიტულისა და მიტრის ტარების უფლება. აქვე მისცეს ჯვრით დაგვირგვინებული მიტრა.

გარდაცვალებამდე მაქსიმე კათალიკოსმა დაიბარა, რომ დაეკრძალათ ტაძრის ეზოში სამხრეთ კედელთან. მისი მიტრა, პანაღია და ბარტყულა გაეგზავნათ ბიჭვინთაში, რადგან ამ მონასტრის საფასით ჰქონდა გაკეთებული, ხოლო დანარჩენი ნივთები დაუტოვა თავის ძმას იღუმენ ანტონს, რომელიც მას თან ახლდა (კელენჯერიძე 1913: 4).

1785 წლის 31 დეკემბერს იმედმოცემული ქართველი ელჩები უკან გამოისტუმრეს. 1786 წლის ზამთარში ისინი უკვე ასტრახანში იყვნენ და ელოდნენ გრ. პოტიომკინის კონკრეტულ პასუხს, რომელიც არ ჩქარობდა და აყოვნებდა პასუხს. საბოლოოდ, 1787 წლის გაზაფხულზე ელჩები იმერეთში დაბრუნდნენ.

ამავე წელს დავით გიორგის ძემ გრ. პოტიომკინთან თავის მუდმივ წარმომადგენლად გაგზავნა ახალი ელჩი — ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი, რომელიც დიდხანს გააჩერეს კრემენჩუგში და მხოლოდ 1789 წელს შეძლო პეტერბურგში ჩასვლა.

პარალელურად, რუსეთის მთავრობა დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგად კონსტანტინოპოლელი ელჩის მეშვეობით ცდილობდა იმერეთში თურქთა ჯარის შემოჭრის აღკვეთას, მაგრამ ოსმალთა სულთანმა 1784 წლის შემოდგომაზე ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე იმერეთის მეფედ გამოაცხადა და 6000-იანი ლაშქარი გამოაყოლა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ. ქაიხოსრო ლევანის ძე შეიჭრა გურიის სამთავროში და გაძარცვა და გადაწვა ოზურგეთის სოფლები. დავით გიორგის ძემ ოსმალებს უკან დასახევი გზა მოუჭრა. ამ ბრძოლაში მის მხარეზე იდგნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები.

ოსმალებთან მოპოვებული გამარჯვება დავით გიორგის ძისათვის დროებითი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მეფემ შეძლო მეამბოხე ფეოდალების დამარცხება, ისინი ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და აჯანყებისთვის ემზადებოდნენ. მალე ახალციხეში თავი მოიყარეს დავით გიორგის ძის მოწინააღმდეგეებმა: დავით არჩილის ძემ თავისი მომხრეებით, ბერმა და გიორგი წულუკიძეებმა, პაპუნა წერეთელმა, ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძემ და სხვ., რომელთაც ოსმალეთის მთავრობა ყოველგვარ დახმარებას უწევდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1787 წლის 15 აგვისტოს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ახალი ომი, რომელმაც იმედი მისცა დავით მეფეს. მაგრამ შექმნილ ვითარებას იმერეთის სამეფოსთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამასობაში კი, დავით მეფე ჩამოაგდეს ტახტიდან და 1789 წლის 11 ივლისს იმერეთის სამეფო ტახტი სოლომონ II-ის სახელით დაიკავა სოლომონ I-ის ძმიშვილმა და ერეკლე II-ის შვილიშვილმა — დავით არჩილის ძემ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ანტონ II კათალიკოსი, რომელიც ერეკლე მეფემ მიავლინა იმერეთის სამეფოში. ქართლის კათალიკოსმა დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისა და საერო პირების თანდასწრებით შეარიგა მოწინააღმდეგე ძალები და დალოცა იმერეთის მეფე სოლომონ II (ბუბულაშვილი 2002: 12). მეფის მოძღვარი იყო წმინდა ილარიონ ყანჩაველი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია სოლომონის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ზემოაღნიშნული შიდაპოლიტიკური ცვლილებები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის. ამასთანავე, XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში დასუსტებულ ოსმალეთს არ შესწევდა ძალა ხელი შეეშალა საქართველოს გაერთიანებისათვის. სპარსეთის მხრიდანაც არ ემუქრებოდა მას საფრთხე. მხოლოდ ერთმორწმუნე მფარველისთვის იყო მიუღებელი ძლიერი და ერთიანი საქართველოს არსებობა და მის გაძლიერებაზე იზრუნებდა ერთადერთი მოტივით: რათა ამ ტერიტორიაზე სპარსეთისა და ოსმალეთის გაბატონება არ დაეშვა.

იმერეთის თავადთა ერთმა ჯგუფმა ერეკლე II-ის წინაშე საქართველოს გაერთიანების საკითხი დასვა. ესენი იყვნენ გავლენიანი ფეოდალები — იმერეთის სამეფო კარის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი; მღვდელმთავრები: დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე და სხვა ფეოდალები, რომლებიც ერეკლეს არწმუნებდნენ რომ საქართველოს გაერთიანების მომხრენი არიან ასევე: გურიისა და სამეგრელოს მთავრები და მთელი დასავლეთ საქართველოს გლეხობა.

ერეკლემ დარბაზი შეყარა, რომელზეც ურთიერთსაპირისპირო აზრი გამოითქვა. მსჯელობა სამ დღეს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაერთიანების მომხრენი სჭარბობდნენ მის მოწინააღმდეგეებს, ეს აზრი უარყოფილ იქნა, რადგან: ქართლ-

კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში იყო შესული, ხოლო იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე გაბატონებას ოსმალეთი ცდილობდა და არ დაუშვებდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე ჩაიშალა, დავით არჩილის ძის მეფედ კურთხევა იმერეთის სამეფო ტახტზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

1788 წელს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი და მთავარი გახდა მისი ძე გრიგოლი, რომელიც იმერეთის მეფის დაუკითხავად აკურთხეს. ამიტომ ჯერ დავით გიორგის ძემ და შემდეგ სოლომონ მეფემ დადიანის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. იმერეთის მეფემ გრიგოლ დადიანი ტახტიდან გადააყენა და სამეგრელო მის ძმას — მანუჩარს გადასცა. გრიგოლმა ჯერ ოსმალთა, შემდეგ ერეკლე II-სა და ბოლოს ლეჩხუმის სარდალ-მოურავის, ქაიხოსრო გელოვანის დახმარებით შეძლო დადიანობის მიღება.

1790 წლის ივნისში ერეკლე II-ის ინიციატივითა და სოლომონ ლიონიძის თაოსნობით გაფორმდა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“, რომელიც 4 დოკუმენტისაგან შედგება და ხელს აწერენ: ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, დარეჯან დედოფალი, ანტონ II კათალიკოსი, იმერეთის მეფე სოლომონ II, დედოფალი მარიამი, სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი და გურიის მთავარი სიმონ გურიელი. ტრაქტატის მიზანი იყო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლა (გურული 2011: 339)

სოლომონ II საკუთარი სამეფოს გაძლიერების იმედებს რუსეთთან ურთიერთობაზე ამყარებდა. ბესარიონ გაბაშვილი და მაქსიმე კათალიკოსი ცდილობდნენ დახმარება რუსეთიდან მიეღოთ, მაგრამ 1791 წლის იასის ხელშეკრულების თანახმად, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის მსგავსად რუსეთის მთავრობამ უარი თქვა იმერეთის სამეფოს მფარველობაზე. მიუხედავად ამისა, სოლომონ II რუსეთის მთავრობისგან მოითხოვდა 1783 წლის ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმებას.

1796 წელს სოლომონ II-მ რუსეთში გაგზავნა ელჩობა აფხაზ-იმერთა კათალიკოსის მაქსიმესა და სარდალ-სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის შემადგენლობით, რომლის მიზანი რუსეთის მთავრობისადმი მფარველობის თხოვნა იყო, მაგრამ საზავო

ხელშეკრულება მას ამის უფლებას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა, რადგან რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, ეს საქმე აუცილებლად უნდა მიეყვანა ბოლომდე და საკუთარი მფლობელობა კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიონის ქედამდე განევრცო, რასაც მალევე, 1811 წლის 30 ივნისს მოჰყვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 1500 წლოვანი ავტოკეფალიის გაუქმება. საპატიო პენსიაზე გასული ანტონ II კათალიკოსი საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვგოროდში, გუბერნატორის სახლში გადასახლდა, სადაც მას გაჰყვნენ: კვირაცხოვლის დეკანოზი აარონ ალექსის ძე მესხი მეუღლით, დეკანოზი გიორგი მცხეთელი, თბილისის მოურავყოფილი ესტატე ციციშვილი, მცხეთის სარდალი ბეცია გედევანიშვილი, აზნაური ნიკოლოზ ელიოზისძე, თავადი იოსებ მაღალაშვილი, აზნაური გიორგი ნათანლიშვილი, ბოქაული ნიკოლოზ ფალავანდიშვილი და სხვ. ანტონ II კათალიკოსი გადასახლებიდანაც, სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა საკუთარ ეკლესიაზე ზრუნვას (კარბელაშვილი 1900: 195).

1783 წლის 24 ივლისს როდესაც რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს შორის გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა, ამით ქართლ-კახეთის სამეფო საკუთარი ნებით მფარველობაში მიიღო ერთმორწმუნე, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერმა სახელმწიფომ. თუმცა, ეს ნებაყოფლობითი მფარველობა არანაირად არ გულისხმობდა არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმებას და მით უფრო, არც ორი ავტოკეფალური ეკლესიის გაერთიანებას, რადგან ასეთი გაერთიანებისათვის საჭირო და აუცილებელი იყო ორივე ეკლესიის სათანადო ურთიერთშეთანხმება, შესაბამისი დადგენილების მიღება და ამ დადგენილების დამტკიცება მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო საბჭოს მიერ. ასეთი დადგენილება და შეთანხმება კი, არ მომხდარა. მსგავსს შეთანხმებას ქართველები არც დაუშვებდნენ. რუსეთის იმპერატორმა კარგად უწყოდა რა ქვეყანასთანაც ჰქონდა საქმე და ამიტომ, მარტივი მეთოდით სცადა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის გაუქმება, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. მოგვიანებით, რუსეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია არასდროს ჰქონია და იგი ემორჩილებოდა ანტიოქიის ეკლესიას. თუმცა, როდესაც რუსეთის იმპერატორმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, მას არც ანტიოქიის

ეკლესიისაგან აუღია ნებართვა, არც რაიმე წერილობითი დოკუმენტები გააჩნდა ამის დამადასტურებლად და არც ანტიოქიის საპატრიარქოს აღუძრავს საქმე ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე № 1208). აქედან გამომდინარე, ეს იყო რუსეთის იმპერატორის მხრიდან მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებში უხეში ჩარევა და არაკანონიკური ქმედება, რასაც შესაბამისი შედეგი მოჰყვება. წმინდა წერილსა და ეკლესიის ისტორიაში არაერთი  მაგალითი არსებობს, როგორ წარიმართა იმ ხელისუფალთა მდგომარეობა, რომელნიც ქრისტესა და მის მიერ დაფუძნებული ეკლესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

# თავი IV

# ინტერკულტურული გზების ძიება ქართველთა გამუსლიმების პროცესის შესაჩერებლად

## § 4.1. ქართველთა ურთიერთობა კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული ნაციონალური თვითმყოფადობის დაცვის მიზნით

ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს ისტორიული მიწები XVIII საუკუნის I ნახევარში სამხედრო სისტემაზე იყო აგებული და იყოფოდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად — ლივებად, რომელიც 4 ოლქში, ანუ ვილაიეთში იყო გაერთიანებული: 1. ახალციხის, ანუ ჩილდირის, 2. ყარსის, 3. ერზრუმისა და 4. ტრაპიზონის. ამ ოლქებში სანჯაყების სახით გაერთიანებულნი იყვნენ შემდეგი ცენტრები: არტაანი, აწყური, ისპირი, ბასიანი, შავშეთი, აჭარა, გონიო, ასპინძა, იმერხევი, კლარჯეთი და ა.შ. ვილაიეთის სათავეში ორ ან სამთუღიანი ფაშა იდგა, რომელიც ვეზირის უფლებით სარგებლობდა. ამ ოთხი ფაშიდან უპირატესობა ენიჭებოდათ ერზრუმისა და ახალციხის ფაშებს, რომელთაც ომის დროს სერასკირებად (სარდლად) ნიშნავდნენ და მოხელეთა ვრცელი შტატი ჰყავდათ: ქეჰაია, სალახორი, ყაფუჩი-ბაში, ხაზინადარ-აღა, და სხვა. ყველა ეს თანამდებობა გამუსლიმებულ ქართველებს ეკავათ.

სამხრეთ საქართველოს ასეთმა დანაწილებამ და ქართველი ხალხის მათ მიმართ შეურიგებელმა ბრძოლამ განაპირობა ახალციხის საფაშოს განსაკუთრებული მდგომარეობა — ოსმალთა კანონმდებლობის საწინაღმდეგოდ, სულთანი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, ქართველ ფეოდალთათვის ძველი უფლებები შეენარჩუნებინა და მამულები სამემკვიდრეო მფლობელობაში სრული საკუთრების უფლებით დაემტკიცებინა. ასევე, ოსმალთა მთავრობამ გამონაკლისის სახით დაუშვა ჯაყელთა საგვარეულოს ახალციხის ფაშობა და მემკვიდრეობით გადაცემა. ამით ახალციხის ფაშებთან მიმართებაში, ფაქტობრივად გაუქმებული იყო წესი, რომლის ძალითაც სპეციალური ბარათით სულთანი ფაშებს ამტკიცებდა თანამდებობაზე.

ახალციხის ფაშების ამ პრივილეგირებულ სტატუსს განსაზღვრავდა მათი საფაშოს გეოპოლიტიკური მდებარეობა: საზღვრისპირა ვილაიეთს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან უშუალოდ მასზე გავლითა და მათი მონაწილეობით ოსმალეთი უკავშირდებოდა და საკუთარ გავლენას ავრცელებდა მთელს დანარჩენ საქართველოზე.

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, მთელი XVIII საუკუნის I ნახევრის განმავლობაში ქართული ტერმინები და წოდებები შეიცვალა ოსმალურით: ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „ამათ ჟამთა შინა არღარა იყო სახელნი თავადთა, მთავართა და აზნაურთა, არამედ უწოდნენ ფაშად, ბეგად, ალიბეგად, სანჯახად და აღად.“ ეს იყო მიზანმიმართული ბრძოლა ქართველობასა და ოსმალობას შორის, ანუ: ქრისტიანულ და მუსლიმურ სარწმუნოებას შორის.

მუსლიმმა ჯაყელებმა სრულად დაივიწყეს თავიანთი წარმომავლობა, ისლამის აქტიური გამავრცელებლები გახდნენ საქართველოში და დიდი მონდომებით ნერგავდნენ ოსმალურ წეს-ჩვეულებებს სამცხე-საათაბაგოში: „მოოხრდებოდნენ ეკლესიანი და აღშენდებოდნენ ჯამნი და დაიტევებოდა ზნენი ქართულნი თვინიერ ენისა, და განდიდდებოდნენ მათ შორის მაჰმად და ნეშტნი ხატთა და ჯუართანი შეიმუსვროდა.“ ოსმალთა პოლიტიკის შედეგად ქრისტიანები განსაკუთრებულ დევნას განიცდიდნენ, ისლამის მიღება კი დიდი წყალობითა და პატივით აღინიშნებოდა: გლეხები თავისუფლდებოდნენ ქრისტიანთათვის დაწესებული მძიმე გადასახადებისაგან, ხოლო დიდგვაროვნებს საკუთარ მამულს სამემკვიდრეო მფლობელობაში უტოვებდნენ. საპატიო პირებს განსაკუთრებულ პატივსაც მიაგებდნენ: მაგალითად, 1680 წელს მღვდელმა ფირალისშვილმა გამუსლიმების სანაცვლოდ ჯავახეთის სანჯაყ ფაშობა მიიღო (სამსონაძე 2012: 325).

ოსმალთა ამ მიზანმიმართულ პოლიტიკას შესაბამისი შედეგი მოჰყვა: იმდენად დიდი იყო გასამუსლიმებელ ქართველთა რაოდენობა სამცხეში, რომ ოსმალეთის ხელისუფლება მსჯელობდა, რა ფორმით გაემუსლიმებინათ ისინი, რომ დაევიწყებინათ მათთვის ჭეშმარიტი სარწმუნოება. ზოგადად, მუსლიმობის მისაღებად ქრისტიანს მოეთხოვებოდა რამდენიმე მუსლიმის თანდასწრებით ეღიარებინა მუჰამედი, რომ

მუსლიმად ეცნოთ, მაგრამ ქართველთა მიმართ ამით არ კმაყოფილდებოდნენ: ქართველებისგან ისინი ითხოვდნენ არა მხოლოდ უცხო რჯულის აღიარებას, არამედ მართლმადიდებელი სარწმუნოების დაგმობასაც (ჯაფარიძე 2010: 269). ასე შეგნებულად და გააზრებულად ქართველები იღებდნენ მუსლიმობას, გმობდნენ „ქართულ რჯულს“ და შესაბამისად, ეროვნებასაც. დროთა განმავლობაში, ეროვნება და რჯულდაკარგული ქართველები ივიწყებდნენ მშობლიურ ენასაც, რასაც ხელს უწყობდა სკოლებში უცხო ენაზე ყურანის სწავლება. მიუხედავად ამისა, ქართველები კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ მშობლიურ ენას და მხოლოდ უცხოელებს ესაუბრებოდნენ საკუთარ ენაზე (ჯაფარიძე 2010: 280).

ოსმალთა ხელისუფლების დავალებით ახალციხის ფაშები აქტიურად ერეოდნენ როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგჯერ თავად ქართველი მეფე-მთავრები მიმართავდნენ მათ დახმარების თხოვნით.

ოსმალეთის მთავარი მიზანი საქართველოში სრული გაბატონება იყო. აქ იკვეთებოდა სპარსეთისა და ოსმალეთის ინტერესები. ქართველი მეფეები ცდილობდნენ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ შექმნილი ვითარება. საქართველოს შესვლა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში არ წარმოადგენდა ახალციხის ფაშების ინტერესს. ასეთ შემთხვევაში საფაშო იმპერიის შიდა პროვინციად იქცეოდა და შორეულ ლაშქრობებში მოუწევდა მონაწილეობის მიღება. საზღვრისპირა პროვინციად არსებობა მათთვის ნაკლებ სახიფათო და მეტად მომგებიანი იყო.

პოლიტიკურად დაშლილ და დანაწევრებულ საქართველოში, რომლის გაერთიანება და გაძლიერება წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო სპარს-ოსმალთა ბატონობის პირობებში, ერთადერთი ძალა, რომელიც საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობის გამომხატველად რჩებოდა, იყო საქართველოს ეკლესია, რომელიც იმდროინდელ ქართულ სამეფოებს აერთიანებდა და ერთმანეთთან აკავშირებდა; მაგრამ მესხეთის გამუსლიმებამ და მისი უდიდესი ნაწილის საქართველოსგან ჩამოშორებამ ხალხის თვალში ეკლესიისა და ქრისტიანობის ავტორიტეტი შეასუსტა. მეორე მხრივ, დედაეკლესიას მოწყვეტილ სამღვდელოებას მუსლიმობის გავრცელების წინააღმდეგ

ბრძოლის უნარი დააკარგვინა და ეროვნულ გადაგვარებას შეუწყო ხელი: „იქმნა რისხუა ღუთისა ცოდვათა ჩუენთათვის, რამეთუ აწ უმეტესადრე მოოხრდებოდნენ ეკლესიანი დიდშუენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყუთა სადგურნი... მოისპობოდნენ ეპისკოპოზნი, თუ სადმე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი... და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და რჯულითა მათითა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 728), და „არღარავინ იყო ქრისტიანე თვინიერ გლეხთა, არამედ იგინიცა მცირედ სამცხეს, თვინიერ ჯავახეთსა, და უმცირესად შავშეთს, აჭარას და არტაანს“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 736). აქედან გამომდინარე, იმდროინდელ პირობებში ქართული ეკლესიის მთლიანობის დამცველი საქართველოსა და ქართველი ერის ერთიანობის გამომხატველი და მისთვის მებრძოლი იყო, ხოლო მისი დამრღვევი — ქართული ეროვნული საქმის დამღუპველი (ჯავახიშვილი 1967: 174).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) ბრძანებს: როდესაც სარწმუნოებას დასცემს და ზნეობას დაამხობს ცრუმეცნიერება და ცრუგანათლება, ასევე, ჭეშმარიტმა მეცნიერებამ და განათლებამ უნდა აღადგინოს ისინი. შეულახველი და ჩირქმოუცხებელი ზნეობის დაბრუნება მხოლოდ ეროვნული სარწმუნოების განმტკიცების შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც სახელმწიფოს არსებობის მთავარი საყრდენი ძალაა.

საქართველოში მესხები, — აღნიშნავს მ. თამარაშვილი, — როგორც პირველნი იყვნენ ევროპელების დახვედრისა და მათგან სწავლა-განათლების მიღების პროცესში, ასევე პირველნი შეიქმნენ ოსმალებთან შეტაკებასა და მათ მიერ ამოწყვეტის საქმეში. XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაბატონების შემდეგ მესხები გმირულად შეებნენ მტერს, მხნედ და დიდხანს იბრძოლეს მათთან და დიდი ჯარიც გაუწყვიტეს. მაგრამ მცირერიცხოვანი მესხეთის მოსახლეობა ოსმალთა მუდმივი და ძლიერი შემოსევების შედეგად თანდათან დასუსტდა და საბოლოოდ, თავიც შეაკლა მტერს, რასაც მოჰყვა სამცხის 19 საეპისკოპოსოს ერთიანად მოსპობა და გადარჩენილ ქართველ მართლმადიდებელთა თავისთავად გამუსლიმება (თამარაშვილი 1902: 411).

ასეთ ვითარებაში ოსმალეთის იმპერიამ თავისი ხელქვეითი გამუსლიმებული ათაბაგების მეშვეობით პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის შედეგად შეძლო ფაქტობრივად მოესპო ქრისტიანული საეკლესიო მმართველობა. იმპერიის მთავარი მიზანი

იყო შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადებინა მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან, რათა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები ერთმორწმუნე რუსეთს არ შეერთებოდნენ. ამ მიზნის მიღწევა სულთნებმა ფაქტობრივად შეძლეს იმ გაგებით, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მუსლიმობა მიიღო, ნაწილი კათოლიკურ და სომხურ სარწმუნოებაზე გადავიდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებელი. თუმცა, საბოლოოდ მტერმა აქ მაინც ვერ შეძლო ქართველობის სრული მოსპობა, რა დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართულ ენას ენიჭებოდა და მოსახლეობის ძირითადი სალაპარაკო ენა იყო.

რაც შეეხება კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებლებს, საფრანგეთში ელჩობიდან დაბრუნების შემდეგ სულხან-საბა ორბელიანმა 12 მისიონერი ჩამოიყვანა და აქტიურად დაიწყო კათოლიკობის გავრცელება საქართველოში. მათ გაძლიერებას წინ აღუდგნენ სომხები, რომელთაც მიიმხრეს სულხან-საბას ზოგიერთი მოწინააღმდეგე და კვლავ განაახლეს კათოლიკეთა სასტიკი დევნა. ამავე დროს, 1716-1717 წლებში გაიმართა საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო სულხან-საბა „პაპის გინებისათვის.“ აქედან გამომდინარე, მის „გაკათოლიკებას“ მხოლოდ პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, საქართველოში დაბრუნებისთანავე უარყო კათოლიკობა და კვლავ მართლმადიდებელი სარწმუნოების ერთგული გახდა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იგი მართლმადიდებლურ ტაძარშია დაკრძალული. ამ კრებას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რითაც საქართველომ სპარსეთს აჩვენა საკუთარი პოზიცია.

მიუხედავად ელჩობის წარუმატებლად დასრულებისა, ქართველებს ევროპის იმედი მაინც არ დაუკარგავთ და აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ კათოლიკე მისიონერებთან. ქართველი მეფე-დედოფლები, სასულიერო პირები, ეპისკოპოსები და კათალიკოსი დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ კათოლიკე მისიონერებს: აძლევდნენ მათ სახლებს საცხოვრებლად და წირვა-ლოცვის ჩასატარებლად და რჩევა-დარიგებებს იღებდნენ მათგან (თამარაშვილი 1902: 380). 12 წლის განმავლობაში საქართველოში კათოლიკეთა მოღვაწეობამ უფრო მეტი ნაყოფი გამოიღო, ვიდრე სხვა ქვეყნებში 60-წლიანმა ქადაგებამ. უბედურებასა და განსაცდელში მყოფ ქართველებს კათოლიკეებმა დიდი დახმარება გაუწიეს: მათ ქართველები გააცნეს ევროპას, თუ როგორ იღვწოდნენ ისინი

სარწმუნოებისა და სამშობლოს დაცვისათვის სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. მისიონერებმა ბევრი ტყვეც გამოიხსნეს და გადაარჩინეს ქართველები.

მისიონერებს თან ჰქონდათ სახელმძღვანელო წიგნი „საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონერებისათვის სახმარებლად“, თარგმნილი მოწაფე დავით ტლუკაანთ გორელის მიერ, რომლის საშუალებითაც ქართველები კათოლიკურ სარწმუნოებას ეცნობოდნენ (თამარაშვილი 1902: 345).

გარდა ამისა, კათოლიკეებს რომში მიჰყავდათ ქართველი ბავშვები საკუთარი ხარჯებით მეცნიერების შესასწავლად, შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით: უპირატესობას ანიჭებდნენ 15-დან 20 წლამდე ასაკის კათოლიკეთა შვილებს; ნიჭიერებსა და სწავლისმოყვარე ახალგაზრდებს, რომელთაც ჰქონდათ მეცნიერების შესწავლის უნარი და სურვილი, იქნებოდნენ წყნარნი, ჯანმრთელნი, მორჩილნი და სათნოებისადმი მიდრეკილნი, რათა მათი შენახვა და გაწვრთნა უნაყოფოდ არ დარჩენილიყო (თამარაშვილი 1902: 287).

ამის გამო, ქართველები მისიონერების მიმართ იმდენად მადლიერად იყვნენ განწყობილნი, რომ ევროპელი მთავრები ქართველ მეფეებთან სიამოვნებით თანამშრომლობდნენ და დახმარებას აღუთქვამდნენ, თუმცა მათ სიტყვიერ დაპირებას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, რისი მთავარი მიზეზიც იყო ცვლილებები საფრანგეთის სამეფო კარზე და სომხების მტრული დამოკიდებულება ქართველებისა და კათოლიკეებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკე მისიონერები საქართველოში ეკონომიკურად დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ და რომიდანაც ვერ იღებდნენ დახმარებას, მაინც აგრძელებდნენ საქართველოში მოღვაწეობას იმ გადაწყვეტილებით, რომ სიცოცხლის ბოლომდე აქ დარჩენილიყვნენ. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ქართველთა პატივისცემა მისიონერების მიმართ. კათოლიკეები იმედოვნებდნენ, რომ თავიანთი ნაყოფიერი მოღვაწეობით დიდ სარგებელს მოუტანდნენ რომის ეკლესიას, რადგან არც ერთ ქვეყანაში ისე არ უწყობდნენ მათ საქმიანობას ხელს, როგორც საქართველოში. ამის გამო მისიონერები დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში მოღვაწეობით, რომ მათ დიდ შრომას ფუჭად არ ჩაევლო. ისინი სწავლობდნენ ქართულ ენასა და ზნე-ჩვეულებებს, ცდილობდნენ

დაესაჩუქრებინათ ქართველი მეფეები ძვირფასი საჩუქრებით — ვინაიდან მათ იცოდნენ, რომ ქართველები თავს ვალდებულად თვლიდნენ, საჩუქრებისათვის ორმაგად გადაეხადათ სიკეთე და  დაეარსებინათ საქართველოში კათოლიკური ეკლესიები, სკოლები და მუსლიმობისაგან ეხსნათ ქართველები. კათოლიკეთა ასეთ ნაყოფიერ შრომას მუდმივად ხელს უშლიდნენ მათთვის ჩვეული წინააღმდეგობით  სომხები, რომლებიც საქართველოში მრავლად ცხოვრობდნენ და საკუთარი ეკლესიებიც ჰქონდათ.

მათი  მისიონერები განსაკუთრებულ სიძულვილს კათოლიკეთა მიმართ გამოხატავდნენ. ისინი ისე გადაემტერენ კათოლიკეებს, რომ ჯოხით ცემა დაუპირეს და ქუჩაში დანახვისას ქვებს უშენდნენ. სომხების სიძულვილი მისიონერების მიმართ განსაკუთრებით ცხადდებოდა სასულიერო პირებთან საუბრისას: რადგან შესაბამისი პასუხის გაცემა არ შეეძლოთ და ყოველთვის დამარცხებულნი და შერცხვენილნი  რჩებოდნენ, უფრო მეტად ემტერებოდნენ მისიონერებს და ბოლოს,  პირში ფურთხება დაუწყეს. ამ დაპირისპირებების დროს კათოლიკეებს დიდად ექომაგებოდნენ ქართველები, რომლებისაც სომხებს ძალიან ეშინოდათ. ამასთანავე, ქართველები დიდი სიამოვნებით უსმენდნენ  კათოლიკეთა ქადაგებებს და ხშირად ბევრი მათგანი კათოლიკე ხდებოდა, რის გამოც თანდათანობით შორდებოდნენ სომხების ეკლესიას და კათოლიკეებს უერთდებოდნენ; ხუთი თვის განმავლობაში მხოლოდ გორის ეკლესიაში 300 ბავშვზე მეტი მოინათლა. ეს გარემოება საკმარისი იყო სომხების მიერ კათოლიკეების მიმართ  მუდმივი შურისა და სიძულვილისათვის, რომ მათთვის სახელი გაეტეხათ. ისინი შესაფერის დროს ეძებდნენ და თუკი შესაძლებლობა მიეცემოდათ, სასტიკად სდევნიდნენ მისიონერებს. ცდილობდნენ საქართველოდან განედევნათ, მაგრამ რადგან მეფე და კათალიკოსი მისიონერებს დიდ პატივს სცემდნენ, სომხებმა თავიანთ განზრახვაზე არათუ ხელი აიღეს, არამედ უფრო მეტად გააძლიერეს ბრძოლა კათოლიკეთა წინააღმდეგ. ამის გამო, ღმერთმა ისედაც დაგლახაკებულ სომხებს შავი ჭირი მოუვლინა და მთლად გააუბედურა, კათოლიკე მისიონერები კი ისე გააძლიერა, მისაბაძნი იყვნენ მთელს აღმოსავლეთში. ამავდროულად, სომეხმა ვართაპედმა  მოსახლეობას მოუწოდა ერთობლივი ძალებით დაენგრიათ კათოლიკური ეკლესია, რაც აღასრულეს კიდეც, რაზეც მეფემ სომხებისათვის ჯარიმა დააწესა: კათოლიკურ ეკლესიაში შესვლისას 12 თუმანი და შემდეგ მათთვის სომხების მიერ

თვალების დათხრა, ან/და წყალში გადაგდება. ასეთმა ჯარიმამ სათანადო შედეგი გამოიღო, მაგრამ მოგვიანებით მსგავსი ჯარიმა სომხებმა დააწესეს კათოლიკეებზე კათოლიკურ ეკლესიაში შესვლისას. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, სომხები არათუ წყვეტდნენ, უფრო მეტად დევნიდნენ კათოლიკეებს და აიძულებდნენ მათ, აყრილიყვნენ და სხვა, უსაფრთხო ადგილას გადასახლებულიყვნენ. მისიონერების თხოვნით შაჰმა სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა კათოლიკეებისათვის, რომლის თანახმადაც მათ შეეძლოთ ახალი ეკლესიები აეშენებინათ და ძველები შეეკეთებინათ; სასულიერო პირებს თავისუფლად უნდა ემგზავრათ სპარსეთის მთელს იმპერიაში და თავისუფალნი ყოფილიყვნენ ყოველგვარი გადასახადისაგან; ყველა პატივისცემით უნდა მოპყრობოდა, მათ ეკლესიებში მისვლა ქრისტიანებისათვის არავის დაეშალა და არც რაიმე ევნოთ მათთვის; სასულიერო პირებს სრული თავისუფლება ეძლეოდათ ყოველგვარი საეკლესიო მსახურების აღსრულებისას; სომხების ის მღვდლები, რომელიც კათოლიკეებს რაიმე შეურაცხყოფას მიაყენებდნენ, სასტიკად უნდა დასჯილიყვნენ. ადგილობრივ მთავრობას მათთვის მფარველობა უნდა აღმოეჩინა და დაესაჯა ამ ბრძანების დამრღვევი (თამარაშვილი 1902: 289-296). მიუხედავად ამისა, თბილისელმა მესროფ ვართაპედმა სპეციალური „ლოცვაც“ კი შეადგინა, რომლითაც ეკლესიებში დილა-საღამოს ლოცვის შემდეგ მთელი მრევლი მასთან ერთად წყევლიდა კათოლიკეებს, რომის პაპსა და მეფეებს. ისინი შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან ედევნათ კათოლიკეები და მუდმივად, სხვათა დამცირების ფონზე საკუთარი რწმენის ჭეშმარიტების წარმოჩენას ცდილობდნენ.

## § 4.2. სომხეთის ურთიერთობა ახალციხის გამუსლიმებულ მოსახლეობასთან ორთოდოქსული სარწმუნოების შესასუსტებლად

XVII საუკუნის II ნახევრიდან თბილისი იქცა სატრანზიტო პუნქტად, სადაც წარმოებდა ვაჭრობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, სპარსეთისა და ოსმალეთის ქალაქებს შორის. ვაჭართა სფერო კი სომხებისა და სომხური ეკლესიის ხელში იყო. ამის გამო, ქვემო ქართლისა და თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი სომხური ეკლესიის მრევლი ხდებოდა. მათი მელიქები სპარსულ-მუსლიმურ პოლიტიკას ატარებდნენ. სპარსეთის

ვაჭრობა და მრეწველობა  სომეხი და გასომხებული მოსახლეობის ხელში იყო და სომხურ ეკლესიას ისეთივე პრივილეგიები ჰქონდა, როგორც სპარსეთში. ამიტომ იყო, რომ მუსლიმთა მიერ დევნილი სპარსეთის ეკლესიიდან მრევლი სომხურ სარწმუნოებაზე გადადიოდა, მათ  შორის, ქართველებიც. მაგალითად, თუ XVII საუკუნის დასაწყისში ქართლში 21 საეპისკოპოსო იყო, კახეთში —  20 და მესხეთში — 19,  XVIII საუკუნის 40-იან წლებში ქართლში დარჩენილი იყო მხოლოდ 6 საეპისკოპოსო, კახეთში — 4, ხოლო მესხეთში — არცერთი. სამცხეში მუსლიმობის გავრცელების შედეგად შემცირდა ქრისტიან მსახურთა რიცხვი და უწინამძღვროდ დარჩენილი მოსახლეობა თანდათანობით გადავიდა მუსლიმურ რჯულზე. ახალციხის მუსლიმი ქართველი ფაშები თავადვე უწყობდნენ ხელს სამცხეში ქრისტიანობის მოსპობასა და მუსლიმური სარწმუნოების გავრცელებას (ჯაფარიძე 2010: 190).

მესხეთის ქართული ეკლესია ოსმალებმა სომხებს დაუქვემდებარეს. ამასთანავე, ქართველები გასომხდნენ ქართლ-კახეთშიც, რომელთა ხელშიც გადავიდა მრავალი ქართული ეკლესია. მუსლიმთა ბატონობისას ქვემო ქართლის მოსახლეობამ, რომელიც ლეკებსა და ოსმალებს გადაურჩა, სომხური სარწმუნოება აღიარა იმ მიზნით, რომ ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენილიყო. სომხები აქტიურად იყენებდნენ ამ მდგომარეობას და  ქართველთა ინტერესების საპირისპიროდ, მიზანმიმართულად აკნინებდნენ მართლმადიდებლურ რელიგიას, რომელზეც დამყარებულია მთელი ქართული კულტურა და სულიერი ცხოვრება. მათ უდიდესი გავლენა ჰქონდათ ყველგან: საეკლესიო, სასამართლო თუ სავაჭრო-ეკონომიკური სფეროები გადასული იყო უღირს სომეხ მმართველთა ხელში. ჯიუტად და ურცხვად წარმართავდნენ საკუთარ საქმეს ისე, რომ ეს პროცესები მიმდინარეობდა სრულიად ფარულად და საიდუმლოდ, რის გამოც განსაკუთრებით სახიფათო იყო მათი პოლიტიკა, რომელიც თანდათანობით ინტენსიური ხდებოდა. ისინი მუდმივად ცდილობდნენ ადგილობრივი ენა, ტრადიციები, კულტურა და სარწმუნოება განედევნათ და ჩაენაცვლებინათ სომხურით. დროთა განმავლობაში ქართველი თავად-აზნაურები გადაგვარდნენ, რომელთა მთავარი  საზრუნავი გართობა და დროსტარება გახდა, ხოლო ქართველმა ქალებმა დაკარგეს კდემამოსილება. სახელმწიფოს აღარ ჰყავდა უმაღლესი დონის ფენა, რაც საჭიროა ქვეყნის ძლიერებისათვის. გლეხობა

აღმოჩნდა უუფლებო მდგომარეობაში. მოსახლეობას აღარ ჰყავდა მისაბაძი წინამძღოლი, სწორი გზის მაჩვენებელი და წარმმართველი ხელმძღვანელი. იგივე პროცესები მიმდინარეობდა ეკლესიაში: რადგან მათ აღარ ჰყავდათ ღირსეული და განათლებული სამღვდელოება, სულიერად გადაგვარდა მთელი ქართველი ერი და ღირსების სანაცვლოდ შეერიათ არაქართული ელემენტები (Величко 1990: 30-32).

სომხები ცდილობდნენ ქალაქის მოსახლეობა განედევნათ სოფლებში მიწის დასამუშავებლად, რათა შემდეგ პროდუქცია ქალაქში ჩამოეტანათ და სომეხი ვაჭრების მიერ დაწესებული პირობებით თავადვე შეესყიდათ. მათ ყველაფერი საკუთარი ინტერესების მიხედვით ჰქონდათ დანერგილი, რამაც გამოიწვია ქართული ქალაქების გარდაქმნა სომხების სასარგებლოდ.

სომხები მუდმივად ცდილობდნენ სხვების თვალში წარმოეჩინათ საკუთარი ქვეყნის — ამ პატარა ერის გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა და გმირებად შეერაცხათ შემთხვევითი პიროვნებები. შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, არ აღენიშნათ მათი დამსახურება და საკუთარი განდიდების სანაცვლოდ დაემცირებინათ სხვა ერები, რომელთაც მათზე მეტი და უკეთესი ისტორია და ღირსება გააჩნიათ. ქართველებს ისინი ისტორიულ-არქეოლოგიურად ურცხვად ძარცვავდნენ, აყალბებდნენ ფაქტებს, ფხეკდნენ ქართულ წარწერებს, იძენდნენ ქართულ მიწებს თითქმის უსასყიდლოდ, სადაც მიზანმიმართულად ასახლებდნენ სომხებს და იტაცებდნენ ამ მიწაზე არსებულ ქართულ ეკლესიებსა და მიტოვებულ საყდრებს, თხზავდნენ ყალბ არგუმენტებს და უთითებდნენ ძველ სომხურ წარმომავლობაზე ისეთ ტერიტორიებზე, სადაც თითოეული ქვა და კენჭიც კი, ქართულ ისტორიულ სამეფოზე მიუთითებს და მას ამოწმებს. მათი მეცნიერები ცდებიან თავიანთი კვლევის სფეროს და მკითხველს სთავაზობენ ქართველთა საწინააღმდეგო ციტატებს, ცდილობენ მიითვისონ ისეთი ტერიტორიები, როგორიცაა მაგალითად, სამცხე-საათაბაგო, სადაც საქვეყნოდ ცნობილია, რომ მრავლად მოიპოვება თამარ მეფის ნაკვალევი და აქ მაცხოვრებელი ძირითადი მოსახლეობა გამუსლიმებული ქართველები არიან, რომლებიც საუბრობენ ქართულ ენაზე (Величко 1990: 35-38).

რადგან სომხებს მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ გააჩნიათ საკუთარი ისტორიის განმადიდებელი ნაწარმოები, ცდილობენ მიითვისონ ქართული წყაროები და

სომხურად წარმოაჩინონ ისინი. აქვთ ავადმყოფური მიდრეკილება იმისა, რომ თავიანთი წარსული განადიდონ, რადგან: საუკუნეთა მანძილზე, მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ამ ერს მუდმივად უარყოფითი რეპუტაცია გააჩნია და აქვთ მისგან განთავისუფლების დაუოკებელი სურვილი. ამ მიზნით თხზავენ ახალ ფაქტებს და აყალბებენ ნამდვილ დოკუმენტებს; მოჰყავთ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც არსად ნახსენები არ არის და არ ცნობს არც ერთი წყარო, გარდა სომხურისა. მათი უარყოფითი რეპუტაციის გამო უცხოელებთან ტერმინ „სომეხს“ არ ხმარობენ და მოიხსენიებიან როგორც ჩერქეზი, ქართველი, კავკასიელი ან ქრისტიანი. მათი სახელმწიფოს მდებარეობაც საეჭვოა — გაზრდილი და გადასული სხვის ტერიტორიებზე. დამოკიდებულნი მეზობელ მმართველებზე — რომლებსაც მუდმივად ღალატობენ. ორპირობა, ღალატი და უმადურობა მათი მთელი ისტორიის თანმდევი მახასიათებელი თვისებაა (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას პირადი ფონდი, საქმე № 198).

სომეხი ისტორიკოსები გამოთქვამენ პრეტენზიას, მეცნიერებაში მიღებულ იქნას აზრი, რომ ისინი ბიბლიური ნოეს შვილის — იაფეტის შთამომავლები არიან. მოჰყავთ ნოეს შვილების გენეალოგია და შესაბამისი არგუმენტები იმის დასამოწმებლად, რომ სომხების მამამთავარი ჰაიკი არის იაფეტის შთამომავალი, რომელიც ცხოვრობდა ბაბილონის გოდოლის დაცემის დროს.

მათ არ გააჩნიათ სამშობლო, მათი სამშობლო არის იქ, სადაც მეტ სარგებელს ნახავენ. მოხვეჭილ სიმდიდრეს ფარავენ საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოების მიზნით. რაიმეს შეძენის ყველანაირი ფორმა მათთვის მისაღები და კანონიერია; ყოველგვარი სიცრუე მათვის დასაშვებია ყიდვისა თუ გაყიდვის შემთხვევაში. თბილისისა და მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობის ვაჭრობას განაგებენ სომხები. ყველგან, სადაც კი რაიმე სარგებლის მიღება შეიძლება, არიან აუცილებლად სომხები. ისინი მარტივად ერგებიან უცხო ქვეყნებს: იღებენ ადგილობრივ სახელებს, ტანსაცმელს, წეს-ჩვეულებებს. საქართველოში მაცხოვრებელი სომეხი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მიიღო ქართული გვარები — სომხური ფუძით და ქართული დაბოლოებით. ყველგან ცდილობენ გამოიწვიონ ქაოსი და დესპოტიზმი, რითაც განსაკუთრებულ სიმდიდრესა და სარგებელს იღებენ.

მომარაგებით, ჯაშუშობით, მიცვალებულთა ძარცვით მდიდრდებიან და ფასებს ყველა პროდუქტზე თავად აწესებენ. მთელი გავლენა და ძალაუფლება მათ ხელშია (Величко 1990: 42-43).

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში სომხური სარწმუნოების საქართველოში გავრცელების წინააღმდეგ წარმატებით იღვწოდნენ კათალიკოსები, მაგრამ მათი ეროვნული მოღვაწეობის გამო ქართველ სამღვდელოებსა და კათალიკოსებს სპარსელები საკათალიკოსო ტახტზე დიდხანს არ აჩერებდნენ და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველები იდევნებოდნენ განსაკუთრებით ქართლ-კახეთსა და მესხეთში. იმ დროს, როდესაც სპარსელთა ბრძანებით ევდემოზ კათალიკოსი (დიასამიძე) კლდიდან გადააგდეს, დომენტი კათალიკოსი სტამბოლში ჰყავდათ დაპატიმრებული და საქართველოს ეკლესიასა და მრევლს ღირსეული მეთაური აღარ ჰყავდა, დაიწყო ქართველთა გამუსლიმება და ტყვედ გაყიდვა სპარსეთ-ოსმალეთში, რომელთაც „შეჰკვეთეს ხარკი ქრისტიანეთა... ეპისკოპოსნი და მონასტერნი წინათვე შლილობათა ამათ შინა ათაბაგებთათა და უმორჩილებითა ქართლის კათალიკოსისათა შემცირდებოდნენ ურწმუნოებითა მესხთათა, რამეთუ მიუხმიდენ მამულ-შეწირულობათა, შემცირდებოდნენ და მოიშლებოდნენ მთავართაგან... არა იყო მორჩილება კათალიკოზისა, ანუ ეპისკოპოზისა და სამღვდელოთა, არამედ ოხრება ეკლესია-მონასტერთა და შენება ჯამეთა. ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდნენ და მალვიდნენ ხატთა, ჯვართა და ნაწილთა წმიდათათა და სხვათა წარაქუნდათ იმერეთს და ქართლს და ივლტოდინცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდენ მაჰმადიანობასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 726), ხოლო საქართველოში მცხოვრებ სომხებს, როგორც უცხო ქვეყნის მკვიდრთ, გაცილებით მეტი პრივილეგიები ჰქონდათ, ვიდრე სომხეთში. ვინაიდან ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა მართლმადიდებელი რუსეთის გავლენა, რომელიც თანდათანობით მოიწევდა სამხრეთისაკენ და საფრთხეს უქმნიდა სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს, ქართველები რომ რუსებს არ შეერთებოდნენ, მართლმადიდებელი სარწმუნოება სასტიკად იდევნებოდა. სამაგიეროდ, სომხური ეკლესიის მრევლს სპარსეთსა და ოსმალეთში ქრისტიანთა შორის განსაკუთრებული პრივილეგიები გააჩნდათ: მათ ჰქონდათ ორი საპატრიარქო — ეჩმიაძინისა და კონსტანტინოპოლის და ორი საკათალიკოსო — სისისა და ახტამარის.

იგებოდა მათი ეკლესიები, განსაკუთრებულად აღინიშნებოდა მათი დღესასწაულები და ისჯებოდა ყველა, ვინც სომხებს შეურაცხყოფას მიაყენებდა. ეჩმიაძინს დიდი მამულები ჰქონდა ნაყიდი თბილისში და შესაბამისად, გლეხებიც, რომელნიც ამუშავებდნენ მიწებს. სპარსეთის შაჰმა ეჩმიაძინს მოუხსნა გადასახადი და სპარსეთის მოხელეებს აუკრძალა ჩარეულიყვნენ მის საშინაო საქმეებში. ამ დროს კი, საქართველოს ეკლესია განადგურების პირას იყო მისული და თბილისის სიონის ტაძარი ლამის მეჩეთად აქციეს (ლომსაძე 1979: 38). ამასთანავე, დაუშვებელი იყო სომხების გამუსლიმება. შაჰის ამ მიზანმიმართულ ქმედებას შესაბამისი შედეგი მოჰყვა: იმ მიზნით, რომ ქართველებს ქრისტიანობა შეენარჩუნებინათ, გადადიოდნენ სომხურ სარწმუნოებაზე, მით უფრო, რომ სომხები სპარსეთში გაყიდულ გასომხებულ ქართველებს ტყვეობიდან იხსნიდნენ.

1754 წელს გორელი და თბილისელი სომხები გაერთიანდნენ კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ. ერეკლე II-ის წინაშე ისინი ბრალს დებდნენ მისიონერებს, რომ მთელი მოსახლეობა საკუთარ სარწმუნოებაზე გადაჰყავდათ და მეფისგან მოითხოვდნენ, განედევნა მისიონერები საქართველოდან. მართალია, მათ ერეკლესთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ დედოფლისგან მიიღეს წერილი, სადაც მეფეს ნაბრძანები ჰქონდა: ამიერიდან ვინც კათოლიკობას მიიღებს, ჩამოერთვას ყველაფერი და საკუთარი სახლიდან გაძევებულ იქნასო. ამავე წელს მისიონერებს ძლიერი მტერი მოევლინათ კონსტანტინოპოლის პატრიარქის სახით, რომელმაც დაინახა რა საქართველოში კათოლიკობის წარმატებით გავრცელება, „შეეშინდა, რათა სამუდამოდ არ მოსპობოდათ ბერძნებს ის უხვი წყალობა, რომელიც ყოველ წლივ გაჰქონდათ საქართველოდან“, ამიტომ მოავლინა ბერძენი მოძღვრები და მოასპობინა რაჭის მისიონი (თამარაშვილი 369-370). მოგვიანებით, ერეკლე მეფემ შეცვალა თავისი დამოკიდებულება კათოლიკეებისადმი, რის შესახებაც ახალციხელი პავლე ეპისკოპოსი წერს: „ბატონი ერეკლე მეფე თუმცა აღიარებს ბერძნების სარწმუნოებას, გარნა სცნობს რომის კათოლიკე სარწმუნოების სიჭეშმარიტეს, ძრიელ მიდრეკილია კათოლიკებისაკენ, ყოველთვის პატივსცემს და იცავს მათ ყველა გასაჭირში“ (თამარაშვილი 1902: 371).

XVIII საუკუნეში სომეხ ერს მოევლინა დიდად ენერგიული გულშემატკივარი, პოლიტიკური გამჭრიახობით გამორჩეული ქომაგი — სომხური წარმოშობის

გაქართველებული აზნაური არქიეპისკოპოსი იოსები (არგუთაშვილი-მხარგრძელი), რომელიც ცდილობდა საპატრიარქო ტახტის დაკავებას. 1779 წელს მან დააარსა სომხური ქალაქი — ნახიჭევანი დონზე. აქ თურქეთიდან და ყირიმიდან გადაასახლეს 15 000 სომეხი, რომელთაც დიდი პრივილეგიები მიენიჭათ: გადასახლება/მგზავრობა დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გადაეცათ დიდი მიწები, ტყე, თესლი, საქონელი, მარაგი მშენებლობისთვის და საოჯახო ინვენტარი 10 წლის ვადით და ამ პერიოდის განმავლობაში განთავისუფლდნენ გადასახადებისგან. ეს ყველაფერი სამართალში იყო განსაზღვრული (Величко 1990: 39).

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დროს ამავე არქიეპისკოპოს იოსების მეშვეობით, რომელიც საქართველოში სომეხი ხალხის თვითშეგნების წამოწევასა და მათი უპირატესობის წარმოჩენას ცდილობდა, ყარაბაღიდან შულავერში გადმოასახლეს მელიქები. მათ შორის იყო ორი მელიქი — მეჯლუმი და აბოვი (Меджнун и Або), რომელთაც დავალებული ჰქონდათ ერეკლე მეფის ღალატი. ისინი საქართველოში მიზანმიმართულად ჩამოიყვანეს როგორც ჯაშუშები, რომელთაც 1795 წელს გაუმარტივეს საქმე აღა მაჰმად ხანს თბილისის დარბევის დროს. პარალელურად, 1796 წელს არქიეპისკოპოსი იოსები ჩაერია დერბენდის სახანოს დაპყრობის საქმეში, ცდილობდა რა კონფლიქტის წარმოქმნას მუსლიმებთან და მათ დამცირებას სომხების სასარგებლოდ. ამის გამო მან  აიჯანყა მთელი მოსახლეობა. ამასთანავე, ეჩმიაძინის პატრიარქმა და არქიეპისკოპოსმა იოსებმა დაწერეს ერთობლივი ეპისტოლე ყარაბაღსა და ამიერკავკასიის სხვა ადგილებში მცხოვრები სომხების მიმართ, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსი ჯარი შევიდა სპარსეთში სომეხი მოსახლეობის მუსლიმ დამპყრობთაგან განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია ამიერკავკასიის მოსახლეობაში. ისინი ყოველთვის საკუთარ თავს წარმოაჩენდნენ რუსეთის ერთგულებად და სარგებლობდნენ მათი არაშორსმჭვრეტელობით, მოქმედებდნენ რუსეთის მთავრობის მიზნის წინააღმდეგ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და ცდილობდნენ აღედგინათ „დიდი სომხეთი.“

როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი დადგა დღის წესრიგში, სომეხი სამღვდელოება ცდილობდა ეჩვენებინა საკუთარი უპირატესობა — რომ ისინი

ძლიერ და მთავარ როლს ასრულებდნენ ამ პროცესში. რადგან რუსეთში ცნობილი იყო სომხების სარწმუნოება და რუსეთმა საქართველო შეიერთა როგორც ერთმორწმუნე ქვეყანა, ამის გამო არქიეპისკოპოსმა იოსებმა რუსეთში მცხოვრები სომხები მართლმადიდებლებად წარმოაჩინა და 1799 წელს გამოსცა სპეციალური წიგნი „Исповедание христианской веры армянской Церковью“. აქ მან გაავრცელა მათთვის ხელსაყრელი ცნობები სომხურ სარწმუნოებაზე და ცდილობდა დაეფარა სომხების მიერ ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივი ბუნების აღიარება: მე-14 გვერდზე იგი ამბობს, რომ ქრისტე ორბუნებოვანი და ერთპიროვანი ღმერთია, თუმცა 50-ე გვერდზე უნებლიედ საპირისპირო აზრს გამოთქვამს და ამოწმებს სომხების რეალურ მრწამსს, რომ ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება გააჩნია. იგი ასევე შეგნებულად ფარავს იოანე IV კათალიკოსის ქმედებას, რომელიც სომხური ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხული. იოანე კათალიკოსი ანათემას გადასცემს ქალკედონის საეკლესიო კრებას და ამბობს: „ვინც აღიარებს, რომ ქრისტე იყო ადამიანი ბუნებით, ევნო და დაეფლა როგორც სრული კაცი, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთ ბუნებას, ანათემა მას!“ რადგან ეს ყველაფერი აშკარას ხდიდა მათ მიზნებს მართლმადიდებელთა თვალში, XVIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი, არქიეპისკოპოსი იოსები და ნერსე კათალიკოსი ცდილობდნენ დაეფარათ სომხების რეალური სარწმუნოება, რათა რუსეთს მათთვისაც გაეწია დახმარება, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანას (Величко 1990: 40-41).

საქართველოს ეკლესიას უძველესი დროიდან ჰქონდა წმინდა მამების ქადაგებები სომხური სარწმუნოების უარსაყოფად, რასაც ხშირად იყენებდნენ მათთან ურთიერთობისას, მაგრამ XVIII საუკუნეში ევროპული სამეცნიერო შრომების სომხურმა თარგმანებმა და სომეხ სამღვდელოებაში საღვთისმეტყველო განათლების ამაღლებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე. მათ ჰქონდათ სომეხი კათალიკოსის — ლაზარე ჭაუკელის თხზულება „სასურველი სამოთხე“, რომლითაც თავიანთი მწვალებლური მოძღვრების გამართლებას ცდილობდნენ და მართალი ადამიანის სულებს წარწყმედდნენ (ხახანაშვილი 1991: 116). ამიტომ, კათალიკოსმა ანტონ I-მა შეადგინა „მზამეტყველება“, რომელშიც საფუძვლიანად განმარტავს წმინდა წერილის სადავო ადგილებს, სომხურ საეკლესიო დადგენილებებზე დაყრდნობით განიხილავს და ამოწმებს მათი სარწმუნოების შეუთავსებლობას წმინდა

წერილთან და მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით საუბრობს ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ (ჟორდანია 1991: 81). „მზამეტყველების“ აქტუალურობასა და მნიშვნელობაზე საუბრისას პ. კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ ეს წიგნი არის კარსმომდგარი ურწმუნოების წინააღმდეგ საბრძოლველი აღჭურვილობა, რის გამოც ანტონ I კათალიკოსი დაუვიწყარი ვარსკვლავია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. „მზამეტყველებას“ პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა და მიზნად ისახავდა მუსლიმობის პირობებში მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვასა და ეროვნული გადაგვარების პროცესის შეჩერებას, რაც უმძიმესი შედეგის მომტანი იქნებოდა სრულიად საქართველოსთვის. ამასთანავე, ანტონ I-ის სამეცნიერო, საღვთისმეტყველო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში არანაირი არგუმენტი არ არსებობს, რომ იგი კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებელი იყო. პირიქით, კათალიკოსის ყოველი ქმედება მის მართლმადიდებლობას ამოწმებს (ბალხამიშვილი 1998: 161-162).

მიუხედავად იმისა, რომ ანტონ კათალიკოსი ამხელდა სომხური სარწმუნოების აღმსარებლებს, მან გარს შემოიკრიბა სომხური ენის მცოდნენი, დაიახლოვა ისინი და მათი მეშვეობით ქართულ ენაზე დაიწყო სომხური თხზულებების თარგმნა, რითაც უზარმაზარი სარგებელი მოუტანა საკუთარ ქვეყანას.

# დასკვნა

ამრიგად, მოტანილი ვრცელი მასალების ანალიზის საფუძველზე, ქართული და უცხოური წყაროებისა და ლიტერატურის შეჯერების შედეგად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ურთიერთობას მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან. საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის დროიდან  მოყოლებული, ნებისმიერი ღირსეული ქართველი პოლიტიკოსი უპირველეს ყოვლისა, უდიდეს ყურადღებას აქცევდა და განსაკუთრებულად ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზე, მათ აღდგენა-გამშვენებასა და მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვაზე, რაზეც დამყარებულია ქართული კულტურა, ზნეობა, ეროვნული ღირებულებები და ფასეულობები. შედეგად, სახელმწიფო ეკლესიისაგან იღებდა იმ საქმის დალოცვასა და კურთხევას, რაც შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურ წარმატებას განაპირობებდა.

ნებისმიერ ეპოქაში (ისევე, როგორც XVIII საუკუნეში), როდესაც საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას და გარე თუ შიდა ძალები ცდილობენ ქართველი ერის დაცემასა და ზნეობრივ გადაგვარებას, აუცილებელია სახელმწიფოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ჰქონდეს აქტიური ურთიერთობა და მასთან ერთად სწორად წარმართოს პოლიტიკური პროცესები, რათა დაცულ იქნას ქვეყნის მთლიანობა, სუვერენიტეტი და ეკლესიის ერთიანობა. ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის, განვითარების, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის, პოლიტიკური წინსვლისა და საკუთარი ავტორიტეტის მოპოვებისათვის ხელისუფალს აუცილებელია ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა და სწორი აზროვნება დიპლომატიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამხედრო, კულტურისა და სხვა სფეროებში სახელმწიფოს სამეუფეო გზით ტარებისათვის. სწორი აზროვნება კი, შეუძლებელია სარწმუნოების გარეშე. ქრისტეს რწმენის გარეშე შეუძლებელია საღმრთო სიბრძნის მიღება და სახელმწიფოს სწორად მართვა. წინამდებარე ნაშრომში ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითია მოყვანილი. საჭირო ცოდნის მისაღებად და რწმენის განსამტკიცებლად ბავშვობიდანვე ზრუნავდნენ და ამზადებდნენ მომავალ მეფეებსა და დიდებულ-აზნაურებს სახელმწიფოს მართვისათვის. ხოლო შემდეგ,

საგანგებოდ ემზადებოდნენ მეფედ კურთხევის წესის შესასრულებლად, რაც აუცილებლად ტაძარში უნდა შესრულებულიყო და, გამოითხოვდნენ სამღვდელოებისაგან დალოცვასა და კურთხევას — სახელმწიფოს დაცვას ხილული და უხილავი მტრებისაგან. მხოლოდ ტაძარში, სამღვდელოების მიერ შესაბამისი ლოცვის აღსრულების, დალოცვისა და მირონცხების შედეგად ენიჭებოდა ხელისუფალს საღმრთო მადლი, ქვეყნის მართვის სიბრძნე, სახელმწიფოებრივი აზროვნება და პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც მოსახლეობის კეთილდღეობისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის იყო აუცილებელი. და პირიქით, ეროვნული სარწმუნოებისაგან განმდგარი და ეკლესიასთან მებრძოლი პოლიტიკოსები სამშობლოს მოღალატეებად და საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მტრებად არიან მიჩნეულნი. მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში არაერთი საერო თუ სასულიერო პირია მსგავსი ანტიეროვნული საქმიანობით ცნობილი როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, რომელნიც დამპყრობთა ინტერესებს ემსახურებოდნენ საკუთარ სამშობლოში.

XVIII საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ VI-ისა და დომენტი IV კათალიკოსის ეპოქაში მათი ურთიერთკავშირის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანულად მირონცხებული მეფობის აღდგენა, ეროვნული გადაგვარების პროცესის შეწყვეტა, მუსლიმთა წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლება. მიუხედავად იმისა, რომ მათ თავიანთ სიცოცხლეში უმთავრეს მიზანს ვერ მიაღწიეს, ეროვნულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გატარების შედეგად უდიდესი წვლილი მიუძღვით ქრისტიანულად მირონცხებული მეფის კურთხევის აღდგენისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში, რასაც მუდმივად ხელს უშლიდნენ მათი მოწინააღმდეგე სამშობლოს მოღალატეები.

ქრისტიანულად მირონცხებული მეფობის აღდგენის შემდეგ, ანტონ I დიდი კათალიკოსი აღსაყდრებისთანავე აქტიურად ჩაება ქვეყნის მართვის საქმეში და მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდა, განათლების დონის ამაღლება და ცენტრალური ხელისუფლების პოზიციის დაცვა, რაც უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარებას მოითხოვდა. თავდაპირველად, მის წამოწყებებს აქტიურად უჭერდა მხარს

ქართლ-კახეთის სამეფო კარი, რაც შემდეგ კონფლიქტში გადაიზარდა და თეიმურაზ მეფის უეცარი, ტრაგიკული გარდაცვალებით დასრულდა.

მოგვიანებით, მეფე ერეკლე II-სა და ანტონ I კათალიკოსის ინიციატივით ქართლ-კახეთის სამეფოში გატარდა უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო, საეკლესიო და პოლიტიკური რეფორმები, რა დროსაც კათალიკოსი მუდმივად მეფის მხარეს იდგა ზნეობრივი რჩევებითა და მატერიალური დახმარებით. აღნიშნულმა ღონისძიებებმა განაპირობა არაერთი წარმატება ქართლ-კახეთის სამეფოს ურჩ თავადთა დამორჩილებისა და ქვეყნის გაძლიერების საქმეში.

იგივე პროცესები მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოში, სადაც მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ეკლესიის მთავარი საზრუნავი „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იყო, რისთვისაც აქტიურად იღვწოდნენ აფხაზთა კათალიკოსები სამღვდელოებასთან და სამეფო სახლთან ერთად. შედეგად, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი იმერეთის მეფე სოლომონ I ეკლესიის თანადგომით, უფლის რწმენითა და ღვთის შეწევნით, უფლისწულობის პერიოდში დასახული მიზნის მისაღწევად გამეფებისთანავე იწყებს ბრძოლას და ღირსეულად მოიპოვებს ბრწყინვალე გამარჯვებას. ფიზიკური განადგურებისა და გადაშენების პირას მყოფი იმერეთის სამეფოს ბრძოლა ოსმალეთის იმპერიასთან მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო. მაგრამ სოლომონმა ეს შეძლო უფლის მადლით, რწმენითა და სასოებით, რის გამოც იგი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანთა დასში შეირაცხა.

მისი გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის მეფე სოლომონ II ამავე პოლიტიკის გამტარებელი იყო, რამაც განაპირობა ეკლესიის მიერ მისი წმინდანად აღიარება. მეფეს მუდმივად მხარში ედგა ანტონ II კათალიკოსი და საკუთარი მოძღვარი — წმინდა ილარიონ ყანჩაველი, რომელთაც უდიდესი გავლენა იქონიეს სოლომონის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიაში ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა (მეფე-მთავართა) შორის შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპი:

1. ღვთისმოშიში, ეკლესიათა მაშენებელი და სახელმწიფოს სულიერსა და ინტელექტუალურ განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო მოღვაწენი (მეფე-მთავრები), რომელთაც პოლიტიკურ ასპარეზზე უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვეს, მომავალმა თაობამ მათი ღვაწლი ღირსეულად დააფასა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანთა დასში შეირაცხნენ;

2. ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი (მეფე-მთავრები), რომელთაც სახელმწიფოსა და ეკლესიის გადასარჩენად დროდადრო უხდებოდათ დიდ იმპერიებს შორის ლავირება და ზოგჯერ სარწმუნოების შეცვლა — ისლამის მიღება, რაც ცხადია, ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელი იყო. საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში გაღებული ეს მსხვერპლი მომავალმა თაობამ შექმნილი უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს. გამუსლიმებულმა ქართველმა მეფეებმა ეს უკიდურესად მძიმე გადაწყვეტილება არა პირადი კეთილდღეობის, არამედ საქართველოს გადარჩენის მიზნით მიიღეს.

# დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

## წყაროები


1. **ბაგრატ ბატონიშვილი 1941:** ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. გამოსცა თამარ ლომოურმა. თბილისი, 1941;

2. **ბერი ეგნატაშვილი 1940:** ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. — XVIII ს. დამდ. I ტექსტი. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით. თბილისი, 1940;

3. **გიორგი მერჩულე 1963:** გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲდა მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ. “ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები”, წ. I, (V-XIსს), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963;

4. **გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში 1962:** გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში ტომი პირველი. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962;

5. **დავით ბატონიშვილი 1941:** დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. გამოსცა თამარ ლომოურმა. თბილისი, 1941;

6. **ვახუშტი ბატონიშვილი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973;

7. **ვახუშტი ბატონიშვილი 1913:** ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან. თბილისი, 1913;

8. **თაყაიშვილი 1920:** თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი. ტომი I. გამოცემა II. ტფილისი, 1920;

9. **იოანე ბატონიშვილი 1984:** იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. — ქართული პროზა. წიგნი VI. თბილისი, 1984. გვ. 7-577;

10. **ლამბერტი 1938:** ლამბერტი ა., არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. მეორე გამოცემა. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1938;

11. **ომან ხერხეულიძე 1989:** ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი, 1989;

12. **პაპუნა ორბელიანი 1854:** პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი მეორე. გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან. სანკტპეტერბურღი, 1854;

13. **სეხნია ჩხეიძე 1854:** სეხნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი მეორე. გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან. სანკტპეტერბურღი, 1854;

14. **ქართული სამართლის ძეგლები 1963:** ქართული სამართლის ძეგლები ტ. I. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1963;

15. **ქართული სამართლის ძეგლები 1970:** ქართული სამართლის ძეგლები ტ. III. გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, 1970;

16. **ჭავჭავაძე 1888:** ჭავჭავაძე ი., წმინდა ნინო საქართველოს განმანათლებელი. გაზეთი „ივერია“. № 9. 14 იანვარი. 1888;

17. **ხეც, ამბროსი ხელაიას ფონდი № 114:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას ფონდი № 114;

18. **ხეც, ამბროსი ხელაიას ფონდი № 198:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას ფონდი № 198;

19. **ხეც, ამბროსი ხელაიას ფონდი № 214:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას ფონდი, № 214;

20. **ხეც, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი № 99:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი № 99;

21. **ხეც, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი № 102:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი № 102;

22. **ხეც, კალისტრატე ცინცაძის ფონდი № 113:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი № 113;

23. **ხეც, კალისტრატე ცინცაძის ფონდი № 120:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი № 120;

24. **ხეც, კალისტრატე ცინცაძის ფონდი № 122:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი № 122;

25. **ხეც, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი № 1208:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი № 1208;

26. **Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся къ Грузии 1891:** Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся къ Грузии, Т. I, съ 1768 по 1774 годъ, под редакцией А. А. Цагарели. С-Петербург, 1891;

## ლიტერატურა

27. **აბზიანიძე 2006:** აბზიანიძე ა., საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები. დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2006;

28. **აბზიანიძე 2023:** აბზიანიძე ა., ქრისტიანობის გეოპოლიტიკის საკითხები. — ქართველი მეცნიერები. ტ. 5. № 1. 2023. გვ. 165-171;

29. **ავალიანი 1983:** ავალიანი ს., ანტონ ბაგრატიონი და XVIII საუკუნის რუსული ფილოსოფიური აზროვნება. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია 3. თბილისი, 1983. გვ. 8-19;

30. **ასათიანი 2008:** ასათიანი ნ., საქართველოს ისტორია. ტ. II. 2008;

31. **ბალხამიშვილი 1998:** ბალხამიშვილი ბ., ერეტიკოსებთან პოლემიკის ზოგიერთი ასპექტი ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველებაში“. — ლიტერატურული ძიებანი, XIX. თბილისი, 1998. გვ. 161-170;

32. **ბაქრაძე 1880:** ბაქრაძე დ., საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისგან. თბილისი, 1880;

33. **ბერძენიშვილი 1965:** ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბილისი, 1965;

34. **ბუაძე 2019:** ბუაძე თ., რელიგია და პოლიტიკა. — რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“. № 22. 2019. გვ. 7-26;

35. **ბუბულაშვილი 2002:** ბუბულაშვილი ე., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი, 2002;

36. **ბუბულაშვილი 2013:** ბუბულაშვილი ე., მაქსიმე აბაშიძე (1725-1795) – „კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოჲსა და აფხაზეთისა — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია № 1. გვ. 33-40;

37. **ბუბულაშვილი 2017:** ბუბულაშვილი ე., საქართველოს ეკლესიის საკითხი რუსეთ-საქართველოს შორის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაფორმებულ ხელშეკრულებებში. — ანალები. 2017. № 13, გვ. 17-41;

38. **გასვიანი 1988:** გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX ს.ს.). თბილისი, 1988;

39. **გაფრინდაშვილი 2014:** გაფრინდაშვილი ბ., რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) 1529-1820 წ.წ. ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2014;

40. **გეგენავა 2016:** გეგენავა დ., სამართლის სადოქტორო პროგრამის ნაშრომი თემაზე: კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში. თბილისი, 2016;

41. **გლოველი 2023:** გლოველი კ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: იმერეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის 10-იან წლებში. თბილისი, 2023;

42. **გულდური 2021:** გულდური ქ., იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებიდან XVI-XVIII საუკუნეებში (ოსმალური და ქართული წყაროების მიხედვით). დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ბათუმი, 2021;

43. **გურული 2007:** გურული ვ., ერთმორწმუნე რუსეთი მითი და რეალობა. თბილისი, 2007;

44. **გურული 2011:** გურული ვ., სოლომონ I. — დიდნი საქმენი. 2011. თბილისი, გვ. 332-335;

45. **გურული 2011:** გურული ვ., ცდა ერთიანობის აღდგენისა. — დიდნი საქმენი. 2011. თბილისი, გვ. 338-339;

46. **გურული 2018:** გურული ვ., ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1783-1798). თბილისი, 2018;

47. **დარჩია 1987:** დარჩია მ., გაიოზ რექტორი. თბილისი, 1987;

48. **დუმბაძე 1973:** დუმბაძე მ., აღმოსავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში. თავი მერვე. № 5 მდგომარეობის გართულება. აღმოსავლეთ კახეთის დაკარგვა. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973. გვ. 421-429;

49. **ვარდოსანიძე 2011:** ვარდოსანიძე ს., ანტონ I კათალიკოსი. — დიდნი საქმენი. თბილისი, 2011. გვ. 344-347;

50. **ზვიადაძე 2022:** ზვიადაძე გ., რელიგია და სახელმწიფო: ეკლესიისა და სახელმწიფოს წარმატებული თანამშრომლობის მოდელი საქართველოს მაგალითზე. — ჟურნალი იუსტიცია, № 2. ივლისი 2022. გვ.7-19;

51. **თამარაშვილი 1902:** თამარაშვილი მ., ისტორის კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902;

52. **იერარქია საქართველოს ეკლესიისა 1900:** იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი. შედგენილი მღ. პოლიევკტოს კარბელაშვილის მიერ. თფილისი, 1900;

53. **კაკაბაძე 1913:** კაკაბაძე ს., საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს. ტფილისი, 1913;

54. **კაკაბაძე 1922:** კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წ.წ.). თბილისი, 1922;

55. **კანდელაკი 1966:** კანდელაკი ნ., ქართული საელჩო მჭევრმეტყველება. თბილისი, 1966;

56. **კეკელიძე 1991:** კეკელიძე კ., ანტონ კათალიკოზის სალიტურგიკო მოღვაწეობიდგან. — საღვთისმეტყველო კრებული 1. თბილისი, 1991. გვ. 126-130;

57. **კელენჯერიძე 1913: კელენჯერიძე მ.,** მაქსიმე აბაშიძე, უკანასკნელი კათალიკოსი იმერეთისა (1776-1795 წ.წ.). — გაზეთი „შინაური საქმეები“, № 8. 1913. გვ. 1-4;

58. **კილასონია 1982:** კილასონია ა., ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. 1982. № 3. გვ. 107-114;

59. **კუხიანიძე 2017:** კუხიანიძე ნ., სოლომონ II-ის წყალობის სიგელი ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტრისადმი. — საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“. თბილისი, 2017. გვ. 91-97;

60. **ლომსაძე 1979:** ლომსაძე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან ახალციხური ქრონიკები. თბილისი, 1979;

61. **ლომსაძე 1997:** ლომსაძე შ., მესხები. თბილისი, 1997;

62. **მაჭარაძე 1968:** მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი II. თბილისი, 1968;

63. **მენაბდე 1986:** მენაბდე დ., ქართლის კათალიკოსი დომენტი IV. — საღვთისმეტყველო კრებული № 1. თბილისი, 1986. გვ. 113-152;

**64. მეტრეველი 1957:** მეტრეველი ე., 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება. — აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბილისი, 1957. გვ. 413-429;

**65. მეტრეველი 2008:** მეტრეველი რ., პატრიარქი ერის სულიერი მამა. თბილისი, 2008;

**66. მეტრეველი 2010:** მეტრეველი რ., საქართველოს მეფეები და პატრიარქები. თბილისი, 2010;

**67. მთვარელიშვილი 1881:** მთვარელიშვილი ნ., თელავის სემინარია და გაიოზ კათალიკოზი (გამოკრებული ცნობები ვრცელის მისის ცხოვრებიდგან). საღვთისმეტყველო კრებული 1. თბილისი, 1991. გვ. 15-29;

**68. მთვარელიშვილი 1881:** მთვარელიშვილი ნ., თელავის სემინარია და გაიოზ ნაცვლიშვილი. — ჟურნალი „ივერია“. № 8, 1881. გვ. 90-117;

**69. პაიჭაძე 1981:** პაიჭაძე გ., ვახტანგ მეექვსე. თბილისი, 1981;

**70. ჟორდანია 1991:** ჟორდანია თ., ანტონ I, საქართველოს კათალიკოსი და მთავარეპისკოპოსი ვლადიმირისა და იეროპოლისა. (თარგმანი ი. ამირხანაშვილისა). საღვთისმეტყველო კრებული 1. თბილისი, 1991. გვ. 34-100;

**71. ჟორდანია 1901:** ჟორდანია თ., ანტონ I, კათალიკოსი, რუსულიდამ თარგმანი კ. ანთაძისა. — ჟურნალი „მოგზაური“, №№ VI და VII. თბილისი, 1901. გვ. 655-668;

**72. ჟორდანია 1901:** ჟორდანია თ., ანტონ I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თარგმ. კ. ანთაძისა. — ჟურნალი „მოგზაური“, №№ VIII და XIX. თბილისი, 1901. გვ. 816-830;

**73. ჟორდანია 1901:** ჟორდანია თ., ანტონ I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თარგმანი კ. ანთაძისა. — ჟურნალი „მოგზაური“, № XI. თბილისი, 1901. გვ. 1064-1076;

**74. ჟორდანია 1901:** ჟორდანია თ., ანტონი I, კათალიკოსი, რუსულიდამ თარგმანი კ. ანთაძისა. — ჟურნალი „მოგზაური“, № 12. თბილისი, 1901. გვ. 1158-1172;

**75. ჟორდანია 1902:** ჟორდანია თ., ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თხზ. თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა. — ჟურნალი „მოგზაური“, № 5. თბილისი, 1902. გვ. 312-329;

**76. ჟორდანია 1902:** ჟორდანია თ., ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თხზ. თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა. — ჟურნალი „მოგზაური“, № № 7-8. თბილისი, 1902. გვ. 449-462;

**77. რეხვიაშვილი 1989:** რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810 წ.წ.). თბილისი, 1989;

**78. რეხვიაშვილი 1992:** რეხვიაშვილი მ., იმერთა მეფენი სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე. ქუთაისი, 1992;

**79. საითიძე 2011:** საითიძე გ., ვახტანგ VI. — დიდნი საქმენი. თბილისი, 2011. გვ. 314-317;

**80. სამსონაძე 2012: სამსონაძე მ.,** საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. III. საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. თბილისი, 2012;

**81. სასულიერო მოღვაწენი 1982:** სასულიერო მოღვაწენი. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (აღსაყდრების 50 და გარდაცვალების 30 წლისთავი). — საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი, 1982. გვ. 143-162;

**82. სიხარულიძე 1991:** სიხარულიძე ფ., ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთში. — საღვთისმეტყველო კრებული 1. თბილისი, 1991. გვ. 148-154;

**83. სიხარულიძე 1964:** სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური საისტორიო ზეპირსიტყვიერება. თბილისი, 1964;

**84. ტაბაღუა 1965 ა:** ტაბაღუა ი., სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში. — მაცნე 3. თბილისი, 1965. გვ. 80-103;

**85. ტაბაღუა 1965 ბ:** ტაბაღუა ი., სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში. — მაცნე 5. თბილისი, 1965. გვ. 131-145;

**86. ტაბაღუა 1966:** ტაბაღუა ი., ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები. — მაცნე 6. თბილისი, 1966. გვ. 136-166;

87. **ტყეშელაშვილი 2016:** ტყეშელაშვილი ლ., იმერეთის მეფე სოლომონ I - დიდი. ქუთაისი, 2016;

88. **ფოცხიშვილი 1996:** ფოცხიშვილი ა., ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოებრიობა. თბილისი, 1996;

89. **ქავთარია 1987:** ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა). თბილისი, 1977;

90. **ქიქოძე 1942:** ქიქოძე გ., ერეკლე მეორე. თბილისი, 1942;

91. **ქიქოძე 1988:** ქიქოძე მ., ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა). თბილისი, 1988;

92. **ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა 1967:** ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბილისი, 1967;

93. **შანიძე 1935:** შანიძე ა., ქართული სტამბის ისტორიისათვის. — ლიტერატურული მემკვიდრეობა. წიგნი I. 1935. გვ.156-176;

94. **ჩხატარაიშვილი 1973:** ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთი საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV.თბილისი, 1973. გვ. 636-648;

95. **ჩხატარაიშვილი 1973:** ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973. გვ. 455-481;

96. **ცაგარელი 1911: ცაგარელი ა.,** მოწმობანი მე XVII-XVIII საუკ. ოფიციალურ მიწერ-მოწერებისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ქუთაისი, 1911;

97. **ხანთაძე 1957:** ხანთაძე შ., ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბილისი, 1957;

98. **ხახანაშვილი 1991:** ხახანაშვილი ა., კათალიკოს ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა (თარგმანი ნ. ქაჯაიასი). — საღვთისმეტყველო კრებული 1. თბილისი, 1991. გვ.101-125;

99. **ხელაია 2006:** ხელაია ა., საქართველოს ეკლესია - ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგი. — გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“. № 39 (392). 2006. გვ.17-18;

100. **ხელაია 2012:** ხელაია ა., მონღოლთა, სპარსთა და თურქ-ოსმალთა ბატონობის პერიოდი. — მწიგნობრობა ქართული, მრავალტომეული. ტ. 13, წიგნი II, 2012, გვ. 248-255;

101. **ხელაია 2013:** ხელაია ა., ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში. — ლიტერატურული ჟურნალი ანეული. № 1. 2013. გვ. 74-79;

102. **ჯავახიშვილი 1919:** ჯავახიშვილი ი., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბილისი, 1919;

103. **ჯავახიშვილი 1967:** ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. 1967;

104. **ჯავახიშვილი 1982:** ჯავახიშვილი ი., თხზულებანი 12 ტომად. ტ. VIII. 1982;

105. **ჯავახიშვილი 2013:** ჯავახიშვილი ნ., 1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის. — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII. თბილისი, 2013. გვ. 155-184;

106. **ჯამბურია 1973:** ჯამბურია გ., საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იანი წლები). — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი, 1973. გვ. 342-356;

107. **ჯაფარიძე 2003:** ჯაფარიძე ა., საქართველოს საეკლესიო კრებები. თბილისი, 2003;

108. **ჯაფარიძე 2009:** ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2009;

**109. ჯაფარიძე 2010:** ჯაფარიძე ა., ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში. თბილისი, 2010;

**110. Гамрекели 1972:** Гамрекели В. Н., Вопросы взаимоотношений восточной Грузии с северным Кавказом в XVIII в. Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук. Тбилиси, 1972;

**111. Величко 1990:** Величко В. Л., Кавказ, Русское дело и междуплеменные вопросы. Баку,1990;

**112. Ципин 2002:** Ципин В., Курс церковного права. Санкт-Петербург. 2002;